



საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე სამოქალაქო
სამართალწარმოებაში

მარიამ მამულაძე

დისერტაცია

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

შალვა ქურდაძე

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I. არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე, მნიშვნელობა და სამართლებრივი ასპექტები	12
1.1. არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე - ეროვნული სამართლებრივი წყაროების ისტორიული განვითარება	12
1.2. არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე - ევროპული სტანდარტის სამართლებრივი წყაროები.....	30
1.3. უფლება დაცვაზე, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი	36
თავი II. კანონიერ წარმომადგენელთა შეზღუდული უფლებამოსილებები არასრულწლოვანთა უფლებრივი განვითარების კვალდაკვალ	46
2.1. სასამართლო წარმომადგენლობის ინსტიტუტი სამოქალაქო საპროცესო სამართალში	46
2.2. არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის სამართლებრივი რეგულირება.....	56
2.3. კანონიერი წარმომადგენლის შეზღუდული უფლებებით მოქმედება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით	71
თავი III. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლებრივი პარადიგმა: დაცვის მექანიზმების ეფექტიანობის კრიტიკული ანალიზი	87
3.1. არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსთვის დამოუკიდებლად მიმართვის ინსტიტუციური მექანიზმები და პროცედურული ბარიერები	87
3.2. მულტიდისციპლინური თანამშრომლობისა და სპეციალიზირებული კადრების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში: პრობლემები და გამოწვევები საქართველოს რეალობაში.....	102
3.3. არასრულწლოვანის მოსმენა და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება: ფორმალობიდან ეფექტურ მექანიზმამდე არსებული წინააღმდეგობები.....	123
3.4. არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა, დისკრიმინაციის ლატენტური ფორმები და მათი აღმოფხვრის გამოწვევები სამოქალაქო სამართალწარმოებაში	138
3.5. მართლმსაჯულების დროულობა და გადაწყვეტილებათა გადასინჯვის სამართლებრივი რეგულირება ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების ჭრილში	150
3.6. იგივეობრივი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ	169
დასკვნები და რეკომენდაციები	175

დასკვნები	175
რეკომენდაციები	180
გამოყენებული ლიტერატურა	188

შესავალი

თემის აქტუალობა. ევროინტეგრაციის პროცესი საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ამ პროცესის ნაწილია, არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, არამედ სამართლებრივი სისტემის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის გაზრდა, რაც ევროკავშირში ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობაა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, სადაც საქართველოს სამართლებრივ სისტემას მოუწევს დააკმაყოფილოს ევროკავშირის მიერ აღიარებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა მოითხოვს არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძვლიან შესწავლას, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ბავშვის საპროცესო უფლებების სრულყოფილ გარანტირებას, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას, სასარჩელო მოთხოვნის დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარდგენის შესაძლებლობას, ბავშვის აზრის სათანადოდ მოსმენასა და გათვალისწინებას, აგრეთვე ბავშვზე მორგებული, ადაპტირებული სასამართლო გარემოს შექმნას, რაც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული დროული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების უზრუნველყოფისაკენ.

ევროკავშირის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სახელმწიფოს სისტემამ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა, როგორც განსაკუთრებული დაცვის სუბიექტების, სათანადო მოპყრობა და მათთვის მორგებული სამართლებრივი მექანიზმების შეთავაზება. შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან. ამისათვის კი, როგორც სასამართლო სისტემის მოდერნიზება და სამართლებრივი ჩარჩოს გამყარება, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება საჭირო, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს წარმატებულ ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში.

სწორედ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს შიდა სამართლებრივი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2019 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსის“, რომელმაც შექმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი არასრულწლოვანის მხარდაჭერისა და დაცვის სისტემის ფუნქციონირებისათვის. მიუხედავად ნორმატიული ჩარჩოს მნიშვნელოვანი

გაუმჯობესებისა, კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციის პროცესში გამოვლინდა არაერთი პრობლემური ასპექტი, რომელთა ეფექტიანი გადაწყვეტა აუცილებელია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების სრულყოფილი დაცვისათვის. გამოწვევები მრავალგანზომილებიანია და მოიცავს ინსტიტუციური კოორდინაციის ხარვეზებს, სპეციალიზებული კადრების დეფიციტს, რესურსულ შეზღუდვებსა და საზოგადოებრივი ცნობიერების არასაკმარის დონეს.

საკანონმდებლო რეგულაციების შემდგომი დახვეწა და პრაქტიკაში იმპლემენტაცია უმნიშვნელოვანესია საზოგადოებაში არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების აღიარებისა და დაცვის კულტურის განმტკიცებისათვის. ეს პროცესი მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას და კოორდინირებულ ძალისხმევას სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

თემის პრობლემატიკა. ფიზიკური და კოგნიტური ფორმირების პროცესში მყოფი არასრულწლოვანები, მათი სპეციფიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ლეგიტიმურად საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობითი და მხარდამჭერი ღონისძიებების უფლებით სარგებლობას. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების სფეროს განეკუთვნება ისეთი ინსტიტუციური და ნორმატიული მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა სრულფასოვან განვითარებას და მათ ფორმირებას თვითრეალიზებულ, ღირსეულ პიროვნებად. ასეთ გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს, არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე, საუკეთესო ინტერესების დასაცავად უშუალოდ ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს. საერთაშორისო სამართლის დონეზე არასრულწლოვანის დაცვის ეს მექანიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული და აღიარებული უფლებაა, თუმცა საქართველოს ამ მხრივ დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჯერ-ჯერობით არ გააჩნია. კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოში არც თუ ისე იშვიათია ბავშვის უფლებების უგულვებელყოფის ფაქტები, შესაბამისად მნიშვნელოვანია შესწავლილი და გამოვლენილი იქნეს ის ფაქტორები თუ რატომ არ ხდება არასრულწლოვანთა დაცვის უფლების იმ ინსტრუმენტების სრულყოფილი რეალიზება, რომელიც ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი პირობაა.

საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, საქართველოს სამართლებრივ სივრცეში განხორციელებული ცვლილებები ბავშვის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებს

ქმნის, რომლის ძირითადი საყრდენი მულტიდისციპლინური პრინციპია. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს საქმისწარმოების პროცესში, ბავშვის კეთილდღეობის დასაცავად სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩართულობას, რაც გულისხმობს ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების თუ ადვოკატების კოორდინირებულ მუშაობას. ამგვარი ინტერდისციპლინური თანამშრომლობა უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის საჭიროებებზე დაფუძნებული, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. მიუხედავად ამისა, მულტიდისციპლინური მიდგომით განხილული საქმე ავტომატურად არ ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად არის ოპტიმალური. ჩატარებული კვლევები, სასამართლო პრაქტიკა და სახალხო დამცველის ანგარიშები ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ჩართული სპეციალისტების კომპეტენცია ხშირად ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვას. ეს გამოწვეულია, როგორც საკანონმდებლო რეგულაციების ბუნდოვანებით, ასევე იმ მექანიზმის არარსებობით, რომლებიც გააკონტროლებდა ამ პირების კვალიფიკაციასა და საქმიანობის ხარისხს. კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ჩართულ პირთა სპეციალიზაციის ვალდებულებას, თუმცა აღნიშნული ნორმა არ განსაზღვრავს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალისტები, არ მიუთითებს მათი კომპეტენციის ზღვარს და არ ადგენს ზედამხედველობისა და კვალიფიკაციის გადამოწმების მექანიზმებს.

საქმისწარმოებაში ჩართულ პირთა კომპეტენცია გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოსთვის ქმნის სერიოზულ დაბრკოლებას. სასამართლოს უჭირს შეაფასოს ამ პირთა რეალური სპეციალიზაცია და განსაზღვროს, რამდენად სანდო და გასაზიარებელია მათ მიერ მომზადებული დასკვნები, რადგანაც ეს დასკვნები უმეტესად არ ეფუძნება ერთგვაროვან, მეცნიერულად დასაბუთებულ და წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიებს, არამედ მხოლოდ ინდივიდუალურ გამოცდილებასა და პრაქტიკას. ამდენად აუცილებელია რომ კანონმდებლობა უფრო დეტალურად განსაზღვროს სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი გადამზადების პროცესი და პასუხისმგებელი უწყებები, რათა მართლმსაჯულების სისტემამ შეძლოს ბავშვის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა.

არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბავშვის რეალური ნების სწორად გაგება. ხშირია არასრულწლოვანის ნებაზე ზემოქმედების ფაქტებიც, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ ბავშვის პოზიციის დაფიქსირებას, აღნიშნული გარემოება ართულებს მართლმსაჯულების განხორციელებას და საჭიროებს დამატებით რეგულაციებს, მათ შორის სამართალწარმოების პროცესში ჩართული პირების პერიოდული გადამზადების ვალდებულებას. კანონმდებლობაში უნდა დაკონკრეტდეს თუ რა შემთხვევაში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვანის პოზიცია, მაშინაც კი თუ ის წარმოადგენს ბავშვის რეალურ ნებას. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს ბავშვის ნების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული ზიანი, იქნება თუ არა იგი დაძლევადი უახლოეს პერიოდში და იქნება თუ არა მომგებიანი შორეულ პერსპექტივაში. ამგვარად, სასამართლო პროცესში ბავშვის ნების გათვალისწინება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც უნდა მოიცავდეს სპეციალისტთა გადამზადებას, კანონმდებლობის დახვეწას და სტანდარტიზებული მეთოდების დანერგვას.

აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს გახანგრძლივებული სასამართლო დავები, რასაც უმეტესწილად მოსამართლის დატვირთული სამუშაო გრაფიკი განაპირობებს. სასამართლო სისტემაში საქმეების დაგროვება და ხანგრძლივი განხილვის პროცესები ხელს უშლის მართლმსაჯულების დროულ აღსრულებას და ზიანს აყენებს მხარეებს, განსაკუთრებით თუ დავა არასრულწლოვანებს ეხება. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ყველა სასამართლო დაწესებულებაში მოხდეს მოსამართლეთა სპეციალიზაცია. მოსამართლეთა დატვირთვის შემცირების ერთ-ერთი ეფექტური გზა მათი კონკრეტულ სამართლებრივ სფეროებში სპეციალიზაციაა. მოსამართლე, რომლის კომპეტენციასაც მხოლოდ არასრულწლოვანთან დაკავშირებული დავების განხილვა წარმოადგენს, უფრო მეტად იქნება გათვითცნობიერებული ამ ტიპის საქმეებში, რაც საშუალებას მისცემს საქმის ყველა ძირითადი ასპექტი სწრაფად და საფუძვლიანად შეაფასოს. დროული გადაწყვეტილების მიღება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის აუცილებელი პირობაა, რადგან ასეთი საქმეები ხშირად ეხება ბავშვის საცხოვრებელ პირობებს, აღზრდას, განათლებას და მის კეთილ-

დღეობას. გადაჭარბებული ბიუროკრატიული პროცედურები ან სასამართლოს გადატვირთულობა არ უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც არასრულწლოვანის უფლებები და ინტერესები ზიანდება. ამასთან სასამართლო სისტემის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია დამატებითი რეფორმების გატარებაც, როგორცაა საოჯახო სასამართლობის შექმნა, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა, საქმისწარმოების პროცესის ციფრულად წარმართვა, მედიაციის სისტემის გაძლიერება და ალტერნატიული მექანიზმების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს დავების უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტას.

კვლევის მიზანი. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მექანიზმების სისტემური ანალიზი, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების შემუშავება. კვლევა ორიენტირებულია თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი წინააღმდეგობრივი მიდგომების კრიტიკულ შეფასებასა და მათი აღმოფხვრის სამართლებრივი საშუალებების დადგენაზე. ამასთან, კვლევის პროცესში განხორციელდა არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების პროგრესული გამოცდილების შესწავლა, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

ნაშრომი წარმოადგენს არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის კრიტიკულ ანალიზს, არამედ კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც მიმართულია კანონმდებლობის სრულყოფისაკენ და უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულ დაცვას სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში. აღნიშნული რეკომენდაციები გათვლილია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ინსტიტუციებისათვის და მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დაცვის უფლების სამართლებრივი გარანტიების გაძლიერებას.

განხორციელებული კვლევის ამოცანები: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში დასახულია შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი ამოცანები: არასრულწლოვანთა დაცვის უფლების სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის სისტემური მიმოხილვა და ბიბლიოგრაფიული კვლევის

განხორციელება; არასრულწლოვანის სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის უფლების მნიშვნელობის თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში; არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლებისა და პროცედურული მექანიზმების კვლევა; არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, არასრულწლოვანის უშუალო მონაწილეობისა და მისი მოსაზრების ინტეგრირების პრინციპის საფუძველზე; არასრულწლოვანთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მულტიდისციპლინური მიდგომის იმპლემენტაციის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული მექანიზმების კვლევა; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის კრიტიკული ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის კომპარატივისტული ანალიზი არასრულწლოვანის დაცვის უფლების რეალიზების კონტექსტში; ემპირიული კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების სისტემატიზაცია, ანალიზი და ინტერპრეტაცია სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებით; კვლევის პროცესში იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და რეკომენდაციების ფორმულირება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტიტუციებისათვის.

ჰიპოთეზა. არასრულწლოვანზე მორგებული მართლმსაჯულება და დაცვის სამართლებრივი მექანიზმები თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა. უფლება დაცვაზე, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი სათანადოდ იქნება რეალიზებული და დაცული სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუკი გაკეთდება სწორი მიგნებები და შემუშავდება მეცნიერული ხედვა მათი იურიდიული ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, ასევე თუკი გამოვლინდება ის ხარვეზები, რომლებიც მრავლად გვხვდება როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე.

კვლევის სიახლე. საქართველოში ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება მნიშვნელოვანი მონაპოვარია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, რამაც კიდევ უფრო მეტად ცხადყო რომ ბავშვები საზოგადოების შემადგენელი უმთავრესი ელემენტებია. კოდექსი არაერთ მნიშვნელოვან საკითხს არეგულირებს, მათ შორის ბავშვის დაცვის მექანიზმებს, მათი უფლებების რეალიზების უზრუნველყოფას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს არასრულწლოვანთა წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ რეალობაში არასრულწლოვანთა დაცვა ძალზე აქტუალური თემაა, რჩება რიგი საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად დამუშავებული მეცნიერულ დონეზე ან არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში, ამ მხრივ აღსანიშნავია ბავშვის ისეთი უფლებები, როგორიცაა: არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე, სასამართლოსადმი დამოუკიდებლად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიმართვის უფლება, მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე საქმის დროული განხილვისა და სამართლიანი და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების უფლება, სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ იგივეობრივი სარჩელის აღძვრის უფლება და სხვა.

განხილული უფლებები უმნიშვნელოვანეს საპროცესო გარანტიას წარმოადგენს არასრულწლოვანთა კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა სამოქალაქო სამართალწარმოებაში დაცვის ამ მექანიზმების გამოყენება ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს, როგორც საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობით, ისე სამართლებრივი სისტემის გაუმართავი პრაქტიკით. ამ კუთხით შესაბამისი კვლევების ჩატარება კი ხელს შეუწყობს საზოგადოების, განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, ბავშვის უფლებების დაცვის მექანიზმების დახვეწას და აღნიშნული ინსტრუმენტების პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებას.

კვლევის მნიშვნელობა. საკანონმდებლო და პრაქტიკული ნაკლოვანებების წარმოჩენა და მათი აღმოფხვრის მეცნიერული გზების შემოთავაზება საფუძველად დაედება ისეთი სტანდარტების დანერგვას, რომლებიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა ღირებულებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე.

სამართლებრივი რეგულაციების ეფექტიანობის გაზრდა საჭიროებს მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით მიღებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც კანონშემოქმედებს შესაძლებლობას მისცემს შეიმუშაონ მეტად ქმედითი მექანიზმები არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეცნიერული კვლევები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას, ასევე პრაქტიკაში მის რეალურ განხორციელებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სავარაუდო შედეგები. ნაშრომში გამოვლინდა არაერთი პრობლემატური საკითხი, რომლის ანალიზისა და შეფასების შედეგად, გამოიკვეთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ გათვალისწინება ხელს შეუწყობს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს კანონშემოქმედებით, პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების მრავალფეროვანი სპექტრი, მათ შორის პრაქტიკული, თეორიულ-ჰუმანიტარული, რაოდენობრივი და ემპირიული კვლევის მეთოდები. მეთოდოლოგიური აპარატი მოიცავს ანალოგიის, ანალიზისა და სინთეზის, დედუქციის, დესკრიფციულ, ისტორიულ და სტატისტიკურ მეთოდებს, ასევე ინტერვიუების ტექნიკას. ემპირიული კვლევის ფარგლებში განხორციელდა არასრულწლოვანთა სფეროში მოქმედი სამი რელევანტური სამიზნე ჯგუფის - სპეციალიზირებული ადვოკატების, არასრულწლოვანთა და სოციალური მუშაკების შესწავლა. მსგავსი მულტიდისციპლინური სელექციური მიდგომა მეთოდოლოგიურად მართებულია, რადგან იძლევა შესაძლებლობას, არასრულწლოვანთა სფეროში არსებული პრობლემატური და აქტუალური საკითხები გაანალიზდეს მრავალგანზომილებიანი პერსპექტივიდან.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, სამ თავს, რომელიც დაყოფილია თორმეტ ქვეთავად, დასკვნით ნაწილს, რეკომენდაციებსა და ბიბლიოგრაფიულ ნაწილს. კვლევის ძირითადი ნაწილის მოცულობა შეადგენს 182 გვერდს.

თავი I. არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე, მნიშვნელობა და სამართლებრივი ასპექტები

1.1. არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე - ეროვნული სამართლებრივი წყაროების ისტორიული განვითარება

არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომლის საკანონმდებლო რეგულირების ისტორია საქართველოს სამართლებრივი განვითარების ეტაპებსა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების აღიარებას უკავშირდება. საქართველოს კონსტიტუციაში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაცია ქვეყნის უმთავრეს პოლიტიკურ ორიენტირად სახელდება¹. საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს 1-ლი მუხლის პირველ პუნქტში კი მითითებულია, რომ კოდექსის ფუნდამენტური მიზანია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რაც რეალიზდება საქართველოს კონსტიტუციით, ბავშვის უფლებათა კონვენციით, მისი დამატებითი ოქმებითა და სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ქმედითი იმპლემენტაციის მხარდაჭერით. სწორედ აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში დასახელებული მიზნების მიღწევისათვის, გატარდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, საქართველოს შიდა სამართლებრივი რეგულაციების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ჰარმონიზაციის მიზნით, ვინაიდან ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართლებრივ სისტემებში ინტეგრირებული სახელმძღვანელო პრინციპების სწორად ინტერპრეტაცია, ანალიზი და შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მათი ეფექტიანი იმპლემენტაცია, სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების რეალიზების პროცესს უფრო კონსტრუქციულს და ქმედითს ხდის.²

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [30.04.2025].

² ლურსმანაშვილი ლ. (თარგმანი), ბობოხიძე მ. (რედაქტორი), „ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო“, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, გვ.IV.

რაც შეეხება ბავშვის უფლებას დაცვაზე, აღნიშნული სტანდარტი საქართველოს სამართლებრივ განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ კარგავს აქტუალობას და ინარჩუნებს პრიორიტეტულ მიმართულებას. ეროვნული კანონმდებლობა მუდმივად იხვეწება და ვითარდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების მაქსიმალურად დაცვა სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები საქართველოს სამართლებრივ სისტემაში დიფერენცირდება მატერიალური სამართლის წყაროებისგან მნიშვნელოვანი თავისებურებებით. უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებად გვევლინება მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო აქტები, რაც გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპებიდან. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მართლმსაჯულების, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმის, მკაცრად რეგლამენტირებულ ფარგლებში მოქცევას. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მკაფიოდ განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის რეგულირების სამართლებრივ ფარგლებს. კანონის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით,³ რითაც გამოირიცხება კანონქვემდებარე აქტების როლი პროცედურული საკითხების რეგულირებაში. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ-სამართლებრივი დავის გადაწყვეტისას შესაძლებელია კანონქვემდებარე აქტების გამოყენება, სასამართლოში საქმეთა განხილვის წესები იმპერატიულად უნდა დადგინდეს მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით. საქართველოს კონსტიტუციური წესრიგი ასევე ითვალისწინებს, რომ საპროცესო კანონმდებლობის შემუშავება და მიღება მიეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას⁴, რაც გამორიცხავს ავტონომიური რესპუბლიკების ან სხვა ორგანოების საკანონმდებლო უფლებამოსილებს ამ სფეროში.⁵ ეს კონსტიტუციური პრინციპი

³ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მე-8 მუხლი, პუნქტი „ი“, <https://matsne.gov.ge/document/view/90052?publication=38> [30.04.2025].

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [30.04.2025].

⁵ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ციტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ.16.

უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ერთიან სტანდარტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და გამორიცხავს პროცედურულ მრავალფეროვნებას.

საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემა, სამოქალაქო სამართალწარმოების განხორციელებისას, იმპერატიულად ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებული პროცედურული წესებით.⁶ აღნიშნული ნორმატიული აქტი წარმოადგენს ექსკლუზიურ საკანონმდებლო საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურულ მექანიზმებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულატორული ფუნქცია ვრცელდება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, დაწყებული სარჩელის აღძვრიდან, დამთავრებული საქმის განახლებით.⁷

კონსტიტუციის პრიმატი სამოქალაქო პროცესში გამოიხატება, როგორც ფორმალურ-იურიდიული, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ფორმალურ-იურიდიული ასპექტით, კონსტიტუციის უზენაესობა გულისხმობს, რომ არცერთი საპროცესო ნორმა არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციურ დებულებებს. მატერიალური კუთხით კი - კონსტიტუცია განამტკიცებს მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მთელ საპროცესო კანონმდებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის სისტემაში იკვეთება მნიშვნელოვანი სამართლებრივი ურთიერთმიმართება საკონსტიტუციო კონტროლი განმახორციელებელ ორგანოსა და საერთო სასამართლოებს შორის. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ატარებს სავალდებულო იურიდიულ ძალას საერთო იურისდიქციის სასამართლოებისათვის, მათ შორის სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში. აღნიშნულ საკანონმდებლო აქტები ადგენენ იმპერატიულ მოთხოვნას, რომ საერთო სასამართლოებმა საქმეთა განხილვისას გამოიყენონ მხოლოდ კონსტიტუციურად მიჩნეული ნორმატიული აქტები და საკუთარი სამართალშეფარდების პრაქტიკა დაუქვემდებ-

⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, მუხლი 1, ნაწილი 1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=171> [30.04.2025].

⁷ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცეციტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ. 17.

ბარონ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტებს. ამგვარად რეალიზდება საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობა და უზრუნველყოფილი ხდება კონსტიტუციური კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

თუმცა, საპროცესო სამართლის სფეროში იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც უკავშირდება სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის საფუძვლებს. კერძოდ, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება ნორმატიულ აქტებს, რომლებიც შემდგომში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.⁸ არსებული ხარვეზი აფერხებს საკონსტიტუციო კონტროლის შედეგების ეფექტიან იმპლემენტაციას სამართალწარმოების პროცესში, რაც საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო ინტერვენციას მოქმედ საპროცესო კოდექსში.

სამოქალაქო პროცესში კონსტიტუციური ნორმების პირდაპირი მოქმედების პრინციპი რეალიზდება ორი ძირითადი მექანიზმით: პირველი, როდესაც საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შევსება ხდება უშუალოდ კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების გამოყენებით, მეორე, როდესაც სასამართლო, კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის აღმოჩენის შემთხვევაში, ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო კოდექსისაგან, პირდაპირ არ აკონკრეტებს კონსტიტუციასთან საპროცესო ნორმების შესაბამისობის იმპერატიულ მოთხოვნას, თუმცა ეს ვალდებულება გამომდინარეობს თავად კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპიდან და საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმიდან, რომლებიც ინტეგრირებულია სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემაში.⁹ ეს მექანიზმი ემსახურება ინციდენტური კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების მიზანს და უზრუნველყოფს არაკონსტიტუციური ნორმების გამოყენების პრევენციას სასამართლო პრაქტიკაში.

⁸ იქვე, გვ.20.

⁹ იქვე, გვ.18.

კონსტიტუციური ნორმებიდან სამოქალაქო პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გარანტია. საქართველოს კონსტიტუციის პირველი რედაქცია იმთავითვე (1995წ.) ითვალისწინებდა (მუხლი 42) სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, მიუხედავად ნებისმიერი სახის განსხვავებულობისა და არ აწესებდა ამ უფლების შემზღუდავ დათქმას, თუნდაც ასაკობრივი ნიშნით. სამართლებრივი ცნობიერების განვითარების პარალელურად, რასაკვირველია, აღნიშნული ნორმის მოდიფიცირებაც არაერთხელ განხორციელდა, თუმცა ძირითადი დებულებები უცვლელი დარჩა და კიდევ უფრო მეტი სამართლებრივი დაცვის გარანტიების შემცველი გახდა (მუხლი 31). საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით განმტკიცებულია ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - „საპროცესო უფლებები“, რომელიც იმპერატიულად ადგენს ყველა ფიზიკური პირისათვის, მათ შორის არასრულწლოვანებისათვის, სასამართლოს ხელმისაწვდომობას, მიუკერძოებლობას, ეფექტურობას და ასახავს შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს:

სამართლებრივი თანასწორობა - ყველა ადამიანი, განურჩევლად ასაკისა, ეროვნებისა, სოციალური სტატუსისა, სქესისა თუ სხვა განსხვავებულობისა, თანაბრად უნდა სარგებლობდეს კანონით დადგენილი უფლებით საკუთარი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ნორმა არ ახდენს დისკრიმინაციას არცერთი პირის მიმართ და უზრუნველყოფს განხილული უფლების სრულყოფილად რეალიზებას, მათ შორის სამართალწარმოების პროცესში ადვოკატის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობასაც. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლოს ხელმისაწვდომობა ყველასათვის, რისთვისაც მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ის სამართლებრივი ბარიერები, რომლებიც სამართალწარმოების პროცესში შეიძლება არსებობდეს არასრულწლოვანთათვის, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ა.შ. ამისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი პროცედურების გამარტივება, იურიდიული დახმარების პროგრამების მრავალფეროვნება, სასამართლოს მიუკერძოებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სხვა.

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება - დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია სამართლიანი სასა-

მართლო. სამართალწარმოების პროცესში გარანტირებული უნდა იყოს, რომ საქმე განხილული იქნება კანონმდებლობის სრული დაცვით და მიღებული გადაწყვეტილება უზრუნველყოფს დარღვეული უფლებების სრულად აღდგენის შესაძლებლობას. საქმის სამართლიანი განხილვის ძირითადი პრინციპებია:

- მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო - სასამართლო თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს ავტონომიურად, არ უნდა ემორჩილებოდეს არცერთ პოლიტიკურ ძალას და არ უნდა განიცდიდეს ზეწოლას რომელიმე ინსტიტუტის მხრიდან. გადაწყვეტილება თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი გავლენისა და პირადი ინტერესებისაგან და უნდა ემყარებოდეს მხოლოდ კანონს და საქმეში არსებულ ობიექტურ მტკიცებულებებს. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას სასამართლო სისტემის მიმართ;

- სამართლისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობა - კონსტიტუციის მე-11 მუხლი აღგენს ყველა ადამიანის თანასწორობის საწყისს სამართლის წინაშე. კონსტიტუციაში თავდაპირველი ფორმულირება - „კანონის წინაშე თანასწორობა“ - ჩანაცვლდა ჩანაწერით: „სამართლის წინაშე თანასწორია“. როგორც საკანონმდებლო ინიციატივის განმარტებით ბარათშია მითითებული, აღნიშნული ცვლილება ეფუძნება თანამედროვე თეორიულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც თანასწორობის პრინციპი მოიცავს არა მხოლოდ კანონის წინაშე ფორმალურ თანასწორობას, არამედ თავად სამართლებრივი ნორმების შინაარსობრივ შესაბამისობას თანასწორობის საფუძვლებთან.¹⁰ ნორმის მიზანს წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესში მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს თითოეული მხარისათვის უფლებებისა და ვალდებულებების არსობრივად თანაბარ განაწილებას. დაუშვებელია რომელიმე მხარის პრივილეგირებული პოზიცია, ხოლო სასამართლო პროცესში მათ უნა მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი არგუმენტები, მტკიცებულებები და მოსაზრებები, ჰქონდეთ წვდომა საქმის მასალებსა და პროცედურის მნიშვნელოვან ასპექტებზე, აგრეთვე უზრუნველყონ კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღება;

¹⁰ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ. 104.

- საჯაროობა - სასამართლო სხდომების საჯაროობა ხელს უწყობს სასამართლოს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, ამცირებს საქმის განხილვაში უკანონო ჩარევის რისკებს, აძლიერებს ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას;

- უფლება დაცვაზე - დაცვის უფლების სამართლებრივი მექანიზმები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის უფლების ხელშეუვალობას და ინდივიდის პროტაქტის, სასამართლოში საკუთარი უფლებები დაიცვას პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. აღნიშნული ნორმა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ინსტიტუციური საფუძველია და ადგენს, რომ თითოეულ ადამიანს მიუხედავად ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობისა თუ სხვა სტატუსისა უნდა ჰქონდეს თანაბარი წვდომა როგორც სასამართლოზე, ასევე დაცვაზე. აღნიშნული დანაწესი კიდევ უფრო მეტად აქტუალური, საყურადღებო და ამაღროულად პრობლემატურია, როდესაც არასრულწლოვანის სარჩელის საფუძველზე ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყება, რადგან ბავშვები თავიანთი ასაკობრივი უნარებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას და დაცვას საჭიროებენ.

საქმის დროული განხილვის უფლება - სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში საქმის დროული განხილვა ხელს უწყობს, როგორც ადამიანის ინდივიდუალური უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ასევე სასამართლო სისტემის ეფექტურობას და ნდობის გაძლიერებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლო დავების გონივრულ ვადებში დასრულებას, განსაკუთრებით ისეთი კატეგორიის საქმეებზე, რომლებშიც არასრულწლოვანები მონაწილეობენ. ბავშვის ზრდადი განვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი და აუცილებელია სასამართლოს დროული რეაგირება, დავის მოკლე პერიოდში დასრულება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა. აღნიშნული უფლების რეალიზება პირდაპირპროპორციულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების, ვინაიდან ხანგრძლივი სასამართლო პროცესები ძალზე უარყოფით ასახვას პოვენს ბავშვის ფსიქიკაზე და მენტალურ განვითარებაზე.

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ წარმოადგენს ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტს, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემურ - ორგანიზაციულ საფუძვლებს, მათი ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს და მოსამართლეთა სამართლებრივ სტატუსს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტი მატერიალურ-ორგანიზაციული ხასიათისაა, იგი იმანენტურად წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს, რაც განპირობებულია მისი შინაარსობრივი და ფუნქციური მახასიათებლებით. დებულებები ორგანულად უკავშირდება სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესუალურ ასპექტებს. კერძოდ, კანონი ადგენს სასამართლოთა იერარქიულ სტრუქტურას, განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეთა ინსტანციურ განსჯადობას, სასამართლოთა კომპეტენციებს, რაც არსებითად უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულ სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონით დადგენილი საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების პრინციპები,¹¹ რაც წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განხილვის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის საპროცესო გარანტიებს. აღნიშნული სისტემის მეშვეობით საქმეთა განაწილება ხდება შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე და გამორიცხავს საქმეთა მიზანმიმართულ განაწილებას კონკრეტულ მოსამართლეთა შორის.

ნორმატიულ-იერარქიული თვალსაზრისით, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე განთავსებულია სამართლის წყაროთა იერარქიაში უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რაც განაპირობებს ამ ორ ნორმატიულ აქტს შორის პოტენციური კოლიზიის შემთხვევაში ორგანული კანონის პრიმატს.

კანონის საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა ასევე ვლინდება მოსამართლეთა სპეციალიზაციის პრინციპის დადგენაში¹², რაც არსებით გავლენას ახდენს სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცესზე და მართლმსაჯულების ხარისხზე. სპეციალიზაციის პრინციპის საკანონმდებლო რეგულაცია უზრუნველყოფს სამოქალაქო

¹¹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 58¹, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=55> [30.04.2025].

¹² იქვე, მუხლი 30.

საქმეთა სასამართლო განხილვის მაღალ პროფესიულ სტანდარტს და ხელს უწყობს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების ჩამოყალიბებას.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი წარმოადგენს არა მხოლოდ სასამართლო სისტემის ინსტიტუციური მოწყობის მარეგულირებელ აქტს, არამედ სამოქალაქო საპროცესო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც ფუნდამენტურ გავლენას ახდენს სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე და არსებითად განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალწარმოების ეფექტიანობას.

არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე, პროცესუალური კუთხით, ასევე გარანტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კოდექსი ადგენს უნივერსალურ პრინციპს, რომლის თანახმადაც, სასამართლო წესით უფლებათა დაცვის შესაძლებლობა გარანტირებულია ყველა ფიზიკური პირისათვის, მათ შორის არასრულწლოვანებისათვის.¹³ საერთო იურისდიქციის სასამართლოებში სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს არა მხოლოდ სუბიექტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ ასევე კანონიერ ინტერესებს. ნორმატიულ რეგულაციებში კანონიერი ინტერესი ხშირად დამოუკიდებელ დაცვის ობიექტად გვევლინება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საქმეებსა (უდავო წარმოება) და აღიარებითი სარჩელების განხილვებში. მაგალითად, გარიგების ბათილობისას მხარეთა შორის სამართლებრივი კავშირის არარსებობის დადგენა ხდება, პირის სამართლებრივი ინტერესი ამ შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ სასამართლომ დაადასტუროს გარიგებიდან წარმოშობილი მოთხოვნების არარსებობა. გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ის ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს უფლება-მოვალეობების სახით (გარდა იმ კანონიერი ვალდებულებებისა, რომელიც შედეგად მოჰყვება თავად ბათილობას). აქედან გამომდინარე, გარიგების ბათილობის დადგენისას სასამართლო იცავს არა უფლებას, არამედ კანონიერ ინტერესს. კანონიერი ინტერესი, არსობრივად, წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ინტერესს, რომელიც იურიდიული ინტერესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ვრცელდება ნებისმიერ კანონიერ ინტერესზე,

¹³ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, მუხლი 2, პუნქტი 1-ლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=171> [30.04.2025].

მათ შორის არამატერიალურ ღირებულებებზე, როგორცაა პიროვნების პატივი, ღირსება და პროფესიული რეპუტაცია.¹⁴

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80-ე მუხლი ადგენს ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმადაც, საპროცესო უფლებაუნარიანობა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლეს: იგი წარმოიშობა პირის დაბადებისთანავე და წყდება გარდაცვალების შედეგად. ეს დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სუბიექტობის უნივერსალურობის პრინციპის გამოხატულებას და საქართველოს სამართლებრივი სისტემის ქვაკუთხედი. აღნიშნული ნორმატიული დანაწესი იმპერატიულად ადგენს, რომ საქართველოს ყველა ფიზიკური პირი განურჩევლად ასაკისა, სქესისა, რასისა, ფსიქიკური უნარიანობისა და სხვა კრიტერიუმებისა აღჭურვილია უნარით, იყოს სამოქალაქო საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი. შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირი, მათ შორის არასრულწლოვანი, წარმოადგენს სამართლის სუბიექტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი კი განსაზღვრავს საპროცესო ქმედუნარიანობას. სამოქალაქო საპროცესო სამართალში სუბიექტების სამართლებრივი სტატუსი განსხვავდება მათი საპროცესო ქმედუნარიანობის მიხედვით. საპროცესო კოდექსი განასხვავებს სრულ და შეზღუდულ ქმედუნარიანობას. ქმედუნარიანობა გულისხმობს პირის უნარს, დამოუკიდებლად, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში თავისი საპროცესო უფლებები და შეასრულოს მოვალეობები. საპროცესო უფლებების დამოუკიდებლად, საკუთარი მოქმედებით რეალიზება გულისხმობს პირის შესაძლებლობად პირადად განახორციელოს პროცესუალური ქმედებები: უშუალოდ დაიწყოს სამოქალაქო დავა და ჩაერთოს საქმის განხილვის პროცესში, თავად განკარგოს, როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო უფლებები, გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განახორციელოს სხვა საპროცესო მოქმედებები.

ზოგადი წესის თანახმად, 18 წლის ასაკიდან ფიზიკური პირები იძენენ სრულ საპროცესო ქმედუნარიანობას. ამ ასაკის მიღწევამდე საპროცესო ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა გამონაკლისის წესითაც, როდესაც სამოქალაქო

¹⁴ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ. 54.

კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენელი აძლევს სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უფლებას. ამ კონკრეტულ სფეროში იგი იძენს სრულ ქმედუნარიანობას. ეს ნიშნავს, რომ არასრულწლოვანი თავის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში შეუზღუდავად სარგებლობს საპროცესო უფლებებით.

კანონმდებლობის თანახმად, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანები წარმოადგენენ განსაკუთრებულ სამართლებრივ სუბიექტებს. მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ხორციელდება კანონიერი წარმომადგენლების - მშობლების, მშვილებლებისა თუ მზრუნველების მეშვეობით. აღნიშნული წარმომადგენლები კისრულობენ ამ პირთა სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების რეალიზების პასუხისმგებლობას. 7-დან 18 წლამდე პერიოდი წარმოადგენს შეზღუდული ქმედუნარიანობის ეტაპს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს თვით არასრულწლოვანთა მონაწილეობაც საქმის განხილვაში. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს უფლებამოსილება აქვთ განახორციელონ გარკვეული საპროცესო მოქმედებები, თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა სარჩელზე უარის თქმა, მორიგება ან სარჩელის ცნობა, მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით არის შესაძლებელი. საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანს მინიჭებული აქვს უფლება პირადად დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში და გამოვიდეს მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სტატუსით. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება აქვს, არასრულწლოვანის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, პროცესში ჩართოს კანონიერი წარმომადგენელიც.¹⁵

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანის უფლებას, პირადად დაიცვას თავისი ინტერესები შრომით და საოჯახო სამართალურთიერთობებში. კანონმდებლობით, შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან, რაც არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებას, დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მაგალითად, გადაუხდელი ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების დადების შესაძლებლობას არასრულწლოვანთა მიერ, რაც მათ

¹⁵ იქვე, გვ.45.

ანიჭებს გარკვეულ ავტონომიურობას სამოქალაქო ბრუნვაში. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება წარმოადგინონ არასრულწლოვანთა ინტერესები სასამართლოში კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის შვილად აყვანის ბათილად ცნობისა და მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხებზე.¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კანონმდებლობა დეკლარირებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას ინდივიდთა ასაკობრივი თუ ფსიქოფიზიკური მდგომარეობისა, სამართლებრივი რეალობა გვიჩვენებს, რომ ქმედუუნარო პირები, განსაკუთრებით კი 7 წლამდე ასაკის მცირეწლოვნები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დამოუკიდებლად წარმართონ სამართალწარმოება და გამოვიდნენ პროცესუალურ მხარედ. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, ქმედუუნარო პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი რეალიზდება მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით. ამგვარ წარმომადგენლებად გვევლინებიან მშობლები, მშვილებლები და მეურვეები, რომლებიც აღჭურვილნი არიან უფლებამოსილებით, იმოქმედონ ქმედუუნარო პირის სახელით. საგულისხმოა, რომ სასამართლო ორგანოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც, კანონიერი წარმომადგენლის ინიციატივის საფუძველზე, შესაძლებელია მცირეწლოვანის მონაწილეობა სამართალწარმოებაში. თუმცა, აღნიშნული არ განეკუთვნება იმპერატიულ მოთხოვნათა კატეგორიას და სრულად ექვემდებარება სასამართლოს შეფასებით მსჯელობას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული საქმის სპეციფიკასა და მცირეწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი ეხება არასრულწლოვან პირთა უფლებების დაცვას სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში. აღნიშნული მუხლის შინაარსი უნდა განიმარტოს საპროცესო ქმედუნარიანობის პრინციპის კონტექსტში, რომელიც ეფუძნება იმას, რომ სამართალწარმოების სუბიექტებს შეუძლიათ თავიანთი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა დამოუკიდებლად, სამართლებრივი პროცესის დადგენილი წესის შესაბამისად. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე, როცა კოდექსში დამატებით შეტანილ იქნა 81¹ მუხლი, რომლის მიზანს

¹⁶ იქვე.

წარმოადგენს არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მექანიზმების დეტალიზება და გამკაცრება, მნიშვნელოვნად შეიცვალა რეგულირების აქცენტები. კერძოდ, 81¹ მუხლის ასახავს პროცესში არასრულწლოვანი პირების მონაწილეობისა და მათი ინტერესების დაცვის ახალ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, მათ შორის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესაძლებლობას, რაც ზრდის სასამართლოს როლს ამ ინტერესების დაცვის საქმეში. ამ ცვლილებების ფონზე, 81-ე მუხლის ის დებულებები, რომლებიც არასრულწლოვანის მიერ თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უშუალოდ სასამართლოს მიმართვის შესაძლებლობას ეხება, პრაქტიკულად კარგავს აქტუალობას. ახალი ნორმატიული რეგულაცია უფრო კონკრეტულ და ეფექტიან სამართლებრივ მექანიზმებზე ორიენტირდება, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა დაცვას უფრო მკაფიო და სისტემურ ფარგლებში.¹⁷

საპროცესო კოდექსის 81¹ მუხლი - „არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე“, კოდექსში აისახა 2003 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ხოლო საბოლოო სახით ჩამოყალიბდა 2019-2020 წლებში საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს მიღების შემდგომ. აღნიშნული ნორმა ადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის შემდეგ ძირითად მექანიზმებს:

არასრულწლოვანის სასამართლოსათვის მიმართვის უფლება - ბავშვს განუჩევლად ასაკისა, ნებისმიერ დროს შეუძლია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აისახება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე. აღნიშნული უფლების რეალიზება ხელს უწყობს ბავშვის სუბიექტურობის გაძლიერებას, დაცვის მექანიზმების შემუშავებას ან/და გაუმჯობესებას და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული სამართალწარმოების განხორციელებას. საყურადღებოა, რომ ნორმის აღნიშნული შინაარსით ჩამოყალიბებამდე, არასრულწლოვანს მხოლოდ 14 წლის ასაკიდან ჰქონდა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოსთვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლება, ისიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც წარმოადგენდა დისკრიმინაციულ ნორმას.

¹⁷ იქვე, გვ.428.

სასამართლოს როლი - არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის შემთხვევაში, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლო ვალდებულია ბავშვს დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი ბავშვის ინტერესების ადვოკატების, სამართლებრივი კონსულტაციის, ბავშვის პოზიციის სრულფასოვნად წარმოჩენის, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენისა და სამართლებრივი არგუმენტაციის შემუშავების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებთან, ფსიქოლოგებთან ან სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ბავშვი არ ეთანხმება წარმომადგენელს, კანონმდებლობა მას ანიჭებს უფლებამოსილებას თავად წარმოადგინოს პოზიცია და დაიცვას საკუთარი ინტერესები. სასამართლო ასევე უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის პირველ ნაწილით დადგენილი პრინციპი, რომლის თანახმადაც სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამავე კოდექსით განსაზღვრული წესით, არ უნდა იქნეს განმარტებული როგორც აბსოლუტური შეზღუდვა. ეს დებულება არ გამორიცხავს სასამართლოს კომპეტენციას, გამოიყენოს მატერიალურ-სამართლებრივ ნორმატიული აქტებში ასახული საპროცესო ხასიათის ნორმები. მატერიალური და საპროცესო სამართალი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ სისტემებს, სადაც მატერიალური უფლებების რეალიზაცია საპროცესო მექანიზმების მეშვეობით ხორციელდება. ამგვარი ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროთა სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ-სამართლებრივ აქტებს, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსს.¹⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვისადმი სახელმწიფოებრივი ინტერესის ზრდის პარალელურად განხორციელდა რიგი ცვლილებები. კოდექსში 2003 წელს დაემატა მუხლი 1198¹ - „არასრულწლოვანის

¹⁸ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ. 21.

უფლება დაცვაზე“¹⁹, აღნიშნული რეგულაციის თანახმად, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან თავიანთი უფლებამოსილების არაკეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაში, ბავშვს უფლება ჰქონდა დამოუკიდებლად მიემართა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის, ხოლო 14 წლის ასაკის მიღწევის შემდეგი კი - სასამართლოსათვის.

საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს მიღების პარალელურად, 2019 წელს ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში კოდექსის 1198¹ მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნა სასამართლოსათვის მიმართვის 14 წლიანი ასაკობრივი ზღვარი. აღნიშნული რეფორმა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა დაცვის უფლების მნიშვნელობას და ბავშვის აღქმას სრულფასოვან სუბიექტად, როგორც სამართლებრივ, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

ევროინტეგრაციისაკენ მიმავალი გზა რიგ გამოწვევებს განაპირობებს საქართველოს კანონმდებლობის მიმართ. მათგან ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს ევროკავშირის მიერ აღიარებულ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს.²⁰ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით ევროპული სტანდარტების დამდგენი დოკუმენტი „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია²¹, რომლის დანაწესებთანაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო კონვენციების შემდგომ ბავშვთა უფლებების დაცვის ძირითად იმპერატიულ ნორმებს ადგენს, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მე-13 მუხლი „ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე“, რომლის პირველ პუნქტშიც კონცენტრირდება შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები:

¹⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 1198¹, პუნქტი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133> [30.04.2025].

²⁰ ზარნაძე ე. ჭალიძე თ. „ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში“, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2024, გვ.44.

²¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (20.11.1989) „ბავშვის უფლებების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [30.04.2025].

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა - სასამართლოსათვის მიმართვის სა-
მართლებრივი მექანიზმები ბავშვისათვის უნდა იყოს ღია და ადვილად მისაწვდომი,
მიუხედავად ასაკისა, სოციალური მდგომარეობისა, განათლებისა თუ სხვა განმას-
ხვავებელი ნიშნისა არასრულწლოვანს უნდა შეძლოს სასამართლოში ან/და ადმინის-
ტრაციულ ორგანოებში საკუთარი უფლებების დაცვა. იმ შემთხვევაში კი თუ ბავშვი
მოკლებულია შესაძლებლობას ფიზიკური წვდომა ჰქონდეს სასამართლოსთან ან სხვა
ადმინისტრაციულ ორგანოსთან უნდა არსებობდეს დისტანციური წვდომის მექანიზ-
მები, მაგალითად, ბავშვზე ადაპტირებული ონლაინ განაცხადების ფორმა, ცხელი
ხაზი ან სხვა კომუნიკაციის არხები;

ასაკობრივი შესაბამისობის პრინციპი - სამოქალაქო მართლმსაჯულების პრო-
ცესში ბავშვის ჩართულობა უნდა ეფუძნებოდეს მისი ასაკის, ემოციური მდგო-
მარეობისა და კოგნიტური შესაძლებლობების სრულ გათვალისწინებას, რაც საშუ-
ალებას მისცემს ბავშვს, სრულფასოვნად გაიაზროს სამართალწარმოების არსი და
აქტიურად იმოქმედოს საკუთარი ინტერესების დასაცავად;

ბავშვზე ორიენტირებული კომუნიკაცია - არასრულწლოვანს უნდა მიეწოდოს
ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ იმგვარად, რომ მან შეძლოს მათი სრულ-
ფასოვანი გააზრება. განმარტებები უნდა იყოს ადაპტირებული, თავისუფალი რთული
სამართლებრივი ტერმინოლოგიებისაგან, რაც უზრუნველყოფს პროცესის ყოველი
ეტაპის არსისა და მნიშვნელობის სწორ აღქმას. რეკომენდირებულია, ასეთი კომუ-
ნიკაცია მიმდინარეობდეს არაფორმალურ გარემოში, ბავშვის ინდივიდუალური
თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული მეთოდებით;

გადაწყვეტილების მიღების დროულობა - არასრულწლოვანთა მონაწილეობით
განხილული სასამართლო საქმეები უნდა სრულდებოდეს შემჭიდროებულ ვადებში.
პროცესი ხშირად შეეხება ბავშვზე ძალადობას, მათი ინტერესების უგულვებელყოფას
ან სხვა კრიტიკულ სიტუაციას, შესაბამისად დავის განხილვის გაჭიანურება საფრთ-
ხეს უქმნის ბავშვის უსაფრთხოებასა და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას;

მიუკერძოებელი მართლმსაჯულება - სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს
აბსოლუტური ობიექტურობითა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობით. მიღებუ-
ლი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ფაქტების ყოვლისმომცველ ანალიზს,

კანონმდებლობის სწორ გამოყენებას და ყოველთვის პრიორიტეტად უნდა სახავდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას;

პროცესუალური თანამიმდევრულობა - სამართალწარმოება უნდა წარიმართოს მკაფიო ლოგიკური სტრუქტურით, სტაბილური და ჰარმონიული მიდგომით. ამგვარი ორგანიზებულობა უზრუნველყოფს, რომ ბავშვმა სრულყოფილად აღიქვას განსახილველი საქმის არსი, გააცნობიეროს მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი და ნათლად დაინახოს მათი შესაძლო გავლენა საკუთარ მომავალზე;

ინდივიდუალიზებული მართლმსაჯულება - სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა სცდებოდეს ზოგადი სამართლებრივი ნორმების ფარგლებს და ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის უნიკალურ მახასიათებლებს: მის ასაკობრივ თავისებურებებს, განვითარების დონეს, ფსიქოემოციურ მდგომარეობას და სოციალურ კონტექსტს, რითაც უზრუნველყოფს მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სამართლებრივ დაცვას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი ბავშვის პერსონალური ინფორმაცია უნდა სარგებლობდეს მკაცრი კონფიდენციალურობის გარანტიით. ბავშვს უნდა ჰქონდეს სრული რწმენა, რომ მისი პირადი ცხოვრების დეტალები არ გასცდება პროცესის ფარგლებს და არ გახდება მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი, რაც აუცილებელი პირობაა მისი ღირსების, ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და ჯანსაღი თვითშეფასების შესანარჩუნებლად.

კოდექსის 13-ე მუხლი, განხილვა უნდა მოხდეს 75-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც ასევე განსაზღვრავს ბავშვის უფლებას, დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით, მიმართოს სასამართლოს. ამავე დროს, იგი აყალიბებს ძირითად საპროცესო გარანტიებს, მათ შორის, სასამართლოს უფლებამოსილებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება²². არასრულწლოვანის კანონიერი ინტერესები შესაძლოა ნებისმიერ დროს აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე, რის გამოც სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებელია სწრაფი და ეფექტური რეაგირება, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი ზიანი. აღნიშნული უფლების არსებითი მიზანია ბავშვის დაცვა შესაძლო ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან ემოციური

²² იქვე, მუხლი 75, ნაწილი 3.

ზიანისაგან, არასრულწლოვანის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა, მისი საფრთხისშემცველ გარემოში დაბრუნების პრევენცია, ინტერესთა დაცვა სასამართლო პროცესის დასრულებამდე და სხვა.

კოდექსის 75-ე მუხლი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან იგი იმპერატიულად კრძალავს საქმის მედიაციის ან მორიგებით დასრულებას ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში²³. აღნიშნული რეგულაციის მიზანია, სამართლებრივი პროცესის ისეთი ფორმით წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დაცვის მაქსიმალურ გარანტიას და მათ ინტერესებზე მორგებულ მართლმსაჯულებას. არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი ძალადობის საქმეებში მედიაციისა და მორიგების შესაძლებლობის გამორიცხვა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის მეორედ ტრავმატიზაცია, ფსიქოლოგიური ზეწოლა და უფლებრივი მდგომარეობის ხელყოფა. მორიგება ან მედიაცია განსაკუთრებით პრობლემურია ძალაუფლებრივი ასიმეტრიის პირობებში, სადაც ბავშვი შეიძლება აღმოჩნდეს მოძალადესთან ან მის გარემოცვასთან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ. ამიტომ ძალადობის შემთხვევაში სამართლებრივი რეაგირება უნდა იყოს მკაცრი, მიუკერძოებელი და მიმართული ბავშვის დაცვისაკენ. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს, რომელთა მიზანია არასრულწლოვანთა უსაფრთხოების პრიორიტეტიზაცია და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ფორმირება.

განხილული ნორმატიული სამართლებრივი წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოში საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრირების, საზოგადოებრივი საჭიროებებისა და სამართლებრივი ცნობიერების ზრდის პარალელურად, ეროვნული სამართლებრივი სისტემა მუდმივად განიცდის ევოლუციას, რომელიც ემსახურება ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათთვის ფუნდამენტური გარანტიების შექმნას, რაც უზრუნველყოფს ისეთ კრიტიკულად მნიშვნელოვან უფლების რეალიზებას, როგორიცაა არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე.

²³ იქვე, მუხლი 75, ნაწილი 4.

1.2. არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე - ევროპული სტანდარტის

სამართლებრივი წყაროები

XX საუკუნე წარმოადგენს ეპოქალურ პერიოდს კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ფუნდამენტური პარადიგმული ცვლილებები განხორციელდა ბავშვის სამართლებრივი სტატუსის გააზრებაში. ამ საუკუნეში მოხდა გარდამტეხი მნიშვნელობის კონცეპტუალური გარდაქმნა - ბავშვი აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ უფლებათა სუბიექტად, რომელიც იმსახურებს ღირსეულ მოპყრობასა და პატივისცემას²⁴ და ისტორია გაეროს ეგიდით ბავშვის უფლებების კონვენციის მიღებით 1989 წლამდე და 1989 წლის შემდგომ ხანებად დაიყო. ახლებური აღქმით ბავშვი წარმოჩნდა, როგორც ღირსეული, უნარიანი პიროვნება, რომელიც საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობებით იყო დაჯილდოებული.²⁵ კონვენციამ მოიპოვა გლობალური იურიდიული აღიარება, რაც გამოიხატება მისი რატიფიკაციით მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მიერ. ამ უპრეცედენტო საერთაშორისო კონსენსუსის საფუძველზე, შესაძლებელია კატეგორიული მტკიცება, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა მარეგულირებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის ყველაზე უნივერსალურად აღიარებულ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რაც მეტყველებს კონვენციით დაცული ღირებულებების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საერთაშორისო საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია კონვენციის მოქმედების ინკლუზიური ხასიათი - იგი ვრცელდება არა მხოლოდ ხელშემკვრელი სახელმწიფოების მოქალაქე არასრულწლოვანებზე, არამედ ნებისმიერ ბავშვზე, რომელიც წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმყოფება. კონვენცია აფუძნებს სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ მშობლებისათვის სათანადო მხარდაჭერა მათი საზრუნავი ფუნქციების განხორციელებისათვის და იმავდროულად ადგენს, როგორც სახელმწიფოების, ისე

²⁴ შაჰოვიჩი ნ. ვ. დოვიკი ე. ი. ცერმატენი ჟ. „ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში (ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვის უფლებების შესახებ)“, ბერნი, 2012, რედ. თარგმანისა ალექსიძე ლ. ხუციშვილი, ქ. თბილისი, 2015, XV.

²⁵ ზარნაძე ე. ჭალიძე თ. „ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში“, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2024, გვ.45.

მშობლების ვალდებულებს სცნონ და უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები,²⁶ მათ შორის, არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე. აღნიშნული უფლების რეალიზების ძირითადი ელემენტები ასახულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლში, რომლის ანალიზის საფუძველზე გამოიყოფა ნორმის:

მთავარი პრინციპები - სახელმწიფოს ვალდებულება სამართლებრივი თუ პრაქტიკული თვალსაზრისით, უზრუნველყოს ბავშვის უფლება დაცვაზე; სამართალწარმოების პროცესში ბავშვის მოსმენა და მისი შეხედულებების/მოსაზრებების სათანადო გათვალისწინება ბავშვის ასაკისა და სიმწიფის დონის შესაბამისად; ბავშვის უშუალოდ ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა საქმის განხილვაში; ასევე სხვა მნიშვნელოვანი პროცედურული საკითხები, რომლებიც რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით;

იურიდიული და სამართლებრივი მნიშვნელობა - არასრულწლოვანის უფლება ჩართული და მოსმენილი იყოს ყველა იმ სამართალწარმოების პროცესში, რომელიც მის კანონიერ ინტერესებს შეეხება, უზრუნველყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი, ეფექტური და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელებას;

პრაქტიკული მნიშვნელობა - აღნიშნული უფლების რეალიზება ხელს უწყობს ბავშვის პიროვნულ განვითარებას, აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას, აუმჯობესებს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, აძლიერებს ნდობას სასამართლო, სოციალური თუ სხვა ინსტიტუტების მიმართ.

უფლების რეალიზების შესაძლებლობა - არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე, მათ შორის ბავშვის აზრის გამოხატვისა და მისი მოსმენის უფლება თეორიულად შესაძლოა გარანტირებული იყოს, თუმცა რეალურად მისი აღსრულება დამოკიდებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე: ა) სახელმწიფოს კანონმდებლობაზე - აუცილებელია ეროვნული სამართლებრივი რეგულაციები ცალსახად აღიარებდეს და იცავდეს ბავშვის ამ უფლებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელია; ბ) სახელმწიფო ინსტიტუტებზე - ბავშვის მოსაზრების

²⁶ Khalil G. „Child Rights: The Historical Evolution“ Beirut, 2002, გვ. 115.

მხოლოდ თეორიულად დაფიქსირების შესაძლებლობა ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას. სასამართლოების, სოციალური სამსახურებისა თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებები რეალურად უნდა ასახავდეს ბავშვის ნებას; გ) საზოგადოებრივ ცნობიერებაზე - განხილული უფლების რეალიზება ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის, მოსამართლისა თუ სამართალწარმოებაში ჩართული სხვა პირების სამართლებრივ ცნობიერებაზე. სახელმწიფოში, რომელშიც მაღალია საზოგადოებრივი ცნობიერება, ადამიანების აღიარებენ, რომ ბავშვის აზრი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც უფროსების და არასრულწლოვანებს აქვთ უფლება ჩაერთონ იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მათ ეხებათ. ბავშვის უფლებების დაცვა არ არის მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია²⁷ წარმოადგენს არასრულწლოვანთა დაცვის უფლების უზრუნველმყოფ კიდევ ერთ ფუნდამენტურ საერთაშორისო სამართლებრივი წყაროს. მართალია ევროპული კონვენცია არ ოპერირებს ბავშვის ლეგალური დეფინიციით, თუმცა მისი პირველი მუხლი იმპერატიულად განუსაზღვრავს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ვალდებულებას, უზრუნველყონ კონვენციური უფლებების დაცვა „ყველასათვის“, რაც თავისთავად მოიცავს არასრულწლოვანებსაც. კონვენციის მე-14 მუხლი აფუძნებს კონვენციით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის, ასაკობრივი ნიშნით²⁸.

კონვენციის 34-ე მუხლი განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს და განმარტავს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით სარგებლობს თითოეული ადამიანი, ცალკეული პირთა ჯგუფი ან ორგანიზაცია. მნიშვნელოვანია კონვენციის 34-ე მუხლი კუმულაციურად განვიხილოთ მე-6 და მე-13-ე მუხლებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების უფლებას. ამ ორი სამართლებრივი გარანტიის მიზანია შექმნას

²⁷ ევროპის საბჭოს (4.11.1950) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [30.04.2025].

²⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N25762/07 (10.06.2010) საქმეზე Schwizgebel v. Switzerland.

უნივერსალური მექანიზმი, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლო ორგანოს ხელმისაწვდომობას და საქმის სამართლიანი და მიუკერძოებელი განხილვის შესაძლებლობას²⁹.

კონვენცია ბავშვს აღიარებს სამართლებრივი ურთიერთობების სრულფასოვან სუბიექტად და აძლევს შესაძლებლობას, სახელმწიფოებრივ დონეზე მისი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს მიმართოს ინდივიდუალური საჩივრით დამოუკიდებლად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით. თუმცა, ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ პრეროგატივას და სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური საფუძველი დააწესოს შესაბამისი შეზღუდვები სარჩელის მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ აღნიშნული შეზღუდვები არ არღვევს თვით უფლების არსს.³⁰ ამ სტანდარტიდან გამომდინარე, დასაშვებად მიიჩნევა კონკრეტული ვალდებულებების დაწესება სასამართლოსადმი მიმართვის წინაპირობად.

ევროპული კონვენციის განსაზღვრავს (მე-6 მუხლი) არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის ფორმალურ უფლებას, არამედ მოიცავს მის ეფექტურ რეალიზებას, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ლეგიტიმურ მოლოდინს.³¹ ასევე საყურადღებოა, აღნიშნული ნორმა აყალიბებს სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელ ხელმისაწვდომობის გარანტიას, რაც უკავშირდება პირის უფლებას მიმართოს კანონით შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, როგორც ეს დასტურდება საქმეში *Golder v. United Kingdom*.³²

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები ნორმატიულად ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი შინაარსობრივი დადგენა არ შემოიფარგლება მხოლოდ

²⁹ Mamuladze M. „The right of an under-aged to directly apply to the Court as a procedural guarantee to protect his/her best interests and a comparative legal analysis“, 9th INTERNATIONAL CONFERENCE ON NARRATIVE AND LANGUAGE STUDIES, Book of Abstracts and Proceedings, NALANS, 2023, გვ.224, https://www.ktu.edu.tr/dosyalar/nalans2023_ad511.pdf [30.04.2025].

³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N73547/01 (30.11.2005) საქმეზე *Jedamski and Jedamska v. Poland*, <https://shorturl.at/mOmI8> [30.04.2025].

³¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N40765/02 (28.02.2007) საქმეზე *Apostol v. Georgia*.

³² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N4451/70 (21.02.1975) საქმეზე *Golder v. United Kingdom*, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-57496%22%7D> [30.04.2025].

კონვენციის ტექსტით,³³ იგი ასევე მოიცავს სტანდარტებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკით.³⁴ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, კონკრეტული გადაწყვეტილების მეშვეობით ხდება კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებათა შინაარსისა და მოქმედების ფარგლების დაკონკრეტება.³⁵ შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია კონვენციის დებულებების ინტერპრეტაცია და გამოყენება განახორციელოს ევროპული სასამართლოს სამართალწარმოებისას ჩამოყალიბებული პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. სხვა შემთხვევაში, კონვენციის ცალკეული ნორმების დამოუკიდებლად და იზოლირებულად გამოყენება ეწინააღმდეგება კონვენციის სისტემურ ბუნებას და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო ვალდებულებებს. პრეცედენტული სამართალი მნიშვნელობას იძენს, რადგან კონვენცია არის არა სტატიკური, არამედ „ცოცხალი“ დოკუმენტი.³⁶

საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის წესები შეიძლება დადგინდეს მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებითაც, მაგალითად, სამოქალაქო პროცესის საკითხებზე ჰააგის კონვენციით.³⁷ კონვენცია მიზნად ისახავს სამოქალაქო სამართალწარმოების გამარტივებას და ჰარმონიზაციას სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებს შორის. იგი ქმნის სტანდარტიზებულ პროცედურებს იურიდიული დოკუმენტების გადაცემისათვის, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სხვა პროცესუალური მოქმედებების განხორციელებისათვის საერთაშორისო ელემენტების შემცველ საქმეებში. საქართველოს აღნიშნული დოკუმენტი რატიფიცირებული არ აქვს, თუმცა მიერთებულია უფრო თანამედროვე კონვენციებზე, რომლებიც გარკვეულწილად ანაცვლებენ 1954 წლის კონვენციას, კერძოდ, „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტაციის ჩაბარების შესახებ“ ჰააგის 1965

³³ Blackburn R. Polakiewicz J. „Fundamental rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States 1950-2000“, Oxford University Press, 2001, გვ. 676.

³⁴ Macovei M. „Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights“, Human rights handbooks, N2, 2001, გვ.5.

³⁵ Wildhaber L. „Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention in Human Rights at 50“, Human Rights information Bulletin (special issue), N50, 2000.

³⁶ „პირადი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა“, 2017, გვ.10; <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/piradi-da-ojaxuri-cxovrebis-pativiscemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf> [30.04.2025].

³⁷ ჰააგის კონვენცია (01.03.1954) სამოქალაქო პროცესის საკითხებზე.

წლის 15 ნოემბრის კონვენციასა და „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე საზღვარგარეთ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ“ 1970 წლის 18 მარტის ჰააგის კონვენციაზე.

ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ,³⁸ წარმოადგენს კიდევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით ბავშვის საპროცესო უფლებებს: დამოუკიდებლად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს, იყოს ინფორმირებული, სამართალწარმოების დროს იყოს მოსმენილი და მისი აზრი სათანადოდ გათვალისწინებული, მართლმსაჯულება განხორციელდეს დროულად, სწრაფად და ეფექტურად, ჰყავდეს წარმომადგენელი და სხვა შესაძლო საპროცესო უფლებები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული ბავშვის უფლებათა განხორციელების შესახებ ევროპული კონვენცია.³⁹ კონვენციის რატიფიცირება, მნიშვნელოვნად აამაღლებს ქვეყნის პასუხისმგებლობას, რადგან იგი მოითხოვს რეგულარულ ანგარიშვალდებულებას და ზედამხედველობას ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებში, რის შედეგადაც სახელმწიფო ვალდებული იქნება გააუმჯობესოს ის სამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც შემხებლობაში არიან არასრულწლოვანებთან. არსებითი მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირებისგან თავის შეკავება ქმნის რისკებს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის შესაბამისობაში ბავშვთა უფლებების დაცვის უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებთან, რამაც შესაძლოა შეაფერხოს არა მხოლოდ რეფორმის პროცესის წინსვლა, არამედ ხელი შეუშალოს არასრულწლოვანთა უფლებების სრულფასოვან დაცვას. აღსანიშნავია ისიც, რომ კონვენციის რატიფიცირება მოითხოვს შესაბამისი სარეგულაციო მექანიზმების ჩამოყალიბებას და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას, რაც ამ დროისათვის შესაძლებელია წარმომადგენდეს დამატებით გამოწვევებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის რატიფიცირება

³⁸ ევროპის საბჭოს (25.01.1996) „ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ ევროპული კონვენცია“, <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168007cdf> [30.04.2025].

³⁹ Chart of signatures and ratifications of Treaty, <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treaty=160> [30.04.2025].

მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, საერთაშორისო ასპარეზზე ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს წარმოჩენას.

საქართველოს მიერ ასევე არ არის რატიფიცირებული ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის მარეგულირებელი არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, როგორცაა ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირება ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით სამართალწარმოების პროცესში;

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი წყაროების ანალიზი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ევროპული სტანდარტების მნიშვნელობას, რომლებიც სახელმწიფოებისათვის ქმნიან სავალდებულო ჩარჩოებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისათვის. თუმცა, ბუნებრივია, აღნიშნული მექანიზმების მხოლოდ ფორმალური და ანალიტიკური აღიარება არ რის საკმარისი, ბავშვთა უფლებების ეფექტური დაცვა მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, სასამართლო პრაქტიკის განვითარებას, შესაბამისი ინსტიტუციების შექმნასა და მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

საერთაშორისო სტანდარტები წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს, რომ თითოეულ ინდივიდს, მათ შორის ბავშვს, ჰქონდეს სამართლიანი და თანასწორი შესაძლებლობა იყვნენ დაცულები, სახელმწიფო კი ვალდებულია ეს მექანიზმები დანერგოს პრაქტიკაში. ამრიგად საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ეროვნულ დონეზე სრულყოფილი განხორციელება ქმნის უსაფრთხო სამართლებრივ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ჯანსაღ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ განვითარებას.

1.3.უფლება დაცვაზე, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი

თანამედროვე მსოფლიო არასრულწლოვანებს უფლებების მფლობელ სუბიექტებად აღიარებს, თუმცა ისინი კვლავ საზოგადოების მოწყვლად სეგმენტად რჩებიან. ეს გამოწვეულია მათი სპეციფიკური ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობით, ზრდასრულ პირებზე დამოკიდებულებების მაღალი ხარისხითა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე შეზღუდული წვდომით. ბავშვის პიროვნული განვითარების

პროცესში უმნიშვნელოვანესია ისეთი სამართლებრივი გარანტიების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მის ჩამოყალიბებას თვითრეალიზირებულ, დამოუკიდებელ და ღირსეულ ინდივიდად. სწორედ ამიტომ, ბავშვის უფლებრივი მდგომარეობა ითხოვს განსაკუთრებულ მზრუნველობასა და მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან.

ბავშვთა უფლებების დაცვისათვის სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევა წარმოადგენს სტრატეგიულ ინვესტიციას გრძელვადიან პერსპექტივაში,⁴⁰ ვინაიდან უფლებების რეალიზაციის მყარ საფუძველზე აღზრდილი არასრულწლოვანები ტრანსფორმირდებიან საზოგადოების სრულფასოვან, მაღალ პასუხისმგებლობის მქონე და სოციალურად პროდუქტიულ წევრებად. სახელმწიფო როდესაც უზრუნველყოფს ბავშვის განათლებას, ჯანდაცვას, დაცვას და კეთილდღეობის გარანტიების შექმნას, ის არა მხოლოდ ახდენს თავისი საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების შესრულებას, არამედ ქმნის ისეთ საზოგადოებას, სადაც თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა. გრძელვადიან პერსპექტივაში, ასეთი ინვესტიცია მნიშვნელოვნად ამცირებს სოციალურ უთანასწორობას, უფლებების დარღვევას, უმუშევრობას და ზრდის განათლების ხარისხს, ეკონომიკურ დონეს და ზოგადად ქვეყნის პროგრესს, რაც ქვეყნის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს.

ბავშვის უფლებებზე ზრუნვა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სისტემატიზირებული, კომპლექსური, სტაბილური და სწორად შერჩეული მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავებას, თუმცა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა არ შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზე დავიყვანოთ, აუცილებელია ინსტიტუტების, ოჯახის, საზოგადოების თითოეული წევრის მაქსიმალური ჩართულობა, ინფორმირებულობა და სამართლებრივი ცნობიერების პერიოდული განვითარება.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ეროვნული სამართლებრივი ნორმების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავი და საყურადღებოა, თუ როგორ იცვლებოდა და მოდიფიცირდებოდა ბავ-

⁴⁰ ლურსმანაშვილი ლ. (თარგმანი), ბობოხიძე მ. (რედაქტორი), „ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო“, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, გვ. VI.

შვის ისეთი ფუნდამენტური უფლების მარეგულირებელი ნორმები, როგორცაა არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზების საწყის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული უფლების სიღრმისეული ანალიზისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია განვსაზღვროთ თუ რას ნიშნავს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

არსებობს, როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი საუკეთესო ინტერესები, რომლებიც შესაძლებელია ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდეს ან სულად ურთიერთგამომრიცხავი იყოს. ის რაც მოცემულ დროს შესაძლოა ბავშვისთვის სასარგებლოდ იქნეს აღქმული, გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მისთვის საზიანო აღმოჩნდეს. ამგვარ ვითარებაში, შეფასება უნდა ეფუძნებოდეს იმ ინტერესების პრიორიტეტულობას, რომელიც მოცემულ გარემოებების გათვალისწინებით წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ და დაბალანსებულ გადაწყვეტას ბავშვის განვითარების მდგრადი და ჰარმონიული უზრუნველყოფის მიზნით.⁴¹

ბავშვის უფლებათა კონვენცია დეტალურად არ იძლევა ტერმინის დეფინიციას და სახელმწიფოებს უტოვებს შესაძლებლობას, სიღრმისეულად თავად განსაზღვრონ შინაარსი, რადგან ამ უკანასკნელზე ვერ მოხერხდა ქვეყნებს შორის შეთანხმება.⁴² ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნის კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების დონე განსხვავდება, რაც შეუძლებელს ხდის ერთიანი და უნივერსალური დეფინიციის შემუშავებას, რომელიც ყველა ქვეყნისთვის მისაღები იქნება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახეზეა კონვენციის ე.წ. არათვითსრულებადი ნორმა, რომელიც ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოებისათვის ადგენს ვალდებულებას კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში.⁴³

საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს თითქოს დეტალურად განმარტავს,⁴⁴ თუმცა ბავშვთან დაკავშირებული

⁴¹ Schmahl S. „Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokollen“ Handkommentar, Nomos Verlag, Baden-baden, 2017, გვ.96.

⁴² Freeman M. „A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child: Article 3, The Best Interests of the Child”, Leiden, 2007; გვ. 26-27.

⁴³ Eekelaar J. Tobin J. „The Best Interests of the Child” Article 3, in: Tobin J. [Ed] „The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary”, Oxford University Press, 2019, გვ.74.

⁴⁴ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი „თ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

საკითხები იმდენად მრავალფეროვანი და მოცულობითია, სამართლებრივი თვალსაზრისით, ფაქტობრივად შეუძლებელია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების განმარტების სრულყოფილი და ამომწურავი დეფინიციის შემუშავება. თუმცა საერთაშორისო სტანდარტები და შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები ერთხმად თანხმდებიან, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტება უნდა იყოს დინამიური⁴⁵ და მოქნილი⁴⁶, რათა მიესადაგოს ბავშვთან დაკავშირებულ თითოეულ შემთხვევას.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა არ შეიძლება იყოს სტატისტიკური და ერთჯერადად დადგენილი ნორმა, რადგან დროისა და გარემოებების ცვლილებასთან ერთად იცვლება ბავშვთა საჭიროებები და მათი დაცვის გზები. ბავშვთან დაკავშირებული თითოეული საქმე უნდა განიხილებოდეს ინდივიდუალურად, რათა გადაწყვეტილება მიღებულ იქნას მისი კონკრეტული საჭიროებების, ცხოვრებისეული პირობებისა და სოციალური გარემოს გათვალისწინებით. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც განიხილება ისეთი საქმე, რომელიც ბავშვისთვის სენსიტიურია და ასახვას პოვებს მის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ასეთ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება სწორედ არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, ვინაიდან როდესაც არასრულწლოვანი იღებს გადაწყვეტილებას დარღვეული უფლებების დასაცავად დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს, მისი ინტერესები უკვე იმთავითვე შელახულია და როცა ამას ემატება სასამართლოს მხრიდან ბავშვის უფლებების რეალიზების არასათანადო ხელშეწყობა, იმ ფაქტით, რომ საქმის განხილვის დროს მოსამართლე იყენებს ზოგად დადგენილ სტანდარტებს და არა ბავშვზე მორგებულ მეთოდებს, ამგვარი მიდგომა უფლებებელყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამდენად საკანონმდებლო დონეზე ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის განუსაზღვრელი ტერმინი⁴⁷, რომლის აღსრულებისა და გავრცელების ობიექტური საზღვრები ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება.

⁴⁵ Committee on the Rights of the child, General Comment, N14, UN Doc CRC/C/GC/14, 2013, გვ.3.

⁴⁶ იქვე, გვ.9.

⁴⁷ Freeman M. „A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child”, The Best Interests of the Child, Article 3, Leiden, 2007, გვ. 2.

რადგან უკვე გამოიკვეთა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების ზოგადი ფარგლები და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი სამართლებრივი ელემენტები, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ უფლებამოსილი პირები, რომლებსაც აღნიშნული უფლების რეალიზების ვალდებულება გააჩნია. ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პრეროგატივას აკუთვნებს მშობელს. საინტერესოა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა უფლების დაცული სფეროა თუ შეზღუდვის საფუძველი?

ბავშვის უფლებათა კოდექსის შემუშავებისას, ერთ-ერთ ყველაზე საკამათო და ინტენსიური დისკუსიის საგანი გახდა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად განსაზღვრის პოსტულატი. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა ფართო და მრავალმხრივი დებატები, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ორი ურთიერთგამომრიცხავი კონცეპტუალური მიდგომა:⁴⁸

- ულტრალიბერალური ფრთის პოზიციის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა არ უნდა იყოს მშობლის პრეროგატივა, რამდენადაც ეს საკითხი შეიცავს ობიექტურ შეფასებას და თუ მშობელი არ იღებს სწორ გადაწყვეტილებებს, ბავშვის ინტერესები ზიანდება. მათი არგუმენტაცია ეფუძნება „ცუდი მშობლების“ კონცეფციას, რომლის შემთხვევაში არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მშობლის გადაწყვეტილებები არ ასახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი, როგორც პირველადი სოციალური ინსტიტუცია, საქართველოს რეალობაში ისტორიულად და კულტურულად განსაკუთრებული მნიშვნელობით არის აღჭურვილი. ბავშვის უფლებათა კონვენციაც ეფუძნება პრეზუმფციას, რომ მშობლები, როგორც წესი, პატივს სცემენ ბავშვის უფლებებს და მოქმედებენ მათი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რაც არის მათი ბუნებითი უფლება⁴⁹ და მშობელთა სუვერენიტეტისა და ოჯახის შიდა საკითხებში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის პრინციპი განიხილება, როგორც ეთიკური სტანდარტი. შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს მოლოდინი, რომ ძირითად შემთხვევაში მშობლები

⁴⁸ კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, გვ.57, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025].

⁴⁹ Eekelaar J. Tobin J. „The Best Interests of the Child“, in: J Tobin [Ed] The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary, Article 3, Oxford University Press, 2019, გვ.89.

თავიანთ უფლება-მოვალეობებს შეასრულებენ ჯეროვნად, სათანადოდ და კეთილ-სინდისიერად, რაც კიდევ უფრო მეტად ამყარებს მშობლის ბუნებითი უფლებების კონცეფციას ბავშვებთან მიმართებაში;

- ულტრაკონსერვატიული ფრთის არგუმენტაცია ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც, მშობლებს გააჩნიათ პრივილეგირებული ცოდნა და ინტუიციური შესაძლებლობა განსაზღვრონ საკუთარი შვილის საუკეთესო ინტერესი. მათი პოზიცია ემყარება დაშვებას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესში ჩარევა საფრთხეს უქმნის ოჯახის ინსტიტუტის სიძლიერესა და მდგრადობას. ამგვარი მიდგომა ემყარება „ცუდი სახელმწიფოს“ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ჩარევა ხშირ შემთხვევაში აღიქმება, როგორც გადაჭარბებული, არაეფექტური ან არათანაბარ-ზომიერი. თუმცა აღნიშნულ პოზიციას აბათილებს არგუმენტი, რომ მართალია, ტიპობრივად, მშობლები ასრულებენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს კეთილ-სინდისიერად, მაგრამ არსებობს მშობელთა კატეგორია, რომლებიც ვერ ახორციელებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს სათანადოდ ან შეგნებულად არიდებენ თავს. მსგავს შემთხვევებში, როგორ დავიცავთ ბავშვს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან? თუ სახელმწიფო არ ჩაერევა მსგავს საკითხებში და არ დაიცავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ეს მიდგომა გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ისეთი სოციალური გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ძირითადი ღირებულებები და ჯანსაღი განვითარების პირობები ექვემდებარება დეგრადაციას, რაც საზოგადოებაში სრულფასოვანი ინდივიდების შემცირებად განაპირობებს.⁵⁰

ბავშვის უფლებათა კოდექსმა აირჩია პრობლემის მოგვარების დაბალანსებული მიდგომა, სადაც მშობელს აქვს პრიორიტეტული უფლება განსაზღვროს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ხოლო სახელმწიფო კი სუბსიდიარული უფლების მატარებელია, რომელიც მხოლოდ მაშინ ერთვება პროცესში, როდესაც მშობელი არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ და დადგენილ საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს არა მხოლოდ ბავშვთან უშუალო, პირდაპირ

⁵⁰ კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, გვ.57-58, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025].

შემხებ..ლობაში არსებულ საკითხებს, არამედ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, რომლებიც ირიბად ეხება არასრულწლოვანს.⁵¹ მშობლის უფლება სხვა არაფერია, თუ არა უფლება მართოს შვილები შვილების სასიკეთოდ.⁵²

ერთი მხრივ, მშობელს აქვს ბუნებრივი და კანონით აღიარებული უფლება, საუკეთესო ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის, როგორც დამოუკიდებელი და თავისი უფლებებით აღჭურვილი სუბიექტის დაცვა მოითხოვს გარკვეული საზღვრების დადგენას იმ დისკრეციისთვის, რომელიც მინიჭებული აქვს მშობელს. აღნიშნული სტანდარტები წარმოადგენს უფლებრივ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ემოციური თუ სოციალური განვითარების ხელშეწყობას ამ პროცესში მშობლისა და სახელმწიფოს ფუნქციების ბალანსირების საფუძველზე.

საბოლოოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა წარმოადგენს კომპლექსურ სამართლებრივ და მორალურ საკითხს, რომელიც მშობლის ავტონომიის პატივისცემასთან ერთად მოითხოვს, ბავშვის, როგორც სუბიექტის უფლებების სრულფასოვან დაცვას. ამგვარად მშობლის დისკრეცია არ არის აბსოლუტური და ის სულად ექვემდებარება იმ ნორმატიულ ჩარჩოებს, რომლებიც შექმნილია ბავშვის, როგორც სუსტი და დაუცველი სუბიექტის დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფოსა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო-მექანიზმების ფარგლებში, არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე, უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზებას. ბავშვს წარმოეშვება სასამართლოსათვის უშუალოდ, დამოუკიდებლად მიმართვის უფლება და იქმნება არასრულწლოვანზე მორგებული მართლმსაჯულების სწრაფი და ეფექტური განხორციელების გარანტიები. აღნიშნული უფლების მნიშვნელობის წარმოჩენისათვის განვიხილოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Stagno VS Belgium*⁵³: მამის გარდაცვალების გამო, არასრულწლოვან მომჩივანთათვის სადაზღვევო კომპანიის მიერ გადახდილი თანხა,

⁵¹ Schmahl S. „Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle“, Handkommentar, Nomos Verlag, Baden-baden, 2017, გვ.92.

⁵² Locke J. „Treatise of government: Essay concerning the True Original, Extent and End of Civil Government“, London, 1690, პ.132.

⁵³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N1062/07 (07.07.2009) საქმეზე *Stagno v. Belgium*.

ბავშვების დედამ შემნახველ ანგარიშზე განათავსა, რომელიც წელიწადზე ნაკლებ დროში გაქრა ანგარიშიდან. მომჩივნებმა, სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ სარჩელი შეიტანეს დედისა და სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ, თუმცა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სასამართლომ უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანები დაობდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება, რადგან არასრულწლოვანების პერიოდში არ გააჩნდათ სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლება და არც ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერებულია. სასამართლომ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის არ შეჩერებით სასამართლოებმა სადაზღვევო კომპანიის ინტერესები წინ დააყენეს, ვინაიდან მომჩივნებისათვის სრულწლოვანების მიღწევამდე, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. შესაბამისად, საქმის სპეციფიკური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების პირდაპირმა გამოყენებამ მომჩივნებს შეეზღუდათ მათთვის კანონით გარანტირებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა.⁵⁴

განხილული სასამართლო პრაქტიკა, კიდევ ერთხელ მკაფიოდ ადასტურებს, არასრულწლოვანთა უფლებრივი სტატუსის მნიშვნელობასა და მათ უფლებას, ასაკის მიუხედავად, დამოუკიდებლად მიმართონ მართლმსაჯულების სისტემას. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმა, რომელმაც გააუქმა სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში სასამართლოსათვის მიმართვის მინიმალური, 14 წლიანი ასაკობრივი ზღვარი, შეიძლება შეფასდეს, როგორც არსებითი წინგადადგმული ნაბიჯი დისკრიმინაციული ბარიერების აღმოფხვრის მიმართულებით.

საკანონმდებლო ცვლილებებს ღრმა სისტემური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი არამარტო უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან, არამედ აქტიურად უწყობენ ხელს სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრინციპის სრულფასოვან განხორციელებას. შედეგად, სამართლებრივი სივრცე საქართველოში უფრო

⁵⁴ ბავშვის უფლებები, <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf> [30.04.2025].

ინკლუზიური და ბავშვზე ორიენტირებული ხდება, რაც პასუხობს თანამედროვე დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს ღირებულებებს.

რეფორმამ არსებითად გარდაქმნა ბავშვის სამართლებრივი სტატუსი და პოზიცია სამართლებრივ ურთიერთობებში. თუ ადრე ბავშვი მხოლოდ დაცვის ობიექტად აღიქმებოდა, რომლის ინტერესებზე ზრუნვა მთლიანად ემყარებოდა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლისა და სახელმწიფოს ვალდებულებას, თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში ის სულ უფრო მეტად განიხილება როგორც უფლებებით აღჭურვილი სრულფასოვანი სუბიექტი. ბავშვი აღარ არის მხოლოდ პასიური ბენეფიციარი, შესაბამისად ყალიბდება ახალი სამართლებრივი რეალობა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ბავშვის ინდივიდუალობის, ავტონომიისა და ინტერესების პატივისცემა.

არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი მხრიდან სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის შესაძლებლობით. აღნიშნული უფლება მოიცავს კომპლექსურ საპროცესო მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და მხარდაჭერაზე სამართლებრივი პროცედურების მთელ სპექტრში. კერძოდ, ბავშვის სასამართლოსათვის დამოუკიდებელი მიმართვის უფლება უნდა აღქმულ იქნეს, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი იმ ფართო სისტემისა, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენტური და მიუკერძოებელი საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნას, სპეციალიზებული პროფესიონალების მონაწილეობას, არასრულწლოვანთა მოსმენის უზრუნველყოფასა და მისი შეხედულებების გათვალისწინებას, იმგვარად, რომ ეს გავლენას ახდენდეს, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ისე საბოლოო შედეგზე.

აუცილებელია არასრულწლოვანთა საკითხების განხილვა წარმომართოს ბავშვზე მორგებული, მათთვის გასაგები და ადაპტირებული პროცედურებით, რაც ამცირებს სამართლებრივ ბარიერებს და უზრუნველყოფს ბავშვის აქტიურ ჩართულობას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ასევე საქმის დროული განხილვა. ამგვარი საპროცესო გარანტიები ქმნის სისტემურ ჩარჩოს, რომელიც განაპირობებს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვას თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში.

განხილული უფლების მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე აღიარებულია თითქმის ყველა თანამედროვე დემოკრატიულ და განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის, გერმანიაში, ფინეთში, შვედეთში,

შვეიცარიაში, ნორვეგიაში და სხვა სახელმწიფოებში, სადაც ბავშვთა უფლებათა კონვენცია არა მხოლოდ ფორმალურად არის რატიფიცირებული, არამედ სრულად ინტეგრირებულია ეროვნული სამართლის იურისდიქციაში, ისე რომ პარალელურად ქმნის ბავშვთა უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ მექანიზმებს. ბავშვის უფლებების დაცვა ასეთ სახელმწიფოებში პრიორიტეტულ პროგრამად სახელდება და ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპი სამართლებრივი პროცესის უმთავრესი ღირებულებაა, ბავშვს აქვს სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის უფლება, სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო სამართლებრივ დახმარებას, ბავშვის აზრი პირდაპირ ან არასრულწლოვანთა წარმომადგენლის მეშვეობით გათვალისწინებულია სასამართლო განხილვებში, მოწესრიგებულია ბავშვზე მორგებული პროცედურები, რათა თვიდან იქნეს აცილებული სტრესულ და დამთრგუნავ პროცესებში მონაწილეობა და შეიქმნას კეთილგანწყობილი, მხარდამჭერი და უსაფრთხო სამართლებრივი გარემო.

თავი II. კანონიერ წარმომადგენელთა შეზღუდული უფლებამოსილებები არასრულწლოვანთა უფლებრივი განვითარების კვალდაკვალ

2.1. სასამართლო წარმომადგენლობის ინსტიტუტი სამოქალაქო საპროცესო სამართალში

სასამართლოსადმი არასრულწლოვანთა შეუზღუდავი წვდომის უფლება, მიუხედავად მისი კონსტიტუციური მნიშვნელობისა, პრაქტიკული განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოშობს. მართალია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81¹-ე მუხლის ფორმულირება სრულ ჰარმონიზაციაშია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლთან, მაგრამ მისი რეალიზება სამართლებრივ სისტემაში მოითხოვს დამატებით საკანონმდებლო გააზრებას. კონვენცია ითვალისწინებს ბავშვის აზრის გამოხატვის თავისუფლებას მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაგრამ ასევე ხაზს უსვამს ამ აზრის წონის კორელაციას არასრულწლოვანის განვითარების დონესთან და ასაკთან.

სამართლებრივი თვალსაზრისით, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ბალანსის პოვნა ორ ფუნდამენტურ პრინციპს შორის: ერთ მხრივ, ბავშვის მონაწილეობის უფლება მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და, მეორე მხრივ, არასრულწლოვანის დაცვის ინტერესი, რომელიც გამომდინარეობს მისი არასრული ფსიქო-სოციალური განვითარებიდან.

საგულისხმოა, რომ კონვენცია არასრულწლოვანთა სასამართლო მონაწილეობის ორგვარ ფორმას ითვალისწინებს - პირდაპირს და წარმომადგენლობითს. ეს მიდგომა ადასტურებს, რომ ბავშვის აზრის გათვალისწინების ვალდებულება არ ნიშნავს აუცილებლად მისი პირდაპირი და დამოუკიდებელი სასამართლო მონაწილეობის აბსოლუტიზაციას. სსსკ-ის 81¹-ე მუხლი ადგენს სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვანთა პროცესუალური მდგომარეობა რეგულირდება. აღნიშ-

ნული ნორმა ითვალისწინებს ბავშვის საპროცესო სუბიექტობის რეალიზების დამატებით პროცედურულ გარანტიას, რაც გამოიხატება სავალდებულო წარმომადგენლობის ინსტიტუტის ამოქმედებაში.

აღსანიშნავია, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებში, რომელთა სპექტრი მოიცავს საოჯახო, შრომით და სხვა მსგავსი კატეგორიის კონფლიქტებს, არასრულწლოვანს პრეროგატივა ენიჭება, ასაკობრივი ცენზის მიუხედავად, პერსონალურად იყოს ჩართული საკუთარი სამართლებრივი ინტერესების დაცვის პროცესში. თუმცა, საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს აკისრებს იმპერატიულ ვალდებულებას, უზრუნველყოს არასრულწლოვანი მოსარჩელის სამართლებრივი მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლის ინსტიტუტის მეშვეობით. სამართლებრივი მოწესრიგების აღნიშნული მოდელი ქმნის დუალისტურ სისტემას, სადაც კომბინირებულია არასრულწლოვანის პირადი პროცესუალური ავტონომია და მისი დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს, რომ ფიზიკურ პირებს, მათ შორის არასრულწლოვანებს, უფლება აქვთ პირადად აწარმოონ საქმე სასამართლოში, რაც ეფუძნება თითოეული ადამიანის უფლებას, უშუალოდ დაიცვას საკუთარი ინტერესები. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც პირს არ შეუძლია ან არ სურს პირადად განახორციელოს სასამართლო წარმომადგენლობა, ასეთ დროს კანონი ითვალისწინებს სამი სახის წარმომადგენლობას: კანონიერ, საპროცესო და სახელშეკრულებო წარმომადგენლობას.

კანონისმიერი წარმომადგენლობა. კანონიერი წარმომადგენლობის ინსტიტუტი წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობების იმ სფეროს, რომელიც რეგულირდება როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი იყენებს ტერმინ „მოქალაქეს“, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 1519-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მართებულია ტერმინის „ფიზიკური პირი“ გამოყენება, რადგან ეს უკანასკნელი მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ აპატრიდებსაც, რაც ბუნებრივია, უფრო ფართო ცნებაა.⁵⁵

⁵⁵ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ.543.

კანონიერი წარმომადგენლობა წარმოიშობა კანონის საფუძველზე და არა წარმოდგენილი პირის ნების გამოვლენის შედეგად. კანონიერი წარმომადგენლობის საფუძველები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: ა) შვილების მშობლებისგან წარმოშობის ფაქტი, რომელიც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით (სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლი); ბ) შვილად აყვანის სამართლებრივი ფაქტი; გ) მეურვეობის, მზრუნველობის ან მხარდაჭერის დანიშვნის სამართლებრივი ფაქტი. კანონიერი წარმომადგენელი, ისევე როგორც ნებისმიერი სასამართლო წარმომადგენელი უნდა იყოს სრულწლოვანი და არ უნდა წარმოადგენდეს მხარდაჭერის მიმღებ პირს.⁵⁶

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, მშობლები, რომელთაც არ აქვთ ჩამორთმეული მშობლის უფლებები, წარმოადგენენ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების კანონიერ წარმომადგენლებს. ამასთან, მათ არ სჭირდებათ სპეციალური რწმუნებულებების წარდგენა, რათა დაიცვან შვილების უფლებები და ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში. ხოლო პირები, რომლებიც დანიშნულები არიან მეურვეებად ან მზრუნველებად, წარმოადგენენ მათ სამეურვეო ან სამზრუნველო პირების კანონიერ წარმომადგენლებს. ამასთან, მათ უნდა დაიცვან სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

თუ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს გარდაცვლილის ან გარდაცვალებულად ცნობილი პირის არასრულწლოვანმა მემკვიდრემ, მაგრამ სამკვიდრო ჯერ არავის მიუღია, არასრულწლოვანი მემკვიდრის წარმომადგენლობის ფუნქციას ასრულებს სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვის მიზნით დანიშნული უფლებამოსილი პირი. სამკვიდრო ქონების მმართველის დანიშვნა არ განხორციელდება ორ ალტერნატიულ შემთხვევაში: როდესაც თუნდაც ერთმა მემკვიდრეთაგანმა უკვე განახორციელა სამკვიდროს მიღება და როდესაც არსებობს მამკვიდრებლის მიერ დანიშნული ანდერძის აღმასრულებელი.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, კანონიერი მემკვიდრეები

⁵⁶ იქვე.

უფლებამოსილნი არიან მართონ ქონება მინდობილი საკუთრების სახით. შესაბამისად, ისინი ასრულებენ უკვალოდ დაკარგულის კანონიერი წარმომადგენლის ფუნქციებს სასამართლო პროცესში.⁵⁷

საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, თავისი სახელით გასცენ მინდობილობა და საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს ან სხვა პირს სახელშეკრულებო საფუძველზე. თუმცა, გადანდობა არ ართმევს კანონიერ წარმომადგენელს უფლებას, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმეში.

კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება დადასტურდეს შემდეგი დოკუმენტებით: მშობლების შემთხვევაში - ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტები, როგორცაა პასპორტი, დაბადების მოწმობა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტები; შვილად ამყვანის შემთხვევაში: შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი ნაშვილების დაბადების მოწმობასთან ერთად ან თუ დაბადების მოწმობაში მშვილებელი მშობლად ფიქსირდება, საკმარისია დაბადების მოწმობის წარდგენა; მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის შემთხვევაში: მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი, რომლის შესაბამისადაც ისინი დანიშნული არიან მეურვედ, მზრუნველად ან მხარდამჭერად. კანონიერ წარმომადგენლებს არ მოეთხოვებათ დამატებითი რწმუნებულების წარდგენა, რადგან მათი უფლებამოსილება გამომდინარეობს პირდაპირ კანონიდან.⁵⁸

საპროცესო წარმომადგენლობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი არასრულწლოვან მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას, ასაკის მიუხედავად, დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, თუმცა კანონი იმპერატიულად მოითხოვს საპროცესო წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობას პროცესში. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ საკანონმდებლო ფორმულირება არ მოიცავს დეტალიზებულ მითითებას საპროცესო წარმომადგენლის სტატუსის მქონე სუბიექტის იდენტიფიცირების კრიტერიუმების შესახებ.

⁵⁷ იქვე, გვ.546.

⁵⁸ იქვე, გვ.546-547.

კითხვაზე, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს „საპროცესო წარმომადგენლად“ სსსკ-ის 81¹-ე მუხლის განსახილველ კონტექსტში, პასუხის გაცემის მიზნით აუცილებელია ბავშვის უფლებათა კოდექსთან სისტემური ინტერპრეტაცია. კერძოდ, ბავშვის უფლებათა კოდექსის 80-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში, როგორც უშუალოდ, ისე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, აქ იგულისხმება როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, ასევე „მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი“. ამგვარად, ტერმინი „საპროცესო წარმომადგენელი“ ინტერპრეტაციის შედეგად იძენს გაფართოებულ შინაარსობრივ მოცულობას და მოიცავს არა მხოლოდ კანონიერ წარმომადგენლის ინსტიტუტს, არამედ იმ პირებსაც, რომლებიც შესაძლოა თავად არასრულწლოვანმა აირჩიოს თავისი ინტერესების დასაცავად. თუმცა, გარკვეულ სირთულეს ქმნის სწორედ ამ ფრაზის ინტერპრეტაცია, რომელიც აღნიშნულ მუხლშია გამოყენებული: „მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი“. გაურკვეველია, მიემართება ეს ტერმინი უშუალოდ არასრულწლოვანის მიერ შერჩეულ პირს, თუ ის გულისხმობს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ შერჩეულ სხვა სუბიექტს. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, რომ კანონმდებლობა თვით არასრულწლოვანს ანიჭებს დამოუკიდებლად საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობას. შესაბამისად, დასაბუთებული ჩანს დასკვნა, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება აირჩიოს საპროცესო წარმომადგენელი უშუალოდ და არა მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.⁵⁹

განხილულ ფონზე, კიდევ უფრო აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 81¹-ე მუხლი საუბრობს არა ბავშვის მიერ არჩეულ წარმომადგენელზე, არამედ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო წარმომადგენელზე, რაც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს ბავშვის ავტონომიის იმ პრინციპთან, რომელსაც განსაზღვრავს ბავშვის უფლებათა კონვენცია და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო.

საბოლოოდ, სსსკ-ისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის ერთობლივი, სისტემური ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ - საპროცესო წარმომადგენლად შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი პირი, ვისაც ამის უფლება აქვს ზოგადი წესის

⁵⁹ იქვე, გვ.432.

თანახმად, თუმცა ცნება „საპროცესო წარმომადგენელი“ არ მოიცავს არჩევით წარმომადგენელს, აქ იგულისხმება კანონიერი წარმომადგენელი, მხარდამჭერი ან სასამართლოს მიერ დანიშნული სპეციალური წარმომადგენელი.

სსსკ-ის 81-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის წარმომადგენლობა არ არის უზრუნველყოფილი მშობლის ან კანონიერ წარმომადგენელთა მიერ, სასამართლოს ევალება დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი. თუმცა აღნიშნული მექანიზმის გამოყენება არ უნდა იქნეს აღქმული სასამართლოს უფლებად, ბავშვის ნების წინააღმდეგ დაუნიშნოს მას წარმომადგენელი. საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის საფუძვლები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა ბუნებრივი წარმომადგენლები (მშობლები) მოკლებულნი არიან წარმომადგენლობის შესაძლებლობას - სამართლებრივი შეზღუდვის, უფლებების ჩამორთმევის ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო. სასამართლო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, ვალდებულია მოისმინოს ბავშვის მოსაზრება, რაც ეფუძნება ბავშვის უფლებათა კოდექსის 78-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, ბავშვის უფლებამოსილია, საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს სასამართლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ბავშვს ასევე უფლება აქვს უარი თქვას საპროცესო წარმომადგენელზე და თავადვე უზრუნველყოს საკუთარი ინტერესების დაცვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს საპროცესო წარმომადგენლის უფლებამოსილებათა ზუსტ ფარგლებს (განსხვავებით კანონისმიერი და სახელშეკრულებო წარმომადგენლობისაგან, რომელთა უფლებები რეგულირდება სსსკ-ის 98-ე და 101-ე მუხლებით). ამ სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად გამოიყენება ანალოგიის (სსსკ-ის მე-7 მუხლი) პრინციპი, რაც გულისხმობს კანონისმიერი წარმომადგენლობის უფლებების (სსსკ-ის 101-ე მუხლი) გავრცელებას საპროცესო წარმომადგენელზე.

სახელშეკრულებო წარმომადგენლობა. სახელშეკრულებო წარმომადგენლობა ეფუძნება მარწმუნებლის ნების გამოვლენას, რაც აისახება მის მიერ გაცემულ მინდობილობაში. მარწმუნებელი არის პირი, რომელიც ირჩევს წარმომადგენელს და ანიჭებს მას უფლებამოსილებას, იმოქმედოს მისი სახელით სასამართლოში. წარმომადგენელი, რომელსაც ასევე უწოდებენ რწმუნებულს, ახორციელებს საპროცესო მოქმედებებს მარწმუნებლის სახელით და ინტერესებისთვის.

ბავშვს, რომელიც ფლობს საკმარის უნარს საკუთარი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად, კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას, პროცესში ჩაერთოს თავად შერჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მათ შორის - ადვოკატით. ამგვარად შერჩეული წარმომადგენელი, ბუნებრივია, სახელშეკრულებო ხასიათისაა, რაც თავისთავად გულისხმობს შესაბამისი მინდობილობის ფორმალიზებას. თუმცა, არსებული სამართლებრივი რეალობა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანს დამოუკიდებლად არ შეუძლია მინდობილობის გაცემა, რაც წარმოადგენს არჩევითი წარმომადგენლობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობას. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბავშვის უფლებათა კოდექსის 69-ე მუხლზე, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ წარმომადგენლის არჩევის უფლების განხორციელება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ, იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული სანოტარო მოქმედებების ინსტრუქცია განსაზღვრავს არასრულწლოვანის სახელით მინდობილობის გაცემის პროცედურას⁶⁰. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანის სახელით მინდობილობა გაცემულია მშობლის ან სხვა უფლებამოსილი პირის თანხმობით, აღნიშნული პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, რომელიც დადგენილია ბავშვის ინტერესების დაცვის სფეროში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით. ეს გულისხმობს არასრულწლოვანის მოსაზრების მოსმენისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, როგორც თავად მინდობილობის გაცემისას, ასევე მისი სახელით მოქმედებისას.⁶¹

რაც შეეხება წარმომადგენლის შერჩევის უფლებას, ბავშვი უფლებამოსილია, აირჩიოს არა მხოლოდ ადვოკატი, არამედ ნებისმიერი მისთვის მისაღები პირი, რაც ეფუძნება მის შეხედულებებსა და საუკეთესო ინტერესებს. სასამართლო ვალდებულია, მიიღოს და გაითვალისწინოს ბავშვის მოსაზრებები წარმომადგენლის შერჩევისას და არ უნდა შეზღუდოს მისი მონაწილეობა არც სააპელაციო და არც საკასაციო

⁶⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N41 (31.03.2010) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 25, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=23> [30.04.2025].

⁶¹ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ.433.

წარმოებაში, თუკი მისი წარმოდგენილი პირი მოქმედებს კეთილსინდისიერად და ბავშვის ინტერესების შესაბამისად.

რაც შეეხება ადვოკატთა უფლებამოსილებას, იგი განისაზღვრება და დასტურდება სპეციალური ნორმატიული აქტით - „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ გამორიცხავს ადვოკატის მიერ სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობას მინდობილობის საფუძველზე ორდერის ნაცვლად. მიუხედავად ამისა, საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ საქმე ეხება დისპოზიციური ხასიათის სპეციალურ უფლებამოსილებათა განხორციელებას - როგორცაა, მაგალითად, უარის თქმა სარჩელზე, გამოხმობა, დავის საგნის მოდიფიცირება, მორიგება და სხვა - ადვოკატს სავალდებულოდ უნდა გააჩნდეს წარმომადგენლისგან გაცემული მინდობილობა. შესაბამისად, ორდერი ადვოკატს ანიჭებს პროცესში მონაწილეობის ზოგად უფლებამოსილებას, თუმცა ის არ არის საკმარისი იმ მოქმედებების განხორციელებისათვის, რომლებიც უშუალოდ ზღუდავენ ან ცვლიან მარწმუნებლის სუბიექტურ უფლებებს.⁶²

წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების განისაზღვრება საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით. წარმომადგენელს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით განახორციელოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა იმ მოქმედებებისა, რომელთა განხორციელებისათვისაც საჭიროა სპეციალური უფლებამოსილება. სპეციალური უფლებამოსილება საჭიროა შემდეგი მოქმედებებისათვის: სარჩელის ცნობა, სარჩელის შეტანა, სარჩელის საგნის შეცვლა, საქმის მორიგებით დასრულება, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, საარბიტრაჟო შეთანხმების დადება, კერძო საჩივრის შეტანა, მოითხოვოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისათვის მინდობილობაში სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული შესაბამისი უფლებამოსილება. თუ მინდობილობაში ასეთი უფლებამოსილება არ არის მითითებული, წარმომადგენელს არ აქვს უფლება განახორციელოს ზემოაღნიშნული მოქმედებები.

წარმომადგენლობითი ურთიერთობა ეფუძნება ნდობას, ამიტომ კანონმდებელი ითვალისწინებს, როგორც მარწმუნებლის, ისე წარმომადგენლის უფლებას, ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ეს ურთიერთობა. საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად,

⁶² იქვე, გვ.532.

მარწმუნებელს გააჩნია სრული დისკრეცია, ნებისმიერ საპროცესო ეტაპზე გააუქმოს მის მიერ გაცემული მინდობილობა ან გადანდობა და ამით შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება. აღნიშნული სამართლებრივი შესაძლებლობა წარმოადგენს ნების სუვერენულ გამოხატულებას, თუმცა მას თან ერთვის შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულება - სასამართლოს ინფორმირება წარმომადგენლობის შეწყვეტის ფაქტის შესახებ. სანამ მინდობილობის გაუქმებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად არ მიეწოდება სასამართლოს, მოქმედებს მინდობილობის ძალაში ყოფნის პრეზუმფცია. შესაბამისად, ყველა საპროცესო შედეგი, რომელიც წარმომადგენელი პირის მონაწილეობით დგება, მიიჩნევა კანონიერად და მარწმუნებლისთვისაც სავალდებულოდ. კერძოდ, თუ სასამართლო წარმომადგენელს აცნობებს რაიმე საპროცესო მოქმედების შესახებ, მაგალითად, სხდომის თარიღს, ცნობა მიიჩნევა მარწმუნებლისთვისაც შეტყობინებულად.⁶³

წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელია როგორც მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმების გზით, ისე იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც მინდობილობა გასცა. მიუხედავად განხორციელების ფორმისა, სასამართლოსათვის ამ ცვლილებების შესახებ შეტყობინება წარმოადგენს გადამწყვეტ წინაპირობას, რათა შეწყვეტას მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. პრაქტიკაში დასაშვებად მიიჩნევა წარმომადგენლობის შეწყვეტის შესახებ უშუალოდ სასამართლოს პირადად ინფორმირება, მიუხედავად იმისა, გაუქმებულია თუ არა მინდობილობა ნოტარიუსის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების ან გადადების საფუძველს. ეს წესი მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს მხარის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის უფლების ბოროტად გამოყენება და საქმის განხილვის გაჭიანურება. ასევე საყურადღებოა, რომ უფლებამოსილების შეწყვეტამდე წარმომადგენლის მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებებს უნარჩუნდება იურიდიულ ძალა და მნიშვნელობა.

საპროცესო კოდექსის 100-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენელს შეუძლია ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მის მიმართ დელეგირებულ უფლებამოსილებებზე, თუმცა აღნიშნულის შესახებ დროულად უნდა შეატყობინოს როგორც მარწმუნებელს,

⁶³ იქვე, გვ.540-541.

ისე სასამართლოს. ინფორმირების ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს მარწმუნებლის უფლება, თავად ჩაერთოს სასამართლო პროცესში ან დროულად დანიშნოს ახალი წარმომადგენელი. შესაბამისად, სასამართლო განიხილავს უარის შესახებ გაკეთებულ განცხადებას მხოლოდ იმ პრიზმაში, თუ რამდენად არის დაცული მარწმუნებლის პროცესუალური უფლება - თანასწორად და დროულად ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით.

სასამართლო წარმომადგენლის განცხადებისა და მარწმუნებლის ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს შესაბამის დროის ფარგლებს, რომლის ამოწურვის შემდეგ წარმომადგენელს შეუძლია ოფიციალურად შეწყვიტოს საქმისწარმოების პროცესში მონაწილეობა. იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებელს არ ეძლევა საკმარისი დრო ან საშუალება უზრუნველყოს თავისი ინტერესების დაცვა- იქნება ეს პირადად თუ ახალი წარმომადგენლის მეშვეობით - სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვა გადადოს.

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივად ბათილობის საფუძველს წარმოადგენს ყოველგვარი შეთანხმება, რომელიც ზღუდავს ან გამორიცხავს როგორც წარმომადგენლის, ისე მარწმუნებლის უფლებას, ნებისმიერ დროს უარი განაცხადონ წარმომადგენლობით ურთიერთობაზე. ეს აკრძალავს ეფუძნება წარმომადგენლობითი მანდატის კეთილსინდისიერად განხორციელების აუცილებლობას და ემსახურება მხარეთა ნების ავტონომიისა და პროცესუალური თავისუფლების დაცვას.

საყურადღებოა, რომ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული წარმოება, მათ შორის სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურები, უნდა წარიმართოს მხოლოდ სპეციალიზებული პროფესიონალების მონაწილეობით (ბავშვის უფლებათა კოდექსის 73-ე მუხლი). შესაბამისი სპეციალიზაციის არქონის შემთხვევაში, ამ პირების მიერ მიღებული აქტები უნდა ჩაითვალოს ბათილად და არ შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივი გადაწყვეტილების საფუძველს. თუმცა აღნიშნული მოთხოვნა ვერ გავრცელდება მშობლებზე ან ბავშვის მიერ შერჩეულ წარმომადგენელზე, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ პროფესიონალ სუბიექტებს და მათი საქმიანობა არ არის დარგობრივი სპეციალიზაციის მოთხოვნის საგანი.

წარმომადგენლობის ინსტიტუტი წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს პირის, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანის, უფლებებისა და ინტერესების დაცვას სასამართლოში. ამ ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპის რეალიზება, რაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთო ფუნდამენტური ღირებულებაა. წარმომადგენლობის ინსტიტუტის ეფექტურად გამოყენება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის წინაპირობაა. ამისათვის აუცილებელია წარმომადგენლებმა კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება და იმოქმედონ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

2.2. არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის სამართლებრივი რეგულირება

ბავშვის უფლებათა კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელიც აწესრიგებს და ამყარებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს. საქართველო კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რის შედეგადაც სახელმწიფომ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი კეთილდღეობის მიზნით აიღო ვალდებულება განახორციელოს სახელმწიფოში კონვენციის დებულებების ეფექტიანი აღსრულება და შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული ზომების უზრუნველყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია უკვე მოქმედებდა საქართველოში, ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე მაინც არ არსებობდა მკაფიო, ერთიანი და შეთანხმებული მიდგომა, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის პროცესს სწორად და ეფექტურად წარმართავდა. არსებული ვითარება ქმნიდა საფრთხეს, რომ სახელმწიფოში არასრულწლოვანთა უფლებები არ იქნებოდა სათანადოდ დაცული და პრიორიტეტულად აღიარებული. ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელი გახდა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემური და მმლავრი მექანიზმების შექმნა, რომელიც ქვეყანას გრძელვადიანი და მდგრადი საკანონმდებლო რეფორმების გატარების შესაძლებლობას მისცემდა. სწორედ ამ მიზნით იქნა მიღებული 2019 წელს საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა

კოდექსი“, რომელიც ერთდროულად ეხმაურება, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებს. კოდექსის მიღებით ქვეყანამ მოახდინა თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესის გახალისება და დამატებითი ნაბიჯების გადადგმა შიდა კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის კუთხით. მსგავსი ნაბიჯები, ერთი მხრივ, ასახავს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის გარანტიას იმისათვის, რომ საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები და პრინციპები სრულად დაემთხვეს თანამედროვე გლობალურ სტანდარტებს.

საკანონმდებლო ცვლილებები მიზნად ისახავდა ბავშვთა საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებული ყველა პრობლემური სფეროს დარეგულირებას და ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნას, რომელიც სათანადო გარანტიებს შექმნიდა ბავშვის როგორც საპროცესო, ასევე მატერიალური უფლებების დაცვის კუთხით. ამ მიზნებისათვის, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული აქტის ან რეგულაციის შემუშავება, აუცილებელი გახდა სრულიად ახალი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვის უფლებების გაფართოებას, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებების შეზღუდვის პროპორციულად. ამგვარი მიდგომა განსაზღვრავს არასრულწლოვანთა დაცვის მაღალ სტანდარტებს და მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა მანიპულაციისა და სხვა სახის არასამართლიანი ქმედებების პრევენციისაკენ. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებას მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც შეეხო, როგორც საქართველოს კანონს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს, ასევე საქართველოს კანონს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“-ს, შესაბამისად, ახალმა საკანონმდებლო რეგულაციებმა მოიცვა, როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ კანონმდებლობა⁶⁴. არსებული ცვლილებები გვიჩვენებს, არა მხოლოდ სამართლებრივი ჩარჩოების გამყარებას, არამედ სიღრმისეული ტრანსფორმაციის პროცესს, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ეფექტურობის გაზრდაზე.

⁶⁴ კანონი ბავშვის უფლებების მხარეს დგას - „ახალგაზრდა ადვოკატები“, 2020, http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1546 > [30.04.2025].

სახელმწიფოებრივი ვალდებულებების პარალელურად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების მოვალეობა გააჩნია მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს, ოჯახს.⁶⁵ ერთი მხრივ, ისინი თავად განსაზღვრავენ ბავშვის აღზრდის პრიორიტეტულ მიმართულებებს, თუმცა, მეორე მხრივ, შეზოჭილნი არიან იმ ობიექტური ჩარჩოებით, რომელიც წარმოადგენს ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარანტიას. კოდექსის კონცეფციის თანახმად, ბავშვზე ზრუნვის უფლება და ვალდებულება სწორედ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია, ამდენად არასრულწლოვანთა კეთილდღეობა, პირველ რიგში, ოჯახის ფუნქციაა და იმ შემთხვევაში თუ ამის გათვალისწინება არ ხდება და ბავშვის კანონიერ ინტერესებს ექმნება საფრთხე, სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე ერთვება სახელმწიფო.⁶⁶

სწორედ ამიტომ საკანონმდებლო რეფორმებმა არსებითად შეცვალა ბავშვისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებრივი ბალანსი და მინიმუმამდე დაიყვანოს ყოველგვარი რისკი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა დაცვა ყოველთვის არ ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან კეთილსინდისიერად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც უფროსებისა და შვილების ინტერესები არ არის თანხვედრაში, მანიპულირებენ და მოქმედებენ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. თუ საკანონმდებლო რეფორმებამდე მშობელს პრაქტიკულად უპირობო უფლება ჰქონდა ემოქმედა შვილის სახელით, ახალი რეგულაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას, ზრდის ბავშვის უფლებებს და გარკვეულ შემთხვევებში, ზღუდავს მშობლის უფლებამოსილებას. მშობლის როლი უმეტესწილად განისაზღვრა, როგორც მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის ფუნქცია, ვიდრე ბავშვის სახელით გადაწყვეტილებების უპირობო მიღების პრეროგატივა.

მშობლების უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძველებს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შვილის ურთიერთშეთანხმებით აღზრდის ვალდებულებას⁶⁷, რაც გულისხმობს, მშობლების თანაბარ

⁶⁵ Schmahl S. „Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle“, Handkommentar, Nomos Verlag, Baden-baden, 2017, გვ. 99.

⁶⁶ კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, გვ.65, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025].

⁶⁷ იქვე, მუხლი 1200, ნაწილი 1.

მონაწილეობას და ერთობლივ პასუხისმგებლობას ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარების უზრუნველყოფაში. მშობლები ვალდებული არიან შეთანხმდნენ შვილთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა: განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, აღზრდის მეთოდები, თავისუფალი დროის ორგანიზება, რელიგიური და კულტურული საკითხები. მშობლებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევებში რეკომენდებულია კონსტრუქციული დიალოგი, კომპრომისი, ბავშვის ინტერესების პრიორიტეტულად აღიარება, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის ან სპეციალისტის ჩართვა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შეთანხმება შეუძლებელი ხდება და კონფლიქტი ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს ზიანს აყენებს, მაშინ სადავო საკითხს განიხილავს და წყვეტს სასამართლო. ამ პროცესში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მშობლების წარმომადგენლობის უფლება დროებით შეჩერებულია⁶⁸. აღნიშნული რეგულაციის მიზანია დავა განხილული იქნეს ობიექტურად და მიუკერძოებლად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მშობლები წარმოადგენენ მხარეებს და შესაძლებელია მათი ინტერესები არ შეესაბამებოდეს ბავშვის ინტერესებს.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის შესაძლებლობას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე,⁶⁹ რა დროსაც ერთი მშობლის ზრუნვის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს მეორე მშობლის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლებს შორის არსებული უთანხმოება ქმნის დაბრკოლებას ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული შეთანხმების მიღწევისათვის. აღნიშნული რეგულაცია შეეხება საოჯახო სამართლის სფეროს და მოიცავს რამდენიმე ძირითად ასპექტს:

მშობლის უფლებები და მოვალეობები - კანონმდებელი მშობლებს ანიჭებს არა მხოლოდ უფლებებს, არამედ აკისრებს მოვალეობებსაც შვილების მიმართ, რაც ქმნის კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან პასუხისმგებლობას, რომელიც იწყება ბავშვის ჩასახვის მომენტიდან და მიზნად ისახავს მისი ფიზიკური, გონებრივი, ემოციური და სოციალური კეთილდღეობის სრულფასოვან უზრუნველყოფას. მშობლის ძირითადი უფლებები და მოვალეობებია: შვილის აღზრდა, განათლების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, შვილის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებზე

⁶⁸ იქვე, მუხლი 1200, ნაწილი 2.

⁶⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 1205, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133> [30.04.2025].

ზრუნვას, აგრეთვე ბავშვის წარმომადგენლობას სამართლებრივ ურთიერთობებში. ამ უფლებათა რეალიზება არა მხოლოდ სამართლებრივი ვალდებულებების ჭრილში განხილება, არამედ წარმოადგენს მშობლის ეთიკურ, მორალურ და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, რაც განაპირობებს ბავშვის ჰარმონიულ განვითარებასა და საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას;

შეზღუდვის მექანიზმი - ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა დაუშვებელია თვითნებურად ან მხოლოდ ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული პრეროგატივა ექსკლუზიურად ეკუთვნის სასამართლოს, რაც უზრუნველყოფს პროცედურის სამართლებრივად გამართულ და ობიექტურ განხილვას. მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიერ განხორციელებული ქმედებები ქმნის რეალურ საფრთხეს ბავშვის განვითარებისთვის, ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის. ასეთი მიდგომა მიზნად ისახავს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას და მისი კეთილდღეობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას საკანონმდებლო მექანიზმების საშუალებით.

გამონაკლისი - სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის ითვალისწინებს სამართლებრივ რეზერვაციას, რომელიც მიანიშნებს შესაძლო გამონაკლისებზე ზოგადი წესიდან. აღნიშნული ფორმულირება „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი“ - გულისხმობს, რომ სამართლებრივი ნორმის მოქმედება შეიძლება შეიცვალოს ან დასტაბილურდეს სპეციალური წესით, რომელიც უშუალოდ გათვალისწინებულია თავად სამოქალაქო კოდექსით ან ბავშვის უფლებათა დაცვის სხვა სპეციალური სამართლებრივი აქტებით. გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ოჯახური ცხოვრების შეზღუდვა მშობლების მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს გადაუდებელ აუცილებლობასთან და აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დაუყოვნებელი რეაგირება ბავშვის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დასაცავად. ანალოგიური შეზღუდვა დაშვებულია აგრეთვე მაშინ, როდესაც მყარი და საკმარისი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბავშვს საფრთხე ემუქრება უშუალოდ მშობლის მხრიდან. თუმცა მიუხედავად აღნიშნული დროებითი ღონისძიებისა, საკითხის საბოლოო გადაწყვეტა - მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვის ან შეჩერების თაობაზე - წარმოადგენს მხოლოდ და

მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს პროცედურების კანონიერებასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ამგვარ ვითარებაში სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, რომ განხორციელებული შეზღუდვა იყო პროპორციული, უკიდურესად აუცილებელი და განპირობებული გადაუდებელი საჭიროებით, ხოლო გამოყენებული ღონისძიება წარმოადგენდა ერთადერთ შესაძლო და ეფექტურ გზას ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველსაყოფად. ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვისას უნდა განხორციელდეს შეზღუდვითი ღონისძიების გავლენის ანალიზი მშობელთა და შვილებს შორის არსებულ ურთიერთობაზე. ამასთან, სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს, არსებობდა თუ არა ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატიული ზომები, რომელთა გამოყენება ოჯახის ერთობაზე ნაკლებ გავლენას მოახდენდა და ამავდროულად უზრუნველყოფდა ბავშვის ინტერესების სათანადო დაცვას.⁷⁰

ევროპული სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და განმარტა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაუდებელი ღონისძიების გამოყენება იყო არამართლზომიერი, რადგან საქმეში არ არსებობდა მყარი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა საფრთხის არსებობას. გარდა ამისა სასამართლო განმარტავს, რომ დედის მიმართ გამოყენებული ღონისძიებები იყო არაპროპორციული და სახელმწიფოს შეეძლო ნაკლებად შემზღუდავი სხვა ალტერნატივების გამოყენება.⁷¹

სასამართლო უფლებამოსილია, სამოქალაქო სამართალწარმოების გზით, შეზღუდოს მშობლის ცალკეული უფლება ან/და მოვალეობა დანარჩენი უფლება-მოვალეობებისგან დამოუკიდებლად⁷², რაც პროპორციული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების. სასამართლო, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, თუ მიიჩნევს, რომ მშობელს არ შეუძლია სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისი პასუხისმგებლობები ან უფლებები, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შეზღუდავს კონკრეტულ უფლებას ან მოვალეობას, მაგალითად, მეურვეობას, ბავშვის

⁷⁰ „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა“, 2017, გვ.128, <https://bit.ly/3AOFpXz>; [30.04.2025].

⁷¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N25702/94 (12.07.2001) საქმეზე K. and T. V. Finland, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-58576%22%7D> [30.04.2025].

⁷² იქვე, მუხლი 1205, ნაწილი 2.

ადგილსამყოფლის განსაზღვრას, წარმომადგენლობას ან მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. გარდა ამისა სასამართლო განიხილავს სხვადასხვა ფაქტორებს, როგორიცაა მშობლის მდგომარეობა (ფიზიკური, ფსიქიკური), სოციალური და ფინანსური პირობები, ბავშვის სურვილები და მისი კეთილდღეობა. როდესაც რამდენიმე ელემენტის თანხვედრა ხდება, თითოეული მათგანის წონისა და მნიშვნელობის შეფასება უნდა მოხდეს კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.⁷³

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა არასრულწლოვანის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის უფლების შესახებ იმ პირობებში, როდესაც მშობლებს შორის არ არსებობდა შეთანხმება⁷⁴. სარჩელი შეეხებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის (სასამართლოს დროებითი განკარგულება) 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებს რომელიც სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მშობლებს შორის არსებული დავის შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ერთ-ერთ მშობელს აუკრძალოს არასრულწლოვანის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაყვანა. სარჩელის მიხედვით, აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლთან მიმართებაში (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით, ახალი რედაქციით -14-ე მუხლი - „მიმოსვლის თავისუფლება“), რომლითაც გარანტირებულია ქვეყნის თავისუფლად დატოვების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ქვეყნის დატოვების უფლება ისეთი კატეგორიის უფლებას განეკუთვნება, რომლის განხორციელებაც არასრულწლოვანის მიერ უშუალოდ შეუძლებელია და დამოკიდებულია მშობელთა ნებაზე. ამასთან ორივე მშობელი თანაბრად არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები ბავშვის სახელით, მათ შორის განხორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებები. შესაბამისად, ქვეყნის დატოვება წარმოადგენს არასრულწლოვანის განვითარებისათვის არსებითად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ვერ განხორციელდა მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის გადაწყვეტილებით - ამ მიზნით აუცილებელია მშობლებს შორის შეთანხმება. სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლებს შორის კონსენსუსი არ არსებობს,

⁷³ Committee on the Rights of the child, General Comment, N14 , UN Doc CRC/C/GC/14, 2013, გვ.17.

⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/16/1212 გადაწყვეტილება (28.12.2017) საქმეზე, საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1697> [30.04.2025].

საჭიროა სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ერთ-ერთი მშობლის ნების ჩანაცვლებას არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინებით. განხილულ საქმეში აღნიშნული ფუნქცია სასამართლომ შეითავსა და გადაწყვეტილება მიიღო არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რას სრულად შეესაბამება კონსტიტუციურ მოთხოვნებს. საბოლოოდ სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმა არ არღვევს არასრულწლოვანის კონსტიტუციით დაცულ ქვეყნის დატოვების უფლებას, არამედ ქმნის ამ უფლების რეალიზებისათვის აუცილებელ კონსტიტუციურად დასაშვებ სამართლებრივ გარანტიას, შესაბამისად საკონსტიტუციო სარჩელი არ დაკმაყოფილდა.⁷⁵

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია ორივე მშობელს შეეზღუდოს მშობლის უფლება ან მოვალეობა, რა დროსაც წარმოიშობა მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის აუცილებლობა.⁷⁶ სასამართლოს ასევე გააჩნია მშობლებისათვის წარმომადგენლობით უფლებამოსილების შეჩერების კომპეტენცია დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე⁷⁷. მოცემულ შემთხვევებში ბავშვის ინტერესებს დაცვის მიზნით, საქმის განხილვის პროცესში აქტიურად ერთვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ბავშვისათვის დამოუკიდებელი წარმომადგენლის დანიშვნა. საპროცესო წარმომადგენელი უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებასა და დაცვას სასამართლო პროცესის განმავლობაში, აფასებს ბავშვის მდგომარეობასა და საჭიროებებს და სასამართლოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს. აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ სასამართლო დავა არ გადაიზარდოს მშობლებს შორის პირად კონფლიქტში, არ მოხდეს ბავშვით მანიპულირება და საბოლოოდ მიღებული იქნას გადაწყვეტილება, რომელიც ორიენტირებულია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე.

აღნიშნული უფლება ასევე რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია მშობლის უფლებების განხორციელება ბავშვის ინტერესების საზიანოდ. მშობელთა უფლებამოსილება უნდა

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 1205, ნაწილი 3, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133> [30.04.2025].

⁷⁷ იქვე, მუხლი 1205¹, ნაწილი 1.

განხორციელდეს ბავშვთა საჭიროებებსა და უფლებებზე მორგებული დაბალანსებული მიდგომით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ აღზრდისა და განათლების ხელშეწყობას, არამედ ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას. მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვისადმი მზრუნველობა, აღზრდის პროცესში პოზიტიური მიდგომების გამოყენება, აგრეთვე ბავშვის დაცვა ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან, მათ შორის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური ზეწოლისგან. მშობელთა ქმედებები ყოველთვის მიმართული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისაკენ, მათ შორის არასრულწლოვანის უფლებების რეალიზაციისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფისაკენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის რეგულაციას,⁷⁸ რომელიც წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლებად მკაცრი და შემზღუდავი საშუალება ამოწურულია ან ვერ უზრუნველყოფს დასახულ ლეგიტიმურ მიზანს. პროცედურის დაწყება შესაძლებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან თავად არასრულწლოვანის ინიციატივით. ამ დროს სასამართლოს ევალება უზრუნველყოს, რომ ყოველი მსგავსი ჩარევა ემყარებოდეს პრინციპს „ultima ratio” – როგორც უკიდურეს და აუცილებელ ზომას მშობლის უფლება-მოვალეობის ჩამორთმევის საქმეში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედების საწყისი ეტაპიდანვე გათვალისწინებული იყო არასრულწლოვანი პირის ინტერესთა უპირატესობის პრინციპი გარიგების დადების პროცესში. გარიგების ვალიდურობა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო არასრულწლოვანისათვის სარგებლის მოტანაზე⁷⁹, რაც ეფუძნებოდა ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული რეგულირების განხორციელება დაექვემდებარა მხოლოდ და მხოლოდ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის დისკრეციას, რომლის შეხედულებითაც ფასდებოდა გარიგების განხორციელების მიზანშეწონილობა და ბავშვის ინტერესების დაცულობა. მოცემულ

⁷⁸ იქვე, მუხლი 1206.

⁷⁹ იქვე, მუხლის 63, ნაწილი1.

ნორმატიულ ჩარჩოში არ არსებობდა არც ერთი ეფექტიანი კონტროლის ან ზედამხედველობის მექანიზმი, რომელიც ობიექტურად შეაფასებდა, თუ არა კონკრეტული გარიგება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესს, როგორც ეს განისაზღვრა ბავშვის უფლებათა კონვენციითა და უკვე ეროვნული კანონმდებლობითაც.

სამართლებრივი რეალობა ეფუძნება ფორმალურ პრეზუმფციას, რომლის თანახმადც მშობლის ქმედება ყოველთვის ითვლებოდა არასრულწლოვანის ინტერესების შესაბამისად, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა ქონებრივი გარიგების დასაბუთებულ შეფასებას. აღნიშნული მიდგომა, საბოლოო ჯამში, ქმნიდა საფრთხეს არასრულწლოვანის ქონებრივი უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის და უგულებელყოფდა ბავშვის ინტერესზე ორიენტირებული სამართლიანი რეგულირების არსს. ამგვარი ვითარება ნათლად მიუთითებდა სამართლებრივი რეგულაციების გამკაცრებისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობაზე. საჭირო იყო ეფექტური სამართლებრივი ბერკეტების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფდა გარიგების ნამდვილობის წინაპირობად არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების ობიექტურ და ინსტიტუციურ შეფასებას.

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებების შეზღუდვის საფუძვლები არასრულწლოვანის უფლებრივი განვითარების პარალელურად, დარეგულირდა ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას, მის საუკეთესო ინტერესებთან გარიგების შესაბამისობის კვლევის აუცილებლობას. სწორედ აღნიშნული ცვლილება დაედო საფუძვლად 2020 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების განხორციელებას, რომლითაც სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოექცა არასრულწლოვანთა საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხი.⁸⁰

საკანონმდებლო ნოვაციების შედეგად, ბავშვის უძრავი ქონების განკარგვაზე დაწესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი,⁸¹ სამოქალაქო კოდექსის 183-ე

⁸⁰შენგელია ქ. (შემდგენელი), „ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თავისებურებანი“, კრებული მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ, თბილისი, 2023, გვ.4, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/bavshvis%20qonebis%20gankargva.pdf> [30.04.2025].

⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ს-1198-2021 (20.06.2022), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/70199/1> [30.04.2025].

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა დასაშვებია მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებული სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი მიმართულია არასრულწლოვანის ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფისაკენ⁸² და ადგენს გამონაკლის სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლისაგან, რომელიც განსაზღვრავს მშობლის შეუზღუდავ წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. კანონმდებელი ბავშვის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გამოვლენილ ნებას, უქვემდებარებს სასამართლო კონტროლს.⁸³ კერძოდ, იმისათვის რომ უძრავი ქონებაზე შესრულდეს ტრანზაქცია, აუცილებელია აღნიშნული ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდეს არასრულწლოვანს და რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში. ამ პირობების არსებობისას, ქონების განკარგვამდე საჭიროა სასამართლოს თანხმობა, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ქონებრივი ინტერესების დაცვას და გარიგების კანონიერებას.⁸⁴

არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების განკარგვის სამართლებრივი რეგულირების კონტექსტში, საკანონმდებლო ნორმატიულმა ჩარჩომ განიცადა საგნობრივი კონკრეტიზაცია და ზღვრული დეფინიცირება, რაც ცალსახად ასახავს კანონმდებლის მიერ ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვისადმი გაცხადებულ პრიორიტეტებს. მოქმედი სამართლებრივი რეგულაციის თანახმად, იმ მოძრავი ნივთების განკარგვა, რომელთა ღირებულება აღემატება 1 000 ლარს, არასრულწლოვანის მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ქმედება ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მიღებულია შესაბამისი სასამართლო თანხმობის საფუძველზე⁸⁵. აღნიშნული დებულება ემყარება ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და

⁸² თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/6490-21 (23.09.2021).

⁸³ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/18275-21 (03.11.2021).

⁸⁴ ბურდული ი. „მშობლის მიერ არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის საკითხისათვის: „ჭურჭალი „შედარებითი სამართალი“, 12, გვ.3, 2020. https://lawjournal.ge/wp-content/uploads/2021/01/DGZR-12-2020_1.pdf [30.04.2025].

⁸⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 186, ნაწილი 1¹, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133> [30.04.2025].

საერთაშორისო პრინციპებს და მის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა არახელსაყრელი, არაკონტროლირებადი ან პოტენციურად მავნებელი გარიგებებისაგან. ღირებულების ზღვრის - 1 000 ლარის განსაზღვრა განპირობებულია საჭიროებით, გამოყოფილ იქნეს ისეთი ქონებრივი გარიგებები, რომლებიც შეიძლება არსებითად აისახოს ბავშვის ფინანსურ მდგომარეობასა და მომავალ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. სასამართლოს ინსტიტუციური მონაწილეობა ამ პროცესში განიხილება, როგორც დამატებითი გარანტია იმისა, რომ თითოეული ინდივიდუალური შემთხვევა შეფასდეს ბავშვის საჭიროებებისა და გრძელვადიანი ინტერესების შესაბამისად. ამგვარი მიდგომა სრულ თანხვედრაშია ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის ბავშვთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, რომელიც სახელმწიფო ავალდებულებს გამოიყენოს ეფექტიანი და მიზნობრივი ზომები არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლებების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, არასრულწლოვანის ქონების გასხვისებისას სასამართლოს თანხმობის მოთხოვნა მიზნად ისახავს ბავშვის უფლებების დაცვას, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, საკუთრების დაკარგვის რისკების თავიდან აცილებას და საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფას. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა, გამორიცხოს არასრულწლოვანის ქონების არამიზნობრივი განკარგვის შემთხვევები. ქონების არამიზნობრივი გამოყენება გულისხმობს ისეთ სარგებლობას, რომელიც იწვევს ბავშვის ქონების შემცირებას ან სრულ განადგურებას⁸⁶ და ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 24-ე მუხლი კრძალავს მშობლის მიერ უფლებამოსილების იმგვარ განხორციელებას, მათ შორის, ბავშვის ქონების ისეთ განკარგვას, რომელიც ხელყოფს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს. დაუშვებელია ისეთი ქმედებები, რომლებიც ბავშვის ფიზიკურ, ემოციურ, განათლების ან ფინანსურ მდგომარეობას უქმნის საფრთხეს. განსაკუთრებით, ბავშვის ქონების მართვისას, მშობელი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად და წინდახედულად, რათა

⁸⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/6490-21 (23.09.2021).

უზრუნველყოს ქონების შენარჩუნება და ეფექტური გამოყენება ბავშვის საჭიროებებისა და მომავალი კეთილდღეობის გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოების ვალდებულებებზე საუბრისას ხაზგასმით მიუთითებს, რომ ბავშვის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში სახელმწიფომ სათანადოდ უნდა შეაფასოს ინდივიდუალური გარემოებები. ეს შეფასება აუცილებელია, რათა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლიანად მიიღოს გადაწყვეტილება - გაიცეს თუ არა თანხმობა საკუთრების განკარგვაზე, როდესაც ეს შეფასება სათანადოდ არ ხდება სასამართლო ამას აღიქვამს როგორც ბავშვის საკუთრების უფლების დარღვევას. ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების დაცვა სახელმწიფოსთვის მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება (თავის შეკავება საკუთრების უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევისაგან), არამედ ის მოიცავს პოზიტიურ ვალდებულებებსაც, კერძოდ სახელმწიფოს ევალება, რომ გაატაროს ეფექტიანი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები, რათა უზრუნველყოს საკუთრების უფლების რეალური და პრაქტიკული დაცვა.⁸⁷ ამავე პოზიციას ეხმიანება ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს განსაკუთრებული და ეფექტური ზომები ბავშვთა ქონებრივი უფლებების დასაცავად. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ფორმალურ სამართლებრივ ჩარჩოს, არამედ აქტიურ და კონსტრუქციულ ჩარევას მაშინ, როდესაც ბავშვის ქონებრივ ინტერესებს შესაძლოა ზიანი მიადგეს. სახელმწიფოს ვალდებულებაა, წინასწარ განსაზღვროს შესაძლო რისკები და შექმნას მექანიზმები, რომლებიც ბავშვებს დაიცავს არათანაბარი, არასამართლიანი ან მათ ინტერესებთან შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღებისგან.

საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც არასრულწლოვან მემკვიდრეებს მემკვიდრეობით მიღებული ფულადი ვალდებულებების შესრულება დაეკისრათ მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. სასამართლომ გადაწყვეტილება დაასაბუთა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების უპირატესი დაცვის პრინციპით. კერძოდ, აღნიშნულმა პრინციპმა გადაწონა კრედიტორის კანონიერი მოთხოვნა,

⁸⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N13712/11 (07.05.2015) საქმეზე S.L. and J.L. v. Croatia, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-178603%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-178603%22]}) [30.04.2025]

ვინაიდან დაუყოვნებელი ვალდებულებების აღსრულება არსებითად ზღუდავდა არასრულწლოვანთა ქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს. შესაბამისად, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, დავალიანების დაფარვისა და უზრუნველყოფის რეალიზების პროცედურები გადავადებულიყო მოპასუხე პირების სრულწლოვანებამდე.⁸⁸ აღნიშნული მიდგომა ემსახურება არასრულწლოვანთა დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების განხორციელებას და ასახავს იმ სამართლებრივ პოზიციას, რომლის თანახმადაც ბავშვის ინტერესები ჭარბობს სახელშეკრულებო თავისუფლებით გამყარებულ კერძო ინტერესებზე, თუნდაც ამ უკანასკნელთა სამართლებრივი საფუძვლები დადასტურებული იყოს.

მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვის პარალელურად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღგენს ამავე შეზღუდული უფლებების აღდგენის სამართლებრივ საფუძველს. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს წესით, ბავშვის, მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით⁸⁹, რაც წარმოადგენს სამართლებრივი უსაფრთხოების და პროცესუალური გარანტიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გარანტს.

მშობლის უფლებათა აღდგენა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმოფხვრელია ის გარემოება, რომლის საფუძველზეც მოხდა უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა.⁹⁰ აღნიშნული დანაწესი ეფუძნება ე.წ. ცვლილების პრინციპს, რომ ოჯახური ცხოვრების შეზღუდვა არ შეიძლება იყოს მუდმივი, თუ რისკი აღარ არსებობს. აღდგენის საფუძველად უნდა არსებობდეს ახალი მაყრი და ობიექტურად დადასტურებული გარემოებები, იქნება ეს მშობლის რეაბილიტაცია, აგრესიული ქცევის აღმოფხვრა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება თუ სხვა.

მშობლის უფლებების აღდგენისას, სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ბავშვის მოსაზრება⁹¹, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ავტონომიის პატივისცემას, ოჯახის ხელახალი გაერთიანების პროცესში ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებას და გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას ბავშვის პერსპექტივიდან.

⁸⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N2/19616-20 (13.12.2020).

⁸⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 1209, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133> [30.04.2025].

⁹⁰ იქვე, ნაწილი 2.

⁹¹ იქვე, ნაწილი 2.

სასამართლო იკვლევს ბავშვის რეალურ დამოკიდებულებას და არ უნდა დაეყრდნოს ფორმალურ ან ზეწოლის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის განცხადებებს.

დაუშვებელია მშობლის უფლებების აღდგენა შვილად აყვანილი ბავშვის მიმართ თუ შვილად აყვანა ძალაშია⁹², რაც უზრუნველყოფს შვილად აყვანის სამართლებრივ სტაბილურობას და ბავშვის ახალი იურიდიული სტატუსის ურყეობას.

მშობლის უფლების ჩამორთმევისგან განსხვავებით, დროებითი შეზღუდვის შემთხვევაში, მშობლის უფლებები ავტომატურად აღდგება შეჩერების ვადის ამოწურვისთანავე,⁹³ რაც მიზნად ისახავს სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენას დამატებითი პროცედურული ბარიერების გარეშე თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა მექანიზმს. აღნიშნული პრინციპი ემსახურება დროებითი ღონისძიების შინაარსობრივად დროებითობას და შეზღუდვა ვერ იქცევა მუდმივ სტატუსად.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენის მექანიზმები ეფუძნება სამართლებრივი ინტერესების ფრთხილ დაბალანსებას - კერძოდ, ერთი მხრივ, ბავშვის დაცვისა და კეთილდღეობის აბსოლუტურ პრიორიტეტს და, მეორე მხრივ, მშობლის რეაბილიტაციის შესაძლებლობასა და იურიდიული სტატუსის სტაბილურობის პრინციპს. აღნიშნული მიდგომა სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლის თანახმადაც, მშობლის უფლების აღდგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გარემოებათა რეალურ შეფასებას და არა აბსტრაქტულ სამართლებრივ პრეზუმფციებს.⁹⁴

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის მარეგულირებელი არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, როგორიცაა ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირება ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით სამართალწარმოების პროცესში, ასევე კონვენცია განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის ინტერესების პრიორიტეტიზაციას. კონვენციის რატიფიცირება უზრუნველყოფს

⁹² იქვე, ნაწილი 4.

⁹³ იქვე, ნაწილი 5.

⁹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N25702/94 (12.07.2001) საქმეზე Caso K. და Y. v. Finlandia, <https://shorturl.at/adofY> [30.04.2025].

საქართველოს სამართლებრივი სისტემის ადაპტაციას და თავსებადობას საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან, რაც თავის მხრივ ზრდის ქვეყნის პასუხისმგებლობას ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. გარდა ამისა, აღნიშნული ნაბიჯი უზრუნველყოფს ბავშვის ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობის დაცვის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებთან კონტაქტის შენარჩუნება, თუნდაც რთულ ოჯახურ პირობებში, აუცილებელია ბავშვის ჯანსაღი განვითარებისათვის.

2.3. კანონიერი წარმომადგენლის შეზღუდული უფლებებით მოქმედება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით

არასრულწლოვან პირთა უფლებების დაცვა და მათზე მორგებული სამართლებრივი მექანიზმების განვითარება თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონიერ წარმომადგენლის/მშობლის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის უზრუნველყოფას, რაც განსაზღვრულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებით, ისე საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით. აღნიშნული მიზნების რეალიზებისათვის, პირველ რიგში, კანონმდებელმა ეროვნულ დონეზე უნდა განსაზღვროს გააჩნია თუ არა ბავშვებს ზრუნვის მიღების უფლება. თითოეულმა ინდივიდმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება, ხოლო დახმარების მოთხოვნა იმ პირთა პრივილეგიაა, ვისაც დამოუკიდებლად არსებობა არ ძალუძს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საჭიროების არსებობა თავისთავად არ ქმნის დახმარების მიღების უფლებას, რომლის მატარებელიც უნდა იყოს ავტონომიური გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის აღების უნარის მქონე სუბიექტი. უფლება არის კანონით დაცული არჩევანის თავისუფლება.⁹⁵ ამ კონცეფციით, არასრულწლოვანებისათვის უფლებების მინიჭება თეორი-

⁹⁵ Archard D. „Children, Family and the State”, 2003, 9; Griffin J. „Do Children Have Rights?” in: Archard D. Macleod C. „The Moral and Political Status of Children”, 2002, ch 2; Freeman M. „The Rights and Wrongs of Children”, 1983, chs 2-3; Alston P. Parker S. Seymour J. „Children, Rights and the Law”, 1992, Fortin J. Children’s „Rights and the Developing Law”, 2nd ed, 2003, ch 1; Guggenheim M. „What’s Wrong with Children’s Rights?”, 2005.

ულად პრობლემური საკითხია, რადგან მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. თუმცა ეს თეორიული დილემა, ბავშვების შემთხვევაში, იხსნება გონივრული გამონაკლისით - მათი უფლებების განხორციელება ხდება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით.⁹⁶

მშობლის ზრუნვა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ოჯახის, როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტის, დაცვის პრინციპიდან, რომელიც მიზნად ისახავს მშობლების უფლებებისა და ბავშვის ფიზიკური და სულიერი განვითარების ინტერესებს შორის ოქროს შუალედის პოვნას. ამ ბალანსის დაცვაზე ზედამხედველობას სახელმწიფო ახორციელებს, რის გამოც მშობლის ზრუნვის უფლება მოიცავს როგორც კონტროლის მექანიზმებს, ისე სასამართლოს მხრიდან რეგულირების შესაძლებლობას.⁹⁷

ევროპული კონვენციით დაცულია ყველა ინდივიდის უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ურთიერთობებს,⁹⁸ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანის ოჯახურ გარემოში ცხოვრებისა და აღზრდის შესაძლებლობის შენარჩუნებას. ოჯახური ცხოვრების შედეგად დაბადებულ ბავშვთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო საქმეში კრუნი ნიდერლანდების წინააღმდეგ, განმარტავს, რომ ასეთი ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვი, დაბადების მომენტიდანვე „ოჯახური ერთეულის“ წევრია, სწორედ ამ ფაქტის საფუძველზე.⁹⁹

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებისა და სამართლებრივი სტანდარტების ცვლილებების ფონზე, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა პრაქტიკამ ოჯახური ცხოვრების ცნება კონვენციის მე-8 მუხლის ინტერპრეტაციის ფარგლებში გაავრცელა ფორმალური ურთიერთობების ფარგლებს მიღმა და მოიაზრა ფაქტობრივი თანაცხოვრებაც, როგორც ოჯახური ცხოვრების ერთ-ერთი ფორმა. ევროპულმა სასამართლომ

⁹⁶ Hart H. „Bentham on Legal Rights”, in Simpson A., Oxford Essays in Jurisprudence, 1973, გვ.192.

⁹⁷ ჭანტურია ლ. რუსიაშვილი გ. (მთ. რედაქტორები), „სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“, წიგნი VII, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2021, გვ. 237, <https://shorturl.at/ex8HA> [30.04.2025].

⁹⁸ ევროპის საბჭოს (4.11.1950) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მე-8 მუხლი 8, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [30.04.2025].

⁹⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N18535/91 (27.10.1994) საქმეზე Caso Kroon and others v. the Netherlands, პარ., 30, <https://hudoc.echr.coe.int/rus#%7B%22itemid%22:%5B%22001-57904%22%5D%7D> [30.04.2025].

დაადგინა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებსა და მათ მშობლებს შორის ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობის განვითარებისათვის აუცილებელია, ბავშვები იმყოფებოდნენ ისეთივე სამართლებრივ თუ სოციალურ პირობებში, როგორც ქორწინებაში დაბადებული შვილები.¹⁰⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ოჯახური ცხოვრება მოიცავს იმ ურთიერთობათა ერთობას, რომელიც წარმოიშობა როგორც ქორწინებით, ისე ფაქტობრივი თანაცხოვრებით დამყარებული პარტნიორობის შედეგად.¹⁰¹ შესაბამისად დაცული სფერო საკმაოდ ფართოა და მოიცავს, როგორც ქორწინებას, ასევე საოჯახო თანაცხოვრებასა და განქორწინებასაც.

მეუღლეებს შორის ფაქტობრივი ურთიერთობების შემთხვევაში, აუცილებელია კონკრეტული გარემოების დადგენა¹⁰², რომელთა არსებობა კონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში, შესაძლებელს ხდის ურთიერთობის შეფასებას, როგორც „ოჯახური ცხოვრების“ სამართლებრივი კატეგორიის ფარგლებში მოქცეულ ურთიერთობად. აღნიშნული მიდგომა ასახავს კონვენციის დინამიკური, ე.წ. „ცოცხალი“ დოკუმენტის პრინციპზე დაფუძნებულ ინტერპრეტაციულ ჩარჩოს, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებათა შინაარსი ექვემდებარება კონტექსტურ განმარტებას.

ევროპული სასამართლო მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილ დავებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა ინტერესები მნიშვნელოვანია,¹⁰³ უნდა იყოს უპირატესი საზრუნავი¹⁰⁴ და შესაძლებელია, თავისი შინაარსითა და სერიოზულობით გადაწონოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინტერესები. აღნიშნულმა სტანდარტმა გამოხატულება პოვა საქართველოს მოქმედ კანონმდებ-

¹⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N9687/82 (18.12.1986) საქმეზე *Johmston and Others v. Ireland*, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-57508%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57508%22]}) [30.04.2025].

¹⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება N1/2/458 (10.06.2009) საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - სართანია დ., და მაჭარაშვილი ა., საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=404> [30.04.2025].

¹⁰² *Kilkelly U. „the Rights to Respect for Private and Family Life“ a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, გვ.16.

¹⁰³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N17254/11 (15.04.2014) საქმეზე *Krasicki v. Poland*, პარ., 83, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-198982%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-198982%22]}) [30.04.2025].

¹⁰⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N40031/98 (19.09.2000) საქმეზე *Affaire Gnahre v. France*, პარ.,59, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-58802%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-58802%22]}) [30.04.2025].

ლობაშიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის შესაბამისად, მშობლები თავიანთი შვილების მიმართ უფლებებსა და მოვალეობებს თანაბრად ინაწილებენ, მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა, განქორწინებულები არიან თუ ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ამასთანავე კოდექსის 1199-ე მუხლი ადგენს პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, მშობლებს აქვთ მოვალეობა, თავიანთი უფლებები გამოიყენონ ისე, რომ მათ განხორციელებას არ მოჰყვეს ბავშვის კანონიერი ინტერესების ხელყოფა.¹⁰⁵

შვილზე ზრუნვის ვალდებულება, რომელიც კანონით ორივე მშობელს ეკისრება, თავის თავში გულისხმობს, რომ თითოეულ მათგან უნდა მიეცეს რეალური შესაძლებლობა აღნიშნული ვალდებულების შესრულებისათვის.¹⁰⁶ სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ბავშვის მიმართ მშობელთა ზრუნვის უფლების ნორმატიული სტრუქტურა შექმნა, ისე რომ ბავშვზე ზრუნვის უფლება ორივე მშობელს ერთობლივად დააკისრა. ერთობლივი ზრუნვის უფლება არ გულისხმობს, რომ მშობლებმა შვილთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ყოველთვის ერთობლივად უნდა იმოქმედონ. განსაკუთრებით, ყოველდღიური ხასიათის, მცირე მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღებისას, დასაშვებად მიიჩნევა ერთი მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის უფლებამოსილების დელეგირება. აღნიშნული პრაქტიკა არ ეწინააღმდეგება ზრუნვის ერთობლივ რეჟიმს და დამკვიდრებულია როგორც სამართლებრივ პრაქტიკაში, ისე სასამართლო უწყებათა განმარტებებში.

საერთო ზრუნვის უფლებიდან გამომდინარეობს მშობლის მიერ ურთიერთშეთანხმებით მოქმედების აუცილებლობა იმ საკითხებში, რომლებიც არსებითად ეხება არასრულწლოვანის განვითარებას, აღზრდისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვან ასპექტებს,¹⁰⁷ ხოლო იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია მშობლებს შორის შეთანხმება და არ არსებობს საერთო აზრი და ერთიანი მიდგომა ბავშვის აღზრდისა და მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესში, არასრულწლოვანის ინტერესების

¹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ს-997-2024 (11.10.2024), პარ., 34, <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/73603/1> [30.04.2025].

¹⁰⁶ შენგელია რ. „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, ჭანტურია ლ. (რედაქტორი), 2000, მუხლი 1197, გვ. 169.

¹⁰⁷ ჭანტურია ლ. რუსიაშვილი გ. (მთ. რედაქტორები), „სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“, წიგნი VII, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2021, გვ. 238-239, <https://shorturl.at/ex8HA> [30.04.2025].

დაცვას უზრუნველყოს სახელმწიფო, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმებითა და ინსტიტუტებით.

მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წარმოადგენს არასრულწლოვანის სახელით მოქმედ უფლებამოსილ პირს, რომლის საქმიანობაც ფორმალურად მიმართულია ბავშვის უფლებებისა და სამართლებრივი ინტერესების დაცვაზე. თუმცა სამართლებრივი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გარკვეულ გარემოებებში კანონიერი წარმომადგენლის მოქმედება შესაძლოა შეუსაბამო ან ზიანის მომტანი აღმოჩნდეს ბავშვისათვის. ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებულია კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების რეალიზების გარკვეული შეზღუდვები, რაც ეფუძნება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების უპირატესობის პრინციპს.

საუკეთესო ინტერესების პრინციპი წარმოადგენს იმ პრიზმას, რომლის მეშვეობითაც შეფასდება ნებისმიერი მოქმედება ან გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება არასრულწლოვანს. აღნიშნული პრინციპი განასახიერებს ბავშვის პიროვნული, გონებრივი, ემოციური, სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების კომპლექსურ ანალიზს, რაც საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს არასრულწლოვანის ყოვლისმომცველი დაცვის უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვა არ გულისხმობს მათი როლის ან ფუნქციის გაუქმებას. პირიქით, ეს წარმოადგენს სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც განკუთვნილია ბავშვთა უფლებრივი სივრცის დასაცავად იმ შემთხვევაში, როდესაც თვით წარმომადგენლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რისკებს უქმნის არასრულწლოვანის ფუნდამენტურ ინტერესებს. ამრიგად სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს კანონიერი წარმომადგენლის შეზღუდული უფლებებით მოქმედებას, ემსახურება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის უმთავრეს მიზანს და წარმოადგენს უფლებრივ ბალანსს ბავშვის დაცულობასა და მშობლის კანონიერ უფლებამოსილებას შორის. ასეთი მიდგომა გამოხატავს სახელმწიფოს პოზიციას, რომ ბავშვთა უფლებები არ დარჩეს მხოლოდ სუბიექტური შეხედულებების ან კეთილი ნების ფარგლებში, არამედ მოითხოვს ობიექტურ და სამართლებრივად დასაბუთებულ

რეაგირებას ყოველი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ხსენებულ პრინციპებს შეიძლება შეეხოს.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძველია სასამართლოსათვის მიმართვა, რის შემდგომაც სასამართლომ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება მშობლისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის, შეჩერების ან შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ჩამორთმევის შესახებ.

მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ინტერესების განსაკუთრებულ დაცვას, მის აქტიურ მონაწილეობასა და უშუალო ჩართულობას სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესში. შეზღუდვა მიზნად ისახავს, რომ ბავშვმა შეძლოს თავისი მოსაზრების, სურვილებისა და პოზიციის გამოხატვა ისეთი გარემოს პირობებში, სადაც მის მიერ გამოთქმული მოსაზრება თავისუფალია ზეწოლისაგან. ამგვარი მონაწილეობა ხელს უწყობს არასრულწლოვანის თვითშეფასების, პასუხისმგებლობისა და საკუთარი ინტერესების დაცვის უნარის ფორმირებას. იგი უფლებამოსილია არა მხოლოდ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, არამედ მოითხოვოს, რომ სასამართლომ სათანადო ყურადღება დაუთმოს მის შეხედულებებს. სასამართლო არასრულწლოვანის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს სპეციალურ წარმომადგენელს ან/და იყენებს სხვა ალტერნატივებს, როგორიცაა ფსიქოლოგის მონაწილეობა, პროცესის არასტრესულ ადაპტირებულ გარემოში წარმართვა, ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისი მექანიზმების გამოყენება. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს სამართლიან მართლმსაჯულებას, რომელიც არამხოლოდ ფორმალურად ითვალისწინებს არასრულწლოვანის ინტერესებს, არამედ მას რეალურად აძლევს შესაძლებლობას იყოს პროცესის აქტიური მონაწილე.

სამოქალაქო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა განსაკუთრებული დაცვის ობიექტად აქცია ბავშვის საკუთრების უფლება და აღნიშნული კუთხით არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხი იმპერატიულად სასამართლოს მიანდო. არსებული მიდგომა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტს. სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფომ გადაწყვეტილების მიღებისას სათანადოდ გაითვალისწინოს კონკრეტული

შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებები. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ბავშვის საკუთრების განკარგვაზე ნებართვის გაცემას. მსგავსი შეფასების არარსებობის შემთხვევაში, არსებობს რისკი ბავშვის საკუთრების უფლების დარღვევისა.¹⁰⁸

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკამათო და არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენდა საკითხი იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულად თუ რა სახის გარიგების დადებისას იყო საჭირო სასამართლოს წინასწარი თანხმობა არასრულწლოვანის სახელით მოქმედებისას. აღნიშნული პრობლემატიკა უკავშირდება სამართლებრივი რეგულაციის არასაკმარის განსაზღვრულობას და იწვევდა განსხვავებულ სამართლებრივ მიდგომებს, როგორც სამართლის დოქტრინაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში, რაც ქმნიდა გაურკვევლობას არასრულწლოვანთა ქონებრივი ინტერესების დაცვასთან მიმართებით.

მიმდინარე ეტაპზე, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, კერძოდ საქართველოს 183-ე და 186-ე მუხლების გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, მკაფიოდ არის განსაზღვრული ის გარიგებების კატეგორია, რომელთა განხორციელებაც საჭიროებს სასამართლოს წინასწარ თანხმობას, ასეთ გარიგებად მიიჩნევა არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა და 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვა, რაც გულისხმობს საკუთრების უფლების გადაცემას, მათ შორის, გაყიდვის, ჩუქების, გადაცვლის და სხვა ანალოგიური სახის ტრანზაქციებს. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება იმ გარიგებებზე, რომლებიც ეხება ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემას, მათ შორის, გაქირავებასა და იჯარით გადაცემას, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკუთრების უფლება კვლავ არასრულწლოვანს რჩება და ფაქტობრივად არ იცვლება.¹⁰⁹ დასახელებული სამართლებრივი რეგულაცია ემსახურება არასრულწლოვანთა ქონებრივი ინტერესების მაქსიმალურად დაცვას და უზრუნველყოფს გარიგების კანონიერების კონტროლს სასამართლოს მხრიდან, რაც

¹⁰⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N13712/11 (30.01.2016) საქმეზე S.L. და J.L. v. Croatia, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-178603%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-178603%22]}) [30.04.2025].

¹⁰⁹ უტიაშვილი ქ. „არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის თავისებურებანი - არსებული პრაქტიკა“, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, N8, 2022, <https://shorturl.at/K08eB> [30.04.2025].

მიზნად ისახავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის არაკეთილსინდისიერი ქმედებების პრევენციას და ხელს უწყობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

მოცემული რეგულაციის ქვეშ არ მოიაზრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლით გათვალისწინებული არამატერიალური საკუთრება, მათ შორის საბავშვო საბანკო ანაბარი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბანკებმა საბავშვო ანაბრებიდან თანხის გატანაზე უარის თქმის სამართლებრივ დასაბუთებად ზემოხსენებული რეგულაციები მოიშველიეს. თუმცა, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ანაბარი თავისი არსით არ წარმოადგენს ბავშვის საკუთრებაში არსებულ არც მოძრავ და არც უძრავ ნივთებს. შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-11 ნაწილის ამ ურთიერთობაზე გავრცელების სამართლებრივი საფუძველი. გარდა ამისა, განხილული საკითხი არც კანონშემოქმედთა მიზნებს წარმოადგენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტის განმარტებით ბარათში ამის შესახებ პირდაპირ მიეთითებოდა.¹¹⁰

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს წინაშე დგას არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მათ შორის საცხოვრებელი ბინის, გასხვისების ნებართვის გაცემის საკითხი, სასამართლო თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია არ შემოიფარგლოს მხოლოდ გარიგების სამართლებრივი ფორმალური შესაბამისობის შემოწმებით, უნდა ჩატარდეს საკითხის ყოვლისმომცველი და სიღრმისეული ანალიზი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების ჭრილში, რაც გულისხმობს გარიგების მიზანშეწონილობისა და არსებითი პირობების კრიტიკულ შეფასებას. სასამართლომ უნდა დაადგინოს თუ რა მიზანს ემსახურება ქონების გასხვისება, არის თუ არა ეს ნაბიჯი განპირობებული არასრულწლოვანის კეთილდღეობით, არსებობს თუ არა ობიექტური არსებითი და დოკუმენტურად დადასტურებული აუცილებლობა, რომელიც ამართლებს ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყიდვას; ასევე უნდა შეფასდეს გარიგების სავარაუდო ეკონომიკური ღირებულება, გარიგების პირობების სამართლიანობა და უპირატესობა ბავ-

¹¹⁰ კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, გვ.162, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025].

შვისათვის. ბავშვის საკუთრების განკარგვა, მათ შორის გასხვისება, დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სრულად პასუხობს არასრულწლოვანის რეალურ და პირდაპირ ინტერესებს. ბავშვის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ემსახურება ბავშვის უმნიშვნელოვანეს საჭიროებებს, როგორცაა მისი ჯანმრთელობის დაცვა, განათლების მიღება, უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და სხვა არსებითი მიზნები.¹¹¹

სასამართლო ასევე ვალდებული გაანალიზოს, რამდენად გონივრულად გამჭვირვალედ და მიზნობრივად არის დაგეგმილი ნასყიდობის შედეგად მიღებული თანხის გამოყენების საკითხი. შეფასებისას ყურადღება ექცევა იქნება თუ არა მოზიდული ფინანსური რესურსები სრულად მიმართული არასრულწლოვანის ინტერესების რეალიზაციასა და განვითარებაზე და არსებობს თუ არა გარანტიები, რომ აღნიშნული თანხა არ იქნება არამიზნობრივად გამოყენებული მესამე პირების ან ოჯახის სხვა წევრების ინტერესებისათვის.

ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტისას არსებით მნიშვნელობას იძენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სამართლებრივი პოზიცია. აღნიშნული ორგანო კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანის სახელზე რეგისტრირებული ქონებრივი უფლებების განკარგვასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, ისე, რომ არ შეილახოს არასრულწლოვანის კანონით დაცული ეკონომიკური ინტერესები. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აფასებს ქონებრივი გარიგების მიზანშეწონილობას, მის აუცილებლობას, ასევე სავარაუდო ზეგავლენას არასრულწლოვანის ინტერესებზე, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში. აღნიშნული შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივი გარემოებების დეტალურ ანალიზს. ამრიგად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობა წარმოადგენს ქონებრივი გარიგების სამართლებრივი ლეგიტიმაციის აუცილებელ წინაპირობას და გამორიცხავს ფორმალურ მიდგომას.

¹¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება N28/3275-15 (06.10.2015), პარ. 4.7.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ასახავს მიდგომას, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანის საკუთრების იპოთეკით დატვირთვის გზით სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებისას პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოქმედებით, არამედ შესაძლოა გადანაწილდეს კრედიტორზეც. აღნიშნული შეფასება ეფუძნება კეთილსინდისიერად მოქმედების ტესტს, რომლის თანახმადაც, კრედიტორს სესხის გაცემის მომენტში უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა სესხის ამღების დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობის შესახებ, რაც წარმოადგენს სავალდებულო წინაპირობას გარიგების ნამდვილი ხასიათის დასადგენად. გარდა ამისა, თუ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილია მხოლოდ არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ქონება და არ არსებობს აღებული სესხის დაბრუნების რეალისტური მექანიზმები, ასეთ შემთხვევაში კრედიტორის ქმედება განიხილება, როგორც საზოგადოებრივად დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების დარღვევა. აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ ქმნის იურიდიულ საფუძველს გარიგების ბათილად ცნობისათვის, კეთილსინდისიერების პრინციპის უგულვებელყოფის გამო.¹¹²

სამოქალაქო წარმოების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია სამართლებრივი ასპექტების ისეთი შემთხვევების განხილვა, როდესაც არასრულწლოვანი ფლობს თანაზიარი საკუთრების უფლებას, კერძოდ, მის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონების წილი. უფლებამოსილი სრულწლოვანი პირი, რომელიც ინიცირებს საერთო ქონების გაყიდვას, საერთო პრინციპის შესაბამისად, არ შეიძლება შეეზღუდოს საკუთრების უფლებით გათვალისწინებული სარგებლობისა და განკარგვის უფლება. თუმცა თუ ქონების გაყიდვა შეუძლებელია არასრულწლოვანის წილის გასხვისების გარეშე, აუცილებელია სასამართლოს ნებართვის მიღება. ამ შემთხვევაში სასამართლოს აქვს გადაწყვეტილების მიღების დისკრეციული უფლებამოსილება. სასამართლო ნებართვა გაცემს მხოლოდ იმ პირობით თუ ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წილის ღირებულებას მხარე განათავსებს სპეციალურად არასრულწლოვანის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშზე. აღნიშნული ქონებრივი ფასეულობა სრულად

¹¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება Nას-1498-1418-2017 (08.06.2018), პარ.67, <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/60695/1> [30.04.2025].

უნდა განიკარგოს არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ცხადად დასტურდება, რომ მიღებული თანხის გამოყენება მოხდება ბავშვის კეთილდღეობისათვის, მათ შორის, უკეთესი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შესაძენად ან სხვა საჭირო მიზნებისათვის. შესაბამისად, არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წილის გასხვისების შედეგად მიღებული თანხის განკარგვის შესაძლებლობა ასევე საჭიროებს სასამართლოს წინასწარ ნებართვას, რაც ბავშვის მშობელმა/წარმომადგენელმა უნდა მოიპოვოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ, მოქმედ სამართლებრივ რეალობაში დაწესდა არაერთი ნორმატიული ბარიერი, რაც მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა საკუთრების უპირობო დაცვის უზრუნველყოფას. შედეგად, მნიშვნელოვნად გამკაცრდა ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებული პროცედურები. გარდა ამისა სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა მექანიზმი, რომლის თანახმადაც, ბავშვის საკუთრებაში არსებული წილის გასხვისების შემთხვევაში, სასამართლო ავალდებულებს შესაბამის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განახორციელოს მონიტორინგი ჩარიცხული თანხის შემდგომ მოძრაობასა და მიზნობრივი გამოყენების თაობაზე, რითაც იზრდება სახელმწიფოს როლი არასრულწლოვანთა ქონებრივი ინტერესების დაცვაში.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის საქმეებში სასამართლოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, ვინაიდან უძრავი ქონება, ხშირ შემთხვევებში წარმოადგენს ბავშვის ქონებრივი მდგომარეობისა და სტაბილურობის გარანტს. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს ქონების უფლების დაკარგვას უნდა ემყარებოდეს მტკიცე სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს, რათა არ შეილახოს ბავშვის კანონიერი ინტერესები და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება. ამრიგად უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე სასამართლოს თანხმობის გაცემის საკითხის განხილვისას, სასამართლო ვალდებულია იმოქმედოს განსაკუთრებული სიფრთხილით და კეთილსინდისიერებით, უზრუნველყოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დეტალური ანალიზი და მიიღოს გონივრული, პროპორციული და დაბალანსებული გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილება

უნდა ემყარებოდეს არასრულწლოვანის კეთილდღეობის პრიორიტეტულობას და მის ინტერესთა დაცვას, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

რაც შეეხება მშობლის უფლებამოსილების შეზღუდვის ძირითად ასპექტებს საოჯახო სამართლებრივ დავებში, განვიხილოთ ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა დედის საკასაციო საჩივარი, რომელიც მიზნად ისახავდა 2019 წელს დაბადებული ბავშვის მამისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას შვილის სრულწლოვანების მიღწევამდე. სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოადგინა იმგვარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მამის მხრიდან მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენებასა და ბავშვით მანიპულირების ფაქტებს. გარდა ამისა, უშუალოდ ბავშვთან გასაუბრებისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების, მათ შორის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნებითა და ფსიქოლოგის ანგარიშიდან ირკვეოდა, რომ ბავშვს უყვარდა ორივე მშობელი და მამასთანაც ჰქონდა მჭიდრო ემოციური კავშირი.¹¹³ შესაბამისად მშობლებს შორის კონფლიქტისა და დესტრუქციული ურთიერთობის არსებობა მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის საფუძველი ვერ გახდებოდა.¹¹⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთ-ერთ საქმეზე არ დაკმაყოფილდა დედის საკასაციო საჩივარი, ხოლო მამის საკასაციო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დედამ მოითხოვა 2012 წელს დაბადებული ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება და მოპასუხისათვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლებების შეზღუდვა შვილის საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში. სასამართლო განმარტავს, რომ კვლევის შედეგად გამოიკვეთა არასრულწლოვანი ბავშვის დადებითი დამოკიდებულება და ემოცია ორივე მშობლის მიმართ. თუმცა მშობლების სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების ფაქტიდან გამომდინარე, ფსიქოლოგი ასკვნის, რომ ბავშვის მამასთან ერთად საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლა გამოიწვევს ხანგრძლივი პერიოდით დედასთან განშორებასა და არსებული მიჯაჭვულობის რღვევას, რამაც შესაძლებელია

¹¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nსს-857-2019 (18.12.2020), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/65962/1> [30.04.2025].

¹¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nსს-997-2024 (11.10.2024), პარ.1, <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/73603/1> [30.04.2025].

ასახვა პოვოს ბავშვის ფსიქიკური ხასიათის ცვლილებაზე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს თუ რა იგულისხმება ტერმინში - ხანგრძლივი პერიოდი. მოცემულ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ხანგრძლივ პერიოდად შეიძლება შეფასდეს 3 თვე, რასაც ითხოვს მამა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან ბავშვის საცხოვრებელ ადგილად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მამა-შვილური მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას სჭირდება ხელშეწყობა, ამიტომ მამას უნდა ჰქონდეს უფლება ზაფხულის არდადეგებზე შვილი წაიყვანოს ერთი თვის ვადით, ხოლო ორ წელიწადში ერთხელ ზამთრის არდადეგებზე.¹¹⁵

საქართველოს საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დააკმაყოფილა დედის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების¹¹⁶ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, რომელიც შეეხება არასრულწლოვანი ბავშვების მამისათვის მშობლის უფლებების შეზღუდვასა და ბავშვების აღსაზრდელად დედისათვის გადაცემას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო დაედასტურებინა ვერც ერთი გარემოება, რომელიც დააბრკოლებდა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე და დააკმაყოფილა შუამდგომლობა.¹¹⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე I.S v. Germany, სადაც სასამართლომ შეაფასა ბიოლოგიური დედის უფლება, ჰქონოდა კონტაქტი გაშვილებულ ბავშვებთან და მიეღო მათ შესახებ ინფორმაცია. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანიის ხელისუფლების გადაწყვეტილება, უარი ეთქვა მომჩივნისთვის ბავშვებთან კონტაქტზე არ არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, ვინაიდან შვილად აყვანის პროცესში მომჩივანს სრულად განემარტა მისი გადაწყვეტილების სამართლებ-

¹¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nს-1399-2019 (31.05.2024), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72763/1> [30.04.2025].

¹¹⁶ რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის კოპტევსკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება N2-66/2022 (15.03.2022).

¹¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nა-641-შ-19-2023 (30.03.2023), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/70491/1> [30.03.2025].

რივი შედეგები და ის აცნობიერებდა, რომ მისი, როგორც მშობლის უფლებები, შეწყდებოდა. ამიტომ გერმანიის სახელმწიფოს გადაწყვეტილება პრიორიტეტი მიენიჭებინა მშვილბელი ოჯახის ინტერესებისათვის და დაეცვა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრება ბავშვების ბიოლოგიური დედის ჩარევისგან, იყო პროპორციული და გამართლებული.¹¹⁸ აღნიშნული პრაქტიკა ხაზს უსვამს იმას, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მიიჩნევს, რომ ოჯახური კავშირების შენარჩუნება აუცილებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას აყენებს ზიანს. ამასთან სასამართლო აღიარებს, რომ შვილად აყვანის პროცესში ბიოლოგიური მშობლების უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს ბავშვის კეთილდღეობისათვის აუცილებელია.

იმ შემთხვევაში, თუ საოჯახო დავებთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიმე მშობელი ნებაყოფლობით არ ასრულებს, მეორე მშობელი უფლებამოსილია მიმართოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სააღსრულებო წარმოების დაწყება ხდება სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.¹¹⁹

სააღსრულებო ფურცელს წარადგენს მხარე, თუმცა ტერიტორიულ ერთეულსაც შეუძლია საკუთარი ინიციატივით დაიწყოს აღსრულების პროცედურები, თუ მოწინააღმდეგე მხარისაგან ბავშვის მეორე მშობლისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე.¹²⁰ ტერიტორიული ერთეული სააღსრულებო პროცესის დაწყებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მხარეს წარუდგენს წერილობით მოთხოვნას სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ და განუსაზღვრავს ვადას მის შესასრულებლად. მხარის მიერ აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173¹³-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას - „მეურვეობისა და მზრუნველობის

¹¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N31021/08 (05.06.2014) საქმეზე I.S. v. Germany, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-144361%22%7D> [30.04.2025].

¹¹⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-16/6 (18.04.2011) ბრძანება ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1302934?publication=0> [30.04.2025].

¹²⁰ იქვე, მუხლი 7, პუნქტი 3.

ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა“ და ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული თითქოს მკაცრი სამართლებრივი რეგულაციებისა და განსაზღვრული პროცედურების მიუხედავად, პრაქტიკა მიუთითებს სისტემური ხარვეზის არსებობაზე, კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობით დადგენილი პროცედურები არ არის შედეგიანი და ეფექტური, დაწესებული სანქციები კი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებასა და ბავშვის მშობელთან ურთიერთობის დროულად აღდგენას. ასევე საგანგაშოდ დაბალია სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვიანობის მაჩვენებელი, ორი წლის განმავლობაში დაფიქსირდა 5 მიმართვა,¹²¹ რაც მიუთითებს, როგორც კანონის აღსრულების პრაქტიკული პრობლემების არსებობაზე, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობაზე და მართებული სამართლებრივი ზომების მიღების სირთულეებზე. მოცემული რეალობა საჭიროებს რადიკალურ ცვლილებებს პროცესის ოპტიმიზაციისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, რათა სასურველი შედეგები, როგორიცაა ბავშვის ინტერესების დაცვა და მშობელთან ურთიერთობის დროული აღდგენა, რეალურად განხორციელდეს.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ვალდებულია გაატაროს სწრაფი და ადეკვატური ღონისძიებები ბავშვთან მშობლის ჯანსაღი და ეფექტური ურთიერთობისათვის.¹²² სასამართლომ საქმეზე „პავლიკი პოლონეთის წინააღმდეგ, დაადგინა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა და განმარტა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მამის შვილთან ეფექტიანი კონტაქტის უფლება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი გაჭიანურდა. ხელისუფლება ვალდებული იყო ეზრუნა მშობელსა და შვილს შორის

¹²¹ სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიში, „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2023, გვ.9, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023042411113732862.pdf> [30.04.2025].

¹²² „პირადი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა“, 2017, გვ.144, <https://bit.ly/3AOFpXz> [30.04.2025].

კონტაქტის შენარჩუნებაზე, ვინაიდან მას, როგორც საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელს ხელეწიფება აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეების სწორი მართვა.¹²³

განხილული პრობლემატური საკითხის ეფექტიანი გადაჭრის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია დაწესდეს უფრო მკაცრი და პროპორციული სანქციები, გამართიდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებათა პროცედურები და ჩამოყალიბდეს სასამართლო დაკვირვების მექანიზმები, რომელთა მიზანი იქნება გადაწყვეტილების შესრულების პროცესის პერიოდული მონიტორინგი. გარდა ამისა მიზანშეწონილია განისაზღვროს სპეციალიზებული უწყებები, რომელთა კომპეტენციაში იქნება ბავშვის მშობელთან ურთიერთობის აღდგენის პროცესის მართვა და ზედამხედველობა. ამასთანავე, აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება, რათა აღნიშნულმა უწყებამ მოიპოვოს მაღალი ავტორიტეტი და პროცესის ჯეროვნად მართვის უზრუნველსაყოფად შექმნას ეფექტიანი საკოორდინაციო მექანიზმები. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, ადვოკატთა სპეციალიზაციის ხელშეწყობასა და პროფესიული კავშირების გადრმავებას, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის სისტემის განვითარებასა და პრაქტიკაში მისი შედეგიანად განხორციელების უზრუნველყოფას.

საბოლოოდ, მიუხედავად მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების არსებობისა, ბავშვის მშობელთან ურთიერთობის უფლების დაცვა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია კვლავ წარმოადგენს მრავალსაფეხურიან და სირთულეებით სავსე პროცესს. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები და უწყებები ფუნქციონირებდნენ კოორდინირებულად, დროულად და შეთანხმებულად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემური ხარვეზები და მოქმედებათა არათანმიმდევრობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ბავშვის კეთილდღეობის დაცვისკენ მიმართული მექანიზმების ფუნქციონირებას და საფრთხეს შეუქმნის ბავშვის ინტერესების რეალურ განხორციელებას.

¹²³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N11638/02 (19.06.2007) საქმეზე Pawlik v. Poland, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-81142%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-81142%22]}) [30.04.2025].

თავი III. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლებრივი პარადიგმა: დაცვის მექანიზმების ეფექტიანობის კრიტიკული ანალიზი

3.1. არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსთვის დამოუკიდებლად მიმართვის ინსტიტუციური მექანიზმები და პროცედურული ბარიერები

საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში, განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში, რამაც განაპირობა ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის კონცეპტუალურად ახალი პარადიგმის ფორმირება და არასრულწლოვანზე ორიენტირებული ნორმატიული რეგულაციების იმპლემენტაცია. აღნიშნული ტრანსფორმაციული პროცესის ფარგლებში, პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს საკანონმდებლო ნოვაციათა სისტემური ანალიზი, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სრულყოფისაკენ. როგორც უკვე აღინიშნა, ამ კონტექსტში მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებას, რომელმაც არსებითი როლი შეასრულა სამართლებრივი სისტემის რეკონსტრუქციის პროცესში. კოდექსის მიღებას მოჰყვა რადიკალური ცვლილებები სამოქალაქო სამართლის სფეროში, რაც გამოიხატება როგორც საპროცესო, ისე მატერიალური ნორმების მოდიფიკაციით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული რეფორმა არ წარმოადგენს მხოლოდ მექანიკურ საკანონმდებლო ცვლილებათა ერთობლიობას, არამედ განაპირობებს არასრულწლოვანთა უფლებებისადმი ახალი მიდგომის ჩამოყალიბებას, რომლის საფუძველს წარმოადგენს ბავშვის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტის, უფლებრივი სტატუსის რეკონცეპტუალიზაცია და მისი პროცედურული გარანტიების სრულყოფა. ამგვარი ტრანსფორმაცია უზრუნველყოფს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების იმპერატიული ხასიათის აღიარებას და მის პრიმატს სხვა ლეგიტიმურ ინტერესებთან მიმართებით.

განხორციელებულ რეფორმათა სპექტრში არსებითი მნიშვნელობის ინოვაციას წარმოადგენს არასრულწლოვანის სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის

უფლებამოსილების იმპლემენტაცია, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის ამ სუბიექტის პროცესუალურ-სამართლებრივ სტატუსს და აბსტრაჰირებულია ასაკობრივი ცენზისაგან. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენს არასრულწლოვანთა პროცესუალურ ავტონომიას და ეფუძნება ბავშვის, როგორც უფლებათა დამოუკიდებელი მატარებლის, იურიდიული სუბიექტის ახლებურ გააზრებას.

2019 წლის 20 სექტემბრისა და 2020 წლის 21 მაისის საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არასრულწლოვანთა სამართლებრივი მდგომარეობა. თუ ადრე არასრულწლოვანს მხოლოდ 14 წლის ასაკიდან ჰქონდა სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის უფლება და ისიც კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში, დღესდღეობით ეს დისკრიმინაციული შეზღუდვა მოხსნილია. თანამედროვე სამართლებრივი რეგულაციებით, არასრულწლოვანს აქვს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ნებისმიერი ფორმით, ხოლო სახელმწიფოს ეკისრება ადვოკატის დანიშვნის ან სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარების ვალდებულება.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის იმპერატივი აქტუალიზირდება სასამართლოსათვის მიმართვის ინიციალურ სტადიაზე. ბავშვის უფლებათა კოდექსის კონცეფციის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესის საბჭოს მიერ დაამტკიცა ბავშვზე მორგებული სარჩელისა და სასამართლო უწყების ფორმები.¹²⁴ თუმცა, სასამართლო პრაქტიკის ემპირიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ადაპტირებული პროცესუალური დოკუმენტების ფორმალური ინსტიტუციონალიზაცია არ წარმოადგენს არასრულწლოვანთა მატერიალური და პროცესუალური უფლებების ეფექტიანი რეალიზების ადეკვატურ მექანიზმს. აღნიშნული პრობლემატიკის წარმოჩენისათვის რელევანტურია კონკრეტული ქეისის ანალიზი, კერძოდ, 2020 წლის 06 ოქტომბერს არასრულწლოვანთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი წარდგენილი იქნა სარჩელი ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების წინააღმდეგ. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ გამოავლინა პროცესუალური ფორმალიზმისადმი მიდრეკილება და მოსარჩელებს

¹²⁴ საქართველოს იუსტიციის საბჭოს N7 (11.08.2020) დადგენილება „ბავშვზე მორგებული სარჩელისა და სასამართლო უწყების ფორმების დამტკიცების შესახებ“, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/7.pdf> [30.04.2025].

დაუდგინა ხარვეზი სასარჩელო მოთხოვნის ბუნდოვანებისა და სასამართლოს კოლეგიალური კომპეტენციის საკითხთან დაკავშირებით. არასრულწლოვანთა მიერ რეფორმირებული სარჩელის წარდგენის შემდგომ სასამართლომ მის მიღებაზე უარი განაცხადა სარჩელზე მშობლების ხელმოწერის არარსებობის მოტივით.¹²⁵

პროცესუალური ფორმალიზმის პრეცედენტი აფერხებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური უფლების რეალიზებას და ქმნის სასამართლო ინსტიტუტების ლეგიტიმაციის შესუსტების საფრთხეს. ამგვარი პრაქტიკა წინააღმდეგობაშია ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-13 მუხლის იმპერატიულ დანაწესთან, რომლის თანახმადაც ბავშვი უფლებამოსილია საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართლოს სასამართლოს, რა დროსაც უნდა ისარგებლოს არასრულწლოვანისათვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ადვილად აღქმადი, სწრაფი, სამართლიანი, თანმიმდევრული მართლმსაჯულების სისტემით. გარდა ამისა, პრინციპული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ სასამართლოს არგუმენტაცია, რომელიც ეფუძნება ბუნდოვანი სასარჩელო მოთხოვნისა და განსჯადობის ტექნიკურ-პროცესუალურ კატეგორიებს, არ წარმოადგენს 7 და 11 წლის არასრულწლოვანთათვის ინტელექტუალურად ხელმისაწვდომ და ადაპტირებულ ინფორმაციას. ამგვარი კომუნიკაცია პოტენციურად შეიძლება გადაიქცეს არასრულწლოვანთა პროცესუალური დეზორიენტაციისა და სასამართლო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორად. შესაბამისად, არასრულწლოვანზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ფორმალური ნორმატიული ბაზის მოდიფიცირება, არამედ პრაქტიკაში მისი რეალურად გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება უშუალოდ ბავშვზე მორგებული სარჩელის ფორმას¹²⁶, რომლის მიზანსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ფორმის ანალიზის შედეგად იკვეთება რიგი პრობლემატური ასპექტები:

ენობრივი ბარიერები - ისეთი ტერმინოლოგია როგორიცაა „დარღვეული უფლებები“, „დარღვეული უფლებების აღდგენა“, „პორტალი“, „მოთხოვნა“, „მონაცემები“,

¹²⁵ „სასამართლომ ბავშვების მიერ მომზადებული სარჩელი ისევ არ მიიღო“, 2020, <<https://phr.ge/publication/news/109?lang=geo>> [30.04.2025].

¹²⁶ საქართველოს იუსტიციის საბჭოს N7 (11.08.2020) დადგენილება „ბავშვზე მორგებული სარჩელისა და სასამართლო უწყების ფორმების დამტკიცების შესახებ“, დანართი N1, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/7.pdf> [30.04.2025].

„ხელმოწერა“ არ არის ადაპტირებული ბავშვის კოგნიტურ განვითარებასთან. გარდა ამისა, მცირეწლოვნებისათვის მოთხოვნა „გთხოვთ აღწეროთ, რაში გამოიხატება თქვენი უფლებების დარღვევა“, შესაძლოა ბუნდოვანი იყოს, ამიტომ კარგი იქნებოდა კითხვის სახით ფორმულირება, მაგალითად, „რა მოხდა? ვინ გითხრა ან გააკეთა რამე ისეთი, რაც შენთვის უსამართლო იყო?“

სამართლებრივი ენის სირთულე პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ბავშვისათვის, არამედ ზრდასრულთათვისაც. იურიდიული ტერმინოლოგიის სპეციფიკურობა და კომპლექსურობა მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ გააჩნია შესაბამისი გამოცდილება სამართლებრივ სფეროში. ენობრივი ბარიერების შედეგია: ბავშვებში გაჩენილი გაურკვევლობა და შფოთვა, სამართლებრივ პროცესებში არასრულფასოვანი მონაწილეობა, ბავშვის მოსაზრებებისა და განცდების არასათანადო გათვალისწინება, სამართლებრივი პროცესის მიმართ უნდობლობის გაჩენა. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის აუცილებელია სარჩელის ფორმების ენობრივი ადაპტირება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, იურიდიული ტერმინების მარტივი განმარტებების დამატება და ბავშვებისათვის გასაგები საილუსტრაციო მაგალითების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა უფლებების სრულფასოვან რეალიზებას სამართლებრივ პროცესებში და გააუმჯობესებს მათ მიერ ინფორმაციის აღქმასა და დამუშავებას;

კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება - სასარჩელო ფორმაში არ არის მითითებული ინფორმაცია ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესახებ. მნიშვნელოვანია არასრულწლოვანს ჰქონდეს განცდა, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული ისევ მის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან გამჭვირვალობა მონაცემთა დამუშავების პროცესში აუცილებელია არა მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ ნდობის ჩამოყალიბებისთვისაც.¹²⁷ მონაცემთა სუბიექტს უნდა განემარტოს თუ ვის მიერ, რა მიზნით, რა საფუძვლით და რა მოცულობით მუშავდება მისი პერსონალური მონაცემები.¹²⁸ აღნიშ-

¹²⁷ Archard D. Skivenes M. Hearing the child, https://www.academia.edu/90371223/Hearing_the_child [30.04.2025].

¹²⁸ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 13, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=4> [30.04.2025].

ნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სასარჩელო ფორმა შეიცავდეს მკაფიო, ადვილად და მარტივად გასაგებ განმარტებას პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების პრინციპების შესახებ;¹²⁹

პროცედურული გაურკვევლობა - სასარჩელო ფორმაში შემდგომი ნაბიჯების განმარტების არარსებობა ქმნის გაურკვევლობასა და არასტაბილურობის განცდას. აუცილებელია ბავშვებს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა არა მხოლოდ იმაზე, თუ რა პროცესი მიმდინარეობს, არამედ იმაზეც, რა ნაბიჯები და შედეგები მოჰყვება მათ მონაწილეობას. გარდა ამისა, ფორმაში არ არის განსაზღვრული დროითი ჩარჩოები ან სასამართლო პროცედურების სავარაუდო ხანგრძლივობა, რაც კიდევ ერთ სერიოზულ ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ბავშვების დროის აღქმა არსებითად განსხვავდება მოზრდილებისგან და მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რამდენ ხანს გაგრძელდება პროცესი, როდის უნდა ელოდნენ უკუკავშირს, როდის იქნება გადაწყვეტილება მიღებული და სხვა. ამგვარი ინფორმაციის არარსებობა ზრდის დაუცველობის განცდას და ხელს უშლის პროცესში ბავშვის ემოციურად სტაბილურ მონაწილეობას;¹³⁰

მხარდაჭერის მექანიზმების ნაკლებობა - სასარჩელო ფორმა არ ასახავს ინფორმაციას უფასო იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის შესაძლებლობების შესახებ, ასევე არ არის მითითებული შესაბამისი საკონტაქტო პირი. მნიშვნელოვანია ბავშვისათვის ხელმისაწვდომი და გასაგები იყოს ინფორმაცია თუ ვის მიმართოს დახმარების საჭიროების შემთხვევაში. ამ მექანიზმის არარსებობა შესაძლოა იქცეს დათრგუნვის ფაქტორად, რაც ხელს შეუშლის არასრულწლოვანებს საკუთარი აზრისა და პოზიციის მკაფიოდ გამოხატვაში. მხარდაჭერის არქონა ასევე ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს, რომელიც ასახულია, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებში, ასევე ბავშვზე ორიენტირებულ პრეცედენტულ სამართალში.

¹²⁹ იქვე, მუხლი 4.

¹³⁰ Crimmens D. Factor F. Jefs T. Pitts J. Pugh C. Spence J. Turner P. „Reaching socially excluded young people a national study of street-based youth work”, Durham university, 2004, <https://shorturl.at/hQvAO> [30.04.2025].

იუსტიციის საბჭოს მიერ ასევე დამტკიცებულია ბავშვზე მორგებული სასამართლო უწყების ფორმა.¹³¹ დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისგან: შესავალი განმარტებითი ტექსტი და თვითონ უწყების ფორმა. სტრუქტურულად დოკუმენტი ორგანიზებულია, ნაწილობრივ გამოყენებულია შედარებით მარტივი, არაიურიდიული ენა. შესავალ ნაწილში კარგად არის აღწერილი უწყების მიზანი და მნიშვნელობა. ასევე დოკუმენტი არასრულწლოვანს სთავაზობს მოსაზრების წერილობით გაზიარების ალტერნატივას, რაც ზრდის ბავშვის სასამართლოსადმი ნდობას და პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას. მიუხედავად აღნიშნული დადებითი ელემენტებისა, უწყების ფორმა შეიცავს რამდენიმე კრიტიკულ ასპექტს:

ტერმინოლოგიური ბუნდოვანება - მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი წარმოადგენს „ბავშვზე მორგებულ“ ფორმას, ტექსტი არ არის სპეციფიკურად არასრულწლოვანებზე ადაპტირებული, გამოყენებულია სამართლებრივი ტერმინები „მოსარჩელე“, „მოპასუხე“, „მოთხოვნა“. არ არის გამოყენებული ვიზუალური ელემენტები, მარტივი და ასაკობრივად შესაბამისი ფორმულირებები;

იურიდიული შედეგების არარსებობა - დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას გამოუცხადებლობის შესაძლო იურიდიული შედეგების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად;

პროცედურული გაურკვევლობა - ფორმა არ შეიცავს ინფორმაციას თუ რა ეტაპები მოჰყვება ბავშვის მიერ სასამართლოში გამოცხადებას ან წერილობითი მოსაზრებების მიწოდებას. არ არის განმარტებული, რას შეიძლება ელოდოს ბავშვი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, მაგალითად, ვისი თანდასწრებით ჩატარდება სხდომა. ფორმა ასევე არ განსაზღვრავს პროცესის სავარაუდო ხანგრძლივობას, მითითებულია მხოლოდ სხდომის კონკრეტული თარიღი და დრო;

მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა - უწყების ფორმაში არ არის მითითებული ინფორმაცია მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესახებ, ასევე არ შეიცავს განმარტებას, როგორ ხდება ბავშვის პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა, გამოყენება ან სხვაგვარი დამუშავება.

¹³¹ საქართველოს იუსტიციის საბჭოს N7 (11.08.2020) დადგენილება „ბავშვზე მორგებული სარჩელისა და სასამართლო უწყების ფორმების დამტკიცების შესახებ“, დანართი N2, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/7.pdf> [30.04.2025].

მხარდაჭერის მექანიზმების არარსებობა - ფორმაში არ არის ნათლად აღნიშნული პასუხისმგებელი პირი, ვისაც შეუძლია ბავშვის კითხვებზე პასუხის გაცემა, არც იურიდიული ან ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის შესაძლებლობებია წარმოდგენილი. მითითებულია მხოლოდ ერთიანი საკონტაქტო ნომერი, რაც არასაკმარისია ბავშვის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. მსგავსი მექანიზმების არარსებობა რეალურად ზღუდავს სასამართლო პროცესში ბავშვების უფლებრივი ჩართულობის შესაძლებლობას.¹³²

განხილული სასამართლო უწყების ფორმა წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს ბავშვთა საპროცესო უფლებების დაცვის კუთხით, თუმცა აუცილებელია მისი მოდიფიცირება, რათა ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების პრინციპებსა და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს სრულად. რეალური „ბავშვზე მორგებული“ დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვანის განვითარების დონეს, აღქმის თავისებურებებს და ემოციურ მდგომარეობას.

არასრულწლოვანთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია საზოგადოებრივი ცნობიერების დეფიციტი. წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩატარებული ემპირიული კვლევის¹³³ ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ რესპონდენტ არასრულწლოვანთა უმრავლესობას არ შეუძლია იდენტიფიცირება ასაკობრივი ზღვრისა, თუ როდიდან წარმოეშებათ მათ სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლება. ეს მაჩვენებელი მიუთითებს არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების მნიშვნელოვან დეფიციტზე. რესპონდენტებს, დაესვა კითხვა: „თქვენი აზრით, რა ასაკიდან გაქვთ უფლება დამოუკიდებლად მიმართოთ სასამართლოს თქვენი კანონიერი ინტერესების დასაცავად?“. მიღებული მონაცემების თანახმად, არასრულწლოვან რესპონდენტთა 34,9% მიიჩნევს, რომ მათ სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლება აქვთ 16 წლის ასაკიდან, რესპონდენტთა 31.7 % მიიჩნევს, რომ აღნიშნული უფლებით

¹³² Lansdown G. „Every child's right to be heard”, a resource guide on the UN Committee on the Rights of the Child general comment N12 , 2011.

¹³³ კვლევის მეთოდოლოგია: გამოკითხული იქნა 7-დან 18 წლამდე ასაკის 150 არასრულწლოვანი რესპონდენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად, ღია და დახურული ონლაინ კითხვარის (სულ 6 კითხვა) მეშვეობით. კვლევის მიზანი: არასრულწლოვანთა ცნობიერების შეფასება უფლებათა დაცვის საშუალებებისა და მექანიზმების შესახებ; კვლევა ჩატარდა 2025 წლის აპრილის თვეში. კვლევა ხელმისაწვდომია: https://docs.google.com/forms/d/15mNZDZlhEtRI-uBR63sQwWXNe9vWitgMm3MkkVi_46w0/viewform?edit_requested=true [30.04.2025].

სარგებლობა შეუძლიათ სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ, 17.5% მიუთითებს - 14 წლის ასაკიდან, ხოლო 15.9% -ს აქვს ზუსტი ინფორმაცია ასაკობრივ ზღვარზე და მიუთითებს სწორ პასუხს - ნებისმიერ დროს, განურჩევლად ასაკისა.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს სამართლებრივი განათლების სისტემურ პრობლემებზე და საჭიროებს მიზნობრივ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა ინფორმირებულობის გასაუმჯობესებლად, რათა მათ შეძლონ საკუთარი უფლებების სრულფასოვნად რეალიზება. ამ კუთხით სასურველია არასრულწლოვანთა სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე საინფორმაციო კამპანიების გაძლიერება, იურიდიული სამსახურის სერვისების პოპულარიზაცია, მასწავლებელთა გადამზადება და სხვა ეფექტური აქტივობები.

კვლევის შედეგების მიხედვით, ასევე გამოვლინდა საყურადღებო ტენდენცია არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მექანიზმებისა და ინსტიტუტების აღქმის კუთხითაც. კითხვაზე „დაასახელეთ სახელმწიფო ან საერთაშორისო ინსტიტუტები, რომელსაც მიმართავდით თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში“, რესპონდენტთა უმრავლესობამ (65%) დაასახელა „112“-ის ცხელი ხაზი. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს, რომ არასრულწლოვანები პრიორიტეტულად განიხილავენ სასწრაფო რეაგირების სამსახურს, როგორც უფლებათა დაცვის მექანიზმს. რაც შეეხება უფლებათა დაცვის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიცაა სასამართლო, მას რესპონდენტთა მხოლოდ 20%-მა მიანიჭა უპირატესობა. ეს მაჩვენებელი შესაძლოა ასახავდეს საზოგადოებაში სასამართლო სისტემისადმი არსებულ ნდობის დეფიციტს ან/და სამართლებრივი ცნობიერების არასაკმარის დონეს. კვლევის შედეგების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციები რესპონდენტთა მხოლოდ 6%-მა დაასახელა, რაც მიანიშნებს სამოქალაქო სექტორის როლის არასათანადო აღქმაზე უფლებათა დაცვის სფეროში. კიდევ უფრო მცირე მაჩვენებელი (4%) დაფიქსირდა სახალხო დამცველის ინსტიტუტის შემთხვევაში, რაც წარმოაჩენს ომბუდსმენის ინსტიტუტის შესახებ არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების აუცილებლობად.

კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვაზე „თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები ირღვევა, რას მოიმოქმედებდით, მიმართავდით სასამართლოს?“ რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (70%) დააფიქსირა პოზიცია, რომ ისინი არ მიმართავენ სასამართლოს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მშობლები და ახლობლები უფრო ეფექტურად

შემდეგ მათი უფლებების დაცვას. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს არსებულ ფორმალური ინსტიტუტების მიმართ არასრულწლოვანების უნდობლობასა და ტრადიციული, არაფორმალური სოციალური კავშირების პრივილეგიებზე. საყურადღებოა, რომ მოცემული 70%-დან 5% ასახელებს საგულისხმო მიზეზს - ხანგრძლივ სასამართლო პროცესსა და ბავშვის მძიმე ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც მიანიშნებს სამართლებრივი სისტემის პროცედურულ არაეფექტიანობაზე, განსაკუთრებით, ბავშვთა ინტერესების გათვალისწინების კონტექსტში. რესპონდენტთა მხოლოდ 16%-მა დააფიქსირა დადებითი პოზიცია - „დიახ“, რაც ასახავს მზადყოფნას, სასამართლოსადმი მიმართვის თვალსაზრისით. კიდევ უფრო მცირე რაოდენობა (9%) მიუთითებს სასამართლოს, როგორც „უკანასკნელ ინსტანციას“, რომელსაც მიმართავენ მხოლოდ სხვა რესურსების ამოწურვის შემდეგ, რაც კვლავ ადასტურებს ინსტიტუციური ნდობის დეფიციტს. გამოკითხულთა 5%-მა აირჩია პასუხი - „არ ვიცი“, რაც შესაძლოა მიუთითებდეს სამართლებრივი ცნობიერების არასაკმარის დონესა და სასამართლო სისტემის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე.

კვლევის შედეგების ანალიზი ასევე წარმოაჩენს პრობლემატიკას, რომელიც უკავშირდება არასრულწლოვანთა ინფორმირებულობის ნაკლებობას საკუთარი კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული უფლებების შესახებ. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით საგულისხმოა, ვინაიდან იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ სტრუქტურული ხასიათის გამოწვევას, რომელიც საჭიროებს მრავალმხრივ და კომპლექსურ ინტერვენციას. ცნობიერების დაბალი დონე, თავის მხრივ, განაპირობებს არასრულწლოვანთა მოწყვლადობის მაღალ ხარისხს და ზღუდავს მათ შესაძლებლობას, ეფექტურად ისარგებლონ არსებული სამართლებრივი ინსტრუმენტებით. კითხვაზე „რამდენად ინფორმირებული ხართ თქვენი უფლებების შესახებ?“ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, არასრულწლოვანთა უმრავლესობა (81%) თვლის, რომ მეტნაკლებად ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ. საგულისხმოა, რომ მხოლოდ 14.2.% მიიჩნევს, რომ სრულად არის ინფორმირებული არასრულწლოვანთა უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ, ხოლო 4.8.% აცხადებს, რომ თითქმის არ აქვს ინფორმაცია.

კვლევის ფარგლებში წარმოებული ემპირიული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ტენდენცია არასრულწლოვანთა მიერ სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების და გაცნობიერების სტრატეგიებთან დაკავშირებით. კითხვაზე, „ძირითადად რა რესურსებს იყენებთ თქვენი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით?“ პასუხი შემდეგნაირად გადანაწილდა:

მიღებული მონაცემების თანახმად, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (48.3%) პრიორიტეტულ წყაროდ ასახელებს ინტერნეტს, რაც ადასტურებს ციფრული მედიის დომინანტურ როლს ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე საშუალებებში. საყურადღებოა, რომ საგანმანათლებლო სისტემა, სკოლა, სამართლებრივი ინფორმაციის მოპოვების წყაროდ მხოლოდ რესპონდენტთა 20.9%-ის მიერ იდენტიფიცირდება, რაც წარმოშობს ლეგიტიმურ კითხვებს სამართლებრივი კულტურის ფორმირების პროცესში განათლების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საგანგაშოა ლიტერატურის გამოყენების ნულოვანი მაჩვენებელი, რაც შესაძლოა მიუთითებდეს კითხვის კულტურის შემცირებაზე ახალგაზრდებში.

ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვებს უმეტესად არ აქვთ ცოდნა თავიანთი უფლებებისა და ამ უფლებების რეალიზების მხარდამჭერი სისტემების შესახებ. განსაკუთრებით პრობლემურია სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფ არასრულწლოვანთა მდგომარეობა, რომელთა ვითარებასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ოჯახური გარემოდან განცალკევებით გამოწვეული ტრავმა. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში წარმოდგენილი კვლევები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვებს არ აქვთ სათანადო ცოდნა იმ ნორმატიული დოკუმენტაციის შესახებ, რომლებიც მათ უფლებებს არეგულირებს, მათ შორის სამართალწარმოების პროცესებში, გადაწყვეტილების მიღებისას, არსებითი ჩართულობისა და მონაწილეობის უფლების კუთხით. არასრულწლოვანები ხშირად უფლებებს განიხილავენ მხოლოდ მოვალეობების კონტექსტში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათი სამართლებრივი ცნობიერების დეფიციტზე. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ გარკვეული გამოწვევების გარდა, ბავშვები არ ფლობენ ადეკვატურ ინფორმაციას დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აპელირებენ ძალადობრივ გამოცდილებებზე მრავალ კონტექსტში - საოჯახო, საზოგადოებრივ და ინსტიტუციურ გარემოში, როგორც თანატოლების, ისე ზრდასრული

პირების მხრიდან. უფლებების დარღვევის შემთხვევაში ისინი მიმართავენ მხოლოდ სოციალურ მუშაკს, სამართალდამცავ ორგანოებს ან სახალხო დამცველის ინსტიტუციას. თუმცა საგანგებო სამსახურების ცხელი ხაზებიდან მათ სახელდებითი ცოდნა აქვთ მხოლოდ „112“-ის შესახებ. ამასთან არასამთავრობო სექტორის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ფუნქციებისა და კომპეტენციების შესახებ სრული ინფორმაციული ვაკუუმი. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან დამოუკიდებელი წვდომის უფლების შესახებ. კიდევ უფრო საგანგაშოა ის გარემოება, რომ მათ უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შესახებ არც კი სმენიათ.¹³⁴

სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში წარმოდგენილ პრობლემატურ საკითხს კიდევ უფრო მწვავეს ხდის ის გარემოება, რომ სპეციალისტების მხრიდან არასრულწლოვანებთან მიმართებაში იკვეთება პატივისცემის ნაკლებობა, ხშირად მორალურადაც კი კიცხავენ ბავშვებს. ფსიქოლოგები არ ფლობენ ინფორმაციას ბავშვის დაცვის გარანტიების თუნდაც საბაზისო რეგულაციებზე. სოციალური მუშაკების უმეტესობას კი არ აქვს სწორი ინფორმაცია ბავშვთა უფლებათა სფეროში საკანონმდებლო ნოვაციების შესახებ, მათ შორის სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვისა და ადვოკატის ყოლის უფლებაზე.¹³⁵

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარდა კვლევა და შესწავლილი იქნა ადვოკატთა გამოცდილება არასრულწლოვანთა სამართლებრივი წარმომადგენლობის საკითხში, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი დამოუკიდებლად მიმართავენ სასამართლოს. კვლევის მიზანი იყო ამგვარი შემთხვევების სიხშირის, მათი სამართლებრივი კონტექსტისა და შესაძლო გამოძწევი ფაქტორების გამოვლენა.¹³⁶

¹³⁴ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, გვ.8-9, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

¹³⁵ იქვე, გვ.10.

¹³⁶ კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 31 ადვოკატი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რომელთაც აქვთ არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საქმეებზე მუშაობის გამოცდილება. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად, დახურული ონლაინ კითხვარის (სულ 3 კითხვა) მეშვეობით. კვლევის მიზანი: ადვოკატთა გამოცდილების შეფასება არასრულწლოვანთა წარმომადგენლობის კონტექსტში. კვლევის პერიოდი: 2025 წლის მარტის თვე. კვლევა ხელმისაწვდომია:

ემპირიული კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემები მიუთითებს არასრულწლოვანთა მიერ სამართლებრივი დახმარების სერვისებზე დამოუკიდებელი წვდომის უკიდურესად პრობლემატურ ხასიათზე. კვლევის ფარგლებში განხორციელებული გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა - 62,5% ადასტურებს მათ პრაქტიკაში არასრულწლოვანთა მიერ დამოუკიდებელი მიმართვიანობის დაბალ სიხშირეს. ამასთან რესპონდენტთა დარჩენილი 37.5 % სრულიად გამორიცხავს მსგავსი პრეცედენტის არსებობას საკუთარ პროფესიულ გამოცდილებაში.

ადვოკატთა უმრავლესობის მიერ იდენტიფიცირებული ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ არასრულწლოვანთა მიერ მართლმსაჯულების დამოუკიდებლად ხელმისაწვდომობას, წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვან ხარვეზს. კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ამ საკითხში არსებობს მრავალშრიანი ბარიერები, რომლებიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ისე სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს. რესპონდენტთა უმრავლესობა (96%) აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებზე უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორია, რაც მიუთითებს სამართლებრივი და სოციალური სისტემის ურთიერთგადაკვეთაზე. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე (87.5%). ნახევარი რესპონდენტი (50%) თანაბრად გამოყოფს სამ ბარიერს: არასაკმარისი ფინანსური რესურსები, უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და სტიგმატიზაციის შიშს. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ეკონომიკური, საინფორმაციო და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ერთობლივად ქმნის მნიშვნელოვან წინაღობას. სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ უნდობლობა (37.5%) და მშობლების რეაქციის შიში (25%) ასევე წარმოადგენს დამატებით ფაქტორებს, რომლებიც ართულებს არასრულწლოვანთა წვდომას მართლმსაჯულებაზე.

კვლევა ადასტურებს, რომ თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სისტემაში არასრულწლოვანთა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის მიმართვის პრაქტიკა იშვიათია. ეს განპირობებულია, როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული ბარიერების არსებობით. ადვოკატთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით იკვეთება, რომ არასრულწლოვანთა საქმეში მონაწილეობა უმეტესწილად იწყება მშობლების, ახლობლების ან სხვა ზრდასრული პირების ინიციატივით და არა თავად არასრულწლოვანების მხრიდან. მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობას ხშირ შემთხვევებში შიშსა და გაურკვევლობას იწვევს არასრულწლოვანთა შორის. ისინი უმეტესად უფრთხიან სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას, მათ შორის საჩივრისა თუ განცხადების წარდგენას, გამომდინარე იქიდან, რომ ამის შედეგად შესაძლოა გახდნენ ზეწოლის, მუქარის, შიში დათესვის, სტიგმატიზაციისა და მიტოვების მსხვერპლნი. გარდა ამისა არასრულწლოვანებს ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნიათ ნდობა იმ ინსტიტუციური სტრუქტურებისა და სუბიექტების მიმართ, რომელთაც უფლებების დაცვის ფუნქცია აკისრიათ. ისინი ფიქრობენ, რომ შესაბამისი უწყებები და წარმომადგენლები მათ მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი, არ უსმენენ, არ უჯერებენ და არ აღიქვამენ სერიოზულად.¹³⁷ მნიშვნელოვანი ასპექტია ისიც, რომ არასრულწლოვანებს ხშირად სჭირდებათ ზრდასრულთა მხარდაჭერა საკუთარი უფლებების რეალიზებისა და დაცვის პროცესში. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, თავად ზრდასრულებსაც არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა ბავშვის უფლებების შესახებ ან არ იცნობენ იმ სამართლებრივი მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია არასრულწლოვანთა დაცვისაკენ.

ზემოაღნიშნულ პრობლემებზე აპელირებს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშიც,¹³⁸ რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანები საკუთარი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები იდენტიფიცირებისა და გამოყენების, ასევე მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე წვდომის თვალსაზრისით, სრულად იმყოფებიან ზრდასრული პირების დისკრეციის ქვეშ. არასრულწლოვანთა სპეციფიკურ საჭიროებებზე ადაპტირებული

¹³⁷ Human Rights Council, General Assembly, „Access to justice for children”, Report of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2013, გვ. 7. პარ. 15.

¹³⁸ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

პროცედურები არასრულყოფილად გამოიყენება პრაქტიკაში. არსებითად დეფიციტურია ინსტიტუციური მექანიზმები და რესურსული უზრუნველყოფა, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი კომპეტენციების გაძლიერებაზე.¹³⁹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე ეფექტური წვდომა, ასევე მნიშვნელოვნად ფერხდება პროცედურული ბარიერების გამოც, რომელთა შორის განსაკუთრებით პრობლემატურია ფინანსური რესურსების დეფიციტი, დაცვის მექანიზმების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა და კომუნიკაციური ბარიერები. ეკონომიკური დამოუკიდებლობის გამო, ბავშვები მოკლებული არიან შესაძლებლობას უზრუნველყონ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ანაზღაურება და დაფარონ საჭირო სატრანსპორტო ხარჯები. პარალელურად სპეციალისტთა მხრიდან არასრულწლოვანებთან კომუნიკაციისას გამოყენებული ტერმინოლოგია იშვიათად თუ ითვალისწინებს ბავშვთა კოგნიტური განვითარების თავისებურებებს. აღნიშნული დისკურსი ხშირად სცდება არასრულწლოვანთა აღქმითი და ინტერპრეტაციული კომპეტენციების ფარგლებს, რაც არსებითად აფერხებს მათ ეფექტურ მონაწილეობას სამართლებრივ პროცესებში.¹⁴⁰

საქართველოს ნორმატიული ბაზა, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და რეალიზების კუთხით, ადგენს ბავშვთა პროცესუალური სუბიექტობის გარკვეულ პრეროგატივებს. თუმცა ცხადია, აქსიომას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამართლებრივი შესაძლებლობების „de jure“ არსებობა არ არის საკმარისი მათი „de facto“ იმპლემენტაციისათვის, როდესაც სახეზეა კოგნიტური ბარიერი უფლებათა მატარებელი არასრულწლოვანების მხრიდან. კვლევების შედეგები მიუთითებს, რომ ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს არასრულწლოვანთა მიერ სასამართლოსადმი მიმართვის დაბალ მაჩვენებელს, რაც განსაკუთრებით პრობლემატურია იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვები არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, ირღვევა მათი უფლებები, კანონიერი წარმომადგენლები კი თავს იკავებენ სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისგან ან

¹³⁹ გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, „ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე ალბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში“, 2015.

¹⁴⁰ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, გვ.4, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, თუ არასრულწლოვანებს არ ექნებათ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ, ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონი მათ ამით შესაძლებლობას აძლევს.

იურისპრუდენციაში ცნობილია პრინციპი - კანონის არ ცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, თუმცა ბავშვებთან მიმართებაში სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალური კუთხითაც. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა და კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტური პრინციპებიდან.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის აუცილებელია სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების აქტიური ჩართულობა, მიზანშეწონილია, შემდეგი ღონისძიებების გატარება: საგანმანათლებლო პროგრამები - სკოლებში სამოქალაქო განათლების ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს ბავშვთა უფლებები, მათ შორის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და პროცედურები; საინფორმაციო კამპანიები - მედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია არასრულწლოვანთა უფლებებისა და მათი რეალიზების მექანიზმების შესახებ; იურიდიული დახმარების სისტემის გაძლიერება - უნდა არსებობდეს კიდევ უფრო მეტი ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარების მექანიზმები, რომლებიც არასრულწლოვანებს დაეხმარებიან სასამართლოსათვის მიმართვის პროცესში; სახელმძღვანელო მასალების შემუშავება - უნდა შეიქმნას არასრულწლოვანებისათვის გასაგები ენით შედგენილი მასალები, რომლებშიც ასახული იქნება მათი უფლებები და ამ უფლებების რეალიზების პროცედურები; პროფესიონალთა გადამზადება - მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს და სხვა პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ არასრულწლოვანებთან უნდა ჩატარდეთ ტრენინგები ბავშვთა უფლებების შესახებ.

საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს არასრულწლოვანთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაციას. აღნიშნული პრობლემა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ასევე სამართლებრივი სისტემის გაძლიერებას. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანს ჰქონდეს არა

მხოლოდ ფორმალური უფლება მიმართონ სასამართლოს, არამედ რეალური შესაძლებლობა ისარგებლონ ამ უფლებით.

3.2. მულტიდისციპლინური თანამშრომლობისა და სპეციალიზირებული კადრების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში: პრობლემები და გამოწვევები საქართველოს რეალობაში

მულტიდისციპლინური მიდგომის ძირითადი მიზანია ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის კომპლექსური შეფასების საფუძველზე ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა კეთილდღეობას. აღნიშნული მიზნის რეალიზება ხორციელდება საქმის განხილვის პროცესში სპეციალიზირებული პირების ჩართულობით, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი სფეროს სათანადო ცოდნა და პროფესიული გამოცდილება.¹⁴¹

საქმეში სპეციალიზირებული პირების ინტეგრირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმდენად, რამდენადაც აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით შეფასდეს ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და სპეციფიკური საჭიროებები, რათა ფორმულირებულ იქნეს დასაბუთებული დასკვნები და რეკომენდაციები. სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც საქმეში ჩართავს სპეციალიზირებულ პირებს, როგორებიცაა: სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ადვოკატები თუ სხვა დარგის სპეციალისტები.¹⁴²

მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა კონკრეტული ნორმატიული დებულება საკითხის გადაწყვეტისას მულტიდისციპლინური მიდგომის იმპერატიულ გამოყენებას, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების, მულტიდისციპლინური

¹⁴¹ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 72, პუნქტები 1-2; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

¹⁴² მამულაძე მ. „მულტიდისციპლინური პრინციპის საფუძველზე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება“, სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“, 2024, 10(2), გვ5, <https://journals.4science.ge/index.php/spectri/article/view/3355/3369> [30.04.2025].

მიდგომისა და პროფესიონალთა სპეციალიზაციის პრინციპების, შესაბამისი რეგულაციების მოქმედების არეალი ვრცელდება ყველა იმ სამოქალაქო სამართალწარმოებაზე, რომლის ფარგლებშიც განიხილება არასრულწლოვანთა ინტერესების შემცველი საკითხი.¹⁴³ საილუსტრაციოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლში, რომელიც არეგულირებს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს, არ არის პირდაპირი მითითება სოციალური სამსახურის ინტერვენციის აუცილებლობაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხის სასამართლო წესით განხილვისას იმპერატიულად უნდა იქნეს დაცული ბავშვის უფლებათა კოდექსით რეგლამენტირებული ზემოხსენებული ნორმების მოთხოვნები.¹⁴⁴

სამოქალაქო კოდექსი რიგ შემთხვევებში ადგენს იმპერატიულ დანაწესს სამართლებრივი საკითხების მულტიდისციპლინური მეთოდოლოგიით განხილვის აუცილებლობის თაობაზე. ამგვარი მიდგომის მაგალითია კოდექსის 1128-ე მუხლი - გადაწყვეტილების მიღება შვილების საცხოვრებელი ადგილის და მათ რჩენის შესახებ, რომელიც პირდაპირ სავალდებულო ძალის მქონედ განსაზღვრავს, რომ განქორწინების შემდგომ პერიოდში, როდესაც მშობლები ვერ აღწევენ კონსენსუსს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, საქმის განხილვის პროცესში აუცილებლად უნდა ინტეგრირდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეშვეობით, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პროფესიული დასკვნისა და შეფასებების საფუძველზე, ხორციელდება მრავალფაქტორული ანალიზი, რომელიც მოიცავს: ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დადგენას, მშობლებთან ურთიერთობის ხარისხობრივ შეფასებას, ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის ადეკვატური პირობების შექმნის შესაძლებლობათა იდენტიფიცირებას, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახური მდგომარეობის კომპლექსურ ანალიზს. ამასთანავე პროცესის ფარგლებში ხდება ბავ-

¹⁴³ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლები 69, 72-73, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

¹⁴⁴ ზარნაძე ე. ჭალიძე თ. „ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში“, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2024, გვ.49.

შვის სხვა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და დოკუმენტირება. აღნიშნული მეთოდოლოგიით საქმის განხილვის ფუნდამენტური უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ წარმოადგენს ერთპიროვნულს. პირიქით, სასამართლო ეყრდნობა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მიერ მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნებსა და შეფასებებს, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას და არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტიზაციის პრინციპის სრული დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი წარმოადგენს მულტიდისციპლინური მიდგომის იმპლემენტაციის მთავარ საპროცესო გარანტიას. კოდექსში ინტეგრირებული ნორმებიდან აღსანიშნავია 162-ე მუხლი - ექსპერტიზის დანიშვნა, რომელიც ადგენს სპეციალური ცოდნის მქონე პირთა ჩართულობის სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე საყურადღებოა 204-ე მუხლი - სპეციალისტის მოწვევა, რომელიც რეგლამენტირებს სპეციფიკური კომპეტენციის მქონე პროფესიონალთა მონაწილეობის პროცედურულ ასპექტებს სასამართლო განხილვის ფარგლებში.¹⁴⁵

მულტიდისციპლინური მიდგომის მიზნად ისახავს ყველა ბავშვისათვის თანასწორი და სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიანი რეალიზების უზრუნველყოფას. აღნიშნული სტანდარტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოწყვლადი კატეგორიის არასრულწლოვანთა მიმართებაში, რომლებიც მოკლებულნი არიან მშობლების მზრუნველობას ან იმყოფებიან მათთან კონფლიქტში. საპროცესო კოდექსით დადგენილი მექანიზმები ქმნის სტრუქტურულ საფუძველს ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც გამსჭვალულია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიმატის პრინციპით და მიმართულია მათი უფლებრივი მდგომარეობის მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე.

სამოქალაქო სამართალწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სპეციალიზებულ პროფესიონალთა ჩართულობა¹⁴⁶, რომელიც რამდენიმე ფუნდამენტური ფაქტორით არის განპირობებული. პირველ

¹⁴⁵ მამულაძე მ. „მულტიდისციპლინური პრინციპის საფუძველზე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება“, სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“, 2024, 10(2), გვ. <https://journals.4science.ge/index.php/spectri/article/view/3355/3369> [30.04.2025].

¹⁴⁶ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 73, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

რიგში, სამართლებრივი პროცესის სათანადო წარმართა მოითხოვს განსაკუთრებული კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირთა ჩაბმას. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მონაწილე პირთა პერსონალური თვისებებისა და პროფესიული კვალიფიკაციის შესატყვისობა მათთვის დელეგირებულ საპასუხისმგებლო ვალდებულებებთან. დამატებით, აუცილებელია მრავალდარგობრივი მეთოდოლოგიური მიდგომების იმპლემენტაცია პრაქტიკაში.¹⁴⁷

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპის თანახმად: „ბავშვს ეფექტურად ვერ მოუსმენ შემაშინებელ, მტრულ, არასენსიტიურ ან მისი ასაკისათვის შეუფერებელი გარემოში“.¹⁴⁸ აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკული რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც პროცესში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალიზირებული კადრები, რომელთაც გააჩნიათ საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები არასრულწლოვანთან კომუნიკაციის, მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასებისა და ინტერესების სრულყოფილი გათვალისწინებისათვის.

სასამართლო პრაქტიკა ნათლად წარმოაჩენს სპეციალიზირებული პირების ჩართულობის არსებით მნიშვნელობას საოჯახო სამართლებრივ დავებში, რაც უმთავრესად ემსახურება არასრულწლოვანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციასა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა არ არის ინოვაციური ქართული სამართლებრივი სივრცისათვის და იგი ჯერ კიდევ ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებამდე იყო დამკვიდრებული. თუმცა, კოდექსის მიღებამ რადიკალურად გააფართოვა და გააძლიერა სპეციალიზირებული პირების მონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლები. საკანონმდებლო სივრცეში გაჩნდა იმპერატიული ნორმები, რომლებიც აღარ ტოვებს შესაბამისი პირების საქმეში ჩართვის საკითხს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებად, არამედ განსაზღვრავს მას, როგორც სავალდებულო კომპონენტს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისთვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამარ-

¹⁴⁷ ზარნაძე ე. ჭალიძე თ. „ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში“, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2024, გვ.51.

¹⁴⁸ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12, „ბავშვის უფლება მისი მოსაზრების მოსმენაზე“, 2009, < <https://digitallibrary.un.org/record/671444?ln=en> > [30.04.2025].

თლებრივი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გამოხატულია ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს: „საქმეში არ არის წარმოდგენილი სპეციალისტის შესაბამისი დასკვნა, რომელიც ასახავდა და გაანალიზებდა მარტოდ დარჩენილი „ა“-ს მდგომარეობას, მის ემოციურ განცდებს, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას გვემსჯელა ბავშვთა საუკეთესო ინტერესებზე“.¹⁴⁹ სასამართლო განმარტება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მულტიდისციპლინური მიდგომა და კომპეტენტური პირების მონაწილეობა წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნას, არამედ არსებით კომპონენტს ბავშვის ინტერესების სრულყოფილი შეფასებისა და დაცვისათვის. აღნიშნული მექანიზმი სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნება, როგორც სამართლებრივ ანალიზს, ასევე ბავშვის ფსიქოლოგიური, ემოციური და სოციალური მდგომარეობის სიღრმისეულ შეფასებას.

საყურადღებოა ევროპული სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილება, სადაც განხილულია სამოქალაქო სამართალწარმოებაში სპეციალიზირებული პირების სრულფასოვანი ჩართულობის აუცილებლობის საკითხი. სტრასბურგის სასამართლომ მკაფიოდ წარმოაჩინა სპეციალისტების კვალიფიციური შეფასების გადამწყვეტი როლი მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელების პროცესში. სასამართლო კრიტიკულად აფასებს ფსიქოლოგიური დასკვნის შეზღუდულ ხასიათს, რომელიც მხოლოდ ზედაპირულად ადასტურებდა „ლ“-ს მიერ მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმის და მისთვის დახმარების საჭიროებას. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არ არსებობდა ექსპერტის შეფასება, რომელიც სიღრმისეულად გაანალიზებდა შემდეგ ასპექტებს: ბავშვის უკრაინაში დაბრუნების პოტენციურ გავლენას მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე; არსებული ფსიქოლოგიური ტრავმის გაღრმავების შესაძლებლობას; უკრაინაში დაბრუნებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შედეგებსა და ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებული სხვა შესაძლო რისკებს. სტრასბურგის სასამართლო მიუთითებს, რომ ამგვარი კომპლექსური და მრავალმხრივი ანალიზის არ არსებობის პირობებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო ვერ

¹⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-1112-1047-2015 (04.03.2016), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/57408/1> [30.04.2025].

მიიღებდა სამართლებრივად სათანადოდ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. ევროპული სასამართლოს პოზიცია წარმოადგენს არა მხოლოდ სპეციალისტების ფორმალური მონაწილეობის აუცილებლობას, არამედ მათი ჩართულობის ხარისხობრივ ასპექტებსაც. სასამართლო აქცენტს აკეთებს სპეციალიზირებული დასკვნების სიღრმეზე, კომპლექსურობას და საფუძვლიანობაზე. მხოლოდ ამგვარი მაღალი სტანდარტის დაცვით შედგენილი დასკვნა/შეფასებები უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სრულფასოვან განხორციელებას, განსაკუთრებით ისეთ სენსიტიურ და მგრძნობიარე საკითხებზე, როგორიცაა ბავშვთა უფლებები და ინტერესები.¹⁵⁰

მულტიდისციპლინური მიდგომის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის, მშობლებთან დამოკიდებულების, ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკებისა და სხვა რელევანტური საჭიროებების მრავალმხრივი შეფასება. ამ მხრივ ყურადღება ენიჭება იმ პროცედურულ ჩარჩოს, მეთოდოლოგიურ სტანდარტებსა და შეფასებების ინსტრუმენტებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ სპეციალიზირებული პირები თავიანთი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში¹⁵¹ წარმოაჩენს მნიშვნელოვან პროცედურულ და მეთოდოლოგიურ ხარვეზებს, რომლებიც არსებითად აფერხებს ეფექტიანი მულტიდისციპლინური შეფასების განხორციელებას. ანგარიშის თანახმად, სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს არ გააჩნიათ წინასწარ დეტერმინირებული პროტოკოლები, სახელმძღვანელო პრინციპები და პროცედურული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა მათი საქმიანობის სტანდარტიზაციასა და კვალიფიციურ განხორციელებას. სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზი ცხადყოფს, რომ სპეციალისტების მიერ მომზადებული შეფასებები ხშირად ხასიათდება ზოგადი ფორმულირებით და არასაკმარისი სიღრმისეული ანალიზით, რაც ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ინფორმაციის სრულყოფილ მიწოდებას.

¹⁵⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N2361/13 (21.07.2015) საქმეზე გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ, <https://shorturl.at/2axYw> [30.04.2025].

¹⁵¹ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2023, <https://www.ombudsman.ge/res/docs/202304241113732862.pdf> [30.04.2025].

განსაკუთრებით პრობლემურია სააგენტოს სპეციალისტების მიერ გამოყენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების არაერთგვაროვნება, რაც გამოიხატება არა მხოლოდ არასტანდარტიზირებულ პროცედურებში, არამედ ტერმინოლოგიურ გაურკვევლობაშიც. საილუსტრაციოდ, ანგარიში მიუთითებს ტერმინ „მიჯაჭვულობის“ არაერთგვაროვან ინტერპრეტაციაზე, როდესაც სპეციალისტები მას იყენებენ სხვადასხვა კონტექსტში, როგორიცაა „გადაჭარბებული მიჯაჭვულობა“, „განსაკუთრებული მიჯაჭვულობა“ და „მიჯაჭვულობის მაღალი მაჩვენებელი“.¹⁵² აღსანიშნავია, რომ ამგვარი ტერმინოლოგიური დივერსიფიკაცია არ შეესაბამება სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მიდგომებს და შესაძლოა წარმოშვას ინტერპრეტაციული გაურკვევლობა, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ბავშვისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულების ობიექტურ შეფასებაზე. ტერმინთა სიზუსტის ნაკლებობა საფრთხეს უქმნის, როგორც შეფასებების მეცნიერულ სანდოობას, ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესების ოპტიმალურ დაცვას სამართალწარმოების პროცესში.

საექსპერტო შეფასებათა პრაქტიკაში მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ფარგლებში შედგენილი დასკვნები ხშირად მოკლებულია სათანადო ემპირიულ საფუძველს. პროგნოზირებული განცხადებები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ პირის მომავალ ქცევას, ვერ აკმაყოფილებს მტკიცების მაღალ სტანდარტს. ფსიქოლოგის ერთ-ერთ დასკვნაში მითითებულია: „რაც თავის მხრივ აჩენს რისკს სამომავლო პარტნიორულ ურთიერთობებში იჩინოს თავი და მან აირჩიოს ისეთივე „ცუდი“ პარტნიორი, იყოს ისეთივე „ცუდი“ მეუღლე, როგორიც იყვნენ თავისი მშობლები“.¹⁵³ ციტირებული მაგალითი ნათლად წარმოაჩენს განხილულ პრობლემატიკას, სადაც ექსპერტი იჭრება ვარაუდების სფეროში, კაუზალური კავშირის დასაბუთების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება, როგორც მტკიცებულებით პრინციპს, ასევე პროფესიული ეთიკის იმპერატივებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ არასრულწლოვანის მიმართ გამოთქმული მსგავსი პროგნოზები შეიცავს სტიგმატიზაციის რისკს და ეწინააღმდეგება ბავშვის

¹⁵² „Patterns of attachment a psychological study of the strage situation“, <https://mindsplain.com/wp-content/uploads/2021/01/Ainsworth-Patterns-of-Attachment.pdf> [30.04.2025].

¹⁵³ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფსიქოლოგის N07012414 დასკვნა (20.04.2022).

უპირატესი ინტერესების კონსტიტუციურ პრინციპებს. იურიდიული პერსპექტივიდან ეს შეიძლება განიხილებოდეს როგორც არასათანადო პროფესიული გულმოდგინების გამოვლინება და კომპეტენციის ფარგლების გადაცილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე შემუშავდეს მკაფიო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მეთოდოლოგიურ სტანდარტებს და დაადგენს ანგარიშვალდებულების მექანიზმებს არაკვალიფიციური შეფასებებისათვის, რაც უზრუნველყოფს იურიდიული და ეთიკური ნორმების ჰარმონიზაციას.

განხილული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენს ინტერდისციპლინური კადრების კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება. საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებს სპეციალიზაციის იმპერატიულ მოთხოვნას სამართალწარმოების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებისათვის, თუმცა ნორმატიული ჩარჩო ხასიათდება რიგი ხარვეზებით. საკანონმდებლო დეფიციტს წარმოადგენს კომპეტენტური უწყების არარსებობა, რომელსაც დაეკისრება ფსიქოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულება. ასევე არ არის რეგლამენტირებული სერტიფიცირების პროცედურა, გადამზადების კურიკულუმი, ტრენინგ-კურსები და პროფესიული სტანდარტები იმ სპეციალისტებისათვის, რომელთაც უწევთ არასრულწლოვანთან კომუნიკაცია ან მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება.¹⁵⁴ სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების ორგანო ფლობდეს უტყუარ გარანტიებს ექსპერტთა საკვალიფიკაციო შესაბამისობის შესახებ. აღნიშნული წინაპირობა უზრუნველყოფს საპროცესო მოქმედებების ლეგიტიმურობასა და გადაწყვეტილების ვალიდურობას.¹⁵⁵

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგთა ყოველდღიური პროფესიული პრაქტიკა მოიცავს ინტენსიურ ინტერაქციას არასრულწლოვანებთან, თუმცა ემპირიული მონაცემების ანალიზი ავლენს მნიშვნელოვან დეფიციტს მათი კომპეტენციების განვითარების კუთხით ბავშვთა მართლმსაჯულების სფეროში. სპეციალისტების

¹⁵⁴ ზარნაძე ე. ჭალიძე თ. „ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში“, „სამართლის ჟურნალი“ N1, 2024, გვ.59.

¹⁵⁵ Okoye J. U. Oraegbunam I. K. „Some pathways for psychology's influence on legal system“, „African Journal of „Law and Human Rights“, 3(1), 2019, გვ. 50.

პროფესიული განვითარება არ არის მიმართული ფუნდამენტური და სიღრმისეული კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ. ფსიქოლოგთა მიერ იდენტიფიცირდება პროფესიული გადამზადების შესაძლებლობების სიმწირე, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობის ეფექტურობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ბავშვთა უფლებების დეტალურ ცოდნაზე. უფრო მეტიც, მათი ფუნქცია სცდება მხოლოდ ინფორმაციის ტრანსმისიას და მოიცავს არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ვალდებულებას მართლმსაჯულების განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში.¹⁵⁶

აუცილებელია ჩამოყალიბდეს ორმხრივი მიმართება: ფსიქოლოგთა კორპუსმა უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის კომპეტენტური და მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების წარდგენა, ხოლო სამართალშემფარდებლები მოვალენი არიან განავითარონ კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევები, რათა მოახდინონ წარმოდგენილი დასკვნების სათანადო შეფასება და ობიექტური მტკიცებულებების, ფაქტობრივი გარემოებებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე შეძლონ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა წარმოადგენს „sine qua non“ (ქმედების გარეშე შედეგი არ იქნება) პირობას არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტული დაცვისა და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

განხილული პრობლემატიკის გადაჭრის ქმედით მექანიზმად შეიძლება განვიხილოთ ფსიქოლოგიურ პროფესიასთან დაკავშირებული დეონტოლოგიური ნორმების ინსტიტუციონალიზაცია, ამერიკული მოდელის ანალოგიურად. სპეციალისტთა ქცევის რეგლამენტის, სამსახურებრივი ვალდებულებებისა და სანქციების ინსტრუმენტების იმპლემენტაცია რადიკალურად გააუმჯობესებს პროფესიული საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებელს.

პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ციტირებული დასკვნები არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი. ეროვნული სასამართლოსა და სტრასბურგის სასამართლოს მიერ მითითებული დარღვევები ხშირად უკავშირდება დასკვნათა აბსტრაქტულ ხასიათს, ფაქტობრივი გარემოებების არაადეკვატურ ასახვასა და ბავშვის პრიორიტეტული ინტერესების უგულებელყოფას. მიუხედავად ამისა,

¹⁵⁶ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის, თბილისი, 2024, გვ.31, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

ფსიქოლოგები მაინც „de facto” იმუნიტეტით სარგებლობს პასუხისმგებლობისგან. აღნიშნული კოლიზიური მდგომარეობა წარმოშობს ლეგიტიმურ კითხვებს შერჩე-
ვითი სამართლის პრინციპთან მიმართებით. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს მატე-
რიალურ მტკიცებულებას, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს სასამართლო გადაწყვე-
ტილების შინაარსი, ამიტომ აუცილებელია ფსიქოლოგთა კვალიფიციური პასუხის-
მგებლობის სისტემის ფორმირება.

საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრისათვის, მიზანშეწონილია მოხდეს პროფე-
სიული ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს როგორც პროფესიული
ვალდებულებების ხარისხს, ისე დარღვევებზე რეაგირების პროპორციულ მექანიზ-
მებს. ალტერნატივის სახით შესაძლებელია სპეციალური კვაზისასამართლო ორგანოს
შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დისციპლინური წარმოების განხორციელებას
ფსიქოლოგთა მიმართ. ასეთი ნორმატიული ჩარჩოს არსებობა შექმნის პროფესიული
ანგარიშვალდებულების გარანტიებს და უზრუნველყოფს სამართლიანი მართლ-
მსაჯულების პრინციპის რეალიზაციას.

მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი სამართალწარმოების პროცესში,
რომელსაც გააჩნია ორი ძირითადი ვალდებულება: მონაწილეობა მიიღოს არასრუ-
ლწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და მოამზადოს ობიექტური ფსიქოსო-
ციალური დასკვნა სასამართლოსთვის.¹⁵⁷ აღნიშნული რეგულაცია ასახავს იურიდი-
ულ პარადიგმათა ტრანსფორმაციას, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება
სცდება მხოლოდ სამართლებრივ კონსტრუქციას და ინტეგრირდება მულტიდის-
ციპლინურ პერსპექტივად. სოციალური მუშაკი არის მედიატორი ბავშვის სუბიექტურ
რეალობასა და სამართლებრივ სისტემას შორის, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფი-
ციარის ფსიქოსოციალური მდგომარეობის გადმოცემას იურიდიულ დისკურსში.
სოციალური მუშაკის ჩართულობა სამართლებრივ პროცესში ასევე წარმოაჩენს
თანამედროვე მართლმსაჯულების დეცენტრალიზირებულ ხასიათს, სადაც გადაწყვე-
ტილების მიღების პროცესი ეფუძნება არა მხოლოდ ნორმატიულ დოკუმენტაციას,
არამედ ემპირიულ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეალობასაც. თუმცა სოციალურ
მუშაკთა პროფესიული განვითარების კონტექსტში იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზი

¹⁵⁷ საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მუხლი 24,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=10> [30.04.2025].

განახლებულ საკანონმდებლო რეგულაციებზე ინფორმაციის მიღებისა და კომპეტენციების გაღრმავების შესაძლებლობებთან მიმართებაში.

სოციალურ მუშაკთა გარკვეული სეგმენტი, ხელმძღვანელობს ძველი სამართლებრივი დანაწესებით. მათი განმარტებით „როდესაც ბავშვის არის 10 წლის და ზემოთ, მისი ასაკობრივი თუ გონებრივი სიმწიფის გათვალისწინებით, ხდება პოზიციის დაფიქსირება, ოფიციალურად, ასე რომ ვთქვათ, ანუ უკვე შეუძლია, მას განცხადებით დაგვიფიქსიროს ესა თუ ის მოსაზრება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ თუკი ბავშვი არის ათ წლამდე, მაგრამ მას აქვს ისეთი გონებრივი შესაძლებლობები, რომ შეუძლია მკაფიოდ დააფიქსიროს თავისი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც არის გასათვალისწინებელი მისი აზრი“; „ბავშვთა უფლებათა კოდექსშიც არის ეს განმარტებული, რომ 10 წლის ბავშვებს უკვე შეუძლია, რომ წერილობითი განცხადებით დააფიქსიროს პოზიცია“, ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით 14 წლამდე ბავშვს არ აქვს დამოუკიდებლად სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.¹⁵⁸ მაშინ როდესაც ბავშვის უფლებათა კოდექსი დეკლარირებს კატეგორიულ იმპერატივს, რომელიც გამორიცხავს ასაკობრივი კრიტერიუმის საფუძველზე არასრულწლოვანის აზრის მოსმენისა და მისი მოსაზრებების გათვალისწინების შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას. აღნიშნული ნორმატიული აქტი უარყოფს ნებისმიერ ასაკობრივ ცენზს, როგორც არასრულწლოვანის სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის ლიმიტაციის პოტენციურ საფუძველს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სისტემურ გამოწვევად რჩება ასევე სოციალური მუშაკების არასაკმარისი რაოდენობა. აღნიშნული ვითარება არსებითად ზღუდავს, როგორც მომსახურების ხელმისაწვდომობას, ასევე მისი განხორციელების ხარისხს. ამ კონტექსტში პოზიტიურად უნდა შეფასდეს ბოლო პერიოდში დაწყებული სპეციალიზაციის პროცესი, რომლის ფარგლებში სოციალურ მუშაკებს უფლებამოსილება მათ ფუნქციურ დანიშნულებასთან შესაბამისობაში ენიჭებათ. თუმცა სპეციალიზაციის გეოგრაფიული გავრცელება ამ ეტაპზე შემოიფარგლება საქართველოს მხოლოდ რამდენიმე ქალაქით. მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, სპეციალიზაციის პროცესს არ მოჰყოლია შესაბამისი ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამების

¹⁵⁸ იქვე.

სისტემური დანერგვა, რაც პროფესიული კომპეტენციის განმტკიცებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემად რჩება საქმეების არათანაბარზომიერი რაოდენობა დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობასთან შედარებით, მათ შორის იმ ქალაქებშიც, სადაც ფუნქციური გადანაწილება უკვე განხორციელებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ერთი-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, მხოლოდ თბილისში დაახლოებით, 15 სოციალურ მუშაკზე მოდის 3200-მდე საქმე, რაც რეალურად გამორიცხავს ხარისხიან და ეფექტურ საქმიანობას. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, დიდია სოციალური მუშაკების გადინება, ხოლო ახალი და გამოუცდელი კადრისათვის კი რთულია ამ დატვირთვით ხარისხიანი მომსახურების გაწევა.¹⁵⁹

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ერთი სოციალური მუშაკისათვის განსაზღვრული მაქსიმალური საქმის რაოდენობა 50 ერთეულს შეადგენს.¹⁶⁰ თუმცა საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულია, რომ სოციალური მუშაკი, განურჩევლად საქმიანობის არეალისა, უნდა აწარმოებდეს 8-18-მდე საქმეს.¹⁶¹ აღნიშნული დისბალანსი აშკარად ჩანს საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების შედარების შემთხვევაშიც, სახელმწიფო აუდიტის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში 100 000 მოსახლეზე, საშუალოდ, 7 სოციალური მუშაკი მოდიოდა, მაშინ როცა ევროპის სახელმწიფოებში აღნიშნული მაჩვენებელი 1850-ს უახლოვდება.¹⁶² ქვეყანაში არსებული ადამიანური რესურსების სიმცირის გათვალისწინებით, ნათლად იკვეთება ის გარემოება, რომ სოციალური მუშაკების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მომსახურების ხარისხიან მიწოდებისათვის აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს. აღნიშნული მოცემულობა ადასტურებს სისტემური ცვლილებების აუცილებლობას სოციალური მომსახურების სფეროში, რაც მოიცავს როგორც ადამიანური რესურსების ზრდას, ასევე პროფესიული სტანდარტების საერთაშორისო გამოცდილებასთან ჰარმონიზაციას.

¹⁵⁹ გოჩიაშვილი ნ. „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების პროცესში“, ანგარიში, 2023, გვ.16-17.

¹⁶⁰ საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მუხლი 47, პუნქტი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=10> [30.04.2025].

¹⁶¹ Workload and Casework review, Qualitative Review of Social Worker Caseload, Casework and Workload Management, Office of the Chief Social Worker, 2014, გვ.83, პარ.11.25.

¹⁶² საქართველოს განათლების ფსიქოლოგთა ასოციაცია, „სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მზრუნველობა-მეურვეობის სოციალური მუშაკების საქმეთა შესრულების ხარისხი და პროფესიული გადაწვა“, 2022.

ბავშვთა უფლებების დაცვის კონტექსტში, სოციალური მუშაკების სამუშაო პირობებისა და პროფესიული გამოწვევების შესწავლის მიზნით, წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, ჩატარდა კვლევა.¹⁶³ კვლევის მონაცემები აჩვენებს მნიშვნელოვან შეუსაბამობას სოციალური მუშაკების რეალურ დატვირთვასა და საერთაშორისო სტანდარტებით რეკომენდირებულ ნორმებს შორის. შედეგების თანახმად, სოციალურ მუშაკთა 78,3% ერთდროულად 45-ზე მეტ საქმეს მართავს, 8.7% - 40-45 საქმეს უძღვება, ხოლო 13% პასუხისმგებელია 25-35 საქმეზე. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო სტანდარტებით რეკომენდირებულ ნორმას - 8-18 საქმე თითო სოციალურ მუშაკზე.

სოციალური მუშაკების წარმოებაში არსებულმა საქმეთა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუარესება, პროფესიული გადაწვის სინდრომი, ბავშვთა უფლებების დაცვის ეფექტიანობის შემცირება, შემთხვევების არასათანადო მართვის რისკის ზრდა, პროფესიული კმაყოფილების დაქვეითება და კადრების გადინება. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მიუთითებს სისტემურ პრობლემაზე, რომელიც საჭიროებს ყურადღებას დამატებითი კადრების მოზიდვის კუთხით.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს ასევე დაესვა კითხვა „რამდენად აისახება თქვენს წარმოებაში არსებული საქმეთა რაოდენობა, თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე (გადატვირთულია თუ არა თქვენი სამუშაო გრაფიკი)?“ . კვლევის შედეგები აჩვენებს მნიშვნელოვან კორელაციას საქმეთა რაოდენობასა და სამუშაოს შესრულების ხარისხს შორის სოციალურ მუშაკთა აღქმის საფუძველზე. რესპონდენტთა უმრავლესობა (60.9%) მკაფიოდ აღიარებს, რომ მათ წარმოებაში არსებული საქმეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აისახება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

¹⁶³ კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 23 სოციალური მუშაკი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად, დახურული ონლაინ კითხვარის (სულ 7 კითხვა) მეშვეობით. კვლევის მიზანი: სოციალური მუშაკების საქმიანობის შეფასება ბავშვთა უფლებების დაცვის კონტექსტში. კვლევის პერიოდი: 2025 წლის აპრილის თვე. კვლევა ხელმისაწვდომია:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSct5a4ltHfP9KB2EL_pfYEqiOD7n5vpyRB4Sxayq6IJYY_TKw/viewform?usp=header [30.04.2025].

ამასთან 34.8% აღნიშნავს, რომ საქმეთა მოცულობა მეტ-ნაკლებად მოქმედებს ხარისხზე, ხოლო მხოლოდ უმცირესობა (4.3%) მიუთითებს, რომ საქმეთა რაოდენობა არ აისახება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

ზემოაღნიშნული მონაცემები იძლევა ორ მნიშვნელოვან დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: პირველი, ჯამში რესპონდენტთა 95.7% აღიარებს საქმეთა რაოდენობის გავლენას სამუშაოს ხარისხზე, რაც ამყარებს წინა მონაცემებს გადატვირთული სამუშაო გრაფიკის შესახებ. მეორე, „მნიშვნელოვნად აისახება“ პასუხის დომინირება მიუთითებს, რომ პრობლემა არა მხოლოდ არსებობს, არამედ სისტემურ გამოწვევას წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ სპეციალისტთა მხოლოდ 4.3% არ ხედავს კავშირს საქმეთა რაოდენობასა და სამუშაო ხარისხს შორის, შესაძლოა მიუთითებდეს სხვადასხვა ფაქტორზე: რესპონდენტთა განსხვავებულ სამუშაო პირობებზე, მათ მიერ განვითარებულ ადაპტაციის სტრატეგიებზე ან ხარისხის შეფასების განსხვავებულ სტანდარტებზე. აღნიშნული მონაცემები წინა კვლევის შედეგებთან ერთად, ხაზს უსვამს სისტემური ჩარევის აუცილებლობას სოციალური მუშაკების საქმეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველსაყოფად, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სოციალურ მუშაკთა შორის პროფესიული გადამზადების მდგომარეობა ბავშვთა უფლებების თემატიკაზე არაადამაკმაყოფილებელია. რესპონდენტთა მხოლოდ 43.5 %-მა დააფიქსირა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მიიღო მონაწილეობა შესაბამის პროფესიულ გადამზადებაში, მაშინ როცა მნიშვნელოვანი უმრავლესობა - 56.5% აცხადებს, რომ ასეთ ტრენინგებში მონაწილეობა არ მიუღია. ეს მონაცემები წარმოაჩენს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს: პროფესიონალთა ნახევარზე მეტი, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ უკავშირდება ბავშვთა უფლებების დაცვას, ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა ჩართული თემატურ პროფესიულ გადამზადებაში. მონაცემები ასევე მიუთითებს სისტემურ ხარვეზზე უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის კუთხით, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ბავშვთა უფლებების სფეროში, სადაც საკანონმდებლო ბაზა და პრაქტიკული მიდგომები მუდმივად განახლებას საჭიროებს. კვლევის შედეგები უკვე გამოვლენილ პრობლემებთან ერთად (გადატვირთული საქმეები და მათი ხარისხზე გავლენა) წარმოაჩენს კომპლექსურ გამოწვევას - პრაქტიკოსები არა

მხოლოდ საქმეებით არიან გადატვირთულები, არამედ მათი უმრავლესობა ვერ იღებს განახლებულ პროფესიულ ცოდნას სფეროს საბაზისო საკითხებზე. არსებული ტენდენცია, ბუნებრივია უარყოფითად აისახება სამიზნე ჯგუფზე- ბავშვების კეთილდღეობაზე.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს ასევე დაესვა კითხვა „რა საშუალებები ახორციელებთ პროფესიულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიებასა და ცნობიერების ამაღლებას?“ მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს რამდენიმე მნიშვნელოვან ტენდენციას: კოლეგებთან კომუნიკაცია წარმოადგენს ინფორმაციის მიღების ყველაზე გავრცელებულ წყაროს, რომელიც რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (87%) დაასახელა. ეს მიუთითებს, რომ არაფორმალური პროფესიული ქსელები და გამოცდილების გაზიარება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პრაქტიკოსთა შორის ცოდნის გავრცელებაში; ტრენინგ-კურსებზე დასწრება (60.9%) და პროფესიული ლიტერატურის შესწავლა (56.5%) წარმოადგენს ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან, მაგრამ შედარებით ნაკლებად გამოყენებულ წყაროს. ეს შესაძლოა მიუთითებდეს ფორმალური საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის პრობლემებზე; ინტერნეტი (34.8%) მეოთხე ადგილზეა ინფორმაციის წყაროების სიხშირის მიხედვით, რაც მოულოდნელად დაბალი მაჩვენებელია თანამედროვე ციფრულ ეპოქაში. ეს შესაძლოა მიუთითებდეს დარგში სპეციფიკური ონლაინ რესურსების სიმწირეზე და ციფრული წიგნიერების გამოწვევებზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა კოლეგებთან კომუნიკაციის დომინანტური როლი (87%), რაც, ერთი მხრივ, პოზიტიური ტენდენციაა კოლეგიალური ურთიერთობების კუთხით, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლოა მიუთითებდეს სისტემური, ფორმალიზებული განათლების მექანიზმების სიმწირეზე. ამას ადასტურებს ისიც, რომ ტრენინგებსა და პროფესიულ ლიტერატურაზე წვდომა რესპონდენტების მხოლოდ 60.9%-მა დაასახელა. საბოლოოდ, კვლევის შედეგები მიუთითებს სისტემური პროფესიული განვითარების პროგრამების გაძლიერების საჭიროებაზე, რათა შემცირდეს დამოკიდებულება არაფორმალურ ინფორმაციის წყაროებზე და გაიზარდოს სტრუქტურირებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

კვლევის თანახმად, სოციალურ მუშაკთა ვიზიტების სიხშირე ბენეფიციარებთან მნიშვნელოვან ვარიაციას ავლენს. კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (43.5%) ახორციელებს ინტენსიურ მუშაობას და თვეში 7-ზე მეტ ვიზიტს ატარებს ბენეფიციართან. რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი (26.1%) თვეში 5-6 ვიზიტს ახორციელებს, რაც ასევე საკმაოდ პოზიტიური მაჩვენებელია. გამოკითხულთა 17.4% ატარებს 3-4 ვიზიტს, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი (13%) შემოიფარგლება 1-2 ვიზიტით თვეში. კვლევის შედეგები მიუთითებს სოციალურ მუშაკთა აქტიურ ჩართულობაზე ბენეფიციართა მხარდაჭერის პროცესში. ამავდროულად ეს მონაცემები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სოციალური სამსახურების დატვირთვის შეფასებისათვის, რესურსების განაწილების ოპტიმიზაციისა და სამომავლო სტრატეგიული დაგეგმვისათვის.

კვლევის შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ ტერიტორიული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს არასრულწლოვანებთან ვიზიტების ორგანიზებაში: რესპონდენტთა უმრავლესობა (56.5 %) მიუთითებს, რომ ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრობლემა გარკვეულწილად ართულებს ბენეფიციარებთან ვიზიტების ორგანიზებას, რესპონდენტთა ნაწილი (26,1%) აღნიშნავს, რომ ტერიტორიული ფაქტორი მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას, ხოლო მცირე ნაწილი (17.4%) მიუთითებს, რომ საერთოდ არ ახდენს გავლენას.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ტერიტორიული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სოციალური მუშაკებისათვის არასრულწლოვან ბენეფიციარებთან ვიზიტების ორგანიზების პროცესში. რესპონდენტთა უმეტესობა (56.5%) მიუთითებს, რომ ტერიტორიული ხელმისაწვდომობა „გარკვეულწილად“ ართულებს ბენეფიციარებთან ვიზიტს, 26.1% თვლის, რომ ეს ფაქტორი „მნიშვნელოვნად“ ზღუდავს მათ პროფესიულ საქმიანობას. მხოლოდ მცირე ნაწილი (17.4%) აცხადებს, რომ ტერიტორიული ხელმისაწვდომობა საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას. აღნიშნული მონაცემები წარმოაჩენს სტრუქტურული ბარიერების არსებობას სოციალური მომსახურების მიწოდებაში და მიუთითებს ინფრასტრუქტურული ან ლოგისტიკური გადაწყვეტილებების საჭიროებაზე. შედეგები ასევე ხაზს უსვამს რეგიონული დაფარვის გაუმჯობესების აუცილებლობას არასრულწლოვანთა სოციალური მხარდაჭერის სისტემაში.

რესპონდენტებს ასევე დაესვა კითხვა „ხართ თუ არა სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი?“ გამოკითხული სოციალური მუშაკების პროფესიული კვალიფიკაციის მდგომარეობა შემდეგნაირად გადანაწილდა: რესპონდენტთა უმრავლესობა (69.6%) სერტიფიცირებულია, ხოლო 30,4% - არ ფლობს შესაბამის სერტიფიკატს. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ მიუხედავად სერტიფიცირებული კადრების მნიშვნელოვანი წილისა, არასრულწლოვანებთან მომუშავე პერსონალის თითქმის მესამედი არ არის სპეციალიზირებული, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს ამ სფეროში არსებულ კვალიფიკაციის გამოწვევებზე.

დასკვნის სახით, კვლევის შედეგები აჩვენებს სისტემურ გამოწვევებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს სოციალური მუშაკების ეფექტიან საქმიანობას ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა, სისტემური პროფესიული განვითარების პროგრამების დანერგვა, ლოგისტიკური მხარდაჭერის გაუმჯობესება, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დახვეწა. წინამდებარე კვლევის შედეგების გათვალისწინება ხელს შეუწყობს სოციალური მუშაკების პროფესიული პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებას და შესაბამისად, ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერებას.

გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხებისა, არასრულწლოვანთა საქმეებზე სააღსრულებო წარმოება, რომელიც სპეციალიზირებული კადრების მეთვალყურეობით ხორციელდება, მნიშვნელოვან პროცედურულ ხარვეზებს ავლენს ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კუთხით. ომბუდსმენის მიერ მომზადებული მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპებთან თავსებადი ფიზიკური სივრცეები მხოლოდ ხუთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულშია ხელმისაწვდომი (იმერეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი), ხოლო დანარჩენ შემთხვევებში არასათანადო ალტერნატიული ლოკაციები გამოიყენება.¹⁶⁴ ბავშვზე ორიენტირებული გარემოს დეფიციტი წარმოადგენს პროცესუალურ დაბრკოლებას, რომელიც

¹⁶⁴ სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიში, „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2023, გვ.27, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023042411113732862.pdf> [30.04.2025].

საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანის ეფექტიან მონაწილეობას სამართალწარმოებაში. ასეთი ვითარება აფერხებს კონფიდენციალობის ატმოსფეროს შექმნას და ბავშვის კეთილგანწყობას, რაც განაპირობებს დამატებითი შეხვედრების აუცილებლობას. მოცემული გარემოება იწვევს საპროცესო ვადების არაპროპორციულ გაჭიანურებას, რაც ეწინააღმდეგება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის კონსტიტუციურ გარანტიას. გახანგრძლივებული სასამართლო წარმოება თავის მხრივ არღვევს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, რომელიც საერთაშორისო სამართლით არის დეკლარირებული. საკითხის გადაჭრა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, როგორც ნორმატიულ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის მოდიფიცირება, რომელიც დაადგენს იმპერატიულ სტანდარტებს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს საბიუჯეტო ასიგნების მიმართვას სპეციალიზირებული სივრცეების მოწყობისაკენ.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის კიდეც ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტს წარმოადგენს უფლება იურიდიულ დახმარებაზე¹⁶⁵, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა აღიარებს, რომ ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს კვალიფიციური და თანმიმდევრული იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე. აღნიშნული უფლება ემყარება რამდენიმე პრინციპულ ელემენტს:

სახელმწიფოს ფინანსური პასუხისმგებლობა - იურიდიული კონსულტირებისა და სამართლებრივი მხარდაჭერის ფინანსური უზრუნველყოფა კონსტიტუირებული უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსებით, რაც წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას იურისდიქციის სფეროში მოქცეული ყველა არასრულწლოვანის მიერ სამართლებრივი დახმარების უნივერსალური ხელმისაწვდომობისათვის, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად.

პერსონალიზირებული იურიდიული მიდგომის იმპერატივი - სამართლებრივი დახმარების პროცესში ინტეგრირებული უნდა იყოს არასრულწლოვანის განვითარების თავისებურებანი, კოგნიტური შესაძლებლობები და სპეციფიკური საჭირო-

¹⁶⁵ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მუხლი 79, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

ებები, რაც განაპირობებს დიფერენცირებული და მეთოდოლოგიურად ადაპტირებული იურიდიული მხარდაჭერის აუცილებლობას, არასრულწლოვან სუბიექტთა ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური განვითარების კონკრეტული ფაზის შესაბამისად.

პროფესიული კომპეტენციისა და მეთოდოლოგიური თანმიმდევრობის იმპერატივი - იურიდიული კონსულტირებისა და სამართლებრივი მხარდაჭერის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ხასიათდებოდეს კონცეპტუალური უწყვეტობით, რაც აუცილებლად გულისხმობს არასრულწლოვანთა სამართლის სფეროში სპეციალიზირებული, შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამართლებრივი კომპეტენციის მქონე იურიდიული კადრების ჩართულობას პროცესში.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს არასრულწლოვანთათვის უფასო სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ ინსტიტუციას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული დახმარების სამსახურის ვალდებულებას უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული ელემენტების, მიმართვის პროცედურული მექანიზმებისა და ყველა შეთავაზებული სერვისის შესაბამისობა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან. ეს გულისხმობს არასრულწლოვანთა საჭიროებებზე ადაპტირებული სივრცეების, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შემუშავებული პროცედურებისა და ბავშვის განვითარების დონის შესაბამისი მიდგომების დანერგვას. თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში არსებული გამოწვევები მოითხოვს იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის როლის გაძლიერებას, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას, გლობალიზაციის პროცესები და საოჯახო ურთიერთობების ტრანსფორმაცია წარმოშობს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ახალ კონტექსტს, რომელიც საჭიროებს ინოვაციურ მიდგომებს.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის კუთხით იურიდიული სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის მიზანშეწონილია:

სპეციალიზირებული კადრების მომზადების გაუმჯობესება - არსებული იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლებს ხშირად არ აქვთ სპეციალიზირებული ცოდნა ბავშვის განვითარების, ფსიქოლოგიისა და არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში. მიზანშეწონილია შეიქმნას სავალდებულო სპეციალიზაციის

ხანგრძლივი კურსები არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე ყველა იურისტისათვის. პროგრამა უნდა მოიცავდეს ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიას, ტრავმაზე ორიენტირებულ მიდგომებს, ბავშვთან ინტერვიუს ჩატარების მეთოდებს და საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს. შეიქმნას სავალდებულო რეკვალიფიკაციის სისტემა ყოველ ორ წელიწადში.

მულტიდისციპლინური გუნდის სტრუქტურული ოპტიმიზაცია - დღევანდელ რეალობაში იურიდიული დახმარების სამსახური საქმიანობას წარმართავს სხვა პროფესიონალებთან არასაკმარისი და არასისტემატიზირებული კოორდინაციით. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისათვის რეკომენდებულია ფორმალიზებული მულტიდისციპლინური გუნდების ჩამოყალიბება, რომელთა ფარგლებშიც თითოეულ არასრულწლოვანთა საქმეზე კონსოლიდირებულად იმუშავენ იურისტები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები თუ მედიატორები. აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს გუნდური მუშაობის დეტალიზებული პროტოკოლი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს თითოეული პროფესიული მიმართულების წარმომადგენლის კონკრეტულ პასუხისმგებლობებისა და კომპეტენციის სფეროებს. პარალელურად, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს უწყებათაშორისი კოორდინაციის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საერთო საქმეების ეფექტიან ადმინისტრირებას, მონაცემთა რაციონალურ მართვასა და ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას. კოორდინირებული საქმიანობის ჯეროვნად უზრუნველყოფისათვის, სასურველია დაინერგოს სავალდებულო ყოველკვირეული გუნდური შეხვედრების პრაქტიკა, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდება საქმეთა დეტალური განხილვა, მიმდინარე გამოწვევების იდენტიფიცირება და კოლეგიალური გადაწყვეტილებების მიღება. მულტიდისციპლინური გუნდების ამგვარი სტრუქტურირებული ფუნქციონირება გააუმჯობესებს არასრულწლოვანთა საქმეების წარმატებით გადაწყვეტის პერსპექტივებს. დამატებით, უმნიშვნელოვანესია, ჩამოყალიბდეს სავალდებულო სამართლებრივი მოთხოვნა, იურიდიული სამსახურის მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების დოკუმენტის შემუშავებისა და სამართალწარმოების პროცესში წარდგენის თაობაზე, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვანთა ინტერესების პრიორიტეტიზაციას.

სისტემური ცვლილებები - მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა სამართლებრივი მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახური, რომლის სამართლებრივი სტატუსი ლეგიტიმურად უნდა განისაზღვროს, როგორც საპროცესო წარმომადგენლისა. სისტემური რეფორმის ეფექტიანობის დასაბუთებისათვის მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ გაერთიანებული სამეფოს რელევანტური ინსტიტუციური გამოცდილება, სადაც 2001 წელს დაფუძნდა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანიზაცია CAFCASS (Children And Family Advisory And Support Service), რომელიც სისტემურად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას სასამართლო პროცესებში. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ინსტიტუცია ყოველწლიურად ახორციელებს საკუთარი საქმიანობის ყოვლისმომცველ ანგარიშგებას, კრიტიკულად აფასებს გაწეულ მომსახურებას და განსაზღვრავს იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს, რის საფუძველზეც შეიმუშავებს მომავალში განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებს.¹⁶⁶

ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა - ამ კონტექსტში, რეკომენდირებულია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მონიტორინგის ინსტიტუციური ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილი იქნებიან სამართლის სპეციალისტები, ფსიქოლოგიის დარგის ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დელეგატები და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები. პარალელურად აუცილებელია შემუშავდეს და საფუძვლიანად განისაზღვროს საქმიანობის ხარისხის შეფასების მრავალასპექტიანი კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს: არასრულწლოვანთა კომუნიკაციის ინტენსივობისა და ეფექტურობის პარამეტრებს, სასამართლო წარმოებისას წარდგენილი არგუმენტაციის სიღრმისეულობასა და დასაბუთებულობას, აგრეთვე მულტიდისციპლინური მეთოდოლოგიის იმპლემენტაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს. სისტემის გამჭვირვალობისა და მდგრადი განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ბენეფიციარების უკუკავშირის სტრუქტურირებული მექანიზმები. დამატებით, რეკომენდებულია დაინერგოს ყოველწლიური ანგარიშგების ინსტიტუციონალი-

¹⁶⁶ Children And Family Advisory And Support Service, ხელმისაწვდომია <<https://www.cafcass.gov.uk/about-us/our-reports-and-publications> > [24.04.2025]

ზებული სისტემა, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სისტემის გამჭვირვალობას, საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის რეალიზებას.

წინამდებარე საკითხთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა ინტერესების სამართლებრივი დაცვა სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში მოითხოვს დარგთაშორის მიდგომასა და შესაბამისი სფეროს სპეციალისტთა აქტიურ ჩართულობას, რაც მართლმსაჯულების მიუკერძოებლად და შედეგიანად აღსრულების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. დღეს მოქმედი სამართლებრივი საფუძვლები მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს ასეთი მრავალმხრივი მიდგომის მოთხოვნებს, ხოლო პრაქტიკული განხორციელებისას გამოვლენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები, როგორც მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობის, ასევე ერთგვაროვანი მეთოდოლოგიური საფუძვლების არარსებობის მხრივ. განსაკუთრებულ სირთულეებად წარმოჩინდება სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა გადამეტებული სამუშაო დატვირთვა და საკადრო რესურსის სიმცირე, ამასთანავე, შეფასების არასაკმარისი საფუძვლიანობა და პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესების საჭიროება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა მოითხოვს ყოვლისმომცველ ცვლილებებს კანონმდებლობის, დაწესებულებათა მოწყობისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების დონეზე, სპეციალისტთა განუწყვეტელ პროფესიულ ზრდასა და დარგთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავებას.

3.3. არასრულწლოვანის მოსმენა და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება: ფორმალობიდან ეფექტურ მექანიზმამდე არსებული წინააღმდეგობები

ბავშვის აზრის მოსმენისა და მონაწილეობის უფლება¹⁶⁷ წარმოადგენს ფუნდამენტურ კომპონენტს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განხორციელების კონტექსტში. აღნიშნული უფლება დუალისტური ბუნების მქონე სამართლე-

¹⁶⁷ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 8, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

ბრივი პრინციპია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ბავშვის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე ხელს უწყობს მის პიროვნულ ფორმირებას. განხილული რეგულაციის საკანონმდებლო სივრცეში იმპლემენტაციამ განაპირობა პარადიგმული ცვლილება ბავშვის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით - ბავშვი აღიქმება არა მხოლოდ დაცვის ობიექტად, არამედ უფლებების მქონე აქტიურ სუბიექტად. ეს კონცეფცია აღიარებს, რომ ბავშვი არის უნიკალური, განუმეორებელი ინდივიდი, პატივი უნდა ვცეთ მის პერსპექტივას, მიზნებსა და ავტონომიურობას.¹⁶⁸

იურიდიული შედეგების თვალსაზრისით, ბავშვის პროცესში მონაწილეობის უფლების იგნორირება წარმოშობს სამართლებრივი აქტის ანულირების უპირობო საფუძველს. კერძოდ, გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია არასრულწლოვანის საპროცესო მონაწილეობის გარეშე მის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე ექვემდებარება იმპერატიულ გაუქმებას, ხოლო კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში - ბათილობას. მსგავსი მიდგომა წარმოადგენს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, პრინციპი „ბავშვი უდრის ზრდასრულ ადამიანს“ არ არის მხოლოდ თეორიული განაცხადი - ეს არის რეალური სამართლებრივი მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის სათანადო დაცვას სასამართლო პროცესში.¹⁶⁹

არასრულწლოვანის უფლება იყოს მოსმენილი, მოქმედებს ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის საქმის განახლების სტადიაზეც და განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგ მუხლებში. მისი შინაარსი განისაზღვრება სამი ძირითადი კომპონენტით: ა) პროცესის მონაწილეს აქვს უფლება წარმოადგინოს ახსნა-განმარტებები, განცხადებები, შუამდგომლობები და დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე; ბ) სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს ამ უფლებათა რეალიზების შესაძლებლობა, მოუსმინოს მხარეებს ზეპირად ან/და განიხილოს წერილობითი ფორმით წარდგენილი დოკუმენტაცია; გ) სასამართლომ უნდა შეაფასოს და დაასაბუთოს თუ რამდენად განხორციელებადია

¹⁶⁸ Krappmann E., „The Weight of the Child’s View”, Article 12 of the Convention on the Rights of the Child’ 18 International Journal of Children’s Rights, 2010, გვ.502.

¹⁶⁹ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ.435.

მხარის მოთხოვნა და რამდენად შეესაბამება კანონს, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს მოტივები უნდა ეფუძნებოდეს სამართალს და საქმის მასალებს.¹⁷⁰

მოსმენის უფლება წარმოადგენს პირის ქმედითი მონაწილეობისათვის აუცილებელ პროცესუალურ გარანტიას, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფოს ვალდებულებაა. ეს პრინციპი განვითარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წამოიჭრა ონლაინ პროცესების დანერგვის საჭიროება. ონლაინ განხილვა თავდაპირველად მიზნად ისახავდა შორეულ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისა და ბრალდებულების პროცესში ჩართვას. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, მანძილის ან ხარჯების გამო უარი თქვას ასეთ პირებზე პროცესში ქმედითი მონაწილეობისათვის საჭირო შესაძლებლობების შექმნაზე.

სასამართლოში მოსმენის უფლება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ მოთხოვნას. მართლმსაჯულების მიზანი - სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება - შეუძლებელია პროცესის მხარეთა მოსმენის გარეშე. მოსმენის უფლება არა მხოლოდ ფორმალური პროცედურული გარანტიაა, არამედ ადამიანის ღირსების პირდაპირი გამოხატულებაა: პიროვნება აღიარებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის აქტიურ მონაწილედ და არა მის ობიექტად, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს როგორც პროცესის მიმდინარეობაზე, ისე მის შედეგზე.

მოსმენის უფლება აყალიბებს სამართლებრივ გარანტიებს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის პერსპექტივის გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს უფლება არ წარმოადგენს მხოლოდ თვითგამოხატვის საშუალებას, არამედ ფუნქციონირებს როგორც ინსტრუმენტული მექანიზმი, რომელიც ემსახურება კონკრეტულ მიზანს - ბავშვის ეფექტურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, ბავშვის აზრის მოსმენის უფლება გვევლინება არა მხოლოდ ინდივიდუალური უფლების რეალიზაციის ფორმა, არამედ პროცედურულ ინსტრუმენტად, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის, როგორც სამართლებრივი სუბიექტის, აქტიურ მონაწილეობას მისი ინტერესების შემცველი საკითხების განხილვაში.

¹⁷⁰ იქვე, გვ.62.

ბავშვის აზრის მოსმენისა და მისი სათანადოდ გათვალისწინების საკითხი, საკმაოდ აქტუალურია სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. საპროცესო კოდექსის შესაბამისად, არასრულწლოვანის მონაწილეობით წარმოებულ სამოქალაქო დავებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი კანონიერი წარმომადგენელი სათანადოდ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის თაობაზე და მის არ დასწრებას არ გააჩნდა სამართლებრივად გამართლებული მიზეზი. ბავშვთა საკითხებში პროცედურული სამართალი ეფუძნება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ პრინციპს - არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის უპირატესობას. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანის საქმე განხილულ იქნას ისეთ გარემოში, სადაც მისი ხმა იქნება მოსმენილი და მისი ინტერესები - სათანადოდ წარმოდგენილი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების რისკი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ფორმით შეუძლებელია სრულად მოხდეს არასრულწლოვანის პოზიციის შეფასება და მისი ინტერესების გამოკვეთა, რაც შეიძლება არათანმიმდევრული შედეგების მიზეზი გახდეს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არასრულწლოვანის საქმეზე იქნას მიღებული მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, როცა ყველა სხვა საშუალება ამოწურულია და დარწმუნებულად დგინდება, რომ ასეთი ფორმა მაინც შეესაბამება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.¹⁷¹

ბავშვს აქვს დაცული უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, რაც მოიცავს როგორც ამ აზრის ფორმირების, ისე მისი გამოხატვის პროცესში ნებისმიერი ზეწოლისაგან დაცვის გარანტიას.¹⁷² ნორმატიული თვალსაზრისით, მონაწილეობის უფლების სტრუქტურა მოიცავს არა მხოლოდ პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ განზომილებასაც. სამართლებრივი დაცვის მექანიზმი ითვალისწინებს ბავშვის უფლებას დისტანცირდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესისაგან და არ გამოხატოს საკუთარი აზრი. ეს ნეგატიური ასპექტი წარმოადგენს ბავშვის ავტონომიის გარანტიას და

¹⁷¹ ძლიერიშვილი ზ. „დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თეორია და პრაქტიკა)“, „მერიდიანი“, თბილისი, 2022.

¹⁷² Hodgkin R. Newell P. „Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child“, 3rd ed., Atar Roto Presse, Geneva, 2007, გვ.155.

იცავს მას იძულებითი მონაწილეობისაგან. შესაბამისად, რეგულაციური ჩარჩო კრძალავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანის აზრის გამოხატვის ან მონაწილეობის იძულებისკენ. ამგვარად მონაწილეობის უფლების დუალისტური ბუნება ასახავს თანამედროვე იურისპრუდენციის მიდგომას, რომელიც აღიარებს როგორც ბავშვის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას, ასევე პატივს სცემს მის უფლებას, თავი შეიკავოს ასეთი მონაწილეობისგან.

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ცხადყოფს, რომ განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი არასრულწლოვანთა ნების ავტონომიის გამოვლინების მიმართულებით, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი გამოხატავს სასამართლო პროცესში მონაწილეობისაგან თავის შეკავების სურვილს. პრობლემატურობის ხარისხი მკვეთრად იზრდება მოწყვლადი ჯგუფის შემთხვევაში, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანები ან მძიმე ფსიქოემოციური მდგომარეობის მქონე ბავშვები.¹⁷³

ბავშვის მიერ საკუთარი შეხედულების ფორმირებისა და შემდგომში მისი გამოხატვისათვის წინაპირობას წარმოადგენს ინფორმაციის ადეკვატური ხელმისაწვდომობა. აღნიშნული კომპონენტი ორგანულად უკავშირდება ინფორმაციის მიღების თავისუფლების კონცეფციას. სათანადო მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ ბავშვს ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია, როგორც თავად გადაწყვეტილებისა და მისი პოტენციური შედეგების შესახებ, ასევე ნებისმიერ საკითხზე, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებასთან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, რომ არასრულწლოვანის მონაწილეობა აკმაყოფილებს ინფორმირებულობის კრიტერიუმს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მისი მონაწილეობის უფლების სრულფასოვან რეალიზებას. სამართალწარმოების პროცესში ბავშვისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა აქვთ იმ პირებს, ვინც უსმენს ბავშვს, შემდგომში კი უკვე მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს.¹⁷⁴

¹⁷³ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, გვ.37, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

¹⁷⁴ Committee on the Rights of the Child, General Comment No 12, UN Doc CRC/ C/GC/12, 2009, პარა. 25, 408.

კვლევები ცხადყოფს, რომ კრიტიკული მნიშვნელობისაა პროცედურული ტრანსპარენტულობის დეფიციტი - არასრულწლოვანებისათვის წინასწარ არ ხდება სამართლებრივი პროცესის პოტენციური შედეგების განმარტება,¹⁷⁵ რაც ქმნის არაპროგნოზირებად კონტექსტს. ეს პრაქტიკა იწვევს ტრავმატიზაციის რისკებს, განსაკუთრებით ისეთ სენსიტიურ შემთხვევებში, როგორიცაა მშობლის მონაწილეობა სასამართლო პროცესში, რომელიც შესაძლოა იყოს კონფლიქტის ან ძალადობის წყარო ბავშვისათვის.

ბავშვის მონაწილეობის უფლების რეალიზების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს მისი აზრის არა მხოლოდ მოსმენა, არამედ სათანადოდ გათვალისწინება.¹⁷⁶ თუმცა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია „გათვალისწინების“ კონცეფციის სწორი ინტერპრეტაცია. ეს ცნება არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის ვალდებულებას, ბავშვის სურვილთან სრულ თანხვედრაში მიიღოს გადაწყვეტილება, კოდექსის მიზანია ბავშვის მაქსიმალური ჩართულობა იმ საკითხებში, რომლებიც მასზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, ეს სტანდარტი არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც სახელმწიფოს, ოჯახის ან სხვა რელევანტური სუბიექტის ვალდებულება, უპირობოდ დაემორჩილოს ბავშვის სურვილს.¹⁷⁷

ბავშვის მიერ გამოხატული აზრის ლეგიტიმაციის პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება მისი ნამდვილი ნების იდენტიფიცირებას - ასპექტი, რომელიც მოითხოვს მულტიდისციპლინურ ანალიზს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაზე. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სამართლებრივ პროცესებში სისტემატურად ვლინდება არასრულწლოვანზე არამართლზომიერი ზეგავლენისა და ფსიქოლოგიური მანიპულაციის ფაქტები, რაც ეჭვქვეშ აყენებს ბავშვის აზრის ავთენტურობას.

მოზარდთა მხრიდან განხორციელებული მანიპულაციური ინტერვენციები შესაძლოა გამოხატული იქნეს მრავალი ფორმით - დაწყებული ემოციური ზეწოლით, ირიბად მანიპულაციური მეტყველების სტილით, სელექციური ინფორმირებით და

¹⁷⁵ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, გვ.37, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

¹⁷⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (20.11.1989) „ბავშვის უფლებების შესახებ“, მუხლი 78, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [30.04.2025].

¹⁷⁷ კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, გვ.128, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025].

დასრულებული კომპლექსური ფსიქოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა მექანიზმებით. აღნიშნული ზეგავლენები, რომლებიც ხშირად ლატენტურ ხასიათს ატარებენ, საბოლოოდ გარდაუვალ გავლენას ახდენენ ბავშვის პოზიციის ფორმირებაზე და ართულებს მათი ნამდვილი ნების იდენტიფიცირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანის მიერ დაფიქსირებული აზრის გენეზისის დადგენა მოითხოვს კომპლექსურ დიაგნოსტიკურ მიდგომას, რათა გამოიკვეთოს ნამდვილი ნება მანიპულაციური ჩარევების ფონზე. სასამართლოს პროცედურული პროტოკოლი უნდა ითვალისწინებდეს სპეციალიზირებული მეთოდოლოგიების გამოყენებას, რომელიც ორიენტირებულია არასრულწლოვანის აზრის ავთენტურობის ვერიფიკაციაზე, რითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ზეგავლენის ეფექტი და უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პრიორიტეტიზაცია.

სახალხო დამცველის ანგარიში ასახავს სოციალურ მუშაკთა პოზიციას, რომლებიც მიუთითებენ, რომ მოქმედი სამართლებრივი სისტემა ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ მექანიზმებს იურიდიული წარმომადგენლების მხრიდან მოზარდებზე პოტენციური ზეგავლენის მცდელობების პრევენციისათვის და ამგვარი ქმედების აღკვეთის ინსტუმენტალური მექანიზმი არც მათ გააჩნიათ.¹⁷⁸ მოცემულ შემთხვევაში, სოციალური მუშაკების საპრევენციო რესურსების შეზღუდულობა განაპირობებს მნიშვნელოვან ხარვეზს პროცესუალური სამართლიანობის კუთხით, რაც პირდაპირ კორელაციაშია არასრულწლოვანთა უსაფრთხოების ლეგიტიმურ გარანტიებთან. არსებული გარემო ქმნის ნოყიერ ნიადაგს არასრულწლოვანთა მიმართ პროცესუალური დარღვევებისათვის, რაც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს და შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. ამ ინსტიტუციური დეფიციტის აღმოფხვრა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებას, ისე სოციალური მუშაკების პროფესიული რესურსების გაძლიერებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას არასრულწლოვანთა ინტერესების ეფექტური დაცვა სამართლებრივი პროცესების ყველა ეტაპზე.

¹⁷⁸ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, გვ.37, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოების პროცესში არ არსებობს ბავშვის სურვილთან სრული თანხვედრის იმპერატიული მოთხოვნა, ფორმალური მოსმენის პროცედურა არ არის საკმარისი დადგენილი სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. განხილული პრობლემური შემთხვევების პრევენციის მიზნით, აუცილებელია ბავშვის აზრის სუბსტანციური ანალიზი და გააზრება. ამ პროცესში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არასრულწლოვანის ასაკი და კოგნიტური კომპეტენცია, რომელიც გულისხმობს ბავშვის უნარს, შეაფასოს კონკრეტული საკითხის პოტენციური შედეგები და დამოუკიდებლად და რაციონალურად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. ლოგიკური კორელაცია არსებობს ბავშვის ასაკობრივ განვითარებასა და ფსიქოლოგიურ სიმწიფეს შორის, რაც საჭიროებს გულდასმით შეფასებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ბავშვის აზრის მოსმენის ფორმები საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ არის განსაზღვრული. კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ გარემოს, რომელშიც არასრულწლოვანს შეუძლია თავისი აზრის გამოთქმა, რადგანაც გარემო პირდაპირ განაპირობებს ბავშვის მიერ თავისუფალი აზრის ფორმირებასა და გამოხატვას. ბავშვის უფლებათა კოდექსი ადგენს არასრულწლოვანის აზრის გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებს, კერძოდ, განამტკიცებს ბავშვის უფლებას, რომ მისი აზრი მოსმენილ იქნას ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მას ამის სურვილი აქვს.¹⁷⁹ ამასთანავე კანონი ადგენს, რომ ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი მხარდაჭერით და მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი კომუნიკაციის ფორმებითა და საშუალებებით. კოდექსი ასევე განსაზღვრავს ბავშვთა საუბრისა და მისი აზრის მოსმენის პროცესის მახასიათებლებს,¹⁸⁰ კერძოდ, ეს პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული - ბავშვს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია განსახილველი საკითხის შესახებ; ნებაყოფლობითი - ბავშვი არ უნდა იყოს იძულებული გამოთქვას აზრი; პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამოხატვა - არასრულწლოვანის აზრი სერიოზულად უნდა იქნას განხილული და აღქმული; ბავშვზე მორგებული - გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი და განვითარების დონე; ინკლუზიური - ყველასთვის თანაბრად

¹⁷⁹ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 8, ნაწილი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

¹⁸⁰ იქვე, ნაწილი 4.

ხელმისაწვდომი; უსაფრთხო - ბავშვი უნდა გრძნობდეს თავს დაცულად; წარმართული სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ. მკაცრი, დამაშინებელი, სტრესული და უნდობლობის შემქმნელი გარემო გამორიცხავს თავისუფალი აზრის გამოხატვას, რაც ეწინააღმდეგება კოდექსის ფუნდამენტურ პრინციპს. განხილული საკანონმდებლო დებულებები წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას იმისა, რომ ბავშვის აზრის მოსმენისა და მონაწილეობის პროცესი იყოს ბარიერებისგან თავისუფალი, რაც უზრუნველყოფს ბავშვისათვის ადეკვატური შესაძლებლობის მიცემას, რეალურად გამოხატოს ის, რაც თავად სურს.¹⁸¹

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანებთან კომუნიკაციის ოპტიმიზაციისათვის რეკომენდირებულია მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინტერვენციებს:¹⁸²

ლინგვისტური აკომოდაცია - იურისპრუდენციის სფეროში გამოყენებული სამართლებრივი ტერმინები და ცნებები ხშირად რთულად გასაგებია არასრულწლოვანებისათვის. აუცილებელია სამართალწარმოებაში ჩართულმა პროფესიონალებმა - ადვოკატებმა, მოსამართლეებმა, სოციალურმა მუშაკებმა, ფსიქოლოგებმა - განახორციელონ ლინგვისტური მოდიფიკაცია, რათა უზრუნველყონ ინფორმაციის გადაცემა ბავშვის კოგნიტური მზაობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტერმინთა განმარტება, არამედ წინადადების კონსტრუქციის ოპტიმიზაცია;

მულტიმოდალური კომუნიკაცია - არასრულწლოვანებთან ვერბალური კომუნიკაციის ეფექტურობისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვაგვარი მიდგომები, მაგალითად, თვალსაჩინო მასალები - ნახატები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და სვა ვიზუალური ელემენტები ხელს უწყობს ბავშვს ინფორმაციის უკეთ გაგებასა და დამახსოვრებაში; აუდიოვიზუალური მასალები - ვიდეოები, ანიმაციები და ინტერაქტიული მედია წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს ბავშვისათვის რთული და კომპლექსური იდეების მიწოდებისათვის; პრაქტიკული მეთოდები - მანიპულაციური საგნები, როლური თამაშები და სიმულაციები განსაკუთრებით ეფექტურია მცირეწლოვანი ბავშვებისათვის;

¹⁸¹ კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, გვ.128, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025].

¹⁸² მამულაძე მ. „არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართლის მაცნე“, N9, 2024, გვ.117, <https://heraldoflaw.com/read-book/?ID=3771> [30.04.2025].

ფსიქოემოციური ფაქტორები - არასრულწლოვანის აზრის ფორმირებისა და გამოხატვის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ფსიქოემოციური გარემოს ოპტიმიზაცია: ემპათია - ბავშვის ემოციური მდგომარეობის გაგება და მისი პოზიციის გაზიარება წარმოადგენს ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაციის ჩამოყალიბების საფუძველს; უსაფრთხოება - არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური კომფორტის უზრუნველყოფა და მისი მოსაზრების მიმართ მხარდამჭერი დამოკიდებულება ზრდის ვერბალური გამოხატვის შესაძლებლობას; ავტონომიის პატივისცემა - ბავშვის უფლების აღიარება, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის ინტენსივობა და ფორმა, განაპირობებს პროცესში ნებაყოფლობითი ჩართულობის ხარისხის ზრდას.

განვითარების ეტაპზე მორგებული დიფერენცირებული მიდგომა - არასრულწლოვანის კოგნიტური, ლინგვისტური და სოციალური განვითარების განსხვავებების გათვალისწინებით, აუცილებელია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების იდენტიფიცირება: ადრეული ასაკი (3-6 წელი) - რეკომენდებულია კონკრეტული თვალსაჩინო მაგალითების, მარტივი ენისა და სახალისო ელემენტების გამოყენება; საშუალო ასაკი (7-11 წელი) - ეფექტურია გამარტივებული ლოგიკური კონსტრუქციები, სტრუქტურირებული ახსნა-განმარტებები და ვიზუალური დამხმარე საშუალებები; მოზარდი (12-18 წელი) - შესაძლებელია აბსტრაქტული კონცეფციების ინტეგრაცია, ჰიპოთეტური სცენარების განხილვა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა.

ინტერდისციპლინური მიდგომა - ბავშვის აზრის ფორმირებისა და გამოხატვის ოპტიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენელთა კოლაბორაციული ჩართულობა: ფსიქოლოგებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის კოგნიტური და ემოციური განვითარების შეფასება და ადაპტირებული კომუნიკაციის სტრატეგიების შერჩევა; სოციალურმა მუშაკებმა ხელი უნდა შეუწყონ სოციალური გარემოს შეფასებას და მხარდამჭერი ატმოსფეროს ფორმირებას. ლინგვისტებმა და კომუნიკაციის სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ ენობრივი ბარიერების იდენტიფიცირება და კომუნიკაციის ოპტიმიზაცია; განათლების სპეციალისტებმა კი - პედაგოგიური მეთოდების ინტეგრაცია ინფორმაციის ეფექტური ტრანსმისიისათვის.

ტექნოლოგიური ინტეგრაცია - თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ბავშვის აზრის ფორმირებისა და გამოხატვის ხელშეწყობისათვის, მაგალითად, ინტერაქტიული აპლიკაციები- უზრუნველყოფენ ბავშვის ჩართულობას და იდეების თვალსაჩინოებას; ვირტუალური რეალობა -შესაძლებელს ხდის სიმულირებულ გარემოში გამოიცადოს სხვადასხვა სიტუაცია და კომპლექსური სიტუაციების მოდელირება; ციფრული კომუნიკაციების საშუალებები: უზრუნველყოფენ ალტერნატიულ არხებს ბავშვებისათვის, რომლებსაც ურჩევნიათ არავერბალური ან ასინქრონული კომუნიკაცია.

კონფიდენციალურობა - სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვის რეალური ნების იდენტიფიცირებისას უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს კონფიდენციალურობის პრინციპი, იგი უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. არასრულწლოვანები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ კონფიდენციალურობის პრინციპი სრულად იქნება რეალიზებული სამართლებრივი პროცესის მთელი მიმდინარეობისას. ეს არის ფუნდამენტური წინაპირობა იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს თავისი რეალური ნებისა და სურვილის თავისუფლად გამოხატვა. როდესაც არასრულწლოვანი დარწმუნებულია, რომ მის მიერ გაზიარებული ინფორმაცია არ გახდება საჯარო ან არ მიეწოდება იმ პირებს, რომელთა მიმართაც მას შესაძლოა გააჩნდეს შიში ან მოერიდოს, იზრდება ბავშვის მზაობა, გულწრფელად გამოხატოს საკუთარი პოზიცია.

კონფიდენციალურობის პრინციპის უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის არასასურველი გავრცელებისაგან დაცვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებში, სადაც ბავშვი შესაძლოა იყოს მხარე, მოწმე, ან სხვაგვარად ჩართული კომპლექსურ ოჯახურ დავებში. ამასთანავე, კონფიდენციალურობა ხელს უწყობს სანდო გარემოს შექმნას, რომელშიც ბავშვს შეუძლია თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, შიშისა და ზეწოლის გარეშე.

კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებების დაცვის მექანიზმს. მართლმსაჯულების სისტემის მიერ ამ პრინციპის პატივისცემა ხელს უწყობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტიზაციას. განხილული პრინციპის როლი დიდია

არასრულწლოვანთა პოტენციური სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის პრევენციაში, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სამართლებრივ პროცესებში მათი მონაწილეობის ფაქტის ან მათ შესახებ პერსონალური მონაცემების, ინფორმაციის გამჟღავნებით.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში კონფიდენციალურობის პრინციპის რეალიზება მოითხოვს სასამართლო სისტემისა და ყველა ჩართული მხარის მხრიდან სპეციფიკური ზომების მიღებას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი გარანტია სასამართლო ჩანაწერებთან წვდომის შეზღუდვაა, რაც გულისხმობს ბავშვთან დაკავშირებული მასალების ხელმისაწვდომობის მკაცრ რეგულაციებს. კიდევ ერთ პროცედურულ გარანტიას წარმოადგენს დახურული სასამართლო სხდომები. არანაკლებ მნიშვნელოვანია საჯარო დოკუმენტებსა და სასამართლო მოსმენებში არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების პრევენციული ზომები. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება ფსევდონიმიზაციის პრაქტიკა. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობის შემთხვევაშიც კი ვერ მოხდება არასრულწლოვანთა იდენტიფიკაცია.

კონფიდენციალურობის დაცვის ნორმატიულ მექანიზმებთან ერთად უმნიშვნელოვანესია საქმეში ჩართული მხარეების ეთიკური ვალდებულებები. მოსამართლეები, ადვოკატები თუ სოციალური მუშაკები - ექვემდებარებიან პროფესიული ეთიკის მკაცრ სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს არასრულწლოვანთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას. ამგვარად ბავშვის აზრის ფორმირებისა და გამოხატვის ოპტიმიზაცია მოითხოვს ინდივიდუალიზებულ მიდგომას, რომელიც ინტეგრირებულად ითვალისწინებს ლინგვისტურ, კოგნიტურ, ფსიქოემოციურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ფაქტორებს.

სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა ჩართულობის მიმართულებით არსებული ინსტიტუციური პრაქტიკა ავლენს მნიშვნელოვან პროცედურულ და სტრუქტურულ დეფიციტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების პრინციპებს. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშიდან გამოვლენილი ემპირიული მონაცემები მიუთითებს სისტემურ დისფუნქციაზე, რომელიც ხასიათდება წინასწარი ფსიქოემოციური მომზადების არარსებობით სენსიტიურ საკითხებზე არასრულწლოვანთა მოსმენის კონტექსტში. პრაქტიკოსი სპეციალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია - „მე რანაირად მოვამზადო

ბავშვი, როდესაც გუშინ დამირეკეს 7 საათზე და უკვე სახლში ვიყავი და დღეს 11 საათზე უკვე წაიყვანეს ბავშვი“¹⁸³ - ილუსტრირებას უკეთებს პროცედურულ ხარვეზებს, რომელიც გამორიცხავს არასრულწლოვანის ადეკვატური ფსიქოლოგიური მომზადების შესაძლებლობას. აღნიშნული პრაქტიკა სისტემატურად ეწინააღმდეგება ბავშვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებით გარანტირებულ არასრულწლოვანთა მონაწილეობის ფუნდამენტურ პრინციპს და არღვევს ინფორმირებული მონაწილეობის პროცედურულ სტანდარტებს.

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგები წარმოაჩენენ ქართული სასამართლო სისტემის სტრუქტურულ ხარვეზებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ჭრილში და იხსენებენ ინციდენტს, როდესაც არასრულწლოვანი იძულებული გახდა სასამართლოს საჯარო დერეფანში ორი საათის განმავლობაში დალოდებოდა სასამართლო პროცესის დაწყებას, რა დროსაც ბორკილებით გადაჰყავდათ პატიმრები. განხილული მაგალითი წარმოადგენს ნათელ მაგალითს, იმისა თუ როგორ ახდენს ინსტიტუციური დაუდევრობა ბავშვის მეორად ვიქტიმიზაციას. პატიმრების ტრანსპორტირებამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა არასრულწლოვანის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, რაც ბუნებრივია აისახება სასამართლო პროცესში ბავშვის მონაწილეობისა და ჩართულობის ხარისხზეც. სოციალური მუშაკების მიერ ასევე იდენტიფიცირდება სასამართლოს საერთო სივრცეებში ხანგრძლივი ლოდინის პრობლემატიკა, რაც იწვევს ბავშვების ფიზიკურ დაღლილობას და ფსიქოლოგიურ სტრესს. მსგავსი პრეცედენტები ცხადყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის პრაქტიკული იმპლემენტაციის დეფიციტს.¹⁸⁴

არასრულწლოვანის მოსმენის, პროცესებში მისი ჯეროვანი მონაწილეობისა და გამოთქმული აზრის სათანადოდ გათვალისწინების უფლების მნიშვნელობა მკაფიოდ აისახება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რაც ხაზს უსვამს ამ უფლების ფუნდამენტურობას ბავშვის უფლებების დაცვის თანამედროვე სტანდარტებში.

¹⁸³ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, გვ.37, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

¹⁸⁴ იქვე.

გადაწყვეტილება საქმეზე M. და M. v. Croatia¹⁸⁵ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან პრეცედენტს, რომელიც ეხება არასრულწლოვანის აზრის გათვალისწინებას. აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ხორვატიის სასამართლოებმა არ უზრუნველყვეს 13 წლის გოგონას უფლება გამოეთქვა თავისი აზრი მეურვეობის საქმეში და არ მისცეს მას საშუალება მოესმინათ მისი პოზიცია. სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბავშვს ჰქონდა საკმარისი ასაკი და სიმწიფის დონე იმისათვის, რომ გამოეხატა საკუთარი შეხედულება.¹⁸⁶ განხილული საქმე ადასტურებს არასრულწლოვანის აზრის სათანადო გათვალისწინების არსებით მნიშვნელობას სასამართლო პროცესში, განსაკუთრებით იმ გარემოებებში, როდესაც დავის საგანი უშუალოდ ეხება ბავშვის კეთილდღეობასა და ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას.

ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებაში საქმეზე ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ დაადგინა, რომ საქართველოს სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან არ უზრუნველყვეს ბავშვის აზრის მოსმენა და საუკეთესო ინტერესების შეფასება. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია ბავშვები სასამართლო პროცესში არ იყვნენ მხარეები, თუმცა მაინც უნდა ჩართულიყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმ ხარისხით, რაც საკმარისი იქნებოდა მათი ინტერესების საჭირო დონეზე დაცვის უზრუნველსაყოფად. განხილულ საქმეში სამი არასრულწლოვანი ბავშვიდან არცერთის უშუალო მოსმენა არ განხორციელებულა ეროვნულ სასამართლოებში.¹⁸⁷

ევროპულმა სასამართლო საქმეზე Sahin v. Germany განმარტავს, რომ გერმანიის სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-8 მუხლი პროცედურული თვალსაზ-

¹⁸⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N10161/13 (03.12.2015) საქმეზე M. და M. v. Croatia, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-156522%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-156522%22]}) [30.04.2025].

¹⁸⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N71776/12 (02.02.2016) საქმეზე ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmddeg/saqartvelos-winaagmddeg-n.w..pdf [30.04.2025].

რისით, რადგან არ უზრუნველყვეს განმცხადებლის სრული ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სასამართლოებმა არ მოუსმინეს ბავშვს და მთლიანად დაეყრდნენ ექსპერტის დასკვნას, რომელიც თავადვე არ შეხვედრია მას.¹⁸⁸

არასრულწლოვანთა მოსმენისა და მათი აზრის სათანადოდ გათვალისწინების უფლების იმპლემენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი დისონანსი ნორმატიულ რეგულაციებსა და პრაქტიკულ რეალიზებას შორის. იდენტიფიცირებული პრობლემები მოიცავს: პროცედურული ტრანსპარენტულობის დეფიციტს, მანიპულაციისა და ზეგავლენის პრევენციის ინსტრუმენტების არსებობას, არაადაპტირებულ ინსტიტუციური გარემოს, წინასწარ ფსიქოემოციური მომზადების მექანიზმების არარსებობას და კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიების სისტემას. ეს გამოწვევები საბოლოოდ აკნინებს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს.

პრობლემების გადაჭრის ეფექტური მექანიზმების ინტეგრაცია მოითხოვს ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც უნდა მოიცავდეს: ინსტიტუციურ დონეზე - სპეციალიზირებული ინფრასტრუქტურისა და პროტოკოლების შემუშავებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბავშვის მონაწილეობის ოპტიმალური პირობები; პროცედურულ დონეზე - სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის დანერგვას, რომელიც მორგებული იქნება არასრულწლოვანთა განვითარების ეტაპებზე და კოგნიტურ შესაძლებლობებზე; პროფესიულ დონეზე - ჩართული სპეციალისტების კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას ბავშვთა ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით; საკანონმდებლო დონეზე - მკაფიო პროცედურული გარანტიების შემუშავებას, რომლებიც დაიცავს არასრულწლოვანს არასასურველი ზეგავლენისგან.

მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომის პირობებში შესაძლებელია ბავშვის აზრის მოსმენის უფლება გარდაიქმნას ფორმალური პროცედურიდან ქმედით მექანიზმად, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა რეალურ მონაწილეობას და მათი ავთენტური ნების იდენტიფიცირებას სამართლებრივ პროცესებში, რაც საბოლოოდ გარანტია იქნება მათი საუკეთესო ინტერესების სრულფასოვანი დაცვისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების რეალური იმპლემენტაციისა.

¹⁸⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N30943/96 (08.07.2003) საქმეზე Sahin v. Germany ; <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-61194%22%7D> [24.04.2025].

3.4. არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა, დისკრიმინაციის ლატენტური ფორმები და მათი აღმოფხვრის გამოწვევები სამოქალაქო სამართალწარმოებაში

არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის აკრძალვა წარმოადგენს თანამედროვე სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის ასახულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი დეკლარირებულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, პრაქტიკაში არასრულწლოვანთა დისკრიმინაცია კვლავ რჩება სერიოზულ პრობლემად, განსაკუთრებით კი მისი ლატენტური, ფარული ფორმები. სამოქალაქო სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც ხშირად წყდება არასრულწლოვანთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებულ გამოწვევებს ქმნის დისკრიმინაციის ამოცნობის, მტკიცებისა და აღმოფხვრის კუთხით.

არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი განმტკიცებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით,¹⁸⁹ რომელიც იმპერატიულად ავალდებულებს წევს სახელმწიფოებს პატივი სცენ და უზრუნველყონ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის უფლებები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი ასევე ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში,¹⁹⁰ ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში¹⁹¹ და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში. აღსანიშნავია ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტება, რომელიც ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას ყველა გადაწყვეტილებაში და მიუთითებს, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა არის არა მხოლოდ პასიური ვალდებულება, არამედ მოითხოვს სახელმწიფოსაგან პროაქტიულ ქმედებებს რეალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად.¹⁹²

¹⁸⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (20.11.1989) „ბავშვის უფლებების შესახებ“, მუხლი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [30.04.2025].

¹⁹⁰ ევროპის საბჭოს (4.11.1950) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მუხლი 14, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [30.04.2025].

¹⁹¹ ევროპის კავშირის ქარტია (7.12.2000) „ძირითადი უფლებების შესახებ“, მუხლი 21, <https://dspace.sabauni.edu.ge/server/api/core/bitstreams/35bbd5a8-1eff-4c5c-b4bc-3a2c0a4e9372/content> [30.04.2025].

¹⁹² Committee on the Rights of the Child, General Comment No 14, UN Doc CRC/ C/GC/ 14, 2013, გვ. 11.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ადგენს სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპებს, რომელიც უნივერსალური ხასიათისაა და თანაბრად ვრცელდება არასრულწლოვან პირებზეც. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ქვაკუთხედს თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ყველა პირი მათ შორის არასრულწლოვანები, დისკრიმინაციული მოპყრობისაგან.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი კი წარმოადგენს სპეციალიზირებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც ექსპლიციტურად კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის ასაკობრივი კუთვნილების საფუძველზე, რაც იმანენტურად უკავშირდება არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს. აღნიშნული კანონის სისტემური ანალიზი ცხადყოფს კანონმდებლის მიზანს, უზრუნველყოს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ სუბსტანციური თანასწორობა.

მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპი გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ბუნებიდან და უკავშირდება მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ კონფლიქტს. მართლმსაჯულების მიზანია დავის მოწესრიგება და დარღვეული უფლების აღდგენა საქმის ობიექტური განხილვის გზით, რისთვისაც აუცილებელია მხარეთათვის თანაბარი პროცედურული პირობების უზრუნველყოფა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი განსაზღვრავს, მართლმსაჯულების განხორციელებული იმპერატიულობას მხოლოდ სასამართლოს მიერ და მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე. მოცემული პრინციპი გულისხმობს, რომ მხარეებს პროცესში გააჩნდეთ იდენტური საშუალებები თავიანთი პოზიციის დასაცავად: მტკიცებულებათა წარდგენა, სამართლებრივი არგუმენტების განვითარება, პროცესის მასალებზე წვდომა, იურიდიული წარმომადგენლობის უფლება და სხვა. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს აღნიშნული დანაწესებიდან გამონაკლისს, რაც პროცესის სპეციალური გარემოებებით არის განპირობებული, მაგალითად, მოპასუხეს არ აქვს სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება, ხოლო გამარტივებული წარმოებისას

სასამართლოს შეუძლია, საქმე მოპასუხის დასწრების გარეშე განიხილოს, თუკი მოთხოვნა უდავო დოკუმენტებზეა დაფუძნებული. ამ შემთხვევაშიც კი მხარეს უნარჩუნდება საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა, რაც კვლავ ასახავს თანასწორობის არსს.

მხარეთა თანასწორუფლებიანობა ემყარება რომაული სამართლის პრინციპს *non debet actori licere, quod reo permittitur*, რაც გულისხმობს, რომ პროცესში არცერთ მხარეს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა. სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს მხარეთა ინფორმირება პროცედურულ საკითხებზე და არ გამოიტანოს გადაწყვეტილება მოპასუხის მოსმენის გარეშე (*audiatur et altera pars*). აღნიშნული პრინციპის დარღვევა წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს თანახმად საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილისა. ამავე დროს, მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული შეჯიბრებითობის პრინციპთან, შეჯიბრებითი პროცესი კი შესაძლებელია მხოლოდ თანასწორუფლებიან სუბიექტებს შორის.¹⁹³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სასამართლოს მიერ შეჯიბრებითობის თანაბარი პირობების შექმნას, რაც ეფუძნება მისი ნეიტრალური არბიტრის როლს. ამავე დროს, პროცედურული ნორმების დარღვევით დაყენებული და არამოტივირებული შუამდგომლობის უარყოფა აღნიშნული პრინციპის დარღვევად ვერ შეფასდება. პალატის შეფასებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში არ შეიძლება განხილულ იქნას საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შეზღუდვად ის ზომები, რომლებიც გამომდინარეობს სამართალწარმოების კანონით დადგენილი წესრიგიდან, შესაბამისად მხარეები ვერ გაცდება ნებადართულ პროცედურულ ჩარჩოებს.¹⁹⁴

¹⁹³ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ.121-122.

¹⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის Nას-664-635-2016 (02.03.2027) გადაწყვეტილება.

ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე *Ternovskis v. Lativa*¹⁹⁵ და *Larin v. Russia*¹⁹⁶ შეაფასა თუ რამდენად მისცეს ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივანს გონივრული შესაძლებლობა გასცნობოდნენ მეორე მხარის მიერ წარდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს, ასევე წარდგენილი იქნა თუ არა მხარის პოზიცია ისეთ პირობებში, რომელიც არ აყენებდა მას არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც შეიცავს მრავალმხრივ დებულებებს, რომლებიც ორიენტირებულია არასრულწლოვანთა ლეგიტიმური ინტერესების პრიორიტეტულ დაცვაზე. ამ ნორმატიული აქტის სისტემური ანალიზი იძლევა საფუძველს, რათა სამართალშემფარდებელმა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა უფლებების ეფექტური რეალიზება სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში.

საყურადღებოა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესზეა ფოკუსირებული, აყალიბებს არსებით პრინციპებს და სამართლის ანალოგიის პრინციპის გათვალისწინებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც შეიძლება იმპლემენტირებულ იქნას სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტშიც. ამგვარი ინტერპრეტაციული მიდგომა ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ერთიანი სამართლებრივი პარადიგმის ჩამოყალიბებას.

არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში განსაკუთრებულად დაცულია ბავშვის უფლებათა კოდექსის საშუალებით.¹⁹⁷ კოდექსი, რომელიც წარმოადგენს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სპეციალიზებულ დოკუმენტს, ტერმინოლოგიურ დონეზე ოპერირებს არა „დისკრიმინაციის“ ცნებას, არამედ „თანასწორობის უფლებას“, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელ საკანონმდებლო კორპუსს. აღნიშნული ტერმინოლოგიური სხვაობა წარმოშობს ლეგიტიმურ კითხვას, თუ რა შინაარსობრივი დიფერენციაცია არსებობს „თანასწორობის უფლება“-სა და „დისკრიმინაციის დაუშვებლობა“-ს შორის. ამ კითხვაზე პასუხი სამართლებრივი განმარტების ჭრილში უნდა განვიხილოთ:

¹⁹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N33637/02 (29.07.2014) საქმეზე *Ternovskis v. Lativa*, 65, <https://shorturl.at/Rwfl9> [30.04.2025].

¹⁹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N15034/02 (20.08.2010) საქმეზე *Larin v. Russia*, 35-36, <https://shorturl.at/zRZML> [30.04.2025].

¹⁹⁷ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 7, ნაწილი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

კოდექსში გამოყენებული „თანასწორობის უფლება“ და საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში დეკლარირებული „დისკრიმინაციის დაუშვებლობა“ წარმოადგენენ ერთი და იმავე სამართლებრივი პრინციპის ორ განსხვავებულ გამოხატულებას. დისკრიმინაციის დაუშვებლობა წარმოადგენს თანასწორობის უფლების ნეგატიურ გამოხატულებას, ხოლო თანასწორობის უფლება იმავე პრინციპის პოზიტიურ ფორმულირებას.¹⁹⁸ ამგვარად აღნიშნული ტერმინები ავსებს ერთმანეთს და ასახავს ერთი ფუნდამენტური იურიდიული პრინციპის დუალისტურ ბუნებას - პოზიტიურ და ნეგატიურს. ბავშვის უფლებათა კოდექსმა სწორება აიღო საქართველოს კონსტიტუციაზე, შესაბამისად, ტექსტში ჩანაწერი დარჩა ზემოთ აღნიშნული ფორმით.¹⁹⁹

დისკრიმინაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ-სამართლებრივ პრობლემას საქართველოსათვის. აღნიშნული ფენომენის კომპლექსურობიდან გამომდინარე, იგი საჭიროებს მულტიდისციპლინურ მიდგომას როგორც პრევენციის, ისე რეაგირების თვალსაზრისით. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 ანგარიშში დოკუმენტირებულია, რომ მოცემული პერიოდის განმავლობაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, გარკვეული მიმართულებით დაფიქსირდა მნიშვნელოვანი რეგრესი.²⁰⁰ განხილული კვლევების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა მოითხოვს საჯარო და კერძო სექტორის ყველა რგოლის კოორდინირებულ და სისტემურ ჩართულობას. მხოლოდ ინტეგრირებული მიდგომით არის შესაძლებელი ისეთი კომპლექსური პრობლემის დაძლევა, როგორიცაა დისკრიმინაცია და მასთან დაკავშირებული სხვაგვარი გამოვლინებები.²⁰¹

თანასწორობის უფლება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს არასრულწლოვანებთან მიმართებით. დისკრიმინაციის ნეგატიური შედეგები მეტი სიმწვავეთ ვლინდება იმ სუბიექტებთან, რომელთაც საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობა

¹⁹⁸ Schmahl S. „Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle“, Handkommentar, Nomos Verlag, Baden-baden, 2017, გვ.71.

¹⁹⁹ კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, გვ.115, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025].

²⁰⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2024, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf> [30.04.2025].

²⁰¹ ზარქუა თ. „სოციალური მუშაკის როლი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში“, 2024, <https://shorturl.at/soVZ8> [30.04.2025].

შეზღუდული აქვთ,²⁰² მათ შორის მცირეწლოვნებთან. არასრულწლოვანები მოწყვლადობის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან არა მხოლოდ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, არამედ მშობელთან და სხვა სრულწლოვან პირებთან მიმართებაშიც, ვინაიდან საკუთარი უფლების რეალიზებისათვის მათზე დამოკიდებულნი არიან.²⁰³ განსაკუთრებული რისკფაქტორია არასრულწლოვანთა უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩენის შესაძლებლობა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის სტატუსიდან გამომდინარე, რაც დისკრიმინაციის უნიკალური ფორმაა და სხვა კონტექსტში არ გვხვდება.²⁰⁴ თანასწორობის უფლება, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლებლობათა თანაბარ განაწილებას, არასრულწლოვანთათვის განსაკუთრებულ ღირებულებას ატარებს, ვინაიდან ის განაპირობებს მათი სრულფასოვანი განვითარებისა და მომავალში საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პერსპექტივას.

არასრულწლოვანთა შორის იკვეთება ჰეტეროგენული ქვეჯგუფები, რომლებიც ხასიათდება მომეტებული მოწყვლადობის ხარისხით. არასრულწლოვანთა ეს სეგმენტი, მათი მდგომარეობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭიროებს დიფერენცირებულ მიდგომას, როგორც სამართლებრივი დაცვის, ისე სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული ჯგუფის მოწყვლადობა განპირობებულია მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით, რომლებიც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას, ჯანმრთელობის სტატუსს, განვითარების თავისებურებებს, ოჯახურ გარემოს, ეთნიკურ წარმომავლობას და სხვა სტრუქტურულ ელემენტებს. ეს ფაქტორები, როგორც ინდივიდუალურად, ისე კუმულაციურად, მნიშვნელოვნად ზრდის ამ კატეგორიის არასრულწლოვანთა მიმართ დისკრიმინაციის, მარგინალიზაციისა და უფლებების დარღვევის რისკს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებულია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების რეალიზება, რომელიც გულისხმობს მოწყვლადი არასრულწლოვანების განსაკუთრებულ მხარდაჭერას სოციალური ინკლუზიისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს საქმე, რომელიც ეხებოდა ბოშური წარმოშობის

²⁰² Lopatka A. „Importance of the Convention on the Rights of the Child“, 91 Bulletin of Human Rights, 2, 1992, გვ. 63.

²⁰³ Committee on the Rights of the Child, General Comment No 7, UN Doc CRC/C/GC/ 7/Rev1, 2006, პარა. 11.

²⁰⁴ Schmahl S. „Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle“, Handkommentar, Nomos Verlag, Baden-baden, 2017, გვ.72.

თხუთმეტ არასრულწლოვან ხორვატ მოქალაქეს.²⁰⁵ სასამართლომ მიიჩნია, რომ ბოშა ბავშვების სეგრეგაცია წარმოადგენდა დაუსაბუთებელ და არაპროპორციულ პრაქტიკას და დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) - დარღვევა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (განათლების უფლება) ერთობლიობაში. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს არასრულწლოვანთა დისკრიმინაციისაგან დაცვის სფეროში და ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თანასწორი საგანმანათლებლო გარემო ყველა ბავშვისათვის, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში დაფიქსირებულია პრეცედენტები, სადაც დგინდება დისკრიმინაციის არსებობა მატრიმონიალური სტატუსის საფუძველზე. კონკრეტულად სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა საქმე, სადაც ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას მემკვიდრეობის მიღების უფლების კონტექსტში. კერძოდ, ქორწინების გარეშე დაბადებულ არასრულწლოვანს შეეზღუდა მემკვიდრეობის მიღების უფლება მხოლოდ მისი დაბადების სტატუსიდან გამომდინარე.²⁰⁶ ანალოგიურად, სასამართლოს მიერ დისკრიმინაციულად იქნა მიჩნეული შემთხვევა, როდესაც ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს უარი ეთქვა მოქალაქეობის მინიჭებაზე მისი სტატუსის საფუძველზე.²⁰⁷ აღნიშნული გადაწყვეტილებები ხაზს უსვამს სასამართლოს მიდგომას, რომლის თანახმადაც, ბავშვთა შორის დიფერენცირებული მოპყრობა მხოლოდ მათი დაბადების სტატუსის საფუძველზე საჭიროებს განსაკუთრებულ მყარ და დამაჯერებელ არგუმენტაციას. სასამართლოს სამართლებრივი პოზიცია ეფუძნებოდა პრინციპს, რომ დაბადების სტატუსზე დაფუძნებული ნებისმიერი დიფერენცირებული მოპყრობა უნდა ემყარებოდეს განსაკუთრებით წონად მიზეზებს, რათა ჩაითვალოს გამართლებულად. განხილულ შემთხვევაში სახელმწიფოებმა ვერ წარმოადგინეს ასეთი მიზეზები, რის შედეგადაც სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის არსებობა.

²⁰⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N15766/03 (16.03.2010) საქმეზე Orsus and others v. Croatia, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-97689%22%7D> [30.04.2025].

²⁰⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N8695/79 (28.10.1987) საქმეზე Inze v. Austria, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-57505%22%7D> [30.04.2025].

²⁰⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N53124/09 (11.01.2012) საქმეზე Genovese v. Malta, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-106785%22%7D> [30.04.2025].

საყურადღებოა ერთ-ერთი საქმე - Marckx VS Belgium.²⁰⁸ ბელგიის მოქალაქეს 1973 წელს ქორწინების გარეშე შეეძინა გოგონა. სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად, დაუქორწინებელ დედასა და შვილს შორის სამართლებრივი კავშირი მხოლოდ დაბადებით არ ყალიბდებოდა. ამისათვის აუცილებელი იყო დედას სპეციალური სამართლებრივი პროცედურების გზით ეცნო დედობა ან ბავშვი აეყვანა შვილად, თუმცა ორივე შემთხვევაში ბავშვის მემკვიდრეობის უფლებები იყო უფრო მეტად შეზღუდული ვიდრე იმ ბავშვებისა, რომლებიც ქორწინებაში გაჩენის შედეგად ავტომატურად იღებდნენ მემკვიდრეობის სრულ უფლებას. აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი და მე-14 მუხლი - კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებაში - „საკუთრების დაცვა“. გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის (1979წ) არასრულწლოვანი იყო 6 წლის. აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება შემდგომში საფუძველი გახდა ბელგიის სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა (1987წ).

სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის ერთ-ერთ ლატენტურ ფორმას წარმოადგენს პროცედურული დისკრიმინაცია, რომელიც გამოწვეულია ბავშვებისათვის საკუთარი ინტერესების დაცვის არასაკმარისი პროცესუალური მექანიზმების არსებობით. პროცედურული დისკრიმინაციის სამართლებრივი პრობლემატიკა მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

არასრულწლოვანთა მოსმენის პრაქტიკის არათანმიმდევრულობა - წარმოადგენს სერიოზულ პროცედურულ-სამართლებრივ ხარვეზს, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო რეგულაციები იმპერატიულად განსაზღვრავს ბავშვის მოსაზრების მოსმენის ვალდებულებას. აღნიშნული ნორმატიული მოთხოვნის პრაქტიკული იმპლემენტაცია ხშირად ატარებს ფორმალური ხასიათს და არ უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა პროცესუალური უფლებების სათანადო რეალიზებას. თანამედროვე კანონმდებლობა, რომელიც ეფუძნება ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტან-

²⁰⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N6833/74 (13.06.1979) საქმეზე Marckx v Belgium.

დარტებს, არასრულწლოვანს აღიარებს სამართლებრივი ურთიერთობის სრულფასოვან სუბიექტად, რომელიც აღჭურვილია საკუთარი აზრის გამოხატვისა და გათვალისწინების უფლებით. ამ ფუნდამენტური უფლების უგულებელყოფა არსებითად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ბავშვებს იმ სრულწლოვან თუ არასრულწლოვან პირებთან მიმართებით, რომლებიც იდენტური პროცესუალური სტატუსით სარგებლობენ;

კვალიფიციური წარმომადგენლობის პრობლემა - წარმოადგენს არასრულწლოვანთა სამართალწარმოების ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფის კუთხით. საგულისხმოა, რომ ბავშვთა სამართლებრივი წარმომადგენლობის მოდელი პრაქტიკაში, ხშირად არ არის ორიენტირებული არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულ დაცვაზე, იზღუდება მათი ინტერესების ავტონომიურობა, კვალიფიციური წარმომადგენლობის უფლება და წარმოადგენს ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციის სპეციფიკურ ფორმას. ეს დისბალანსი, განსაკუთრებით, იკვეთება საოჯახო დავებში, სადაც მშობლებს შორის ინტერესთა კონფლიქტი შეინიშნება;

სამართალწარმოების ხანგრძლივობა - წარმოადგენს არასრულწლოვანთა მიმართ არაპროპორციულად ნეგატიურ ზეგავლენის მქონე პროცედურულ-სამართლებრივ ფენომენს. ეს დისპროპორციულობა განპირობებულია არასრულწლოვანთა დროის აღქმის განსხვავებული ბუნებით. ბავშვებისათვის დროის სუბიექტური აღქმა მნიშვნელოვნად განსხვავდება სრულწლოვანთა დროის აღქმისგან, რაც განაპირობებს პროცესის ხანგრძლივობის არათანაბარ გავლენას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხანგრძლივი სამართალწარმოება შეიძლება დაემთხვეს არასრულწლოვანთა განვითარების კრიტიკულ პერიოდს, რომელიც გადამწყვეტია მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფორმირებისათვის. შესაბამისად პროცედურული რეგულაციები, რომელიც არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა სპეციფიკურ საჭიროებებს დროის მენეჯმენტის კუთხით, პრაქტიკაში იძენს დისკრიმინაციულ ხასიათს ასაკობრივი ნიშნით.

არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის ერთ-ერთ ლატენტურ ფორმას წარმოადგენს სტრუქტურული დისკრიმინაცია, რომელიც გამოიხატება სისტემური ბარიერე-

ბის არსებობაში და აფერხებს ბავშვის სრულფასოვან მონაწილეობას სამართალწარმოების პროცესში. სტრუქტურული დისკრიმინაციის გამოვლინების რამდენიმე ფორმა არსებობს:

ბავშვზე ორიენტირებული გარემოს ნაკლებობა - სასამართლო ინსტიტუტების ფიზიკური და პროცედურული ორგანიზება უმეტესად არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა განვითარების თავისებურებებსა და ფსიქო-ემოციურ საჭიროებებს. სასამართლო სივრცეები, რომლებიც ორიენტირებულია სრულწლოვან მონაწილეებზე, ბავშვებისათვის წარმოქმნის ფსიქოლოგიურ დისკომფორტსა და სტრესულ გარემოს, რაც შესაძლოა ნეგატიურად აისახოს მათ უნარზე, სრულფასოვნად გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

სპეციალიზირებული მოსამართლეების დეფიციტი - სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლეების არასაკმარისი კვალიფიკაცია ბავშვის განვითარების, ფსიქოლოგიისა და სპეციფიკური საჭიროებების საკითხებში მნიშვნელოვნად აფერხებს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების სათანადო იდენტიფიცირებასა და პრაქტიკულ იმპლემენტაციას;

სამართალწარმოებაში ასევე მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს მულტიდისციპლინური პრინციპის საფუძველზე საქმის განხილვაში მონაწილე სპეციალისტთა მიერ მომზადებული დასკვნები, თუმცა ამ კუთხითაც გვხვდება სისტემური პრობლემები: სპეციალისტთა არასათანადო კვალიფიკაცია, მომზადებული დასკვნების სასამართლოს მიერ ინტერპრეტაციის ან მხოლოდ სელექციურ ელემენტებზე დაყრდნობის პრობლემა, არასრულწლოვანის მდგომარეობის კომპლექსური შეფასების ნაკლებობა და სხვა, რაც საგრძნობლად აფერხებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას.

სტრუქტურული დისკრიმინაციის აღმოფხვრა მოითხოვს სისტემურ რეფორმას, რომელიც მიმართული იქნება რა მხოლოდ ფორმალური საკანონმდებლო ცვლილებებისკენ, არამედ ინსტიტუციური ტრანსფორმაციისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა რეალურ და ეფექტურ მონაწილეობას სამართალწარმოების პროცესში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დისკრიმინაციის კიდევ ერთ ლატენტურ ფორმას წარმოადგენს **შინაარსობრივი დისკრიმინაცია**, რომელიც ვლინდება შემდეგ შემთხვევებში:

ბავშვი საუკეთესო ინტერესების ფორმალური შეფასება - იურიდიულ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არ ხდება ბავშვის ინტერესების სიღრმისეული ანალიზი. ამგვარი ფორმალური მიდგომა გამოირიცხავს არასრულწლოვანთა რეალური საჭიროებების სათანადო გათვალისწინებას. სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ეფუძნება კონკრეტული შემთხვევის მრავალმხრივ შეფასებას ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების სრულფასოვან დაცვას.

ინტერსექციული დისკრიმინაცია - განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა ინტერსექციული დისკრიმინაცია, როდესაც არასრულწლოვანი ერთდროულად რამდენიმე ნიშნით შეიძლება გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი. მაგალითად, არასრულწლოვანი, რომელიც მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას და ამავდროულად აქვს შეზღუდული შესაძლებლობები. ასეთი კომპლექსური შემთხვევები მოითხოვს სიფრთხილეს და მრავალფაქტორულ ანალიზს სასამართლო პროცესში, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნების გამო უფლებების არათანაბარი რეალიზება.

ე.წ. „იარლიყის მიწებზე“ - ინდივიდის კატეგორიზაცია და სტერეოტიპიზაცია წარმოადგენს დისკრიმინაციული პრაქტიკის გამოხატულებას, რომელიც ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებების თანამედროვე პარადიგმას. სახალხო დამცველის ანგარიშში დოკუმენტირებულია შემთხვევები, როდესაც პროფესიონალები და მათ შორის მოსამართლეები, მიმართავენ არასათანადო ვერბალურ კონსტრუქციებს, როგორიცაა „ეს ბავშვი საწყალია“, „აი, შენ კალამი“, „აი შენ შოკოლადი“, ასევე გაუმართლებელი გაკვირვების გამოხატვა ბავშვის სტანდარტული აქტივობის მიმართ („ვაიმე, წრეებზეც დადიხარ, რა მაგარია“) მიუთითებს სისტემურ პრობლემაზე იურიდიულ დისკურსში.²⁰⁹

²⁰⁹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, გვ.37, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025].

სამართლებრივი სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ზემოაღნიშნული დისკრიმინაციის ფორმების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრისკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად კი რეკომენდირებულია სასამართლო პრაქტიკის მუდმივი მონიტორინგი, მოსამართლეების, ასევე პროცესში ჩართული სხვა სპეციალისტების პროფესიული განვითარება და არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა.

დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის კუთხით კიდევ ერთ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერება. დამკვიდრებული სტერეოტიპული წარმოდგენები და შაბლონური აზროვნება აისახება იურიდიულ პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს არაცნობიერ მიკერძოებას არასრულწლოვანთა შესაძლებლობებისა და უფლებამოსილებების მიმართ და ქმნის სისტემურ წინაპირობას არასრულწლოვანთა დისკრიმინაციისათვის სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში. საზოგადოებრივი აღქმის არასრულფასოვნება განსაკუთრებით ვლინდება დისკრიმინაციის ფარული და დახვეწილი ფორმების ამოცნობისას, ასევე დამკვიდრებული დისკრიმინაციული შემთხვევების არასათანადო გაცნობიერებაში. მსგავსი პრაქტიკა განსაკუთრებით პრობლემურია არასრულწლოვანთა კონტექსტში, სადაც დისკრიმინაციული ქმედებები ხშირად შენიღბულია მზრუნველობითი მიდგომებით.

არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის ეფექტიანი აღმოფხვრისათვის სამოქალაქო სამართალწარმოებაში აუცილებელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სპეციალური თავის შემოღება, რომელიც დაარეგულირებს არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქმეების განხილვის სპეციფიკას და დაადგენს პროცედურულ გარანტიებს.

ინსტიტუციური გამდიერების კუთხით რეკომენდირებულია სპეციალიზირებული სასამართლო კოლეგიების შექმნა არასრულწლოვანთა უფლებებთან დაკავშირებული სამოქალაქო დავების განსახილველად. აუცილებელია მოსამართლეთა და მულტიდისციპლინური პრინციპის საფუძველზე, საქმეში ჩართული სხვა პირების სპეციალიზაციის ამაღლება, სავალდებულო ტრენინგების დანერგვა არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიის, განვითარების თავისებურებებისა და მათთან კომუნიკაციის საკითხებზე.

სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების დეტალური მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებს თითოეული შემთხვევისათვის. ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოებში ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა და გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტის ამაღლება არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის საკითხების სიღრმისეული ანალიზის უზრუნველსაყოფად.

3.5. მართლმსაჯულების დროულობა და გადაწყვეტილებათა გადასინჯვის სამართლებრივი რეგულირება ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების ჭრილში

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება ატარებს დუალისტურ ხასიათს, იგი ერთდროულად გვევლინება, როგორც სხვა ძირითადი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზების ინსტრუმენტად, ასევე ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსის შენარჩუნების მნიშვნელოვან კომპონენტად.²¹⁰ თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის პარადიგმაში სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აღიარებულია როგორც ფუნდამენტური პირობა კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული მმართველობის სისტემისათვის, რომლის მნიშვნელობა ასახულია საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებსა და ეროვნულ ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში, რომლებიც ადგენენ სასამართლოსადმი მიმართვის ხელმისაწვდომობის სტანდარტს. კონსტიტუციურ-სამართლებრივ დოქტრინაში, ეს უფლება სცილდება ფორმალური ხელმისაწვდომობის ფარგლებს და მოიცავს სამართლიანი სასამართლოს რამდენიმე სუბსტანციურ ელემენტს, მათ შორის: ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, პროცესუალურ სამართლიანობას, გადაწყვეტილებათა შესრულებადობასა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანობას. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო სისტემის შექმნაზე, არამედ იმ ბარიერების აღმოფხვრაზე, რომლებიც ხელს უშლიან მოქალაქეებს მართლმსაჯულების ეფექტიან ხელმისაწვდომობაში.

²¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/3/421,422 (10.11.2009) საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტი წინააღმდეგ;

სამართლიანი სასამართლოს უფლების ინტერპრეტაციის ევოლუციის პროცესში საერთაშორისო და ეროვნულმა სასამართლოებმა მკაფიოდ წარმოაჩინეს მისი ფუნდამენტური მნიშვნელობა დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ამ განვითარების კვალდაკვალ განისაზღვრა უფლების კონსტიტუციური ელემენტები და შესაბამისი სტანდარტები. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ერთმნიშვნელოვნად აღიარებულ იქნა, რომ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელ ნაწილს.²¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო მექანიზმის ეფექტიანობა გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელებას, რომელიც აკმაყოფილებს დროულობის, სამართლიანობისა და შედეგობრივი ეფექტიანობის კრიტერიუმებს, სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების იმპერატივიდან გამომდინარე, იურიდიული გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს რაციონალურ ვადაში, არაგონივრული შეფერხებების გარეშე. პროცესის გაჭიანურება, რომელსაც არ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი, არღვევს საზოგადოების რწმენას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და ამცირებს მის ავტორიტეტს. პრინციპი ასახავს სამართლიანი სასამართლოს უფლების პროცედურულ ასპექტს, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ეფექტიანობას და სამართლებრივ სტაბილურობას.²¹² მართლმსაჯულების დროულობა წარმოადგენს არა მხოლოდ პროცედურულ მოთხოვნას, არამედ სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებით ელემენტს, რომლის გარეშეც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სასამართლო სისტემის ინსტიტუციური ლეგიტიმაცია და მისი უნარი, უზრუნველყოს უფლებათა ეფექტიანი დაცვა.

უდავოა, რომ მართლმსაჯულების უმთავრესი პრინციპია სამართლიანობა, თუმცა მისი რეალური ღირებულება დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება გონივრულ ვადაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უფლებამოსილია, მის

²¹¹ კვირიკაშვილი ს. „გაჭიანურებული საქმეები - პრობლემა, რომელსაც სასამართლო ხელისუფლებაც აღიარებს“, 2023, ხელმისაწვდომია <https://courtwatch.ge/articles/delayed-justice> [30.04.2025].

²¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/2/577 (24.12.2014) საქმეზე ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1070> [30.04.2025].

მიმართ არსებული სამოქალაქო დავა განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ გონივრულ ვადაში. ანალოგიური შინაარსის ნორმას ადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლიც. აღნიშნული სტანდარტებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს უფლების დროულ და ეფექტურ დაცვას.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ისე დაარეგულიროს სასამართლო სისტემა, რომ თითოეულმა სუბიექტმა ისარგებლოს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლებით.²¹³ მართლმსაჯულების ეფექტიანობა დამოკიდებულია პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილებასთან.²¹⁴

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლში დეკლარირებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი იმპლიციტიურად მოიცავს სამართალწარმოების დროულობის იმპერატივს. კონვენციის მე-40 მუხლი კი პირდაპირ ადგენს, რომ ბავშვთან დაკავშირებული საქმეები უნდა განიხილებოდეს დაუყოვნებლივ, პროცედურული გაჭიანურების გარეშე.²¹⁵ აღნიშნული სტანდარტი ვრცელდება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოებაზე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება არასრულწლოვანის საცხოვრებელ გარემოს, მშობლებთან ურთიერთობას, მეურვეობის საკითხებს ან შვილად აყვანას.

საქართველოს ნორმატიული ბაზა ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით ჰარმონიზებულია საერთაშორისო სტანდარტებთან. ბავშვის უფლებათა კოდექსი იმპერატიულად ადგენს სასამართლოების ვალდებულებას, პრიორიტეტულად განიხილონ არასრულწლოვანებთან დაკავშირებული შუამდგომლობები, საჩივრები და

²¹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N 20024/92 (16.09.1996) საქმეზე Süßmann v. Germany, §55, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-57999%22%5D%7D> [30.04.2025].

²¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N 36813/97 (29.03.2008) საქმეზე Scordino v. Italy, §183, [https://hudoc.echr.coe.int/eng/#{%22itemid%22:\[%22001-72925%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng/#{%22itemid%22:[%22001-72925%22]}) [30.04.2025].

²¹⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (20.11.1989) „ბავშვის უფლებების შესახებ“, მუხლი 40, პუნქტი 2, ქვეპუნქტი 3 , <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [30.04.2025].

სარჩელები,²¹⁶ რაც წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპის ნორმატიულ იმპლემენტაციას.

დავების სწრაფი გადაწყვეტა აუცილებელია, რათა არ შეილახოს მხარეთა ინტერესები, რადგან არათანადროულად აღსრულებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება დაკარგოს როგორც სამართლებრივი, ისე სოციალური მნიშვნელობა. პრაქტიკაში, პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურება შესაძლოა უსამართლობის იდენტური შედეგის მომტანი გახდეს. ამიტომ, სამოქალაქო პროცესის მთავარი ამოცანაა საქმის დროულად და სამართლიანად გადაწყვეტა, რისთვისაც არსებით ინსტრუმენტს წარმოადგენს საპროცესო ვადების სისტემა.

საპროცესო ვადების დაწესება არა მხოლოდ პროცედურული წესრიგის შენარჩუნებას ემსახურება, არამედ ეფექტიან მექანიზმს ქმნის არაკეთილსინდისიერი მონაწილეების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ვადები უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სტაბილურობას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს უფლებათა რეალიზებას, მაგალითად, თუ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვერ განისაზღვრება ის მომენტი, როცა გადაწყვეტილება შევა ძალაში და შესაძლებელი გახდება მისი აღსრულება.

საპროცესო ვადა სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელი დროის მონაკვეთია, რომლის მიმდინარეობა ან ამოწურვა სამართლებრივ შედეგებს იწვევს. ვადები დგინდება ან კანონით ან სასამართლოს მიერ და განისაზღვრება თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კონკრეტული საპროცესო მოქმედება. ვადები შეიძლება იყოს: ა) სასამართლოსათვის დადგენილი - როდესაც მოქმედება თავად სასამართლომ უნდა განახორციელოს; ბ) მხარეთათვის დადგენილი - როდესაც მოქმედება უნდა შეასრულოს პროცესის მონაწილე პირმა; გ) გარე სუბიექტებისათვის დადგენილი ვადები - პირებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან შეასრულონ სასამართლოს მითითებები.²¹⁷

საპროცესო ვადები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ა) კანონით დადგენილი ვადები - უკავშირდება, მაგალითად, გასაჩივრების, საქმის განახლების, აღსრულების

²¹⁶ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 79, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

²¹⁷ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, გვ.352.

დაწყების და სხვა მოქმედებებს. ამ ვადებს სავალდებულო ხასიათ აქვთ და მათი დარღვევა იწვევს შესაბამის იურიდიულ შედეგს; ბ) სასამართლოს მიერ დადგენილი ვადები - გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა კანონით განსაზღვრული ვადა არ არსებობს. აღნიშნული ვადები შეიძლება გაგრძელდეს ან შემცირდეს სასამართლოს მიერ.²¹⁸

კანონით დადგენილი ვადები თავის მხრივ, იყოფა ზოგად და სპეციალურ ვადებად. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი დეტალურად ადგენს სასამართლო განხილვის ვადებს. სტანდარტული საქმეები უნდა განიხილებოდეს არაუგვიანეს 2 თვისა, განსაკუთრებული სირთულის საქმეები - 5 თვის ვადაში, ხოლო ალიმენტის, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ან შრომითი დავების შემთხვევებში საქმეებისათვის დადგენილია 1 თვიანი ვადა. თუ საქმის ფარგლებში რამდენიმე მოთხოვნა გაერთიანებულია და მათზე განსხვავებული ვადებია დადგენილი, დოქტრინა უპირატესობას ანიჭებს საერთო ვადას, რადგან ეს განპირობებულია საქმის სირთულითა და პროცედურული ერთიანობის საჭიროებით.

კანონმდებლობა ადგენს მკაფიო ვადებს როგორც სასამართლოსთვის, (მაგალითად, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა, განჩინების გამოცხადება და ა.შ.), ისე მხარეთათვის (მაგალითად, საჩივრის წარდგენა, საქმის განახლების მოთხოვნა და სხვა.), თუმცა ამ ვადების დარღვევას განსხვავებული შედეგები აქვს. სასამართლოს მიერ ვადების დარღვევა არ იწვევს საქმის არსებითი განხილვის შეჩერებას, აღნიშნული პასუხისმგებლობა დისციპლინური რეაგირების საფუძველს წარმოადგენს. მხარეთა მიერ ვადების დარღვევა კი იწვევს მათი უფლებების გაუქმებას - საპროცესო მოქმედება შესაძლოა აღარ განხორციელდეს, თუ ვადა ამოიწურა. თუმცა ასეთი ვადები, გარდა გასაჩივრების ვადებისა, შესაძლოა აღდგეს საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადების აღდგენა არ არის დასაშვები, რაც პრაქტიკაში შესაძლოა უსამართლობის გამომწვევი გახდეს. შესაბამისად, ეს წესი მოითხოვს კრიტიკულ გადახედვას.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება ექცევა ინტერპრეტაციულ საკითხს, ეხება თუ არა საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტით დასრულებული საქმის განახლების ვადის

²¹⁸ იქვე, გვ.352-353.

აღდგენის შეზღუდვას. აღსანიშნავია, რომ საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილი ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე საქმის განახლებას განიხილავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფორმად, კერძოდ, ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო“. თუმცა კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსობრივი ანალიზი იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, ანუ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საქმე ჯერ არ არის დასრულებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტით. საქმე განახლებისას, რეალურად, არ ხდება გადაწყვეტილების გასაჩივრება კლასიკური მნიშვნელობით, არამედ გულისხმობს იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც საქმე არსებითად განიხილა, ხელახალი განხილვის საფუძველების შეფასებას. ამასთან, სამართლებრივად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქმის განახლების საფუძველზე წარმოდგენილი დოკუმენტი წარმოდგენილია როგორც „განცხადება“ და არა როგორც „საჩივარი“, რაც მიანიშნებს საპროცესო ფორმის განსხვავებულობაზე. შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს, რომ 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოქმედების სფერო არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომლების სამართალწარმოების განახლების სპეციფიკას განეკუთვნება.

მიუხედავად საკანონმდებლო რეგულაციებით დადგენილი ვადებისა, პრაქტიკაში ვლინდება მნიშვნელოვანი დისბალანსი ნორმატიულ დანაწესებსა და მათ რეალიზებას შორის. აღნიშნული განპირობებულია არაერთი სისტემური ფაქტორით, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მოსამართლეთა სამუშაო დატვირთვის არაპროპორციული განაწილება და საქმეთა განხილვის არაგონივრული გახანგრძლივება. სასამართლო სისტემის მაღალი დატვირთულობა განაპირობებს არა მხოლოდ კონკრეტული საქმეების განხილვის პროცესის გაჭიანურებას, არამედ ზეგავლენას ახდენს მართლმსაჯულების ხარისხზე და შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმურობაზე. ამდენად, სასამართლოს გადატვირთულობის პრევენცია პირდაპირ კავშირშია მართლმსაჯულების გამართულ ფუნქციონირებასთან.²¹⁹

²¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/7/779 (19.10.2018) საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-4. <https://www.constcourt.ge/pdf/632d985559a58.pdf/ccg-ge.pdf> [30.05.2024].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნული სასამართლოების გადატვირთულობის მიზეზით საქმის განხილვის პროცესის გაჭიანურებას ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამო ვითარებად მიჩნევს. პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ცირემანი და შტაინერი შვეიცარიის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფო სასამართლო პროცესის გაჭიანურების გასამართლებლად სწორედ სასამართლო სისტემის გადატვირთულობაზე აპელირებდა. სტრასბურგის სასამართლომ საკუთარი სამართლებრივ პოზიციაში განმარტა, რომ „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის კონვენციით გარანტირებული სტანდარტი დარღვეულია იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო არ ახორციელებს სათანადო და ეფექტიან ღონისძიებებს არსებული ინსტიტუციური პრობლემების გამოსასწორებლად.²²⁰

მიუხედავად მართლმსაჯულების სისტემის მოდერნიზაციის მიზნით განხორციელებული მრავალეტაპიანი რეფორმისა, სამართალწარმოების პროცესის არაგონივრული გახანგრძლივება კვლავაც მუდმივ პრობლემად რჩება. შეიმჩნევა მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან თავისებური ადაპტაცია არსებულ რეალობასთან, სადაც საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურება აღიქმება, როგორც სისტემის იმანენტური მახასიათებელი.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის საკითხი ფუნდამენტურ როლს ასრულებს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებაში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების ვერბალური აღიარება და მათი გადაჭრის დეკლარირებული მზაობა ქმნის მოლოდინს რეალური პროგრესის მიმართ. თუმცა, ემპირიული მონაცემების ანალიზი წარმოაჩენს მნიშვნელოვან დისონანსს რიტორიკასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის. სასამართლო სისტემის საქმიანობის 2020-2023წწ ანგარიშში განმარტებულია, რომ სასამართლო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა კვლავ არის საქმეების სიმრავლე და გადატვირთულობა. ამ საკითხის მოგვარება კი საჭიროებს ორგანიზებულ, ყოველმხრივ და თანმიმდევრულ მიდგომებს.²²¹

²²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N8737/79 (13.07.1983) საქმეზე Zimmermann and Stein v. Switzerland, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-57609%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57609%22]}) [30.04.2025]

²²¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში, 2020-2023, გვ.40, <https://shorturl.at/1NtBM> [30.04.2025].

სასამართლო სისტემაში საქმეთა განხილვის ვადების ზრდის პარალელურად, სამოქალაქო საქმეთა რაოდენობის მაჩვენებლების დინამიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ფიქსირდება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, იკვეთება შემდეგი გარემოებები: 2021 წლის საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო მიმართულებით რეგისტრირებულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 148 436 ერთეული (მათ შორის, საოჯახო დავა - 7277 საქმე).²²² შემდეგ საანგარიშო პერიოდში, 2022 წელს, აღინიშნა საგრძნობი მატების ტენდენცია და სამოქალაქო საქმეთა მაჩვენებელმა მიაღწია 165 699 ერთეულს (მათ შორის, საოჯახო დავა - 7416),²²³ რაც წინა წელთან შედარებით 11.6%-იან ზრდას წარმოადგენს. თუმცა 2023 წლის მონაცემების თანახმად საქმეთა რაოდენობა შემცირდა 151,296 ერთეულამდე (მათ შორის, საოჯახო დავა - 7218),²²⁴ რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 8.6%-იან კლებას უტოლდება, მაგრამ 2021 წლის მაჩვენებელს მაინც 2.1%-ით აღემატება.

სასამართლო სისტემის ეფექტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს დეტერმინანტს წარმოადგენს მოსამართლეთა რაოდენობრივი კოეფიციენტის ბალანსი განსახილველ საქმეთა რაოდენობასთან მიმართებაში. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2022-2024 წლების პერიოდში მოსამართლეთა რაოდენობაში გამოიკვეთა კლების ტენდენცია: 2022 წელს -338 მოსამართლე; 2023 წელს -335 მოსამართლე, ხოლო 2024 წელს -332 მოსამართლე.²²⁵ ძირეული მნიშვნელობისაა მოსამართლეთა რაოდენობრივი მაჩვენებლის თანაფარდობა განსახილველ საქმეთა რაოდენობასთან. 2023 წლის მონაცემების მიხედვით, როდესაც სასამართლო სისტემაში ფუნქციონირებდა 335 მოსამართლე და რეგისტრირებული იყო 151496 სამოქალაქო საქმე, თითოეულ მოსამართლეზე საშუალოდ მოდიოდა 451 საქმის განხილვა.

²²² მართლმსაჯულება საქართველოში -2021 წლის სტატისტიკა, სამოქალაქო საქმეები, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/martlmsajuleba%202021/samoq%20gamzadebuli.pdf> [30.04.2025].

²²³ მართლმსაჯულება საქართველოში - 2022 წლის სტატისტიკა, სამოქალაქო საქმეები, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/statistics/samoqalago2022.pdf> [30.04.2025].

²²⁴ მართლმსაჯულება საქართველოში - 2023 წლის სტატისტიკა, სამოქალაქო საქმეები, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/statistics/samoqalago2023.pdf> [30.04.2025].

²²⁵ მოსამართლეების და ვაკანტური ადგილების რაოდენობა საქართველოში, <https://courtwatch.ge/articles/number-of-judges-2022-2024> [30.04.2025].

მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების პირობებში საქმეთა განაწილების კოეფიციენტის ანალიზი წარმოაჩენს სასამართლო სისტემის ფუნქციონირების პრობლემურ ასპექტებს: ზემოხსენებული თანაფარდობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც მიუთითებს ინდივიდუალური მოსამართლეების გადატვირთულობაზე; მოსამართლეთა რაოდენობის კლების ტენდენცია (2022-2024 წლებში 1.8%-იანი შემცირება), საქმეთა რაოდენობის სტაბილურად მაღალი მაჩვენებლის პირობებში, კიდევ უფრო ამწვავებს სასამართლო სისტემის დატვირთულობის პრობლემას; ერთ მოსამართლეზე დაკისრებული საქმეების მაღალი მაჩვენებელი ქმნის რისკს, როგორც საქმეთა განხილვის ვადების გახანგრძლივების, ისე განაჩენთა ხარისხის პოტენციური გაუარესების მიმართულებით.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი ადამიანური რესურსების გადანაწილებასა და საქმეთა რაოდენობას შორის. აღნიშნული მდგომარეობა მოითხოვს სისტემურ რეფორმებს, რომელიც მიმართული იქნება როგორც მოსამართლეთა კორპუსის რაოდენობრივი გაძლიერებისაკენ, ისე საქმეთა ადმინისტრირების ეფექტიანი მეთოდოლოგიის დანერგვისაკენ. კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების ოპტიმიზაციას და ხელს შეუწყობს დროული და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

აღნიშნული სტრუქტურული დისფუნქციები განაპირობებს სიტუაციას, სადაც საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებით დადგენილი პრიორიტეტულობის პრინციპი ხშირად რჩება დეკლარირებული ხასიათის მქონე ნორმად, რომლის პრაქტიკული იმპლემენტაცია ვერ ხერხდება. შედეგად, არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა ხშირად ექვემდებარება იმავე ქრონოლოგიურ კრიტერიუმებს, რაც სხვა კატეგორიის საქმეებს. ამგვარად მიუხედავად პროგრესული საკანონმდებლო ბაზისა, სისტემური გამოწვევები ცალსახად აფერხებს საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტურ ფუნქციონირებას, რაც საჭიროებს კომპლექსურ ინსტიტუციურ რეფორმებს, როგორც საკადრო პოლიტიკის, ისე სასამართლო ადმინისტრირების მიმართულებით.

დროულობის კონცეფცია უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ სამართალწარმოების ფორმალური ხანგრძლივობის კონტექსტში, არამედ არასრულწლოვანის

ფსიქო-სოციალური განვითარების ჭრილში. ეს მიდგომა გულისხმობს ბავშვის განვითარების დინამიკის გათვალისწინებას და სამართლებრივი გადაწყვეტილების ადაპტირებას მათ ცვალებად საჭიროებებთან. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით რელევანტურია გრძელვადიანი შედეგების მქონე გადაწყვეტილებებისთვის, როგორცაა მეურვეობის განსაზღვრა ან შვილად აყვანის პროცესი. თანამედროვე იურისპრუდენციაში სულ უფრო მეტ აღიარებას პოვებს ბავშვის განვითარების ეტაპის შესაბამისად დროის განსხვავებული აღქმის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანის ცხოვრების ერთი წელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზრდასრულის ცხოვრების ერთი წლისაგან განვითარების ინტენსივობისა და ფორმირების თვალსაზრისით.²²⁶ შესაბამისად, სამართალწარმოების პროცესში დროის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ინტერესების დაცვის კონტექსტში.

დროულობის იმპერატივის ეფექტური იმპლემენტაცია არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც სცდება მხოლოდ ნორმატიულ რეგულირებას და მოიცავს ინსტიტუციურ რეფორმებს. სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას პროცესუალური დროულობის უზრუნველსაყოფად. ინსტიტუციური რეფორმის კონტექსტში, მიზანშეწონილია რიგი ღონისძიებების განხორციელება:

სპეციალიზირებული სასამართლო პალატების, დამოუკიდებელი სასამართლოების ფორმირება - საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს სპეციალიზებული სასამართლოების ეფექტურობას. მართლაც, აშშ-ში, გერმანიაში, ავსტრალიაში, კანადასა და გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ საოჯახო სასამართლოები წარმოადგენენ ინსტიტუციური სპეციალიზაციის მოდელს, რომელიც ავლენს პოზიტიურ შედეგებს ორი მნიშვნელოვანი პარამეტრით: საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის შემცირება და გადაწყვეტილებათა ხარისხის ამაღლება. აღნიშნულ იურისდიქციებში ფუნქციონირებადი საოჯახო სასამართლოები გამოირჩევიან სპეციალური პროცესუალური წესებით, რომლებიც ორიენტირებულია არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროის ოპტიმიზაციაზე. ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ის გამოცდილება, 1899 წლის 03 ივლისს ძალაში შესული ილინოისის შტატის არასრულ-

²²⁶ Neale B. „Dialogues with Children: Children, Divorce and Citizenship”, *Childhood*, 9(4), 2002.

წლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთათვის დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირებას. აღნიშნული ნორმატიული აქტის თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეები უნდა განხილულიყო სპეციალიზირებული მოსამართლეების მიერ, სრულწლოვანთა საქმეებისაგან განცალკევებით. სასამართლოს იურისდიქციული კომპეტენცია უმეტესწილად მოიცავს სისხლის სამართლის საქმეებს, თუმცა მისი საქმიანობის სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ კრიმინალური მართლმსაჯულებით. მას ასევე გააჩნია ლიმიტირებული სამოქალაქო იურისდიქცია იმ შემთხვევებში, როდესაც განხილული საკითხი უშუალოდ უკავშირდება არასრულწლოვანის კეთილდღეობას, დაცვას ან უფლებრივ სტატუსს.²²⁷

საოჯახო სასამართლო (Familiengericht), გერმანიის სასამართლო სისტემის მოწყობის შესახებ კანონის თანახმად, 1976 წლიდან წარმოადგენს რაიონული სასამართლოს ფარგლებში არსებულ სპეციალიზირებულ განყოფილებას, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილებები მიიღოს საოჯახო საქმეებზე.²²⁸ საოჯახო სასამართლოს პროცედურები რეგულირდება „საოჯახო საქმეებისა და არანებაყოფლობითი იურისდიქციის საქმეთა შესახებ“ გერმანიის კანონით. კანონი არეგულირებს ქორწინების, მშობლების პასუხისმგებლობის ნათესაობის დადგენის, შვილად აყვანის, ქონების გაყოფისა და ოჯახური ძალადობისაგან დაცვის საკითხებს. სასამართლოსათვის დამახასიათებელია: ინკვიზიციურობის პრინციპი - უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიძიოს მტკიცებულებები და ფაქტები, განსხვავებით სხვა სახის სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან; ბავშვის ინტერესების პრიორიტეტულობა; მორიგების წახალისება - გადაწყვეტილების მიღებამდე ხშირად ხდება მედიაციის წახალისება; მჭიდროს თანამშრომლობს ახალგაზრდობის კეთილდღეობის სამსახურთან (Jugendamt), ეს სამსახურები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მონიტორინგში, განსაკუთრებით ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საქმეებში ისინი რეგულარულად აწვდიან ანგარიშებს სასამართლოს. სასამართლო გამოირჩევა სწრაფი პროცედურებით - პირველი მოსმენა ინიშნება განცხადების მიღებიდან, დაახლოებით, 2 კვირაში;

²²⁷ „Illinois Supreme Court History”, Juvenile Courts, <https://www.illinoiscourts.gov/News/388/Illinois-Supreme-Court-History-Juvenile-Courts/news-detail/> [30.04.2025].

²²⁸ Borowsky P. „Sozialliberale Koalition und innere Reformen”, 2002, <https://www.bpb.de/shop/zeitschriften/izpb/zeiten-des-wandels-258/10109/sozialliberale-koalition-und-innere-reformen/> [30.04.2025].

აქცენტი კეთდება კონსენსუსზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებაზე; თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, სასამართლო იღებს დროებით გადაწყვეტილებას და ავალდებულებს მშობლებს კონსულტაციაზე დასწრებას.²²⁹

საოჯახო სასამართლოები ასევე გვხვდება ავსტრალიაში, რომელიც დაარსდა 1975 წელს, წარმოადგენს სპეციალიზირებული მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთ წყაროს, სადაც შემუშავებულია კომპლექსური პროცედურული წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა საქმეების პრიორიტეტულ განხილვას.²³⁰

საოჯახო სასამართლოების პრაქტიკა ასევე გვხვდება კანადაში. ონტარიოს მართლმსაჯულების სასამართლო განიხილავს ოჯახური სამართლის მრავალფეროვან კატეგორიას, მათ შორის ბავშვის დაცვის საკითხებს, შვილად აყვანის საქმეებს, მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრის, მშობლებთან გატარებული დროისა და კონტაქტის, აგრეთვე ფინანსური უზრუნველყოფის მოთხოვნებს.²³¹

გაერთიანებული სამეფოს საოჯახო განყოფილება (Family Division), რომელიც მოქმედებს ინგლისისა და უელსის სასამართლოს შემადგენლობაში, იყენებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპზე დაყრდნობილ სპეციალიზირებულ მიდგომებს. აღნიშნული პრინციპი, იმპლემენტირებულია გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ „ბავშვების შესახებ“ კანონში, რომლის თანახმადაც, „როდესაც სასამართლო განსაზღვრავს ნებისმიერ საკითხს, რომელიც უკავშირდება ბავშვის აღზრდას ან ბავშვის ქონების მართვას ან მისგან მიღებული შემოსავლის გამოყენებას, ბავშვის კეთილდღეობა უნდა იყოს სასამართლოს უპირატესი მოსაზრება.“²³²

ზემოაღნიშნული პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური სპეციალიზაციის დანერგვა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში წარმოადგენს რაციონალურ ნაბიჯს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო აპრობირებულ პრაქტიკასთან და პოტენციურად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის ოპტიმიზაციას, როგორც დროის, ისე ხარისხის თვალსაზრისით.

²²⁹ „Act on Proceedings in Family Matters and in Matters of Non-contentious Jurisdiction“, 2008, https://www.setze-im-internet.de/englisch_famfg/englisch_famfg.html#p0244 [30.04.2025].

²³⁰ Federal Circuit and Family Court of Australia, <https://www.fcfcga.gov.au/about> [30.04.2025].

²³¹ Ontario Court of Justice, <https://www.ontariocourts.ca/ocj/find-my-case/> [30.04.2025].

²³² გაერთიანებული სამეფო, 1989, „Children Act“, მუხლი 1, ნაწილი 1, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1989/41/contents> [30.04.2025].

მოსამართლეთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში-საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ შეიმუშავა ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი,²³³ რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ბავშვთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით, თუმცა ხასიათდება რიგი ხარვეზებით: შეფასების მექანიზმების არასაკმარისი დეტალიზაცია - დოკუმენტი არ განსაზღვრავს მოსამართლეთა კომპეტენციის შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს სპეციალიზაციის პროცესში. არ არის მითითებული, როგორ ფასდება ტრენინგების ეფექტიანობა და მოსამართლეთა მიერ ცოდნის ათვისება; სერტიფიცირების პროცესის ბუნდოვანება - არ არის დეტალიზირებული სერტიფიცირების პროცესის კრიტერიუმები და მისი შემდგომი ძალის ხანგრძლივობა; პრაქტიკული კომპონენტების ნაკლებობა - ტრენინგ-მოდულები ძირითადად თეორიულ ცოდნაზეა ორიენტირებული, ნაკლებად ჩანს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების კომპონენტები; განგრძობადი სწავლების არასაკმარისი რეგულირება - მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებულია წელიწადში მინიმუმ ერთხელ განგრძობადი სწავლება, არ არის განსაზღვრული მისი მინიმალური მოცულობა და შინაარსობრივი მოთხოვნები; მოსამართლეთა სამუშაო დატვირთვის საკითხები - დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული, როგორ მოხდება სპეციალიზირებული მოსამართლეების სამუშაო დატვირთვის მენეჯმენტი და მათი პროფესიული გადაწვის პრევენცია; მონიტორინგის მექანიზმების სისუსტე - არ არის საკმარისად დეტალიზირებული სპეციალიზირებული მოსამართლეების მუშაობის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები; არასრულწლოვანთა მონაწილეობის ნაკლებობა - სტანდარტი არ ითვალისწინებს თავად ბავშვების ან მათი წარმომადგენლების მონაწილეობას სისტემის შეფასებაში.

განხილული ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდირებულია სპეციალიზაციის სტანდარტში დაემატოს კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები; უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტები, დეტალურად განი-

²³³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება N8 (11.08.2020) „ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/8.pdf> [30.04.2025].

საზღვროს განგრძობადი სწავლების მინიმალური მოცულობა და თემატიკა; შემუშავდეს მოსამართლეთა საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო მექანიზმები; დაემატოს დებულებები არასრულწლოვანთა აზრის გათვალისწინების მექანიზმების შესახებ მართლმსაჯულების სისტემის შეფასებაში. დასკვნის სახით, მიუხედავად ზემოაღნიშნული ხარვეზებისა, დოკუმენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიმართულებით. სტანდარტის შემდგომი დახვეწა და გაძლიერება კი ხელს შეუწყობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის ეფექტიან განხორციელებას სასამართლო პრაქტიკაში.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები - მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, წარმოადგენს საერთო სასამართლოების განტვირთვის ერთ-ერთ ეფექტურ შესაძლებლობას. მედიაციის უპირატესობებია: პროცესის სისწრაფე - მედიაცია გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე სასამართლო პროცესი; ნაკლები ხარჯი - ფინანსურად ხელმისაწვდომია მხარეებისათვის; არაფორმალურობა - ნაკლებად სტრესული და მოქნილი პროცედურა; კონფიდენციალურობა - განსხვავებით სასამართლო პროცესისაგან, რომელიც ძირითადად საჯაროა; მხარეთა კონტროლი შედეგებზე - გადაწყვეტილებას იღებენ თავად მხარეები და არა მესამე პირები; ურთიერთობის შენარჩუნება - ხელს უწყობს მომავალში თანამშრომლობის შესაძლებლობას.

სასამართლო სისტემის განტვირთვის გარდა, მედიაცია ასევე ხელს უწყობს სამართლებრივი კულტურის განვითარებას, სადაც მხარეები თავად არიან პასუხისმგებელნი კონფლიქტის მოგვარებაზე, რაც საბოლოოდ ზრდის მართლმსაჯულების სისტემით მოქალაქეთა კმაყოფილებას.

ევროპული იურისდიქციები ინოვაციურ მიდგომებს ავითარებენ საოჯახო დავებში მედიაციის გამოყენების რეგულირების კუთხით. ესტონეთისა და ნორვეგიის მაგალითები წარმოადგენს სასამართლომდელი მედიაციის სავალდებულო მოდელების მნიშვნელოვან ნიმუშებს. ესტონეთის მოდელი თანახმად, ბავშვთან კონტაქტის საკითხებზე სავალდებულოა სასამართლოსათვის წარუმატებელი მედიაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა; სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს

საქმისწარმოება და დაავალდებულოს მხარეებს მედიაციის გამოყენება; ასევე მედიაციის პროცესში აუცილებელია ბავშვის მოსაზრების გათვალისწინება ასაკისა და განვითარების შესაბამისი მეთოდებით; მედიაციის სავალდებულოობიდან გამონაკლისს წარმოადგენს ძალადობის შემთხვევები.²³⁴ ნორვეგიის მოდელი ადგენს სავალდებულო მედიაციას 16 წლამდე ასაკის ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე სასამართლომდელი მედიაციის აუცილებლობას მშობლის უფლება-მოვალეობების, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, მეურვეობისა და კონტაქტის საკითხებზე.²³⁵ ორივე სამართლებრივი მოდელი წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს სასამართლო სისტემის განტვირთვისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტიზაციისათვის.

საქართველოში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული მედიაციის მექანიზმების რეგულირება შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც ეტაპობრივად ვითარდება. ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს მოიცავს: „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი,²³⁶ რომელიც მიღებული იქნა 2019 წელს; ბავშვის უფლებათა კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო მედიაციას საოჯახო დავებში, მათ შორის ბავშვთა საკითხებზეც. თუმცა ესტონეთისა და ნორვეგიისგან განსხვავებით, საქართველოში არ არსებობს სასამართლოში მიმართვამდე სავალდებულო მედიაციის მოთხოვნა, საოჯახო დავებში მედიაცია უმეტესად ნებაყოფლობითია და არ არის აუცილებელი წარუმატებელი მედიაციის დამადასტურებელი დოკუმენტში წარდგენა.

სასამართლოს აქვს უფლება, მაგრამ არ ვალდებულია გადაამისამართოს საქმე მედიაციაში. ამასთან არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მედიაციაში მონაწილეობის მექანიზმები ნაკლებად დეტალიზებულია. საქართველოში ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მედიაციის პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვა კვლავ მიმდინარე პროცესია, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული იმპლემენტაციის მიმართულებით.

არასრულწლოვანთა საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენს ბალანსის დაცვა პროცესუალურ ეფექტიანობასა და

²³⁴ ესტონეთი, „Act on State-Funded Family Mediation Services“, 2022, § 10, <https://bit.ly/3TUGVhR> [30.04.2025].

²³⁵ ნორვეგია, „Act relating to Children and Parents (the Children Act)“, მუხლი 51, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GuKGaA> > [30.04.2025].

²³⁶ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=2> [30.04.2025].

გადაწყვეტილების სუბსტანციურ ხარისხს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დროული მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა ინტერესების კრიტიკული კომპონენტია, იგი არ უნდა განხორციელდეს სიღრმისეული ანალიზისა და მრავალმხრივი შეფასების საზიანოდ. სამართალწარმოების დროულობა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ იმის მიხედვით რამდენ ხანს გრძელდება პროცესი, არამედ ხარისხობრივ ჭრილშიც, რაც მოითხოვს ინტერდისციპლინური მეთოდების ინტეგრირებას სამართლებრივ პრაქტიკაში.

არასრულწლოვანთა საქმეების სამართალწარმოებაში ხანგრძლივი პროცესის უარყოფითი შედეგების პრევენციის მიზნით, რეკომენდირებულია სასამართლო ზედამხედველობის ეფექტური სისტემის დანერგვა. წარმოდგენილი კონცეფცია ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს უწყვეტი მონიტორინგის სისტემას, სპეციალიზირებულ კადრებს და შეფასების მექანიზმებს. უწყვეტი მონიტორინგის სისტემა გულისხმობს პროცესუალურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საქმეთა პროგრესის სისტემატურ ზედამხედველობას წარმოების დაწყებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სპეციალიზირებული კადრები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან შესაბამისი კომპეტენციით, განახორციელებენ საქმის პროგრესის მონიტორინგს, უზრუნველყოფენ მხარეთა პროაქტიულ კომუნიკაციას და კოორდინაციას გაუწევენ საჭირო სერვისებს.

აღნიშნული სისტემის დანერგვა მოითხოვს ინსტიტუციურ ტრანსფორმაციასაც, რაც გულისხმობს საქმის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნას, პროცედურული სტანდარტების დადგენას და მულტიდისციპლინური თანამშრომლობის გაძლიერებას. ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს საქმეთა ავტომატურ კლასიფიკაციას პრიორიტეტულობის მიხედვით, ვადების კონტროლს და რეალურ დროში სტატუსის ასახვას. სტანდარტიზებული პროტოკოლები კი განსაზღვრავენ მონიტორინგის პერიოდულობას, კომპეტენციას და ინტერვენციის კრიტერიუმებს.

სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მნიშვნელოვან ინდიკატორებს, როგორიცაა საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა, პროცესუალური გადადებების რაოდენობა და მიზეზები, ასევე არასრულწლოვანთა და მათი წარმომადგენლების კმაყოფილების დონე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვა არ გულისხმობს

მხოლოდ ტექნიკურ გადაწყვეტებს, არამედ მოითხოვს ორგანიზაციული კულტურის ფუნდამენტურ ცვლილებას, სადაც უპირველესი პრიორიტეტი არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებია მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე.

იურიდიულ დისკურსში ფუნდამენტურ პრინციპად განიხილება, რომ არასრულწლოვანთა შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტურობა და მიზანშეწონილობა დამოკიდებულია დროის ფაქტორზე და არ არის აბსოლუტური ან უცვლელი, შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილებების რეგულარული გადასინჯვა ცვალებადი გარემოებების შესაბამისად. სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება ბავშვებს, პრინციპულად, განსხვავდება კლასიკური კონცეფციებისაგან, ვინაიდან მათი ლეგიტიმურობა განიხილება არა სტატისტიკურ, არამედ დინამიურ კონტექსტში.

სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბალანსის დაცვას სამართლებრივ განსაზღვრულობასა და არასრულწლოვანთა ცვალებად საჭიროებებს შორის. თანამედროვე სამართლებრივი სისტემები დგანან კომპლექსური გამოწვევების წინაშე: უზრუნველყონ როგორც გადაწყვეტილებათა სტაბილურობა, რაც არასრულწლოვანებს უქმნის უსაფრთხოების განცდას, ასევე შექმნან მათი რეგულარული გადასინჯვის სათანადო მექანიზმები, რათა სამართლებრივი აქტები შეესაბამებოდეს ბავშვის განვითარების ეტაპებს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ არასრულწლოვანთა საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები საჭიროებენ რეგულარულ რეინტერპრეტაციას. კანონმდებლობა ექსპლიციტურად ადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას, მოახდინოს მანამდე მიღებული გადაწყვეტილების რევიზია, როდესაც მატერიალური გარემოებები მნიშვნელოვნად მოდიფიცირდება.²³⁷ გერმანიის სასამართლოებს აქვთ უფლებამოსილება განაგრძონ საქმის მონიტორინგი გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც, განსაკუთრებით ბავშვის მეურვეობასთან და მშობლის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე. გარკვეულ შემთხვევებში სასამართლო ადგენს გადაწყვეტილებების პერიოდულ გადახედვის ვალდებულებასაც.²³⁸

²³⁷ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §1696, <https://shorturl.at/XiZgU> [30.04.2025].

²³⁸ გერმანია, „Act on Proceedings in Family Matters and in Matters of Non-contentious Jurisdiction“, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_famfg/englisch_famfg.html#p0244 [30.04.2025].

საქართველოს სამართლებრივი სისტემა აღიარებს არასრულწლოვანთა გადაწყვეტილებების გადასინჯვის აუცილებლობას განვითარებადი საჭიროებების შესაბამისად, თუმცა ამ მიმართულებით სამართლებრივი რეგულირება ხასიათდება გარკვეული ფრაგმენტულობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მოდიფიცირების შესაძლებლობას გარემოებათა არსებითი ცვლილების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლი (ბავშვის ინტერესების დაცვა) ქმნის სასამართლო წესით მშობელთა უფლება-მოვალეობების რევიზიის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული ნორმა შესაძლებლობას იძლევა გადასინჯოს პირვანდელი გადაწყვეტილებები ბავშვის განვითარების გათვალისწინებით. 1205-ე მუხლი (მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვა) კი არეგულირებს ბავშვთან ურთიერთობის უფლების რეალიზების და მისი შეზღუდვის შესაძლებლობას, რაც ასევე ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას. ალიმენტის საკითხის გადასინჯვა რეგულირდება 1231-ე მუხლით (ალიმენტის ოდენობის შეცვლა), რომელიც ადგენს სასამართლოს კომპეტენციას, მოაციდინოს სარჩოს ოდენობის კორექტირება მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის ცვლილებების შესაბამისად. ეს დებულება უშუალოდ უკავშირდება არასრულწლოვანის ასაკობრივ პროგრესთან დაკავშირებულ მატერიალურ საჭიროებათა ევოლუციას.

ბავშვის უფლებათა კოდექსი ფუნდამენტურ პრინციპად აღიარებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს პრიმატს, რაც შეადგენს არასრულწლოვანთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების გადასინჯვის კონცეპტუალურ საფუძველს. ამავე კოდექსის მე-12 მუხლი ადგენს ბავშვის მოსმენის უფლებას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გადაწყვეტილებათა გადასინჯვის კონტექსტში, როდესაც ბავშვის კოგნიტური და ემოციური განვითარება მისი აზრის რელევანტურობას ზრდის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლი (საქმის წარმოების განახლების სახეები) წარმოადგენს პროცესუალურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე. აღნიშნული ნორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნას არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გადასინჯვისათვის, თუმცა არ წარმოადგენს სპეციალიზებულ ინსტრუმენტს ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებისათვის.

არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადასინჯვის ინიცირება შესაძლებელია განცხადების საფუძველზე. დაინტერესებულ მხარეს (მშობელი, მეურვე, მზრუნველი, სოციალური სამსახური) ან თავად არასრულწლოვანს - შეუძლია მიმართოს სასამართლოს არსებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების, რომლებიც ამზადებენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

საქართველოსა და გერმანიის სისტემების შედარებისას იკვეთება, რომ გერმანიის საოჯახო საქმეებისა და არანებაყოფლობითი იურისდიქციის საქმეთა კანონი გაცილებით დეტალურად და სპეციფიკურად არეგულირებს არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის პროცედურებს, კერძოდ: გერმანიის სისტემაში არსებობს სპეციალიზირებული საოჯახო სასამართლოები, მაშინ როცა საქართველოში არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავენ ზოგადი იურისდიქციის სასამართლოები; გერმანიაში შექმნილია უფრო მოქნილი პროცედურული მექანიზმები, რომლებიც საშუალებას იძლევა დროულად მოხდეს გადაწყვეტილებების გადასინჯვა ბავშვის ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად. საქართველოში კი პროცესები ხშირად გაჭიანურებულია და ნაკლებად რეაგირებს ბავშვის სწრაფ განვითარების დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ზოგადი ნორმები, რომლებიც შესაძლებელს ხდის არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, შეიმჩნევა სპეციალიზირებული ინსტიტუციური მექანიზმებისა და პროცედურული მოქნილობის ნაკლებობა რაც უზრუნველყოფდა ბავშვის ცვალებადი საჭიროებების დროულ და ეფექტურ გათვალისწინებას.

არასრულწლოვანთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Strand Lobben and Others v. Norway“. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება მშობლის უფლებების შეზღუდვას, ბავშვის მეურვეობის შეცვლას და ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის პროცედურებს ნორვეგიაში. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა, რომ ნორვეგიის სასამართლოების მიერ მშობლის უფლებების ჩამორთმევისა და გაშვილების თანხმობის პროცესი არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ასევე სასამართლომ ხაზი

გაუსვა, რომ ნორვეგიის ხელისუფლებამ არ უზრუნველყოს საქმის გარემოებების სათანადო გადასინჯვა და არ მიიღო მხედველობაში დედის მდგომარეობაში მომხდარი პოზიტიური ცვლილებები. ევროპულ სასამართლო ასევე დაადგინა, რომ ნორვეგიის სასამართლოებმა არ უზრუნველყვეს ბავშვისა და დედის ურთიერთობის ახალი და სრულყოფილი შეფასება, არ განახლეს ექსპერტთა დასკვნები და ფაქტობრივად დაეყრდნენ მოძველებულ ინფორმაციას.²³⁹ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს არა მხოლოდ ნორვეგიისათვის, არამედ ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, რომელიც ადგენს სტანდარტებს ბავშვის მეურვეობისა და მშობლის უფლებების შეზღუდვის გადაწყვეტილებების გადასინჯვისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილებათა დროულობისა და მათი გადახედვის შესაძლებლობის პრობლემატიკა არასრულწლოვანთა საქმეებში წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კრიტიკულ საფრთხეს. მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე მიღწეული პროგრესისა, პრაქტიკაში სამართალწარმოების გაჭიანურება, სასამართლოს ინსტიტუციური გადატვირთულობა და სპეციალიზირებული მექანიზმების დეფიციტი, არსებითად ზღუდავს აღნიშნული პრინციპების სრულყოფილ რეალიზებას. ეფექტიანი ცვლილებებისათვის აუცილებელია კომპლექსური ინსტიტუციური რეფორმები, მათ შორის სპეციალიზირებული სასამართლო პალატების შექმნა, მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა და მუდმივი პროფესიული განვითარება, ასევე ინტერდისციპლინური მიდგომის ინტეგრირების გაუმჯობესება. დროულობა, სამართლებრივი ხარისხი და ბავშვის განვითარების დინამიკის გათვალისწინება უნდა გახდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განუყოფელი პარადიგმა, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოსა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების პრაქტიკულ განხორციელებას საქართველოში.

3.6. იგივეობრივი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ

²³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N37283/13 (10.09.2019) საქმეზე „Strand Lobben and Others v. Norway“, <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22%3A%22001-195909%22%7D> [30.04.2025].

იგივეობრივი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ წარმოაჩენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომელიც უკავშირდება სამართლებრივი პასუხისმგებლობის, სამართლებრივი შედეგებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საკითხებს. იგივეობრივი სარჩელი (იდენტური სარჩელი) წარმოადგენს სასამართლო წარმოების ინსტრუმენტს, რომელიც პირს საშუალებას აძლევს ხელახლა დააყენოს საკითხი, რომელზეც უკვე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება.

სამართლებრივ რეალობაში განსაკუთრებულ პრობლემატიკას წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც პირი, რომლის უფლებებიც არასრულწლოვანების პერიოდში დაირღვა, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ცდილობს იგივეობრივი სარჩელი აღძვრას. ამ კონტექსტში, საჭიროა საფუძვლიანად გაანალიზდეს იგივეობრივი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, პროცესუალური ასპექტები და პრაქტიკული გამოწვევები.

იგივეობრივი სარჩელის ცნება გულისხმობს სამართალწარმოებას, როდესაც ხდება ერთი და იმავე საქმეზე, ერთი და იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით და იმავე მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა. საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს პირდაპირ დებულებას იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს იგივეობრივი სარჩელის აღძვრა პირის მიერ, რომელიც სრულწლოვანი გახდა მას შემდეგ, რაც მისი სახელით საქმე განიხილა სასამართლომ, როდესაც იგი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს რამდენიმე ნორმას, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ განხილულ ინსტიტუტთან მიმართებაში. საპროცესო კოდექსის 421-ე და 422-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლებს. საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, როდესაც უკვე არსებობს სასამართლო განჩინება ან გადაწყვეტილება მხარეთა მორიგების დამტკიცების, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ასევე, იგივეობრივ სარჩელთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს საქმის წარმოებას კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილების ან განჩინების არსებობის შემთხვევაში, იმავე საგანზე, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძველით. თუმცა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კონტექსტში, განსაკუთრებით სრულწლოვანებს მიღწევის შემდეგ, ამ საკითხის ირგვლივ არსებობს მნიშვნელოვანი სამართლებრივი დილემები და პრაქტიკული გამოწვევები.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ არასრულწლოვანის უფლება, დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებიდან და ეროვნული კანონმდებლობიდან. ეს უფლება არასრულწლოვანს ანიჭებს შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი ინტერესები იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მისი კანონიერი წარმომადგენლები არ ან ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებათა დაცვას. თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სამართალწარმოების პროცესში არც თუ ისე იშვიათად ირღვევა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები, რაც შეიძლება განპირობებული იყოს არასაკმარისი ცოდნითა და გამოცდილებით. სწორედ ამ კონტექსტში იბადება კითხვა: აქვს თუ არა პირს უფლება, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ აღძვრას იგივეობრივი სარჩელი იმ საკითხზე, რომელიც განიხილებოდა მისი არასრულწლოვანების პერიოდში? პასუხი ამ კითხვაზე მოითხოვს სამართლებრივი პრინციპების, პროცესუალური ნორმებისა და პრაქტიკული გარემოებების კომპლექსურ ანალიზს.

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ სხვადასხვა იურისდიქციის ქვეყანაში არსებობს განსხვავებული მიდგომები ამ საკითხისადმი. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს საქმის განახლების საკითხებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ იგივეობრივი სარჩელის წარდგენისას.²⁴⁰ მსგავსი ინსტიტუტი არსებობს საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში.

ქართულ სამართლებრივ სისტემაში ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა. როგორც უკვე აღვნიშნეთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ნორმას იგივეობრივი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობის შესახებ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. თუმცა საერთაშორისო და

²⁴⁰ გერმანია, „Code of Civil Procedure“, §§ 578-591, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html [30.04.2025].

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულია ყველა პირის უფლება, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს გარემოება ქმნის სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ პირმა შეძლოს იგივეობრივი სარჩელის აღძვრა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი უფლებები არ იყო სრულყოფილად დაცული არასრულწლოვანების პერიოდში.

თეორიული ანალიზის გაღრმავების მიზნით, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ის ძირითადი არგუმენტები, რომლებიც ემხრობა და ეწინააღმდეგება იგივეობრივი სარჩელის წარდგენის უფლებას სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ერთი მხრივ, სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ იგივეობრივი სარჩელის აღძვრის უფლება განამტკიცებს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს: არასრულწლოვანებს ხშირად არ აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება სამართლებრივი პროცესების სრულად გასააზრებლად; კანონიერი წარმომადგენლები შესაძლოა მოქმედებდნენ არასრულწლოვანის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან არ იყვნენ საკმარისად აქტიურები მისი უფლებების დაცვაში; სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მიუხედავად ბავშვის აზრის მოსმენის ვალდებულებისა, შესაძლოა არასრულწლოვანის პოზიცია არ იყოს სათანადოდ გათვალისწინებული. მეორე მხრივ, იგივეობრივი სარჩელის აღძვრის შეზღუდვა უზრუნველყოფს სამართლებრივი სტაბილურობისა და განჭვრეტადობის პრინციპის დაცვას, არ გამოიწვევს სასამართლო სისტემის გადატვირთულობას. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ არასრულწლოვანთა საქმეებში არსებობს რიგი საპროცესო გარანტიები (ბავშვის აზრის მოსმენა, საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა), ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება საჭიროება, რომ კანონმდებლობაში განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირს ექნება უფლება, აღძვრას იგივეობრივი სარჩელი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ: ასეთი კრიტერიუმები შესაძლოა მოიცავდეს: წარმომადგენლის მიერ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტის დადასტურებას, ბავშვის აზრის მოსმენისა და გათვალისწინების პროცედურის დარღვევის მტკიცებულებას და საპროცესო წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის ინტერესების არასათანადო დაცვის ფაქტის დადასტურებას.

იგივეობრივი სარჩელის აღძვრის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე შემდეგი პროცესუალური საკითხები: რა ვადაში უნდა იყოს დასაშვები ასეთი სარჩელის აღძვრა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ? რა მტკიცების სტანდარტი უნდა იქნას გამოყენებული? რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება საქმის ხელახალ განხილვას? მოცემულ შემთხვევაში 2 წლიანი ხანდაზმულობის ვადა იქნება გონივრული პერიოდი. ეს ვადა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ პირმა გააცნობიეროს თავისი უფლებების დარღვევის ფაქტი. ამასთან ეს ვადა არ იქნება იმდენად ხანგრძლივი, რომ საფრთხე შეუქმნას სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას.

რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, მიზანშეწონილია, რომ მოსარჩელეს დაეკისროს იმ გარემოებების დადასტურების ვალდებულება, რომლებიც ასაბუთებს, რომ მისი უფლებები არ იყო სათანადოდ დაცული არასრულწლოვანების პერიოდში. ეს შესაძლოა მოიცავდეს წარმომადგენლის მიერ ჩადენილ დარღვევებს, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან პროცესუალური ნორმების დარღვევის მტკიცებულებებს.

იგივეობრივი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი უნდა იყოს არასრულწლოვანების პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვა. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სრული დაცვით, რაც გულისხმობს მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობისა და საქმის საფუძვლიანი განხილვის უზრუნველყოფას.

ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივეობრივი სარჩელის აღძვრის უფლების არსებობა არ ნიშნავს ამ უფლების აბსოლუტურ ხასიათს. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი საქმის ხელახალი განხილვისათვის და რამდენად შეესაბამება ეს სამართლიანობის პრინციპებს.

სამართლებრივი რეფორმის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია, რომ ქართულ კანონმდებლობაში შემუშავდეს კონკრეტული ნორმები, რომელიც დაარეგულირებს იგივეობრივი სარჩელის წარდგენის საკითხს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ეს ნორმები უნდა განსაზღვრავდეს სარჩელის აღძვრის საფუძვლებს, ვადებს, მტკიცების სტანდარტს და სამართლებრივ შედეგებს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ

სასამართლო პრაქტიკა განვითარდეს ისეთი მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა უფლებების ეფექტურ დაცვას და ამავე დროს არ დააზიანებს სამართლებრივი სისტემის სტაბილურობას.

იგივეობრივი სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ წარმოადგენს ფუნდამენტურ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს იმ უფლებების რეალიზებას, რომელთა დარღვევაც შესაძლოა მოხდეს პირის არასრულწლოვანების პერიოდში. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტი ემსახურება არა მხოლოდ ინდივიდუალური სამართლიანობის აღდგენას, არამედ ფუნქციონირებს როგორც ერთგვარი სამართლებრივი გარანტი საზოგადოებრივი მართლწესრიგის შენარჩუნებისათვის.

სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყონ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობა. იგივეობრივი სარჩელი წარდგენის შესაძლებლობა სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ წარმოადგენს სწორედ ასეთი სამართლებრივი დაცვის გამოვლინებას.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება, რომელიც ეფუძნება კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპებს, მოითხოვს, რომ ყოველ პირს, განურჩევლად ასაკისა, ჰქონდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ეს უფლება თავის მხრივ მოიცავს შესაძლებლობას მოითხოვოს სამართლებრივი დაცვა იმ უფლებების დარღვევის გამო, რომლებიც არ იქნა სათანადოდ დაცული დროის იმ მონაკვეთში, როდესაც პირს არ გააჩნდა სრული პროცესუალური ქმედუნარიანობა.

საბოლოოდ, იგივეობრივი სარჩელის წარდგენის უფლების ინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივ გარანტიას, არამედ ასახავს სამართლებრივი სისტემის ჰუმანიზაციის ტენდენციას, რომელიც მიმართულია ადამიანის ღირსების დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განმტკიცებისაკენ.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები:

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის გარგლებში ჩატარებული ემპირიული და თეორიული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა არაერთი სისტემური ხარვეზი და გამოწვევა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს არასრულწლოვანთა უფლებების ეფექტურ იმპლემენტაციაზე სამოქალაქო იურისდიქციის ფარგლებში. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ძირითადი მიგნებები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

➤ საკანონმდებლო ჩარჩოს ნაკლოვანებები:

✓ მოქმედი კანონმდებლობა სრულყოფილად არ უზრუნველყოფს არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის პროცედურების დეტალიზაციას, რაც ქმნის სამართლებრივ ბარიერებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზებისათვის;

✓ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მკაფიო კრიტერიუმებს, თუ ვინ უნდა იყოს ბავშვის საპროცესო წარმომადგენელი, არ არის განსაზღვრული მათი შერჩევისა და საქმიანობის ხარისხზე ზედამხედველობის მექანიზმები, რაც აჩენს საფრთხეს არასრულწლოვანის ინტერესების არასათანადო ადვოკატირებისა;

✓ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება ნორმატიულ აქტებს, რომლებიც შემდგომში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;

✓ სსსკ-ით დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადების აღდგენა არ არის დასაშვები, რაც პრაქტიკაში შესაძლოა უსამართლობის გამომწვევი გახდეს არასრულწლოვანისათვის.

✓ არასრულწლოვანის მოსაზრების გათვალისწინებით შერჩეული წარმომადგენლის მონაწილეობა არ უნდა შეიზღუდოს სააპელაციო ან საკასაციო წარმოებაში,

მიუხედავად მისი პროფესიული კვალიფიკაციისა, მით უფრო თუ აღნიშნული წარმომადგენელი მოქმედებს კეთილსინდისიერად და უზრუნველყოფს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას;

✓ გადაწყვეტილების შეცვლისა და გადასინჯვის რეგულაციები არასრულწლოვანთა საქმეებში ფრაგმენტულად არის ჩამოყალიბებული, რაც ხელს უშლის ბავშვის განვითარებაში ცვლილებებზე ადაპტირებულ სამართლებრივ რეაგირებას;

✓ არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, კერძოდ სამართალწარმოების პროცესში იზღუდება ბავშვის მონაწილეობის, მისი აზრის მოსმენისა და სათანადო გათვალისწინების უფლება;

✓ არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქმისწარმოების სპეციფიკურ პროცესულ რეგულაციებს აკლია სისტემური და კომპლექსური აღწერა, რის გამოც აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესაბამის თავის დამატება;

✓ მულტიდისციპლინური თანამშრომლობის სამართლებრივი რეგულაცია არასრულყოფილია და ვერ უზრუნველყოფს სპეციალისტებს შორის ეფექტურ კოორდინაციას სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში;

✓ არასრულწლოვანის ნებაზე ზემოქმედების გამოვლენისა და შეფასების სამართლებრივი მექანიზმები მკაფიოდ არ არის დარეგულირებული, რაც ართულებს ბავშვის ნამდვილი ნების სწორად დაფიქსირებას;

✓ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვთან დაკავშირებული საქმეების გაჭიანურება და სასამართლო დავების ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად აზიანებს ბავშვის ინტერესებს, რაც საჭიროებს სპეციალური დაჩქარებული საქმისწარმოების წესების შემუშავებას;

✓ საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული ბავშვის უფლებათა განხორციელების შესახებ ევროპული კონვენცია და სამოქალაქო პროცესის საკითხებზე ჰააგის კონვენცია, რაც ამცირებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობას საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან.

✓ საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის მარეგულირებელი არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, როგორიცაა ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის

შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირება ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით სამართალწარმოების პროცესში;

- ✓ ბავშვის მოსმენის უფლების პრაქტიკული განხორციელება ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და საჭიროებს რეალური მოსაზრების გათვალისწინების სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერება;

- ✓ ბავშვის უფლებების დასაცავად დროული რეაგირების მექანიზმები პრაქტიკაში არასაკმარისად არის განვითარებული, რაც საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანის ფსიქო-ემოციურ განვითარებასა და კეთილდღეობას;

- ✓ არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებისათვის ადაპტირებული პროცესუალური დოკუმენტების და სარჩელის ფორმები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული, რაც ართულებს ბავშვის პროცესში მონაწილეობას და ინტერესების სათანადო დაცვას;

- ✓ ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტების უწყვეტი პროფესიული გადამზადების და ტრენინგების ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე არ არის საკმარისად დეტალურად დარეგულირებული;

- ✓ სპეციალიზირებული კადრების (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ადვოკატები) მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების და მათი საქმიანობის ზედამხედველობის მექანიზმები კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული;

- ✓ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობით დადგენილი პროცედურები არ არის შედეგიანი და ეფექტური, დაწესებული სანქციები კი ვერ უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასა და ბავშვის მშობელთან ურთიერთობის დროულად აღდგენას.

➤ **სამართლებრივი პროცედურებისა და ინსტიტუციური მექანიზმების დისფუნქცია:**

- ✓ საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებით დეკლარირებული არასრულწლოვანთა პროცესუალური ავტონომიის პრინციპი, მისი ნორმატიული ლეგიტიმაციის მიუხედავად, პრაქტიკაში შეზღუდულად ხორციელდება. რაც განპირობებულია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობით, ისე ინსტიტუციური მხარდაჭერის არასაკმარისი მექანიზმებით;

✓ მულტიდისციპლინური მიდგომა, რომელიც წარმოადგენს არასრულწლოვანთა საჭიროებების მრავალმხრივი შეფასების უმთავრეს მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს, განხორციელებისას ავლენს სისტემური კოორდინაციის, მეთოდოლოგიური ერთგვაროვნებისა და პროფესიული პროტოკოლების სტანდარტიზაციის მნიშვნელოვან დეფიციტს, რაც არსებითად აფერხებს საქმეთა კვალიფიციურად წარმოების შესაძლებლობას;

✓ ხანგრძლივი სასამართლო დავები და ამ ვითარებაში მიღებული გადაწყვეტილებები ძირეულად ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრინციპს. პროცესის გაჭიანურება არა მხოლოდ აფერხებს საქმის გარემოებების დროულ და სამართლიან შეფასებას, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკურ და ემოციურ განვითარებაზე. ამიტომ დროული და ქმედითი მართლმსაჯულება წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივი პროცესის აუცილებელ მახასიათებელს, არამედ გადამწყვეტ პირობას ბავშვის უფლებების სრულყოფილი განხორციელებისათვის.

➤ უფლებრივი და კონცეპტუალური პრობლემატიკა:

✓ არასრულწლოვანთა სამართლებრივი სუბიექტობის ინსტიტუციური აღიარება ნორმატიულ დონეზე სათანადოდ არის წარმოდგენილი, თუმცა პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესში იკვეთება მნიშვნელოვანი დისონანსი დეკლარირებულ პრინციპებსა და რეალურ სოციო-სამართლებრივ პრაქტიკას შორის. საზოგადოებრივ და სამართლებრივ ურთიერთობებში ბავშვის ხშირად განიხილება არა როგორც ავტონომიური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მატარებელი დამოუკიდებელი სუბიექტი, არამედ როგორც დაცვის ობიექტი. ეს კონცეპტუალური მიდგომა ეწინააღმდეგება თანამედროვე სამართლებრივ პარადიგმას, რომელიც აღიარებს ბავშვს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სრულფასოვან მონაწილეს.

✓ არასრულწლოვანთა მოსმენისა და მონაწილეობის უფლება ხშირად რჩება მხოლოდ ფორმალურ პროცედურად. გადაწყვეტილების მიმღები პირები ხშირად ვერ ახერხებენ არასრულწლოვანთა მოსაზრების სათანადოდ შეფასებასა და გათვალისწინებას, ისინი ასრულებენ მხოლოდ პროცედურულ მოთხოვნას, რაც ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს სამართლებრივ ურთიერთობებში ბავშვთა რეალურ მონაწილეობას.

არასრულწლოვანთა კანონიერი ინტერესების დასაცავად აუცილებელია მათი მოსაზრების არა მხოლოდ მოსმენა, არამედ მათი აზრის, ღირებულებების აღიარება და გადაწყვეტილებაში ასახვა;

✓ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში არსებული ენობრივი ბარიერები და ტერმინოლოგიური სირთულეები ზღუდავს ბავშვის ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას;

➤ სტრუქტურული და მეთოდოლოგიური ხარვეზები:

✓ დისკრიმინაციის ლატენტური და ინტერსექციული ფორმები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, არასრულწლოვანის ასაკს, ეთნიკურ კუთვნილებას ან შეზღუდულ შესაძლებლობებს, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემისათვის. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ვერ ხერხდება ამგვარი დისკრიმინაციის ამოცნობა და მასზე სათანადო რეაგირება. მიუხედავად სამართლებრივი ჩარჩოს არსებობისა, სასამართლოები არ იყენებენ სისტემატიზირებულ მეთოდოლოგიას იმ შემთხვევების გამოსავლენად, როდესაც პირი ერთდროულად რამდენიმე ნიშნით განიცდის დისკრიმინაციას. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც საქმე ეხება ფარულ, არაპირდაპირ დისკრიმინაციულ პრაქტიკებს.

✓ არასრულწლოვანთა დაცვის არსებული სისტემები ძირითადად რეაქციული ხასიათისაა და უპირატესად ორიენტირებულია უკვე მომხდარ დარღვევებზე, ვიდრე მათ პრევენციაზე. ეს მიდგომა ამცირებს სამართლებრივი ინტერვენციის ეფექტიანობას და ზრდის არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევის რისკებს. სახელმწიფო რესურსების უმეტესობა მიმართულია კრიზისული შემთხვევების მართვაზე, მაშინ როდესაც პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს საფრთხის ადრეულ გამოვლენასა და აღკვეთას, ნაკლებად წარმოადგენს პრიორიტეტული ინტერესის სფეროს.

წინამდებარე მიგნებები წარმოაჩენს სისტემურ გამოწვევებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში და ხაზს უსვამს კომპლექსურ ინსტიტუციური, სამართლებრივი და პროფესიული რეფორმების აუცილებლობას ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის.

რეკომენდაციები:

➤ საკანონმდებლო ცვლილებები:

✓ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გაფართოება - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატოს ახალი თავი - „სამართალწარმოება არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქმეებზე“, რომელიც მოიცავს: არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის ზოგად პროცედურულ პრინციპებს, არასრულწლოვანთა მონაწილეობის ფორმებს სამართალწარმოებაში, სპეციფიკურ საპროცესო ვადებს და ამ ვადების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს;

✓ სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქტირება - აღნიშული ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებისა და განჩინების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადების აღდგენა ან გაგრძელება, გარდა არასრულწლოვანთან დაკავშირებული საქმეებისა, რომლის შემთხვევაშიც გასაჩივრების ვადის გაგრძელება ან აღდგენა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

✓ სსსკ-ის 59-ე მუხლში, 3² ნაწილის შემდეგ დამატოს 3³ ნაწილი და განისაზღვროს არასრულწლოვანთა საქმეებზე დაჩქარებული წარმოების ვადები: სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტისათვის, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენისათვის, მოსამზადებელი სხდომის ჩატარებისათვის, საქმის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის.

✓ სსსკ-ის 81-ე მუხლის ცვლილება - სსსკ-ის 81¹ მუხლის ასახავს პროცესში არასრულწლოვანი პირების მონაწილეობისა და მათი ინტერესების დაცვის ახალ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, მათ შორის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესაძლებლობას, რაც ზრდის სასამართლოს როლს ამ ინტერესების დაცვის საქმეში. ამ ცვლილებების ფონზე, 81-ე მუხლის ის დებულებები, რომლებიც არასრულწლოვანის მიერ თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უშუალოდ სასამართლოს მიმართვის შესაძლებლობას ეხება, პრაქტიკულად კარგავს აქტუალობას;

✓ სსსკ-ის 81¹-ე მუხლის შინაარსობრივი გაფართოება - მიზანშეწონილია სსსკ-ის 81¹-ე მუხლს დაემატოს შესაბამისი ნორმები და დეტალურად განისაზღვროს წარმომადგენლის დანიშვნისა და შერჩევის პროცედურა;

✓ სსსკ-ის 101-ე მუხლის ტერმინოლოგიური მოდიფიცირება - ტერმინი „მოქალაქე“ ჩანაცვლდეს ტერმინით „ფიზიკური პირი“, რაც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიურ თანამიმდევრულობას სხვა საკანონმდებლო აქტებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვას.

✓ სსსკ-ის XII თავში ნორმის დამატება - სსსკ-ის XII თავში „წარმომადგენლობა სასამართლოში“ დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: „დაუშვებელია არასრულწლოვანის მოსაზრების გათვალისწინებით შერჩეული წარმომადგენლის მონაწილეობის შეზღუდვა სააპელაციო ან საკასაციო წარმოებაში, მისი პროფესიული კვალიფიკაციის მიუხედავად, თუ აღნიშნული წარმომადგენელი მოქმედებს კეთილსინდისიერად და უზრუნველყოფს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას;

✓ მტკიცებულებათა შეგროვების სპეციალური წესები - სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 103¹ მუხლი: „არასრულწლოვანის მონაწილეობით საქმეებზე სასამართლოს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, თუ ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად.“

✓ არასრულწლოვანის საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, როცა ყველა სხვა საშუალება ამოწურულია და დარწმუნებულად დგინდება, რომ ასეთი ფორმა მაინც შეესაბამება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

✓ არასრულწლოვანის დაცვის სპეციალური პროცედურები - განისაზღვროს არასრულწლოვანის აზრის მოსმენისა და მონაწილეობის დროს ფსიქოლოგის ჩართულობის, ადაპტირებული გარემოსა და კითხვების წინასწარი შეთანხმების ვალდებულება;

✓ სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის პროცედურა - სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატოს მუხლი: „ბავშვთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების პერიოდული გადახედვის წესი“; დადგინდეს

გადახედვის მინიმალური პერიოდულობა (მაგალითად, 6 თვეში ან წელიწადში ერთხელ); განისაზღვროს გადახედვის ინიცირების უფლებამოსილი პირები;

✓ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ სსსკ-ის 423-ე მუხლში განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა : „არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ნორმატიული აქტი, რომელსაც ეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილება“;

ბ) დაემატოს მე-5 ნაწილი შემდეგი შინაარსით: „არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საქმეებში ბავშვის განვითარებაში მომხდარი არსებითი ცვლილებები განიხილება ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომელიც წარმოადგენს საქმის ხელახალი განხილვის საფუძველს“. ასევე მნიშვნელოვანია გამარტივდეს ასეთი საფუძველით საქმის წარმოების განახლების პროცედურა;

✓ სსსკ-ს დაემატოს ნორმები, რომელიც დაარეგულირებს იგივეობრივი სარჩელის წარდგენის საკითხს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ეს ნორმები უნდა განსაზღვრავდეს სარჩელის აღძვრის საფუძველებს, ვადებს, მტკიცების სტანდარტს და სამართლებრივ შედეგებს;

✓ ბავშვის სამართლებრივი ინფორმირების გაუმჯობესება - სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დაემატოს ნორმა, რომლის თანახმადაც „სასამართლო ვალდებულია არასრულწლოვან მხარეს მიაწოდოს პროცესუალური დოკუმენტები ასაკისათვის შესაბამისი, გასაგები ფორმით.

✓ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ კოდექსის ცვლილებები - გაფართოვდეს კოდექსის მოქმედების სფერო და მოიცვას სამოქალაქო მართლმსაჯულება დამატებითი თავის სახით: დადგინდეს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ერთიანი სტანდარტი, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლისათვის; ასევე განისაზღვროს ბავშვის მოსაზრების მოსმენის პროცედურა (დეტალურად აღწერა როგორც, სად და ვის მიერ უნდა მოხდეს ბავშვის მოსმენა) და ბავშვის მოსაზრებების შეფასებისა და გათვალისწინების კრიტერიუმები (რა შემთხვევაში და როგორ უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის მოსაზრება); კოდექსს ასევე უნდა დაემატოს ახალი

მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებას მიიღოს დასაბუთება მისი მოსაზრების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში;

✓ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კოდექსის მოდიფიცირება - ბავშვის უფლებათა კოდექსში დაემატოს თავი - „ბავშვის საპროცესო წარმომადგენლობა“, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლის დანიშვნის კრიტერიუმებსა და პროცედურებს, წარმომადგენლის უფლებებსა და მოვალეობებს, წარმომადგენლის საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, წარმომადგენლობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს; მულტიდისციპლინური თანამშრომლობის ფორმალიზება - დეტალურად განისაზღვროს: მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა სამოქალაქო საქმეების განხილვისას, გუნდის წევრების მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, გუნდის მუშაობის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი, გუნდის შეფასებების სამართლებრივი სტატუსი სასამართლო პროცესში.

✓ საინფორმაციო მასალები - საქართველოს კანონში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კოდექსში დაემატოს ნორმა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას და გაავრცელოს ბავშვის უფლებების შესახებ საინფორმაციო მასალები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ასევე დადგინდეს ამ მასალების შექმნისა და გავრცელების ვალდებულება კონკრეტული უწყებისათვის.

✓ „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებები - კანონში კორექტირდეს/დაემატოს სპეციალური მუხლები: ერთი სოციალური მუშაკის წარმოებაში არ უნდა იყოს 18 საქმეზე მეტი; უნდა დადგინდეს სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის უწყვეტი ზრდის ვალდებულება;

✓ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების რატიფიცირება - მომზადდეს: „ბავშვის უფლებათა განხორციელების შესახებ“ ევროპული კონვენციის, „ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის, „სამოქალაქო პროცესის საკითხებზე“ ჰააგის კონვენციისა და „კომუნიკაციის პროცედურების შესახებ“ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების შესახებ ინიციატივა;

✓ შიდა კანონქვემდებარე აქტების შექმნა და დახვეწა სასამართლოს დონეზე - უზენაესმა სასამართლომ შეიმუშაოს: რეკომენდაციები ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის შესახებ; სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანის მოსმენის პროცედურების შესახებ; სტანდარტები სასამართლოს ინფრასტრუქტურის ბავშვზე მორგებისათვის;

✓ შიდა კანონქვემდებარე აქტების შექმნა და დახვეწა აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე - შესაბამისი სამინისტროების მიერ შემუშავდეს: დადგენილება „არასრულწლოვანთა მონაწილეობით სამოქალაქო სამართალწარმოების სპეციალური წესების შესახებ“, ნორმატიული აქტები, რომლებიც დაარეგულირებს ბავშვის შეფასების სტანდარტიზირებულ მეთოდოლოგიას; ბრძანება „ბავშვთა საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების სერტიფიცირების შესახებ“;

✓ ბავშვზე ადაპტირებული სარჩელისა და სხვა დოკუმენტების მოდიფიცირება - არასრულწლოვანზე მორგებული სარჩელის, უწყების ფორმის სტრუქტურული და შინაარსობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება;

✓ არასრულწლოვანთა საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით აუცილებელია დაწესდეს უფრო მკაცრი და პროპორციული სანქციები, გამარტივდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებათა პროცედურები და ჩამოყალიბდეს სასამართლო დაკვირვების მექანიზმები, რომელთა მიზანი იქნება გადაწყვეტილების შესრულების პროცესის პერიოდული მონიტორინგი. გარდა ამისა მიზანშეწონილია განისაზღვროს სპეციალიზებული უწყებები, რომელთა კომპეტენციაში იქნება ბავშვის მშობელთან ურთიერთობის აღდგენის პროცესის მართვა და ზედამხედველობა;

✓ არასრულწლოვანთა საქმეში ჩართული ფსიქოლოგების მიერ უფლებამოსილების კვალიფიციურად განხორციელებისათვის, მიზანშეწონილია, პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს როგორც პროფესიული ვალდებულებების ხარისხს, ისე დარღვევებზე რეაგირების პროპორციულ მექანიზმებს.

➤ ინსტიტუციური რეფორმა:

✓ სპეციალიზირებული სასამართლო განყოფილებების შექმნა - საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნას სპეციალიზირებული კოლეგიები ან პალატები, რომლებიც განიხილავენ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებს; განისაზღვროს სპეციალური ინფრასტრუქტურული და პროცედურული სტანდარტები ამ კოლეგიებისთვის;

✓ საოჯახო სასამართლოების შექმნა - დამოუკიდებელი და არასრულწლოვანზე ადაპტირებული საოჯახო სასამართლოების შექმნა უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას;

✓ საქმის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა - ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს საქმეთა ავტომატურ კლასიფიკაციას პრიორიტეტულობის მიხედვით, ვადების კონტროლს და რეალურ დროში სტატუსის ასახვას;

✓ მულტიდისციპლინური თანამშრომლობის გაძლიერება - შეიქმნას მულტიდისციპლინური გუნდების საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტული სამოქმედო პროცედურები; დაინერგოს უწყებათაშორისი ელექტრონული პლატფორმა, რომელიც გააუმჯობესებს ინფორმაციის გაცვლას და კოორდინაციას;

✓ სპეციალიზირებული საპროცესო წარმომადგენლის ინსტიტუტის რეფორმა - შეიქმნას საპროცესო წარმომადგენელთა სპეციალიზირებული რეესტრი და მათი საქმიანობის მონიტორინგის სისტემა, განისაზღვროს წარმომადგენელთა მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ეთიკის სტანდარტები;

✓ ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა სამართლებრივი მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახური, რომლის სამართლებრივი სტატუსი ლეგიტიმურად უნდა განისაზღვროს, როგორც საპროცესო წარმომადგენლისა;

✓ პრევენციული სისტემის განვითარება - შეიქმნას უფლებების დარღვევის ადრეული გამოვლენისა და პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმი; გაიზარდოს პრევენციულ ღონისძიებებზე გამოყოფილი რესურსები და დაფინანსება;

➤ **პროფესიული განვითარება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება:**

✓ სპეციალისტთა სავალდებულო სპეციალიზაცია და სერტიფიცირება - დაინერგოს სავალდებულო სპეციალიზაციის პროგრამები მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისათვის, სოციალური მუშაკებისათვის და ფსიქოლოგებისათვის; შემუშავდეს უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა რეგულარული გადამზადებით;

✓ ბავშვთან კომუნიკაციის უნარების განვითარება - ჩატარდეს რეგულარული ტრენინგები ბავშვთან კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდებზე; შეიქმნას ბავშვის მოსმენის პრაქტიკული სახელმძღვანელო ყველა პროფესიონალისათვის;

✓ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება - განხორციელდეს საინფორმაციო კამპანიები ბავშვის უფლებებისა და პროცესუალური ავტონომიის შესახებ; მომზადდეს საგანმანათლებლო მასალები სკოლებისა და ოჯახებისათვის;

✓ ადაპტირებული საინფორმაციო მასალების შემუშავება - შეიქმნას ასაკობრივი ჯგუფებისათვის მორგებული საინფორმაციო რესურსები ბავშვებისათვის, რომელიც განმარტავს მათ უფლებებს და სამართლებრივ პროცედურებს;

➤ მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავება:

✓ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების მეთოდოლოგია - შეიქმნას დეტალური მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების კრიტერიუმებს; დაინერგოს სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტები სხვადასხვა კატეგორიის საქმეებისათვის;

✓ არასრულწლოვანის ნებაზე ზემოქმედების შეფასების მექანიზმი - შემუშავდეს მეთოდოლოგია, რომელიც დაეხმარება პროფესიონალებს გამოავლინონ და შეაფასონ ბავშვის ნებაზე ზემოქმედების შემთხვევები; დადგინდეს პროტოკოლი ასეთი შემთხვევების დოკუმენტირებისა და მათზე რეაგირებისათვის;

✓ მულტიდისციპლინური შეფასების სტანდარტიზაცია - შემუშავდეს ერთიანი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მულტიდისციპლინური შეფასებისათვის; დადგინდეს ხარისხის კონტროლის მექანიზმების შეფასების პროცესისათვის;

✓ ინტერსექციული დისკრიმინაციის იდენტიფიცირების მეთოდოლოგია - შეიქმნას პრაქტიკული ინსტრუმენტები ფარული და ინტერსექციული დისკრიმინაციის გამოსავლენად; დაინერგოს შემთხვევების ანალიზის სტანდარტიზებული ფორმა;

➤ მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა:

➤ ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა - რეკომენდირებულია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მონიტორინგის ინსტიტუციური ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილი იქნებოდეს

სამართლის სპეციალისტები, ფსიქოლოგიის დარგის ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დელეგატები და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები;

✓ გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგი - შეიქმნას სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი; დაინერგოს შემთხვევების პერიოდული გადახედვის სისტემა;

✓ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა - შეიქმნას ერთიანი სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სისტემა არასრულწლოვანთა საქმეებზე; განხორციელდეს რეგულარული კვლევები პრაქტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისათვის.

✓ საქმისწარმოების ხანგრძლივობის მონიტორინგი - დაინერგოს საქმისწარმოების ვადების მონიტორინგის მექანიზმი; შემუშავდეს რეაგირების პროტოკოლი გაჭიანურებული საქმეებისათვის.

წარმოდგენილი რეკომენდაციები ორიენტირებულია არასრულწლოვანთა უფლება დაცვაზე ეფექტურად იმპლემენტირდეს სამოქალაქო იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა ხელს შეუწყობს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარებას და უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტიზაციას სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულ ენაზე არსებული წყაროები

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ბობოხიძე მ. (რედაქტორი), „ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო“, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook_rights_child_KAT [30.04.2025];
2. ბურდული ი. „მშობლის მიერ არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის საკითხისათვის“, ჟურნალი „შედარებითი სამართალი“, 2020, https://lawjournal.ge/wp-content/uploads/2021/01/DGZR-12-2020_1.pdf [30.04.2025];
3. კილაძე ს. ტურავა პ. „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, <https://shorturl.at/Muh7g> [30.04.2025];
4. ლურსმანაშვილი ლ. (თარგმანი), ბობოხიძე მ. (რედაქტორი), „ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო“, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020;
5. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. და სხვები, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1, (1-ლი-176-ე მუხლები), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022;
6. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, თბილისი, მერიდიანი, 2015;
7. ქურდაძე შ. „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, თბილისი, მერიდიანი, 2006;
8. შაჰოვიჩი ნ. ვ. დოეკი ე. ი. ცერმატენი ჟ. „ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში (ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვის უფლებების შესახებ)“, ბერნი, 2012, რედ. თარგმანისა ალექსიძე ლ. ხუციშვილი, ქ. თბილისი, 2015.

9. შენგელია ქ. (შემდგენელი), „ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თავისებურებანი“, კრებული მომზადდა საქართველოს უზენაესო სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ, თბილისი, 2023, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/bavshvis%20qonebis%20gankargva.pdf> [30.04.2025];
10. შენგელია შ. „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, ჭანტურია ლ. (რედაქტორი), 2000;
11. ძლიერიშვილი ზ. „დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თეორია და პრაქტიკა)“, „მერიდიანი“, თბილისი, 2022 წ.
12. ჭანტურია ლ. რუსიაშვილი გ. (მთ. რედაქტორები), „სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“, წიგნი VII, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2021, <https://shorturl.at/ex8HA> [30.04.2025];

სამეცნიერო სტატიები:

13. ზარნაძე ე. ჭალიძე თ. „ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში“, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2024;
14. მამულაძე მ. „მულტიდისციპლინური პრინციპის საფუძველზე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება“, სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“, 2024, 10(2), <https://journals.4science.ge/index.php/spectri/article/view/3355/3369> [30.04.2025];
15. მამულაძე მ. „არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართლის მაცნე“, N9, 2024, <https://heraldoflaw.com/read-book/?ID=3771> [30.04.2025];
16. უტიაშვილი ქ. „არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის თავისებურებანი - არსებული პრაქტიკა“, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, N8, 2022, <https://shorturl.at/K08eB> [30.04.2025];
17. შეყილაძე ხ. „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი“, სამართლის ჟურნალი, 2, 2016,

[file:///C:/Users/3813/Downloads/%23%23common.file.namingPattern%23%23%20\(2\).pdf](file:///C:/Users/3813/Downloads/%23%23common.file.namingPattern%23%23%20(2).pdf)

[30.04.2025];

დისერტაცია:

18. ბობოხიძე მ. სადოქტორო დისერტაცია: „ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები“, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2020, <https://ug.edu.ge/storage/disertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf>>

[30.04.2025];

19. შეყილაძე ხ. სადოქტორო დისერტაცია: „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, <https://bit.ly/3wwwxqY> [30.04.2025];

ანგარიშები/დასკვნები/კვლევები:

20. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა „ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე ალბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში, 2015;

21. გოჩიაშვილი ნ. „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების პროცესში“, ანგარიში, 2023;

22. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“, თბილისი, 2024, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024123110542922134.pdf> [30.04.2025];

23. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2024, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf> [30.04.2025];

24. სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიში, „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2023, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023042411113732862.pdf> [30.04.2025];

25. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში, 2020-2023, <https://shorturl.at/1NtBM> [30.04.2025];

26. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გიორგი მიქაუტაძის ყოველწლიური ანგარიში 2018-2019 წწ;

27. საქართველოს განათლების ფსიქოლოგთა ასოციაცია, „სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მზრუნველობა-მეურვეობის სოციალური მუშაკების საქმეთა შესრულების ხარისხი და პროფესიული გადაწვა“, 2022;

28. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფსიქოლოგის დასკვნა N07012414 (20.04.2022);

ნორმატიული აქტები:

29. საქართველოს კონსტიტუცია, 1195, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [30.04.2025].

30. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=55> [30.04.2025].

31. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=4> [30.04.2025];

32. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=10> [30.04.2025].

33. საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, 2018, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=10> [30.04.2025];

34. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 2019, <https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=2> [30.04.2025];

35. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 2009, <https://matsne.gov.ge/document/view/90052?publication=38> [30.04.2025];

36. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, 1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133> [30.04.2025];

37. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=171> [30.04.2025];

38. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 1984, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=581>, [30.04.2025];

39. საქართველოს იუსტიციის საბჭოს N7 (11.08.2020) დადგენილება „ბავშვზე მორგებული სარჩელისა და სასამართლო უწყების ფორმების დამტკიცების შესახებ“, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/7.pdf> [30.04.2025];

40. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N41 (31.03.2010) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=23> [30.04.2025];

41. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-16/ნ (18.04.2011) ბრძანება ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1302934?publication=0> [30.04.2025];

42. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება N8 (11.08.2020) „ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/8.pdf> [30.04.2025];

სასამართლო პრაქტიკა:

43. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/6490-21 (23.09.2021);

44. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/18275-21 (03.11.2021);

45. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N2/19616-20 (13.12.2020);

46. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება N28/3275-15 (06.10.2015);

47. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/7/779 (19.10.2018) საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს

პარლამენტის წინააღმდეგ, <https://www.constcourt.ge/pdf/632d985559a58.pdf/ccg-ge.pdf> [30.05.2024];

48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/16/1212 გადაწყვეტილება (28.12.2017) საქმეზე, საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1697> [30.04.2025];

49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/2/577 (24.12.2014) საქმეზე ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1070> [30.04.2025];

50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/3/421,422 (10.11.2009) საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტი წინააღმდეგ;

51. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება N1/2/458 (10.06.2009) საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - სართანია დ., და მაჭარაშვილი ა., საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=404> [30.04.2025];

52. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384 (02.07.2007) საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშელიშვილი დ., გვეთაძე ტ., და დალაღაშვილი ნ., საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=291> [30.04.2025];

53. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-997-2024 (11.10.2024), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/73603/1> [30.04.2025];

54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ს-1399-2019 (31.05.2024), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72763/1> [30.04.2025];

55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ა-641-შ-19-2023 (30.03.2023), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/70491/1> [30.03.2025];

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ს-1198-2021 (20.06.2022), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/70199/1> [30.04.2025];

57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-857-2019 (18.12.2020), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/65962/1> [30.04.2025];

58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება Nას-1498-1418-2017 (08.06.2018), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/60695/1> [30.04.2025];

59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის Nას-664-635-2016 (02.03.2017) გადაწყვეტილება;

60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1112-1047-2015 (04.03.2016), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/57408/1> [30.04.2025];

61. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-458-440-2016 (15.07.2016), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/57993/1> [30.04.2025];

ელექტრონული წყაროები:

62. „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“, <https://bit.ly/3UISxwo> [30.04.2025];

63. „ბავშვთა უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტები“, https://www.gruni.edu.ge/other_content/index/807/1574860095 [30.04.2025];

64. „ბავშვის უფლებები“, <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf> [30.04.2025];

65. ბოგვერაძე მ. „რატომ ჭიანჭურდება საქმეები სასამართლოში - 4 შესაძლო მიზეზი“, <https://netgazeti.ge/law/706940/> [30.04.2025];

66. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12, „ბავშვის უფლება მისი მოსაზრების მოსმენაზე“, 2009, <https://digitallibrary.un.org/record/671444?ln=en> [30.04.2025];

67. „გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით“, <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/konvenciis-me6-muxli.pdf> [30.04.2025];

68. ზარქუა თ. „სოციალური მუშაკის როლი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში“, 2024, <https://shorturl.at/soVZ8> [30.04.2025];

69. კვირიკაშვილი ს. „გაჭიანჭურებული საქმეები - პრობლემა, რომელსაც სასამართლო ხელისუფლებაც აღიარებს“, 2023, <https://courtwatch.ge/articles/delayed-justice> [30.04.2025];

70. კანონი ბავშვის უფლებების მხარეს დგას - „ახალგაზრდა ადვოკატები“, 2020, http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1546 > [30.04.2025];
71. მართლმსაჯულება საქართველოში -2021 წლის სტატისტიკა, სამოქალაქო საქმეები, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/martlmsajuleba%202021/samoq%20gamzadebuli.pdf> [30.04.2025];
72. მართლმსაჯულება საქართველოში - 2022 წლის სტატისტიკა, სამოქალაქო საქმეები, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/statistics/samoqalaqo2022.pdf> [30.04.2025];
73. მართლმსაჯულება საქართველოში - 2023 წლის სტატისტიკა, სამოქალაქო საქმეები, <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/statistics/samoqalaqo2023.pdf> [30.04.2025];
74. მოსამართლეების და ვაკანტური ადგილების რაოდენობა საქართველოში, <https://courtwatch.ge/articles/number-of-judges-2022-2024> [30.04.2025];
75. მურუსიძე ლ. „მთავარი გამოწვევა გაჭიანურებული საქმეებია“, <https://imedinews.ge/ge/politika/1384/levan-murusidze-mtavari-gamotsveva-gachianurebuli-saqmeebia> [30.04. 2025];
76. მუსერიძე ლ. მოსამართლეთა XXXI კონფერენცია, <https://tinyurl.com/4nzs8pbx> [30.04. 2025];
77. „პირადი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა“, 2017, გვ.10; <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/piradi-da-ojaxuri-cxovrebis-pativiscemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf> [30.04.2025];
78. „სასამართლომ ბავშვების მიერ მომზადებული სარჩელი ისევ არ მიიღო“, 2020, <<https://phr.ge/publication/news/109?lang=geo> > [30.04.2025];

უცხოურ ენაზე არსებული წყაროები

სამეცნიერო ლიტერატურა:

79. Beijer A. and Liefwaard T. „A Bermuda Triangle? Balancing Protection, Participation and Proof in Criminal Proceedings Affecting Child Victims and Witnesses”, Utrecht Law Review, 2011;
80. Birnbaum R. Saini M. „A qualitative synthesis of children's participation in custody disputes”, Research on Social Work Practice, 2012.
81. Blackburn R. Polakiewicz J. „Fundamental rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States 1950-2000“, Oxford University Press, 2001;
82. Bosisio R. „Children's Right to Be Heard: What Children Think”, The International Journal of Children's Rights. 20(1), 2012;
83. Crimmens D. Factor F. Jefs T. Pitts J. Pugh C. Spence J. Turner P. „Reaching socially excluded young people a national study of street-based youth work”, Durham university, 2004, <https://shorturl.at/hQvAO> [30.04.2025];
84. Eekelaar J. Tobin J. „The Best Interests of the Child” Article 3, in: Tobin J. [Ed] „The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary”, Oxford University Press, 2019;
85. Fortin G. „Children's Rights and the Developing Law: Children in court – their welfare, wishes and feelings”, Cambridge University Press, 2012, <https://typeset.io/papers/children-s-rights-and-the-developing-law-children-in-court-15fsw1hhex> [30.04. 2025];
86. Freeman M. „A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child: Article 3, The Best Interests of the Child”, Leiden, 2007;
87. Hart H. „Bentham on Legal Rights”, in Simpson A., Oxford Essays in Jurisprudence, 1973;
88. Hodgkin R. Newell P. „Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child”, 3rd ed., Atar Roto Presse, Geneva, 2007;
89. Human Rights Council, General Assembly, „Access to justice for children”, Report of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2013;

90. Joint report of the Special Representative of the Secretary-General on Violence against Children and the Special Rapporteur on the Sale of Children, Child Prostitution and Child Pornography, Safe and child-sensitive counselling, complaint and reporting mechanisms to address violence against children, 2012;
91. Khalil G. „Child Rights: The Historical Evolution“ Beirut, 2002;
92. Kilkelly U. „the Rights to Respect for Private and Family Life“ a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights, 2003;
93. Krappmann E., „The Weight of the Child's View“, Article 12 of the Convention on the Rights of the Child' 18 International Journal of Children's Rights, 2010;
94. Lansdown G. „Every child's right to be heard“, a resource guide on the UN Committee on the Rights of the Child general comment N12 , 2011;
95. Locke J. „Treatise of government: Essay concerning the True Original, Extent and End of Civil Government“, London, 1690;
96. Lopatka A. „Importance of the Convention on the Rights of the Child“, 91 Bulletin of Human Rights, 2 ,1992;
97. Macovei M. „Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights“, Human rights handbooks, N2, 2001;
98. Neale B. „Dialogues with Children: Children, Divorce and Citizenship“, Childhood, 2002;
99. OLG Schleswig NZFam 2016, OLG Celle NZFam;
100. Okoye J. U. Oraegbunam I. K. „Some pathways for psychology's influence on legal system“, African Journal of „Law and Human Rights“, 2019;
101. Rap-Leurs S. E. „The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe“, Utrecht University, 2013;
102. Schmahl S. „Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokollen“ Handkommentar, Nomos Verlag, Baden-baden, 2017;
103. Wildhaber L. „Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention in Human Rights at 50“, Human Rights information Bulletin (special issue), N50, 2000;

104. Workload and Casework review, Qualitative Review of Social Worker Caseload, Casework and Workload Management, Office of the Chief Social Worker, 2014;

სამეცნიერო სტატიები:

105. Barrie G. N. „Giving due consideration to views expressed by the child in family law proceedings : the Australian experience and lessons for South Africa“, 2003;

106. Doek J. E. „The Eighteenth Birthday of the Convention of Rights of the Child: Achievements and Challenges“, University of Michigan Journal of Law Reform, 41 (1), 2007;

107. Mamuladze M. „The right of an under-aged to directly apply to the Court as a procedural guarantee to protect his/her best interests and a comparative legal analysis“, 9th INTERNATIONAL CONFERENCE ON NARRATIVE AND LANGUAGE STUDIES, Book of Abstracts and Proceedings, NALANS, 2023, https://www.ktu.edu.tr/dosyalar/nalans2023_ad511.pdf [30.04.2025];

108. Mol C. „Children’s Representation in Family Law Proceedings: A Comparative Evaluation in Light of Article 12 of the United Nations Convention on the Rights of the Child“, The International Journal of Children's Rights, 2019;

109. Morgan J. „Children’s rights in practice, Journal of Education for Teaching“, vol.40, 2014;

110. Sanebidze M. „The Child’s Right To Be Heard In Civil Proceedings“, Law and World, vol 10. N29, 2024;

კვლევა/კომენტარები

111. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, „ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე ალბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში“, 2015;

112. Committee on the Rights of the child, General Comment, N14, UN Doc CRC/C/GC/14, 2013;

113. Committee on the Rights of the Child ‘Report on the Forty-Third Session’, UN Doc GC/C/43/3, 2007;

114. Committee on the Rights of the Child, General Comment No 12, UN Doc CRC/C/GC/12, 2009;

115. Committee on the Rights of the Child, General Comment No 7, UN Doc CRC/C/GC/7/Rev1, 2006;

ნორმატიული აქტები:

116. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (20.11.1989) „ბავშვის უფლებების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [30.04.2025];

117. გაერთიანებული სამეფო, 1989, „Children Act“, მუხლი 1, ნაწილი 1, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1989/41/contents> [30.04.2025];

118. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1896, <https://shorturl.at/XiZgU> [30.04.2025];

119. გერმანია, „Code of Civil Procedure“, 1877, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html [30.04.2025];

120. ევროპის საბჭოს (25.01.1996) „ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ ევროპული კონვენცია“, <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168007cdaf> [30.04.2025];

121. ევროპის საბჭოს (4.11.1950) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [30.04.2025].

122. ევროპის კავშირის ქარტია (7.12.2000) „ძირითადი უფლებების შესახებ“, <https://dspace.sabauni.edu.ge/server/api/core/bitstreams/35bbd5a8-1eff-4c5c-b4bc-3a2c0a4e9372/content> [30.04.2025];

123. ესტონეთი, „Act on State-Funded Family Mediation Services“, 2022, <https://bit.ly/3TUGVhR> [30.04.2025];

124. ნორვეგია, „Act relating to Children and Parents (the Children Act)“, <https://bit.ly/3GuKGaA> [30.04.2025];

125. ჰააგის კონვენცია (01.03.1954) „სამოქალაქო პროცესის საკითხებზე“;

126. „Act on Proceedings in Family Matters and in Matters of Non-contentious Jurisdiction“, 2008, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_famfg/englisch_famfg.html#p0244 [30.04.2025];

სასამართლო პრაქტიკა:

127. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N37283/13 (10.09.2019) საქმეზე „Strand Lobben and Others v. Norway, <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22:%5B%22001-195909%22%5D%7D> [30.04.2025];

128.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N71776/12 (02.02.2016) საქმეზე ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/saqartvelos-winaagmdeg-n.w..pdf [30.04.2025];

129.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N10161/13
(03.12.2015) საქმეზე M. და M. v. Croatia,
<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-156522%22%5D%7D> [30.04.2025];

130.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N2361/13
(21.07.2015) საქმეზე გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ, <https://shorturl.at/2axYw>
[30.04.2025];

131. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N13712/11
(07.05.2015) საქმეზე S.L. and J.L. v. Croatia,
<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-178603%22%5D%7D> [30.04.2025];

132.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N33637/02 (29.07.2014) საქმეზე Ternovskis v. Latvia, <https://shorturl.at/Rwf19> [30.04.2025];

133. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N31021/08
(05.06.2014) საქმეზე I.S. v. Germany,
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-144361%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-144361%22]}) [30.04.2025];

134.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N17254/11
(15.04.2014) საქმეზე Krasicki v. Poland,
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-198982%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-198982%22]}) [30.04.2025];

135. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N53124/09
(11.01.2012) საქმეზე Genovese v. Malta,
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-106785%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-106785%22]}) [30.04.2025];

136.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N15034/02 (20.08.2010) საქმეზე Larin v. Russia, <https://shorturl.at/zRZML> [30.04.2025];

137. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N25762/07 (10.06.2010) საქმეზე Schwizgebel v. Switzerland;
138. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N15766/03 (16.03.2010) საქმეზე Orsus and others v. Croatia, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-97689%22>] [30.04.2025];
139. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N1062/07 (07.07.2009) საქმეზე Stagno v. Belgium;
140. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N 36813/97 (29.03.2008) საქმეზე Scordino v. Italy, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-72925%22>] [30.04.2025];
141. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N11638/02 (19.06.2007) საქმეზე Pawlik v. Poland, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-81142%22>] [30.04.2025];
142. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N40765/02 (28.02.2007) საქმეზე Apostol v. Georgia;
143. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N73547/01 (30.11.2005) საქმეზე Jedamski and Jedamska v. Poland, <https://shorturl.at/mOmI8> [30.04.2025].
144. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N30943/96 (08.07.2003) საქმეზე Sahin v. Germany, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-61194%22>] [24.04.2025];
145. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N25702/94 (12.07.2001) საქმეზე Caso K. და Y. v. Finlandia, <https://shorturl.at/adofY> [30.04.2025];
146. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N40031/98 (19.09.2000) საქმეზე Affaire Gnahre v. France, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-58802%22>] [30.04.2025].
147. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N 20024/92 (16.09.1996) საქმეზე Süßmann v. Germany, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-57999%22>] [30.04.2025];

148.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N8695/79 (28.10.1987) საქმეზე Inze v. Austria, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-57505%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57505%22]}) [30.04.2025];

149.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N9687/82 (18.12.1986) საქმეზე Johmston and Others v. Ireland, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-57508%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57508%22]}) [30.04.2025];

150. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N8737/79 (13.07.1983) საქმეზე Zimmermann and Steinert V. Swiss, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-57609%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57609%22]}) [30.04.2025];

151. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N6833/74 (13.06.1979) საქმეზე Marckx v Belgium;

152. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება N4451/70 (21.02.1975) საქმეზე Golder v. United Kingdom, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-57496%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57496%22]}) [30.04.2025];

153.რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის კოპტევსკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება N2-66/2022 (15.03.2022);

ელექტრონული წყაროები:

154.Archard D. Skivenes M. Hearing the child, https://www.academia.edu/90371223/Hearing_the_child [30.04.2025];

155. Archard D. „Children, Family and the State”, 2003; Griffin J. „Do Children Have Rights?” in: Archard D. Macleod C. „The Moral and Political Status of Children”, 2002; Freeman M. „The Rights and Wrongs of Children”, 1983; Alston P. Parker S. Seymour J. „Children, Rights and the Law”, 1992, Fortin J. Children’s „Rights and the Developing Law”, 2nd ed, 2003; Guggenheim M. „What’s Wrong with Children’s Rights?”, 2005;

156.Borowsky P. „Sozialliberale Koalition und innere Reformen”, 2002, <https://www.bpb.de/shop/zeitschriften/izpb/zeiten-des-wandels-258/10109/sozialliberale-koalition-und-innere-reformen/> [30.04.2025];

157.Children And Family Advisory And Support Service, <<https://www.cafcass.gov.uk/about-us/our-reports-and-publications> > [24.04.2025];

158., „Children’s Rights in the United States“, <https://sites.uab.edu/humanrights/2018/11/19/childrens-rights-in-the-united-states/> [30.04.2025];

159. Chart of signatures and ratifications of Treaty, <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treaty=160> [30.04.2025];

160., „Convention on the Rights of the Child text“, <https://www.unicef.org/child-rights-convention/convention-text> [30.04.2025];

161. European Union Agency for fundamental rights, 2015, „Child-friendly justice, perspectives and experiences of professionals on children’s participation in civil and criminal judicial proceedings in 10 EU Member States“, https://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2015-child-friendly-justice-professionals_en.pdf [30.04.2025];

162. Federal Circuit and Family Court of Australia, <https://www.fcfcga.gov.au/about> [30.04.2025];

163., „Illinois Supreme Court History“, Juvenile Courts, <https://www.illinoiscourts.gov/News/388/Illinois-Supreme-Court-History-Juvenile-Courts/news-detail/> [30.04.2025];

164. Ontario Court of Justice, <https://www.ontariocourts.ca/ocj/find-my-case/> [30.04.2025];

165., „Patterns of attachment a psychological study of the strage situation“, <https://mind-splain.com/wp-content/uploads/2021/01/Ainsworth-Patterns-of-Attachment.pdf> [30.04.2025].